საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ე. ხოშტარია

მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში

დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება.

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1966

338(ę41) (09)
321. 914.1+338.4] (47.922) (09)
6812

წიგნში გაშუქებულია დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება საქართველოში მე-19 საუკუნის მანძილზე. განხილულია მრეწველობის მარტივი ფორმები — ოჯახური მრეწველობა და ხელოსნობა; კაპიტალისტურ წარმოებად წვრილი წარმოების გადაქცევის ტენდენცია. ნაჩვენებია კაპიტალიზმის განვითარების პროცესი მრეწველობაში ცალკეული საფეხურების მიხედვით (კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია, მანუფაქტურა, ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება). განხილულია აგრეთვე დამმუშავებელი მრეწველობის განვითარების ისტორიის შესწავლის მდგომარეობა ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში. აქვეა მოცემული საკითხის ძირითადი წყაროების მიმოხილვა. დასკვნით ნაწილში მოცემულია მრეწველობის სხვადასხვა ფორმის (წვრილი წარმოება, მანუფაქტურა, ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება) თანაფარდობა დროის ამა თუ იმ მონაკვეთში. განხილულია საქართველოში მრეწველობის განვითარების პირობები და ტენდენციები.

მუშათა კლასის ჩამოყალიბებასა და მუშათა მოძრაობის პირველ ნაბიჯებს შევეხებით ნაშრომის მეორე ნაწილში.

რედაქტორი პროფ. ი. ანთელავა

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი გათვალისწინებულია გამოიცეს ორ წიგნად. პირველ წიგნში განხილულია დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება, ხოლო მეორეში — მუშათა კლასის ჩამოყალიბების პროცესი და რევოლუციური მოძრაობის პირველი ნაბიჯები. საქართველოს სამრეწველო განვითარება და მუშათა მოძრაობის ისტორია დიდი ხანია წარმოადგენს შესწავლის საგანს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემებს არა ერთი მონოგრაფიული ნაშრომი მიეძღვნა, ბევრი რამ ჯერ კიდევ დავას იწვევს, მოითხოვს შემდგომ დამუშავებას. დღემდე არ არის სათანადოდ შესწავლილი მუშათა კლასის ჩამოყალიბების პროცესი.

ნაშრომში ახალი მასალისა და ზოგიერთი აქამდე ცნობილი წყაროს კრიტიკული განხილვის საფუძველზე მოცემულია არა ერთი სადავო და ჯერჯერობით სათანადო სიღრმით დაუმუშავებელი საკითხის გაშუქების ცდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი სპეციალური კვლევის საგანი დამმუშავებელი მრეწველობაა. ამასთან, მრეწველობის მარტივი ფორმების (ოჯახური მრეწველობა, ხელოსნობა, წვრილი საქონლური წარმოება) განხილვისას უმთავრესად იმ მოვლენებზე ვჩერდებით, რომელნიც ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის შემოჭრის, მრეწველობის მარტივი ფორმებიდან კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლის მაჩვენებელნი იყვნენ.

საქართველოს სამრეწველო განვითარებას ვსწავლობთ 900-იანი წლების დასაწყისამდე. ამ დროისათვის, ერთი მხრივ, საქმე გვაქვს ქვეყნის სამრეწველო განვითარების ბუნებრივ შედეგთან— სამრეწველო კაპიტალისა და თვით წარმოების კონცენტრაციასთან, რამაც განსაკუთრებით აქციონერულ საზოგადოებების შექმნაში ჰპოვა თავისი გამოხატულება, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნული დროიდან თავს იჩენენ ახალი მოვლენები, რომელნიც 900-იანი წლებისათვის დაწყებულ სამრეწველო კრიზისთან და მუშათა რევოლუციური მოძრაობის მძლავრ აღმავლობასთან იყვნენ დაკავშირებული.

რაც შეეხება მუშათა კლასის ისტორიას, ჩვენ განვიხილავთ როგორც პროლეტარიატის კლასად ჩამოყალიბების მთელ პროცესს (დაქირავებული შრომის კონტინგენტის გაჩენა ჯერ კიდევ ფეოდალური წყობილების წიაღში, პროლეტარიატის ძირითადი კადრების შექმნა და მისი სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქის კლასად — „კლასად თავისათვის" ჩამოყალიბება სამრეწველო გადატრიალებისა და ბურჟუაზიული საზოგადოების საბოლოო გაფორმებასთან დაკავშირებით), ასევე მუშათა რევოლუციური მოძრაობის პირველ ნაბიჯებსა და აღმავლობას მე-20 ს. დასაწყისისათვის.

ორივე წიგნს უძღვის ისტორიოგრაფიული ნარკვევი და ძირითადი წყაროების მიმოხილვა. ისტორიოგრაფიულ ნარკვევებში განხილულია დასმული საკითხების შესწავლის მდგომარეობა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში; ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ვეხებით ძირითად ნაშრომებს, რომელნიც აშუქებენ მრეწველობის განვითარებისა თუ მუშათა კლასის ჩამოყალიბების ისტორიას; ვუჩვენებთ, რა სიახლე შეაქვს ამა თუ იმ ავტორს ჩვენს ისტორიოგრაფიაში, საკითხების დასმისა და გაშუქების ან წყაროების გამოყენების თვალსაზრისით. გამოვთქვამთ აზრს ამა თუ იმ პრინციპულ საკითხზე ყველა ისეთ შემთხვევაში, როდესაც არ ვეთანხმებით წინამორბედ ავტორთა შეხედულებებს.

ვრცელი ისტორიოგრაფიული ნარკვევებისა და წყაროების მიმოხილვის დართვა გვათავისუფლებს უშუალოდ საკვლევი საკითხების გაშუქებისას, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, წინამორბედ ავტორთა დებულებების გადმოცემისა და ძმთავრესი წყაროების კრიტიკული განხილვისაგან, უფლებას გვაძლევს ამჯერად მხოლოდ ერძო ხასიათის შენიშვნებით შემოვიფარგლოთ.

დამმუშავებელი მრეწველობის განვითარების ისტორიის შესწავლა ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში

საკითხი საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ მარქსისტული მსოფლმხედველობის შუქზე პირველად დაისვა ა. წულუკიძისა და ფ. მახარაძის წერილებში, რომელნიც 90-იანი წლების მიწურულსა და 900-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნდა ქართულ პრესაში[1], ხოლო საქართველოს სამრეწველო განვითარების ისტორიის გეგმაზომიერ შესწავლას ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში საფუძველი ჩაეყარა 30-იან წლებში ფ. მახარაძის ნაშრომებით[2].

მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხების განხილვას ფ. მახარაძე იწყებს საქართველოში მე-18 ს. ბოლოსა და მე-19 ს. დადგეგს არსებული ეკონომიური მდგომარეობის დახასიათებით. ავტორი მიუთითებს ნატურალური მეურნეობის ბატონობაზე აღნიშნულ პერიოდში, ეხება ოჯახური მრეწველობის, ხელოსნური წარმოების დარგებს, მე-18 ს. მეორე ნახევრის სამრეწველო წამოწყებებს (სტამბა, ზარაფხანა, მინის წარმოება, დენთისა და ზარბაზნების წარმოება, ახტალისა და ალავერდის სპილენძისა და ვერცხლის საბადოების დამუშავება); თბილისს განიხილავს როგორც ქვეყნის ხელოსნური წარმოების ცენტრს.

---

[1] იხ. ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, თბ., 1943. ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზულებათა კრებული, ტ. I—VIII, თბ., 1924—1931.

[2] Ф. Е. Махарадзе, История возникновения и развития рабочего движения в Грузии. იხ. წიგნში: Ф. Е. Махарадзе и Г. В. Хачапуридзе. Очерки по истории рабочего и крестьянского движения в Грузии, М., 1932; Ф. Е. Махарадзе, Грузия в девятнадцатом столетии, Тб., 1933. აღნიშნულ ნაშრომებში ფ. მახარაძეს განვითარებული აქვს ჯერ კიდევ მე-19 ს. მიწურულსა და 900-იან წლებში „კვალის“ ფურცლებზე დაბეჭდილ წერილებში გამოთქმული დებულებები საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ.

ნატურალური მეურნეობის რღვევას ფ. მახარაძე უკავშირებდა რუსეთთან საქართველოს შეერთების შედეგად ქვეყანაში მომხდარ სოციალ-ეკონომიური ხასიათის ძვრებს, კერძოდ. საქონლის მიმოქცევის ზრდას: უცხოური და რუსული ფაბრიკების ნაწარმის — ქსოვილების, ლითონისა და მინის საგნების დიდი რაოდენობით შემოტანას; იგი აღნიშნავდა რუსული კაპიტალიზმის მისწრაფებას გადაექცია საქართველო მისი ფაბრიკების ნაწარმის ბაზრად.

კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში, ფ. მახარაძის აზრით, მე-19 ს. მეორე ნახევარში ხდება, თუმცა მას მხედველობიდან არ გამორჩენია არც მე-19 ს. პირველი ნახევრის კაპიტალისტური სამრეწველო წამოწყებები. იგი აღნიშნავდა. რომ მრეწველობის განვითარებისათვის იმ დროს, ე. ი. მე-19 ს. პირველ ნახევარში, სათანადო წანამძღვრები მართალია, საკმარისზე მეტი იყო, მაგრამ ისინი მაინც განწირულნი იყვნენ. მრეწველობის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად, როგორც იმ დროისათვის, ასევე მომდევნო ხანებში, ფ. მახარაძე რუსეთის ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას მიიჩნევდა.

მრეწველობის განვითარების წანამძღვრებში ფ. მახარაძე ასაბელებს ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს, ფულადი კაპიტალის დაგროვებას ადგილობრივი ვაჭრების ხელში, საქონლის მიმოქცევის ზრდას. რუსული და უცხოური კაპიტალის შემოტანის ცდებს: პოლიტიკური და ეკონომიური ძვრების შედეგად მნიშვნელოვანი რაოდენობით თავისუფალი მუშახელის გაჩენას (გაჩანაგებული გლეხები და ხელოსნები).

ფ. მახარაძე საგანგებოდ ჩერდება ხელოსნობის განვითარების საკითხზე. აღნიშნული აქვს ამქრული ხელოსნობის დაშლის პროცესი და მისი მიზეზები: რუსული და უცხოური ფაბრიკული ნაწარმის შემოტანის ზრდა და რუსეთიდან და სხვა ადგილებიდან უცხო ხელოსანთა მოძალება, განსაკუთრებით 40—50-იანი წლებიდან; მათ მიერ თავისუფალი კაპიტალის დაბანდება ხელოსნურ წარმოებაში, ადგილობრივ ხელოსნებთან შედარებით დაქირავებული მუშახელის მეტი რაოდენობით გამოყენება და წარმოების ტექნიკური უპირატესობანი. კონკურენცია მოსულ და ადგილობრივ ხელოსანთა შორის იწვევდა უკანასკნელთა გაღატაკებას, რაც ქმნიდა მუშახელის კონტინგენტს ფაბრიკა-ქარხნებისათვის.

ფ. მახარაძე თვლიდა, რომ ამქრული ხელოსნობა და თვით ბატონყმობაც რეფორმის წინა პერიოდში უკვე აღარ შეესაბამებოდა ახალ ეკონომიურ ვითარებას. ე. ი. მისი აზრით, ქვეყნის შიგნითვე იყო მომზადებული პირობები ბატონყმობის გაუქმებისათვის.

კაპიტალიზმის განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობებად ფ. მახარაძე მიიჩნევდა ბატონყმობის გაუქმებასა და რკინიგზების მშენებლობას. იგი ეხება მრეწველობის ახალი დარგების წარმოქმნას: ნავთის ექსპორტთან დაკავშირებული ქარხნები ბათუმში, ჭიათურის მარგანეცისა და ტყიბულის ქვანახშირის მოპოვება. განხილული აქვს მე-19 ს. მეორე ნახევარში არსებული კაპიტალისტური საწარმოები (ჩათახის რკინის მადნის გადამმუშავებელი ქარხანა, რუქსის მექანიკური სახელოსნო, თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა, მირზოევის საფეიქრო ფაბრიკა და სხვა). მოცემული აქვს მრეწველობის განვითარების ზოგადი სურათის დადგენის ცდა საწარმოთა რაოდენობის, პროდუქციის მოცულობისა და მუშათა რაოდენობის 80-იანი და 90-იანი წლების მაჩვენებლების შედარების გზით.

ფ. მახარაძე ეხება საქართველოში მრეწველობის განვითარების თავისებურებებსაც; აღნიშნავს მის ცალმხრივ ხასიათს, კერძოდ ნავთის ექსპორტთან დაკავშირებული ბათუმის წარმოების გამოკლებით, მსუბუქი მრეწველობის და ზოგიერთი სხვა დარგის (არყის სახდელი, სახერხი, აგურის, ტყავის, საპნის, თამბაქოს, აბრეშუმის საწარმოები) უპირატეს განვითარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ფ. მახარაძეს უკვე ჰქონდა მე-19 ს. საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის დადგენის ცდა. თუმცა ცალკეული პერიოდების ზღვარი მას გარკვევით არა აქვს მითითებული. ერთ შემთხვევაში მე-19 ს. საქართველოს ისტორიას იგი ყოფს ორ ნაწილად: რუსეთთან შეერთებიდან 50-იან წლებამდე და 50-იანი წლებიდან მე-19 ს. ბოლომდე. პერიოდს 50-იან წლებამდე იგი თვლის კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობის ხანად, ხოლო მომდევნო პერიოდს კი ამ მეურნეობის ინტენსიური რღვევის ხანად. საკუთრივ კაპიტალისტური განვითარების პროცესს იგი ასევე ორ პერიოდად ყოფს—რკინიგზების მშენებლობამდე (1851—1871 წწ.) და რკინიგზების მშენებლობის შემდეგ (1871—1899 წწ.). სხვაგან კი იგი ხაზს უსვამს 60—70-იან წლებს, როგორც გარდატეხის ხანას:

«60—70 гг. являются переломным периодом в жизни Закавказья и Грузии: мы видим тут и накопление капиталов, и расширение рынка, и перемену в социальном положении, и отмену крепостного права, образование целой массы людей, лишенных прежних источников дохода — обезземеленное крестьянство и обнищавшие ремесленники, — все это составляло необходимые предпосылки для возникновения капиталистической промышленности»[3].

---

[3] Ф. Е. Махарадзе, История возникновения и развития рабочего движения в Грузии. წიგნში: Очерки по истории... გვ. 114.

ასალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დამკვიდრების ხანად ავტორი 1870—1890 წლებს მიიჩნევს[4].

ფ. მახარაძე ეხება აგრეთვე ახალი, ბურჟუაზიული საზოგადოების კლასების—პროლეტარიატის და ბურჟუაზიის ფორმირების საკითხს. მუშათა კლასის ჩასახვის დროდ იგი 60-იან წლებს მიიჩნევს, ხოლო პროლეტარიატის როგორც კლასის ჩამოყალიბების ხანად 80—90-იან წლებს.

ფ. მახარაძის ზემოთ განხილული შრომების შეფასებისას დიდი მნიშვნელობა აქვს წყაროებისადმი მის დამოკიდებულებას. როგორც ირკვევა, ფ. მახარაძეს ჰქონდა გამოყენებული სხვადასხვა სახის მიმოხილვები (მაგ., გულიშამბაროვის შრომები); ოფიციალური სტატისტიკის მონაცემები, მაგ., გუბერნატორთა ანგარიშების დანართები, „Кавказский календарь“-ში და სხვა ოფიციალურ გამოცემებში მოთავსებული სტატისტიკური ცნობები, თანამედროვეთა მოგონებანი, იმდროინდელი პუბლიცისტიკა და მწერლობა.

ფ. მახარაძე ეჭვის ქვეშ აყენებს ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებს (მათ შორის სამოქალაქო ადმინისტრაციის და პოლიციის მიერ შეკრებილ ცნობებს), მოგვიწოდებს სიფრთხილისაკენ ამ მასალით სარგებლობისას, რის მაგალითს თვითონაც გვაძლევს. წყაროებით სარგებლობისა და მათ ერთმანეთთან შეჯერებისას იგი ყურადღებას აქცევს იმას, რომ ზოგიერთ წყაროში ცნებები „ფაბრიკა“ და „ქარხანა“ იხმარებოდა ამ სიტყვების ნამდვილი მნიშვნელობით (მაგ. გულიშამბაროვის ნაშრომები), ზოგიერთში კი მათ მიაკუთვნებდნენ აგრეთვე წვრილ ხელოსნურ და შინამრეწველურ საწარმოებს (პოლიციის მიერ შეკრებილი ცნობები).

ამრიგად, ფ. მახარაძე მის ხელთ არსებული წყაროების შეზღუდულობის პირობებში (რასაც თვითონაც უჩივის) თუმცა ვერ გასცილდა კაპიტალისტური მრეწველობის ზოგადი მიმოხილვის ფარგლებს (როგორც თვითონ უწოდებს თავის ნაშრომებს) და მისი მსჯელობა ზოგჯერ წინააღმეგობრივია[5], მაგრამ, მიუხედავად ამი-

---

[4] Ф. Е. Махарадзе, История возникновения..., გვ. 116.

[5] წიგნში „1905 წლის რევოლუცია ამიერკავკასიაში“ (თბ., 1932 წ.) ფ. მახარაძე ცდილობს ხაზი გაუსვას ამიერკავკასიის ეკონომიურ ჩამორჩენილობას და ზოგ შემთხვევაში ხმაობს ისეთ გამოთქმებს რევოლუციამდელი ვითარების დასამუქებლად, რომელნიც არ შეეფარდებიან თვით მისსავე შეხედულებებს საქართველოს ეკონომიური განვითარების შესახებ. მაგ., იგი წერს: „რაც შეეხება ამიერკავკასიის ეროვნებათა ეკონომიკას ანუ საწარმოო ძალებს, ამას მაინცადამაინც წინ არ წაუწევია მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, ის საერთოდ დარჩა

სა, მან აღნიშნული მასალისა და პირად დაკვირვებათა საფუძველზე, მოგვცა მე-19 საუკუნის საქართველოს ეკონომიური განვითარებისა და კერძოდ მრეწველობის განვითარების საკმაოდ გამართული სურათი.

*
* *

საქართველოში კაპიტალიზმის, კერძოდ, კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების საკითხებმა ფართო გაშუქება ჰპოვეს პროფ. პ. გუგუშვილის ნაშრომებში. პ. გუგუშვილმა გამოქვეყნებულ მიმოხილვათა (გულიშამბაროვის ნაშრომები და სხვ.) და ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებასთან ერთად, ახალი საარქივო მასალების ფართოდ გამოყენების საფუძველზე, პირველად მოგვცა მრეწველობის განვითარების სურათი ცალკეული ფორმების (ხელოსნობა, შინამრეწველობა, მანუფაქტურა, ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება), თუ დარგების (საფეიქრო წარმოება, მინის წარმოება, თამბაქოს, ტყავის, აბრეშუმის დამუშავება, მეტალურგიული წარმოება, სამთამადნო წარმოება) მიხედვით[6].

ასეთივე, როგორიც იყო ათასის წლის წინედ" (გვ. 8). უფრო ქვემოთ ეკითხულობთ, თითქოს 1860—1870 წლებში ამიერკავკასიაში „მრეწველობის ჰაკანებაც არ იყო და, მაშასადამე, არც მუშათა კლასი იქნებოდა" (გვ. 37) და სხვ.

[6] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ს შინამრეწველობა და მანუფაქტურული წარმოება პიოველად განხილული აქვს 1939 წელს გამოცემულ სპეციალურ ნარკვევებში. იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1938. ნაკვ. III, თბ., 1939. იგივე საკითხებსა და აგრეთვე ამქრულ ხელოსნობას, სამთამადნო, სამთო-საქარხნო და ფაბრიკულ-ქარხნულ მრეწველობას მიეძღვნა მისივე მონოგრაფიის: კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1941, საგანგებო თავები. პ. გუგუშვილი შემდგომაც უბრუნდება ამ საკითხებს: კერძოდ— შინამრეწველობას (ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, IV, 1950.), ამქრულ ხელოსნობას (ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, VII—VIII. 1953—1954 წწ.). 1957 წ. პ. გუგუშვილმა გამოაქვეყნა მონოგრაფია: **„Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX — XX вв."**, კ. I, სადაც განხილულია ამქრული ხელოსნობის დაშლა, შინამრეწველობა და მანუფაქტურა, ხოლო 1962 წ. გამოქვეყნებულ წიგნში—საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX საუკუნეებში, მონოგრაფიები, ტ. V, განხილულია ამქრული ხელოსნობის დაშლა და შინამრეწველობა (ცალკე თავადაა გამოყოფილი შინამრეწველური მეღვინეობის განვითარება). პ. გუგუშვილის მიერ ამა თუ იმ საკითხის გაშუქებაზე მსჯელობისას, ჩვენ მისი ის ნაშრომები გვაქვს მხედველობაში, რომლებშიც ეს საკითხები უკანასკნელად არის განხილული.

ამქრული ხელოსნობის შესწავლისას პ. გუგუშვილი ვრცლად ეხება ამქრული ხელოსნობის გენეზისის საკითხებს, ხელოსნობის განვითარებას ფეოდალურ საქართველოში, ხელოსნობის დარგობრივ სტრუქტურას და რაოდენობრივ მაჩვენებლებს, ამქრულ კორპორაციებს მე-19 საუკუნეში, ხელოსანთა მდგომარეობას და. ბოლოს, ამქრულ ხელოსნობის დაშლას. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ეს უკანასკნელი საკითხი. პ. გუგუშვილი ეხება როგორც ამქრული ხელოსნობის დაშლის შინაგან მიზეზებს—ამქართა საქმიანობაში ვაჭრული და სავაჭრო კაპიტალის როლის ზრდას, ხელოსანთა წრეში გაღრმავებულ წოდებრივ ჭიდილს. ასევე გარეშე მიზეზებს — რუსეთიდან და უცხოეთიდან მოსული ხელოსნების სახით ამქრის გარეშე ხელოსნობის გაჩენას, კონკურენციას ადგილობრივ და მოსულ ხელოსანთა შორის. უცხოური და რუსეთის ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმოების შემოტანის ზრდას და, ბოლოს, ხელისუფლების ღონისძიებებს, მიმართულს ამქრების წინააღმდეგ, ამ უკანასკნელთა უფლებების შეზღუდვას.

განიხილავს რა 1900 წლის მონაცემებს თბილისში არსებულ წვრილმრეწველურ საწარმოთა მდგომარეობის შესახებ, პ. გუგუშვილი აღნიშნავს იმ სოციალურ დიფერენციაციას, რომელიც ამ დროისათვის მომხდარა მრეწველობის მოცემულ დარგებში[7]. ძველებური ხელოსნობის დაშლისა და რღვევის მაჩვენებლად ავტორს ერთის მხრით ხელოსნობის რიგ დარგებში მსხვილხელოსნურ, ანდა მანუფაქტურულ საწარმოთა გაჩენა, ხოლო მეორე მხრით ზოგიერთ დარგში წვრილ—1—2 მუშიან საწარმოთა გაქრობა მიაჩნია[8].

აღნიშნული მასალების ანალიზის საფუძველზე პ. გუგუშვილი წერს: „ხელოსნური საწარმო, სადაც 5—8 კაცი მუშაობს არსებითად უკვე კაპიტალისტური საწარმოა მაშინაც კი, როდესაც შრომის იარაღები შეიძლება ნაწილობრივ თვით მუშებისა იყოს... აქ ჩვენს წინაშეა დაქსაქსული წვრილი წარმოების გამსხვილების ფაქტი, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების არსებულ ვითარებაში კაპიტალისტური საწარმოს სახით ყალიბდება. ამ დროიდან ასეთს წარმოებაში ოსტატი, უმეტეს შემთხვევაში, უკვე არ გამოდის. როგორც უშუალო მწარმოებელი, ის უპირატესად მხოლოდ მეპატრო-

[7] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქ. და ამიერკავ. ეკონომ. განვითარება XIX—XX სს., V., თბ., 1962, გვ. 325.

[8] იქვე, გვ. 331—332.

ნეა"[9]. შემდეგ, პ. გუგუშვილს მოჰყავს 1914 წლის ცნობა ისეთ სახელოსნოზე, სადაც 9 ქარგლის ექსპლოატაციას ჰქონდა ადგილი და ასკვნის: „ამგვარად, მსხვილი სახელოსნოს მეპატრონე ამქრის ოსტატი ეწევა 9 ქარგლის (დაქირავებული მუშის) ექსპლოატაციას. აქ ამქარი მარტოოდენ ტრადიციული გადმონაშთის სახით არსებობს და ნამდვილად საქმე გვაქვს კაპიტალისტურ სახელოსნოსთან, კაპიტალისტურ საწარმოსთან"[10].

ამგვარად, პ. გუგუშვილი სავსებით მართებულად აღნიშნავს ხელოსნობის კაპიტალისტურ წარმოებად , გადაქცევის ფაქტებს 900-იანი წლებისათვის და მომდევნო პერიოდში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ფაქტები ჩვენ გაცილებით უფრო ადრეც მოგვეპოვება, კერძოდ 80-იან წლებშიაც, სწორედ ხელოსნობის იმ დარგებში, რომელნიც პ. გუგუშვილის ძიხედვით იძ დროისათვის (ე. ი. 80-იანი წლებისათვის) „მხოლოდ წვრილხელოსნურ საწარმოთა სახით არსებობდნენ", და სადაც თითქოს იმ ხანად მხოლოდ 2—3 კაციანი სახელოსნოები იყო[11].

სინამდვილეში, არა მარტო 80-იან წლებში, არამედ უკვე 60-იანი წლებისათვის ჩვენ მოგვეპოვება მსხვილ სახელოსნოთა არსებობის არა ერთი ფაქტი, სადაც არა 2—3 კაცი, არამედ. ერთდროულად 10—20 ქარგალი და მუშა იყო ჩაბმული. ეს იყო სწორედ ხელოსნობის დაშლის ყველაზე უფრო სიმპტომატური მაჩვენებელი.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პ. გუგუშვილი ხელოსნობის განხილვისას ჩერდება მხოლოდ ქალაქის ამქრულ ხელოსნობაზე, თუმცა აღნიშნავს, რომ სოფლადაც იყო ხელოსნობა განვითარებული. სოფლად წვრილი წარმოების განვითარება ძას ძირითადად ე. წ. „შინამრეწველობის" სახით აქვს განხილული. შინამრეწველში პ. გუგუშვილი გულისხმობს გლეხს, „რომელიც ბაზარზე რეალიზაციის მიზნით ეწევა აპა თუ იმ ნედლი მასალის გადამუშავებას"[12]. „შინამრეწველობა" პ. გუგუშვილის მიხედვით ოჯახური მრეწველობისაგან იმით განსხვავდება, რომ „წ ვ რ ი ლ ს ა ქ ო ნ ლ უ რ წ ა რ მ ო ე ბ ა ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს", ხოლო ხელოსნობისაგან მას ის განასხვავებს, რომ, თუკი ხელოსანი უმთავრესად შემკვეთისათვის, ე. ი. უშუალოდ მომხმარებლისათვის აწარმოებს,

---

[9] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 332.
[10] იქვე, გვ. 333.
[11] იქვე, გვ. 331.
[12] იქვე, გვ. 347.

შინამრეწველსა და მომხმარებელს შორის დგას ვაჭარი (ზუამავალი, შემსყიდველი)"[13]. შინამრეწველობა პ. გუგუშვილს უშუალოდ ოჯახური მრეწველობიდან გამოჰყავს[14].

პ. გუგუშვილი ცნებით „შინამრეწველობა" („кустарная промышленность") ცვლის ცნებას „წვრილი საქონლური წარმოება"[15].

პ. გუგუშვილს დიდძალი მასალა მოაქვს ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში „შინამრეწველობის" განვითარების საილუსტრაციოდ. დარგების მიხედვით: ფეიქრობა, ხის, ლითონის, თიხის, დამუშავება; გემო-კვების მრეწველობა—შინამრეწველური მეღვინეობა, ყველის დამზადება და სხვა. აღნიშნული საკითხის განხილვისას ავტორი ძირითადად ემყარება მე-19 საუკუნის აღწერილობით მასალებს, რომელთა დიდი ნაწილი შედგენილ იქნა „შინამრეწველობის" საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით და მოთავსებულია იმდროინდელ პრესაში თუ საგანგებო კრებულებში.

ავტორი როგორც საერთოდ ამიერკავკასიაში, ასევე საქართველოში, „შინამრეწველური" დარგების განხილვისას (იგულისხმება წვრილ-გლეხური სარეწები) თითქმის ყველგან ხედავს საქონლური წარმოების განვითარებას, და ნაკლებ ყურადღებას აქცევს იმას, აქვს ამა თუ იმ წარმოებას გლეხის მეურნეობისათვის მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა, სრულდება იგი მხოლოდ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ საქმიანობისაგან თავისუფალ დროს, თუ ატარებს თავისთავად წარმოების ხასიათს; ხორციელდება მხოლოდ ოჯახის წევრების ძალით თუ დაქირავებული შრომის გამოყენებით; წარმოებას კონტროლს უწევს ვაჭარი—შემსყიდველი, გამოდის მისი ორგანიზატორის როლში და იმორჩილებს მას, თუ გვეელინება მხოლოდ „სოფლური ნაწარმის" შემთხვევითი გადამყიდველის როლში. ჩვენის აზრით, ყველა ამ საკითხის გარკვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს წვრილი გლეხური სარეწების ხასიათის დასადგენად.

პ. გუგუშვილმა პირველმა დააყენა საკითხი საქართველოში მანუფაქტურული წარმოების არსებობისა და განვითარების შესახებ.

---

[13] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

[14] იქვე. გვ. 5 და 583.

[15] იქვე. გვ. 575. უნდა აღინიშნოს, რომ „შინამრეწველობის" ასეთი გაგება დავას იწვევს სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ. გ. ბ ა ქ რ ა ძ ე. საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების ზოგიერთი საკითხის სწორი გაგებისათვის, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 100, 1963 წ. გვ. 245). ჩვენ აქ არ შევეხებით საკითხის თეორიულ მხარეს, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ტერმინი „შინამრეწველობა" („кустарная промышленность"), ჩვენი აზრით, შეესაბამება დაქსაქსულ წვრილ სასაქონლო წარმოებას, როგორც სოფლად, ისე ქალაქად.

მანუფაქტურული წარმოების საწყისებს იგი უკვე მე-18 ს. მეორე ნახევარში არსებულ საწარმოებში ხედავს (სტამბა, ზარაფხანა, თოფხანა და სხვ.). იგი ვრცლად ეხება მე-19 ს. 30—60-იან წლებში არსებულ მანუფაქტურის ტიპის საწარმოებს: კასტელას მიერ დაარსებულ აბრეშუმის „ფაბრიკას", სოფ. დრეში არსებულ მაუდის „ფაბრიკას", ერისთავების მინის „ქარხანას", ზოგიერთ არყის სახდელ, ტყავის დამამუშავებელ საწარმოებს და თამბაქოს „ფაბრიკებს"[16], რეფორმის მომდევნო პერიოდში არსებულ ახალსავე და ზოგიერთ სხვა საწარმოებს, მაგ., კასრების დამამზადებელ „ქარხნებს" ბათუმში და სხვ.[17].

პ. გუგუშვილი აღნიშნავს, რომ მანუფაქტურულ საწარმოთა ნაწილი დაარსებული იყო ხელისუფლების მატერიალური დახმარებით, როგორც უცხოელების, ისე ადგილობრივი ფეოდალური წრის წარმომადგენლებისა და ვაჭარ-კაპიტალისტების მიერ. საწარმოებში გამოიყენებოდა როგორც იძულებითი, ისე დაქირავებული შრომა. ზოგ შემთხვევაში ადგილობრივი საწარმოები რუსეთის ფაბრიკების დამატების სახით აღმოცენდებოდნენ. მანუფაქტურულ წარმოების განვითარებას ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა ხელუდავდა. ავტორი დასძენს: „მანუფაქტურული წარმოება ხელს უწყობდა ამიერკავკასიის საშინაო და საგარეო ვაჭრობის არხების შემდგომ გაფართოებას, საერთოდ სასაქონლო წარმოების შემდგომ განვითარებას, მსხვილ კაპიტალისტურ წამოწყებათა ჩამოყალიბებას, დაქირავებული შრომის სისტემის წარმოქმნას და ყოველივე ამით ამზადებდა ნიადაგს წვრილ კაპიტალისტურ სარეწების და მანუფაქტურების ნაცვლად მანქანური (ფაბრიკულ-ქარხნული) წარმოების წარმოქმნისა და განვითარებისათვის"[18].

---

[16] ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ პ. გუგუშვილი მანუფაქტურული წარმოების განხილვისას არ ეხება თამბაქოს „ფაბრიკებს", რომელნიც დიდი ხნის მანძილზე მანუფაქტურების სახით არსებობდნენ. ამ საწარმოებს იგი ეხება მხოლოდ მანქანური წარმოების განვითარებასა და ამ დარგში მანქანების შემოღებასთან დაკავშირებით. პ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1941, გვ. 369—373.

[17] უნდა აღნიშნოს, რომ 1957 წელს გამოცემულ წიგნში „Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX — XX вв.", I, პ. გუგუშვილმა მანუფაქტურული წარმოებისადმი მიძღვნილი თავი ადრე განოქვეყნებულ შრომებთან შედარებით ბნიშვნელოვნად შეავსო დამატებითი მასალებით.

[18] П. В. Гугушвили. Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX — XX вв.", I, Тб., 1957, гг. 299—300.

მანუფაქტურული წარმოების პერიოდს პ. გუგუშვილი მე-19 ს. 20-იანი წლებიდან 80-იანი წლების პირველ ნახევრამდე ვარაუდობს. თუმცა ცალკეულ მანუფაქტურულ საწარმოთა წარმოქმნის ფაქტს ამაზე ადრე და ამის შემდგომაც აღნიშნავს[19].

ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობის განვითარების განხილვას პ. გუგუშვილი შრომის საშუალებათა შემკეთებელი და მკეთებელი წარმოების შესწავლით იწყებს. იგი ეხება 50-იანი წლების შემდეგ თბილისში გახსნილ შტუსეს მექანიკურ ქარხანას, თუჯის ნაკეთობათა ქარხანას, რუქსის მექანიკურ ქარხანას, რენკვისტის თუჯის სასხმელ ქარხანას, ამიერკავკასიის რკინიგზის მექანიკურ სახელოსნოებს და სხვ. ცალკე ეხება ბათუმში ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებით წარმოქმნილ მექანიკურ ქარხნებს, საექსპორტო ნავთის ტარის წარმოებას. აღნიშნავს მანუფაქტურიდან ფაბრიკულ წარმოებაზე გადასვლის პროცესს ამ დარგებში, წარმოების კონცენტრაციას.

პ. გუგუშვილი ჩერდება აბრეშუმსახვევ, საძახავ და სართავ ფაბრიკებზე (როზმორდიუკის, გოხწტრაზერის და სხვ.)[20].

პ. გუგუშვილს ვრცლად აქვს გაშუქებული მანუფაქტურის ფაბრიკულ წარმოებაში გადასვლის პროცესი თამბაქოს გადამმუშავებელ მრეწველობაში. აღნიშნული აქვს წარმოების თანდათანობითი კონცენტრაცია მრეწველობის ამ დარგში. ბოლოს ავტორი მიმოიხილავს ტყავის (ადელხანოვის ქარხანა), აგურის (ხიმშიაშვილის ქარხანა), კასრების წარმოებას, სახერხ ქარხნებს და სხვ.

მანუფაქტურიდან ფაბრიკულ წარმოებაზე გადასვლის, ე. ი. სამრეწველო გადატრიალების დასაწყისს, პ. გუგუშვილი საგლეხო რეფორმის გატარებისა და რკინიგზების მშენებლობის პერიოდს უკავშირებს. მაგრამ აქვე დასძენს, რომ ცარიზმის ეკონომიური პოლიტიკა და ბატონყმობის ძლიერი გადმონაშთები აფერხებდნენ მსხვილი მრეწველობის განვითარებას, ზღუდავდნენ მას. ამიტომ მრეწველობის ზოგიერთ დარგში სამრეწველო გადატრიალება ვერ იქნა ბოლომდე მიყვანილი 90-იან წლებშიაც კი. საერთოდ კი მანქანურ წარმოებაზე გადასვლას პ. გუგუშვილი მთავარ დარგებში 80-იანი წლების შუახანებიდან ვარაუდობს[21].

---

[19] იქვე, გვ. 301—302.

[20] უნდა აღინიშნოს, რომ 1941 წ. გამოცემულ წიგნში ეს უკანასკნელნი განხილულია ფაბრიკულ-ქარხნულ წარმოებასთან დაკავშირებით (იხ. კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება..., გვ. 354—355), ხოლო შემდგომ ავტორი მათ განიხილავს, როგორც მანუფაქტურულ საწარმოებს. **П. В. Гугушвили, Развитие промышленности..., I, გვ. 271.**

[21] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, კაპიტალიზმის წარმოშობა..... გვ. 418. **П. В. Гугушвили, Развитие промышленности..., გვ. 301—302.**

პ. გუგუშვილი ჩერდება მუშათა მდგომარეობაზე მრეწველობის ამა თუ იმ დარგში, მუშათა კონტინგენტის რაოდენობრივ მაჩვენებლებზე.

ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების შესწავლისას პ. გუგუშვილი, როგორც თვითონ აღნიშნავს, ეყრდნობოდა ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებს—„ძირითადად კი გუბერნატორთა ყოველწლიურ ანგარიშებზე დართულ დამატებებს („ფაბრიკა-ქარხნების მიმოხილვებს"), სააქციზო სამმართველოს წლიურ ანგარიშებს, სტატისტიკური კომიტეტების მოხსენებებს და სხვ".[22]

ამგვარად, პ. გუგუშვილმა მის ხელთ არსებული მასალის საფუძველზე, საკითხის დეტალური შესწავლის შედეგად, პირველმა ასე ფართოდ მოგვცა თანამიმდევრული სურათი საქართველოში მრეწველობის განვითარებისა—დაწყებული ხელოსნობიდან ფაბრიკულ-ქარხნულ წარმოებამდე; განსაზღვრა მრეწველობის განვითარების ძირითადი საფეხურები; შეეხო მრეწველობის უმთავრეს დარგებს, გვიჩვენა მრეწველობის განვითარების სპეციფიური პირობები.

მაგრამ გამოყენებული მასალის ხასიათმა (ძირითადად ზოგადი ხასიათის აღწერილობანი და მოხსენებები, ოფიციალური სტატისტიკის ჯამური მონაცემები, კერძოდ გუბერნატორთა ყოველწლიურ ანგარიშებისათვის დართული „ფაბრიკა-ქარხნების უწყისები" და სხვ.) განაპირობა ზოგიერთი საკვანძო საკითხის ღიად დატოვება. ასეთი საკითხია პირველ რიგში მრეწველობის ფორმების ხვედრითი წონა ამა თუ იმ პერიოდში, ამ ფორმების თანაშეფარდება, რაც განსაზღვრავდა ამა თუ იმ ფორმის წამყვან როლს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მანუფაქტურული პერიოდის არსებობის შესახებ კამათი სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე გრძელდება.

*
* *

1942 წელს გამოქვეყნდა პროფ. შ. ჩხეტიას მონოგრაფია „Тбилиси в XIX столетии" რომელშიაც აისახა ავტორის მიერ წლების მანძილზე ჩატარებული მუშაობა, კერძოდ ქ. თბილისისა და საერთოდ მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორიის შესწავლის

---

[22] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, კაპიტალიზმის წარმოშობა..., გვ. 308.

დარგში[23]. წიგნში ავტორი მიზნად ისახავს ფეოდალური თბილისის ბურჟუაზიულ ქალაქად გარდაქმნის პროცესის ჩვენებას, რაც, ავტორის განცხადებით, წარმოადგენს გასაღებს საერთოდ საქართველოს ისტორიის აღნიშნული პერიოდის შესასწავლად. შ. ჩხეტია საგანგებოდ განიხილავს 60-იანი წლების (კერძოდ 1865—1869 წწ.) მონაკვეთს, მაგრამ შესავალში ეხება წინა პერიოდსაც.

შ. ჩხეტია იძლევა მე-19 ს. თბილისის ისტორიის შემდეგ პერიოდიზაციას: პ ი რ ვ ე ლ ი პ ე რ ი ო დ ი მე-19 ს. დასაწყისიდან —30-იანი წლების ბოლომდე, ავტორის დახასიათებით, წარმოადგენს ქალაქის ვაჭრობისა და ხელოსნურ-შინამრეწველური წარმოების გამოცოცხლების პერიოდს; მ ე ო რ ე პ ე რ ი ო დ ი — 1840—1860-იანი წწ.—წარმოადგენს სავაჭრო კაპიტალის შედარებითი აყვავების და სამრეწველო კაპიტალის ჩასახვის პერიოდს. აღნიშნულ პერიოდში მიმდინარეობს ფეოდალური ქალაქის ბურჟუაზიულ ქალაქად გარდაქმნის ინტენსიური პროცესი; მ ე ს ა მ ე პ ე რ ი ო დ ი, — რომელიც იწყება 60-იანი წლებით და მთავრდება 80-იანი წლების შუახანებში, აღინიშნებ. საქართველოში ბურჟუაზიული რეფორმების გატარებითა და რკინიგზების მშენებლობით. ეს არის სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის შემდგომი განვითარებისა და გაძლიერების პერიოდი (თუმცა სავაჭრო კაპიტალის უპირატესობა ჯერ კიდევ ძლიერად იგრძნობა). აღნიშნულ პერიოდში თბილისი მთლიანად იცვლის როგორც გარეგნულ სახეს, ისე შინაარსსაც—იქცევა ბურჟუაზიულ ქალაქად. სულ უფრო და უფრო უპირისპირდება ერთმანეთს ორი ანტაგონისტური კლასი — ბურჟუაზია და ქალაქის პროლეტარიატი. თუმცა ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ სუსტი იყო, არ ჰქონდა თავისი იდეოლოგია. საქალაქო ცხოვრებაში ბატონებული მდგომარეობა მსხვილ ბურჟუაზიას ჰქონდა მოპოვებული. მ ე ო თ ხ ე პ ე რ ი ო დ ი (80-იანი წლების შუახანებიდან—1900-იან წლებამდე) როგორც თბილისის, ისე საქართველოს სხვა ეკონომიური ცენტრებისათვის წარმოადგენს კაპიტალიზმის დამკვიდრებისა და მუშათა კლასის ფორმირების პერიოდს.

შ. ჩხეტია სპეციალურ თავებში იხილავს ხელოსნობასა და ფაბრიკულ-ქარხნულ წარმოებას თბილისში. მოცემული აქვს ხელოსნურ საწარმოთა რაოდენობის დინამიკა XIX ს. დასაწყისიდან

---

[23] ქ. თბილისისადმი მიძღვნილი ვრცელი ნაშრომი შ. ჩხეტიამ გამოაქვეყნა ჯერ კიდევ 1938 წელს: შ. ჩ ხ ე ტ ი ა, თბილისის ისტორიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკ. 1. თბ., 1938, ხოლო 1939 წ. გამოიცა მისივე თეზისები: „Тбилиси в XIX столетии, 1865-ые годы“.

1865 წლამდე. მიუხედავად ხელოსანთა რიცხობრივი ზრდისა. რასაც ავტორი ძირითადად მოსული ელემენტის გამრავლებით ხსნის, მას აღნიშნული აქვს საერთოდ ხელოსნური წარმოების დაცემა, გამარტივება. იგი ეხება ამქრების როლის შესუსტებას, ერთი მხრით ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების, ხოლო მეორე მხრით ხელისუფლების საგანგებო ღონისძიებათა შედეგად. ბოლოს ავტორი განიხილავს ხელოსნების მდგომარეობას ამქრების რეორგანიზაციის (1867 წ.) შემდეგ. აღნიშნავს ხელოსნური წარმოების ისეთი დარგების დაცემას, რომელნიც ვერ უძლებდნენ ფაბრიკულ-ქარხნული ნაწარმის კონკურენციას. ხოლო მეორე მხრით ისეთი დარგების შემდგომ ზრდას, რომელნიც არ იდევნებიან ფაბრიკულ-ქარხნული ნაწარმით და პირიქით საქალაქო ცხოვრების ზრდასთან და ახალ ბურჟუაზიულ ყაიდაზე გარდაქმნასთან დაკავშირებით შემდგომ გაფართოებას განიცდიან (ევროპული ტანისამოსის, თავსამკაულის, ფეხსაცმელის დამზადება და სხვ.).

ეხება რა ფაბრიკულ-ქარხნულ წარმოებას, შ. ჩხეტია აღნიშნავს იმ დაბრკოლებებს, რომელთაც რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა უქმნიდა ადგილობრივ მრეწველობას. საფაბრიკო-საქარხნო წარმოების საწყისებს ავტორი 40-იანი წლების ბოლოდან ვარაუდობს, ხოლო ამ წარმოების შედარებით ფართო განვითარებას რეფორმის მომდევნო პერიოდიდან, განსაკუთრებით კი რკინიგზების მშენებლობის დამთავრების დროიდან აღნიშნავს. 60-იან წლებს იგი „ხელოსნურ-მანუფაქტურული“ წარმოებიდან ფაბრიკულ-ქარხნულ წარმოებაზე გადასვლის პერიოდად თვლის. მრეწველობის გაბატონებულ ფორმად 60-იანი წლების თბილისში მიიჩნევს „წვრილ ფაბრიკებსა და ქარხნებს“, რომელნიც ემყარებოდნენ ხელით შრომას („მანუფაქტურული ტიპის“ საწარმოები), თუმცა ამასთან აღნიშნავს, რომ ზოგიერთ მათგანში ხელით შრომასთან ერთად გამოყენებული იყო პრიმიტიული მანქანები, რომელთაც შრომის საერთო პროცესში უმნიშვნელო ხვედრითი წონა ჰქონდათ („ნახევრადმანუფაქტურული ტიპის“ საწარმოები).

იგივე საწარმოებს ავტორი ტექნიკური აღჭურვილობის, შრომის ორგანიზაციისა და წარმოების ხასიათის თვალსაზრისით ძირითადად „კუსტარულ-ხელოსნური“ ხასიათის საწარმოებად განიხილავს. ასე რომ საუბარია ფაბრიკა-ქარხნებზე, იგულისხმება მანუფაქტურები, არსებითად კი საქმე გვქონია კუსტარულ-ხელოსნურ წარმოებასთან.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს აქ არა

აქვს დაზუსტებული მრეწველობის სხვადასხვა ფორმის შესაბამისი ცნებები (ფაბრიკა და ქარხანა, მანუფაქტურა, წვრილი. ხელოსნური და კუსტარული წარმოება). მართალია ზოგ შემთხვევაში ნაშრომში იგი უკეთებს ანალიზს ამა თუ იმ დარგის საწარმოებს და აღნიშნავს, რომ ყველა მათგანი არ შეესაბამებოდა ცნებებს „ფაბრიკა" და „ქარხანა", მაგრამ ზოგად დასკვნებში არსებითად არ გამიჯნავს მრეწველობის სხვადასხვა ფორმას ერთმანეთისაგან.

შ. ჩხეტიას მოყავს დაწვრილებითი ცნობები 60-იან წლებში თბილისში არსებულ ე. წ. „ფაბრიკა-ქარხნების" შესახებ, რომელთაც იმდროინდელი ოფიციალური სტატისტიკა აღნიშნავს. იგი დაასკვნის, რომ ყველაზე მსხვილ საწარმოთა მაქსიმალური მწარმოებლურობა არ აღემატება 25—30 ათას მანეთს. მუშათა რიცხვი ასეთ საწარმოებში 30—40 კაცს აღწევდა, იშვიათად კი 50—60 კაცს. წვრილ საწარმოებშ: კი მუშათა რიცხვი საშუალოდ 3—4-ს, ან 5—6 კაცს შეადგენდა. ნაშრომში დახასიათებულია მუშათა შრომის მძიმე პირობები.

წერილში „საქართველოში ბურჟუაზიული კულტურის გენეზისის საკითხისათვის"[24] შ. ჩხეტია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების სხვადასხვა მხარის გათვალისწინების საფუძველზე, ხაზს უსვამს რეფორმების გატარებისათვის ადგილობრივ სათანადო სოციალურ-ეკონომიური პირობების არსებობას, მათ მოწიფულობას.

ამრიგად, შ. ჩხეტიამ აღნიშნულ ნაშრომებში განიხილა მე-19 ს. შუა ხანების თბილისისა და, საერთოდ, საქართველოს ეკონომიური განვითარების ძირითადი საკითხები და მოგვცა ამ განვითარების როგორც ზოგადი მონახაზი, ასევე თბილისის სამრეწველო განვითარების კონკრეტული სურათი.

*
*

საქართველოს სამრეწველო განვითარებას საგანგებოდ შეეხო პროფ. ა. კიკვიძე ნაშრომებში: „მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში (1870—1901 წწ.)", თბ., 1945 და „საქართველოს ისტორია" (XIX ს.), თბ., 1954.

ა. კიკვიძე. ეხება მე-18 ს. მეორე ნახევარში საქართველოში არსებულ სამრეწველო წამოწყებებს და აღნიშნავს, რომ ქვეყანა „XIX

---

[24] იხ. პუშკინის სახ. ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1943, გვ. 137—148.

საუკუნეს ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობითა და ამქრულ-ხელოსნური წარმოებით შეხვდა"[25], ხოლო მეფის რუსეთის მფლობელობაში შედგა იგი კაპიტალისტური განვითარების გზაზე[26]. ავტორი განიხილავს ვაჭრობის, ხელოსნობის განვითარებას მე-19 ს. პირველ ნახევარში, აღნიშნავს იმ დაბრკოლებებს, რომელთაც ცარიზმი უქმნიდა ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას. ა. კიკვიძე მე-19 ს. პირველ ნახევარში საქართველოში არსებულ სამრეწველო საწარმოთა (კასტელას აბრეშუმსახვევი „ფაბრიკა", სოფ. დრეს მაუდის „ფაბრიკა", ერისთავების მინის „ქარხანა", მექანიკური სახელოსნოები—შტუსესი, ყორღანოვის, ჩათახის თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა, როზმორდიუკისა და გოხშტრაზერის აბრეშუმსახვევი ფაბრიკები და სხვა) განხილვის საფუძველზე დაასკვნის: „საერთოდ, XIX საუკუნის პირველ ნახევარში, მექანიკური წარმოება საქართველოში აქა-იქ გვხვდება და საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობას სპორადული ხასიათი აქვს, გაბატონებულია მანუფაქტურა"[27]. თბილისსა და მის მიდამოებში 50-იან წლებში არსებულ „მექანიკურ წარმოებებს" ავტორი საფაბრიკო-საქარხნო წარმოების წინამორბედად მიიჩნევს, საფაბრიკო-საქარხნო განვითარებას კი 70-იანი წლებიდან ვარაუდობს. იგი წერს: „საფაბრიკო-საქარხნო წარმოების სათავე საქართველოში, მართალია, XIX საუკუნის სამოცდაათიან წლებს უსწრებს წინ, მაგრამ მხოლოდ ეს წლები შეიძლება ჩაითვალოს ჩვენში ფაბრიკა-ქარხნების გაჩენის წლებად, როცა აქ უკვე ამოქმედდა ნამდვილი ევროპული ქარხანა"[28]. აქ პირველ რიგში იგულისხმება მირზოევის საფეიქრო ფაბრიკა, ადელხანოვის ტყავის ქარხანა, ლითონის ჩამომსხმელი და დამმუშავებელი ქარხნები და სხვა.

ა. კიკვიძე ეხება ბათუმის სამრეწველო განვითარებას, სამთამადნო მრეწველობის განვითარებას. ამავე დროს მანქანური წარმოების („მექანიკური წარმოების") განვითარებასთან ერთად აღნიშნავს

---

[25] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1945, გვ. 3.

[26] იქვე.

[27] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 11. „მექანიკურ წარმოებაში" ავტორი საერთოდ მანქანების გამოყენებას გულისხმობს, ხოლო „მანუფაქტურაში"—ამ შემთხვევაში ხელით შრომას. ეს ჩანს მისი ნაშრომის მეორე ადგილიდანაც: „მექანიკური წარმოების განვითარების მიუხედავად საქართველოში ძალზე სჭარბობდა მანუფაქტურა, წვრილი სახელოსნოები, რომლებმაც დიდხანს შეინარჩუნეს ამქრული წესი", იქვე, გვ. 34.

[28] იქვე, გვ. 31.

ხელოსნობის და საერთოდ წვრილი წარმოების მნიშვნელოვან ხვედრით წონას.

კაპიტალიზმის განვითარების ძირითად ფაქტორებად ა. კიკვიძე საგლეხო რეფორმის გატარებას და აგრეთვე რკინიგზების მშენებლობას მიიჩნევს. იგი წერს: „50-იან წლებში საქართველოში თვალსაჩინო იყო წინააღმდეგობა კაპიტალისტურ საწარმოო ძალებსა და ბატონყმურ ურთიერთობას შორის. საგლეხო რეფორმამ, თუმცა ვერ მოშალა ეს წინააღმდეგობა სავსებით, ფრიად შეასუსტა იგი და ბიძგი მისცა სამრეწველო კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას“[29]. ცოტა ქვემოთ ავტორი აღნიშნავს, „რომ რკინიგზის მშენებლობა ჩვენ ქვეყანაში იყო სამრეწველო კაპიტალიზმის მძლავრი ფაქტორი“[30].

ფართოდ აქვს გაშუქებული ა. კიკვიძის მუშათა მდგომარეობა და მუშათა მოძრაობა საქართველოში.

საყურადღებოა ა. კიკვიძის შეხედულება საქართველოს მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარების გზების შესახებ. უარყოფს რა განვითარების მანუფაქტურულ საფეხურს საქართველოში, იგი წერს: „საქართველოს და ამიერკავკასიის კოლონიური მდგომარეობა იყო იმის მიზეზი, რომ კაპიტალისტურმა მანუფაქტურამ ჩვენში ვერ ძოასწრო განვითარება“ და კაპიტალისტური საწარმოები აქ „თავიდანვე მექანიკური სახელოსნოების სახით იჩენენ თავს“[31]. თუმცა, აქვე დასძენს, რომ „არათუ 40—50-იან წლებში, შემდეგაც XIX ს. 90-იან წლებში ბევრ წარმოებაში მანქანას თან ახლავს ხელით მუშაობა“, ე. ი., როგორც თვითონ ა. კიკვიძე აღნიშნავს, „მექანიკური სახელოსნოები მანუფაქტურას ითავსებს“, რაც, მისი აზრით, „კაპიტალისტურ მანუფაქტურას და მის სტადიურობას არ მოწმობს“[32].

ამრიგად, ავტორის აზრით, საქართველოში კაპიტალისტური საწარმოები, როგორც წესი, თავიდანვე არსდებიან შერეული ტიპის საწარმოების სახით, და ამდენად მრეწველობის განვითარების მანუფაქტურულ სტადიას ჩვენში ადგილი არ ჰქონია.

ა. კიკვიძე ეკამათება პ. გუგუშვილს: „ყველგან, სადაც პროფ. პ. გუგუშვილი მანუფაქტურული წარმოების ფაქტს ასახელებს, სა-

---

[29] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია (XIX საუკ.), თბ., 1954, გვ. 298.

[30] იქვე.

[31] იქვე, გვ. 228. სხვაგან ა. კიკვიძე იგივე საკითხზე წერდა: „ჩვენში მანუფაქტურამ ვერ მოასწრო განვითარება, რათა მისი წიაღიდან წარმოშობილიყო მანქანური წარმოება“. ჟურნ. „საქ. ეკონომისტი“, 1960, № 7.

[32] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქ. ისტორია (XIX საუკუნე). თბ., 1954, გვ. 228.

ქმე გვაქვს წარმოების ტექნიკურ მხარესთან და ისიც ბევრ შემთხვევაში მექანიზირებულ შრომაში ხელით მოქმედების შერევასთან"[33].

ა. კიკვიძე მრეწველობის მანუფაქტურული სტადიის უარყოფისას საქართველოში, გამოდის იქიდან, რომ ჩვენში ადგილი არა ჰქონია დაქირავებულ შრომაზე დამყარებულ მანუფაქტურული ტიპის მსხვილ საწარმოთა წარმოქმნას, მსხვილი კაპიტალის ისეთ განვითარებას, როდესაც იგი უშუალო მწარმოებელს ფართო მასშტაბით აქცევს დაქირავებულ მუშად[34].

ასეთი მსჯელობა, ჩვენი აზრით, სამართლიანია საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების ადრეული ეტაპისათვის. შეიძლება ითქვას მთელი რეფორმამდელი ხანისათვის. მაგრამ, ვფიქრობთ, მანუფაქტურული წარმოება თუ კი მანამდე წარმოდგენილი იყო ცალკეული საწარმოების სახით, მომდევნო ხანაში, კერძოდ მანქანური წარმოების საბოლოო დამკვიდრებამდე, რაც 80—90-იან წლებში ხდება, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მრეწველობის რიგ დარგებში.

მართალია მთელ რიგ საწარმოებში თავიდანვე ვხვდებით მექანიკური ძრავისა თუ მანქანების გამოყენებას, რასაც ცხადია, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს, მაგრამ გარკვეულ დრომდე მათი ხვედრითი წონა. აქ იმდენად მცირე იყო, ხოლო ხელით შრომა, იმდენად დიდ როლს თამაშობდა, რომ არსებითად ეს საწარმონიც უმეტესწილად შეიძლება განხილულნი იქნენ, როგორც მანუფაქტურული საწარმოები მანქანური წარმოების ჩანასახებით.

ა. კიკვიძე უარყოფს საქართველოში მანუფაქტურის წარმოქმნის იმ გზას, რომელიც გულისხმობს სავაჭრო კაპიტალის მიერ წვრილი მწარმოებლის დამორჩილებასა და მის დაქირავებულ მუშად გადაქცევას, მაგრამ იყო მანუფაქტურის აღმოცენების სხვა გზებიც, მაგალითად, მანუფაქტურის წარმოქმნა წვრილი წარმოებიდან, სახელოსნოების გაფართოებისა და მათში შრომის დანაწილების ფართო მასშტაბით შემოღების გზით, როდესაც მწარმოებელი ხდება ვაჭარი და კაპიტალისტი, რომ არაფერი ვთქვათ ვაჭარ—მეწარმეთა მიერ ცალკეულ მანუფაქტურულ საწარმოთა დაარსებაზე.

---

33 ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია (XIX ს.), თბ., 1954, გვ, 227.

34 იქვე, გვ. 226, იხ. აგრეთვე: ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1960, № 7, გვ. 54—63. მანუფაქტურის არსისა და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სხვა ზოგად თეორიულ საკითხზე ა. კიკვიძესა და პ. გუგუშვილს შორის გაიშალა კამათი, რომელსაც ჩვენ აქ არ ეეხებით.

ამრიგად, თუ დავუშვებთ კიდეც რომ ყველა შედარებით მსხვილი კაპიტალისტური საწარმო, დაარსებული ვაჭარ-მეწარმეთა თუ სხვათა მიერ, არ შეიძლება ჩაითვალოს კაპიტალისტურ მანუფაქტურებად, ერთი მხრით იმიტომ, რომ ზოგიერთ მათგანში იძულებითი შრომაც იყო გამოყენებული (კასტელას „ფაბრიკა“, ერისთაველების მინის „ქარხანა“)„ ხოლო მეორე მხრივ იმის გამო, რომ მათი დიდი ნაწილი „მექანიკური სახელოსნოების“ (ე .ი. ისეთ საწარმოების, სადაც მანქანების გამოყენებასაც ვხვდებით) სახით წარმოქმნა, და, მაშასადამე, გამოვრიცხავთ მანუფაქტურის წარმოქმნის ამ გზასაც, მაინც იყო ჩვენში მანუფაქტურის წარმოქმნის სხვა გზა, წვრილი წარმოებიდან განვითარების გზა.

მრეწველობის განვითარების შესწავლისას ა. კიკვიძის წყაროებს საარქივო მასალებთან ერთად უმთავრესად ოფიციალური სტატისტიკის მონაცემები შეადგენენ, გამოქვეყნებულნი «Кавказский календарь»-ში და სხვა სტატისტიკურ კრებულებში. ფართოდ იყენებს იგი აგრეთვე „აქტებს“, გულიშამბაროვის შრომას და სხვა. აღნიშნული მასალის საფუძველზე ავტორი იძლევა საქართველოს ეკონომიური განვითარების თანამიმდევრულ სურათს, ახლებურად სვამს მრეწველობის განვითარების მრავალ საკვანძო საკითხს, მაგრამ რადგან ეს მასალა ყოველთვის არ იძლევა ყველა მოვლენის მთელი სიღრმით გაშუქების და გადაჭრის საშუალებას, ზოგიერთი ამ საკითხის გარშემო სამეცნიერო ლიტერატურაში დავა კვლავ სწარმოებს.

*
* *

საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვის პრობლემას მიეძღვნა 1954 წ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში საქართველოს ისტორიის ახალ სახელმძღვანელოზე მუშაობასთან დაკავშირებით ჩატარებული დისკუსია, სადაც განხილულ იქნა პროფ. მ. დუმბაძისა და პროფ. ზ. ანჩაბაძის მოხსენება „საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის მე-19 ს. რეფორმამდელ პერიოდში“[35].

მოხსენების თეზისებში რეფორმამდელი პერიოდის საქართველოს ეკონომიური განვითარების, კერძოდ სამრეწველო განვითარე-

[35] მოხსენების თეზისები ხელნაწერის უფლებით დაიბეჭდა აკადემიის გამომცემლობაში 1954 წ.

ბის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ მე-19 ს. პირველ ნახევარში „ადგილობრივ ვაჭართა წრიდან სპორადულად ჩნდებოდნენ კაპიტალისტური თაოსნობის ელემენტები, რომელნიც მარცხს განიცდიდნენ, როგორც ვაჭარ-კომპრადორთა რეაქციის, ისე მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის შედეგად". შემდეგ: „50-იანი წლებიდან საქართველოში შეინიშნება მრეწველობის ზრდა, ამ მრეწველობის კაპიტალისტური საწყისების გაღრმავება. აქ უპირატესად ადგილი ჰქონდა წვრილ საწარმოთა გაჩენას, რომლებშიც სჭარბობდა ხელით შრომა. ორთქლის მანქანების გამოყენებას უფრო იშვიათი ხასიათი ჰქონდა. მრეწველობის განვითარებას ჩვენში ცარიზმი უშლიდა ხელს; ამასთან ერთად ბაზრის შეზღუდულობა და ბატონყმურ ურთიერთობათა სიმტკიცე იყო იმის მიზეზი, რომ კაპიტალისტურ წამოწყებათა უმრავლესობამ მარცხი განიცადა".

თეზისებში აღნიშნულია 40-იანი წლებიდან მომპოვებითი მრეწველობის შედარებითი ზრდა, ხოლო, მეორე მხრით, გადამმუშავებელი მრეწველობის უპერსპექტივობა: „გადამმუშავებელ მრეწველობას (როგორც მაგ. 1860 წ. განახლებული ჩათახის ქარხანა და სხვა), ისე როგორც თბილისის მექანიკურ სახელოსნოებს, განვითარების პერსპექტივები არ უჩანდა". ეს უკანასკნელი დებულება გარდა იმისა, რომ არსებითად არ არის სწორი, რადგან თბილისის ზოგიერთი მექანიკური საწარმოებიდან ჩვენ შემდგომში საკმაოდ მსხვილი ფაბრიკული საწარმოები მივიღეთ, არ შეესაბამება თვით ავტორებისავე მომდევნო მსჯელობას, იმის შესახებ, რომ „სამრეწველო დაწესებულებათა ზრდა თბილისის გუბერნიაში..., ისე როგორც თავისუფალი დაქირავებული მუშების მცირე რაოდენობით გამოყენება, იმაზე მიუთითებდა, რომ კაპიტალისტურ საწყისებს ზრდის ტენდენცია ახასიათებდათ".

ჩვენი აზრით, არ არის ზუსტი თეზისებში მოტანილი გამოთქმა: „რეფორმის ჩატარების წინ საქართველოს მრეწველობის ხვედრითი წონა რუსეთთან შედარებით (მოსახლეობის რაოდენობის შეფარდების გათვალისწინებით) ათჯერ დაბლა იდგა". უპირველეს ყოვლისა შედარებისას უნდა განვასხვავოთ რუსეთის სამრეწველო რაიონები, ისეთი რაიონებისაგან, სადაც განვითარების დონე საქართველოზე მაღალი არ ყოფილა, ამასთანავე აღსანიშნავია მონაცემების უზუსტობა, რომელთაც, ჩანს, ემყარება ზემოთ მოტანილი მსჯელობა.

კრებულში — Статистический временник Российской Империи, т. I, СПб, 1866, მოცემულია ცნობები გუბერნიებში 1863 წლისათვის „ფაბრიკა-ქარხნების" რიცხვისა, პროდუქციის მოცულო-

ბისა და მუშათა რაოდენობის შესახებ. აქვეა გუბერნიების მოსახლეობის რაოდენობრივი მაჩვენებლებიც. აღნიშნული კრებულის მონაცემების შეფარდებისას მართლაც გამოდის, რომ თბილისის გუბერნიაში ევროპულ რუსეთთან შედარებით აქციზით დაუბეგრავ წარმოებაში (ე. ი. თამბაქოს გადამმუშავებელი და არყის წარმოების გამოკლებით) ერთ სულ მოსახლეზე 10-ჯერ ნაკლები, ხოლო საერთოდ საქართველოში 20-ჯერ ნაკლები სამრეწველო პროდუქცია მზადდებოდა. მაგრამ, როგორც ირკვევა, კრებულში უფრო ახალი მონაცემების უქონლობის გამო, საქართველოს შესახებ აღებულია 1856 წლის მონაცემები და ისიც არასრული, მაშინ, როდესაც ევროპული რუსეთის მასშტაბით 1863 წლის მონაცემებია აღებული, ე. ი. განხვავება მთელ 7 წელიწადშია. ამგვარად, საქართველოს შესახებ ცნობები სწორიც რომ იყვნენ 1856 წლის მიმართ, ისინი, ცხადია, ვერ გამოდგებიან ქვეყანაში რეფორმის წინ არსებული ვითარების დასახასიათებლად[36].

და, ბოლოს, თეზისებში უარყოფილია საქართველოში რეფორმის წინა პერიოდში ძლიერი კონფლიქტის არსებობა საწარმოო ძალთა ზრდასა და გაბატონებულ ფეოდალურ ურთიერთობებს შორის. „კაპიტალისტური ურთიერთობის საწყისები — ვკითხულობთ თეზისებში—ჯერ კიდევ არ იყო გადაქცეული ახალ ეკონომიურ წყობად („უკლად"), რომელსაც უნდა დაეშალა ფეოდალური წესწყობილება და დღის წესრიგში დაეყენებინა მისი რევოლუციური დამსხვრევა, ან საფუძვლიანი გარდაქმნა".

უფრო ადრე თეზისებში აღნიშნულია, რომ საქართველოში „წარმოების განვითარება ჯერ კიდევ არ იყო ასული იმ დონემდე, რომ ვაჭრობის ფართო გავრცელებას ფეოდალური ბაჟისის რღვევა გამოეწვია".

---

[36] აღსანიშნავია, რომ ლენინგრადის არქივში დაცულ საქმეში: Собр. сведений о фабриках и заводах за 1860—1865 гг. (ფონდი 18, აღწ. 2, საქმე 1770), რომელიც, ჩანს, საფუძვლად ედო ზემოაღნიშნულ კრებულს, 1860 წლიდან მოკიდებული 1864 წლის ჩათვლით თბილისის და ქუთაისის გუბერნიების შესახებ უცვლელად 1856 წლის მონაცემებია გამეორებული (შეადარე საქმე: Собр. сведений о фабриках и заводах за 1858—1859 гг. (ფონდი 18, აღწ. 2. საქმე 1719, სადაც იგივე 1856 წლის მონაცემებია). მხოლოდ 1865 წლისათვის თბილისის გუბერნიის შესახებ ცნობები განახლებული ჩანს, რომელნიც თუმცა სამჯერ აღემატებიან 1856 წ. ძონაცემებს, მაჯრამ მაინც გაცილებით შემცირებულნი არიან თბილისის გუბერნიის სტატისტიკური კომიტეტის მონაცემებთან შედარებით (იხ. ცსია, ფ. 414, საქმე 18, ფურც. 11—12).

ჩვენი აზრით, ავტორები აქ არ იღებენ მხედველობაში ყველა იმ ფაქტორს, რომელნიც იწვევდნენ ფეოდალური ბაზისის, ფეოდალური ურთიერთობების რღვევას, წარმოებაში კაპიტალისტური საწყისების განვითარებასა და ვაჭრობის ფართე გავრცელებასთან. „საქართველოს სამეურნეო-ეკონომიური ცხოვრების წინსვლასთან და საწარმოო ძალების ზრდასთან“ ერთად, რასაც თვით ავტორებიც მიიჩნევენ „ერთერთ შინაგან მიზეზად, რომელმაც აიძულა მეფის რუსეთი, რომ აქაც გაეტარებინა საგლეხო რეფორმა“[37].

ამდენადვე ჩვენ არაზუსტად გვეჩვენება თეზისებში მოტანილი გამოთქმა, რომ „საგლეხო რეფორმის ძირითადი მიზეზი კი იყო კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში და საქართველო-ამიერკავკასიის ეკონომიური ათვისების ამოცანები, რუსეთის სახელმწიფოს წინაშე რომ იდგა“. არსებითად საგლეხო რეფორმა საქართველოში იყო რუსეთის იმპერიაში ცარიზმის მიერ გატარებული რეფორმების ერთ-ერთი რგოლი და წარმოადგენდა ადგილობრივ შექმნილ სოციალურ-ეკონომიური ვითარების შედეგს. თუმცა ქვეყნის შედარებითი ჩამორჩენილობა მართლაც იყო მიზეზი იმისა, რომ რეფორმის გატარება აქ მეტად გაჭიანურდა; ბატონყმობის გადმონაშთები აქ უფრო ძლიერი აღმოჩნდა ვიდრე ცენტრალურ რუსეთში.

*

* *

1958 წელს გამოქვეყნდა საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოს I წიგნი[38], რომელშიაც მე-19 ს. რეფორმამდელი

---

[37] ჩვენ აქ არ ჩამოვთვლით იმ ნაშრომებს, რომელნიც აშუქებენ რეფორმის წინ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების სურათს (ამ ნაშრომების ნაწილი ჩვენ კიდევაც გვაქვს განხილული წინამდებარე ნაშრომში), დავასახელებთ მხოლოდ ისეთ ნაშრომებს, სადაც საგანგებოდ არის დასმული რევოლუციური სიტუაციის საკითხი. ასეთებია შ. ჩხეტიას წერილი—„საქართველოში ბურჟუაზიული კულტურის გენეზისის საკითხისათვის“, პუშკინის სახ. ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1943, გვ. 137—148; ი. ანთელავას წერილი — „Из истории социально-политического положения и освободительного движения Грузии в 30—50 годах XIX в.“. „მაცნე“, 1964, № 1, გვ. 39—57 და პ. რატიანის წერილი: „Национально-освободительное движение и передовая культура Грузии во второй половине XIX в.“, „მაცნე“ 1964, № 6, გვ. 80—96, იგივე საკითხს ჩვენ ვეხებით ქვემოთაც, იხ. გვ. 36—37.

[38] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, 1 (უძველესი დროიდან XIX ს. დასასრულამდე), დამხმარე სახელმძღვანელო, თბ. 1958. აღნიშნული წიგნი ემყარება 1956 წელს ხელნაწერის უფლებით გამოცემულ მაკეტს.

ნაკვეთი ეკუთვნის პროფ. მ. დუმბაძეს. ამ ნაკვეთში ხაზგასმით არის აღნიშნული საქართველოში 30—50-იან წლებში ნატურალური მეურნეობის რღვევა და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ჩასახვა, საშინაო ვაჭრობის ფართე განვითარება, ბაზრის გაფართოვება, რაც „ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა დაშლის პროცესს გამოხატავდა“[39]. წიგნში განხილულია მე-19 ს. პირველ ნახევარში არსებული სამრეწველო წამოწყებანი. აღნიშნულია, რომ „ფულადი კაპიტალის უქონლობა, თავისუფალი მუშახელის სიმცირე, ფართო საბაზრო მოთხოვნილებების არ არსებობა და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა, ბატონყმობის პირობებში, მრეწველობის განვითარებას აფერხებდნენ“[40]. თუმცა იქვე ნათქვამია, რომ ქვეყანაში „არსებული კაპიტალისტური ხასიათის წამოწყებები წარმოადგენდნენ წვრილ მანუფაქტურებსა და „ფაბრიკებს“, რომელთა ნაწარმი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოთხოვნილებას სამრეწველო საქონელზე“[41], რაც სწორედ საბაზრო მოთხოვნილების არსებობაზე მიუთითებს.

წიგნში აღნიშნულია საწარმოო ძალთა განვითარებასა და წარმოებით ურთიერთობათა შორის ჩასახული წინააღმდეგობა: „მრეწველობის ჩამორჩენილობის მიუხედავად, 40—50-იან წლებში საქართველოში აქა-იქ ფეხს იკიდებდა ბურჟუაზიული წარმოების წესი, რომელიც ბატონყმურ სისტემას ვერ ეგუებოდა და გასაქანს მოითხოვდა“... უფრო ქვემოთ ვკითხულობთ: „... მრეწველობის ნაჩვენები ზრდა ფეოდალური წარმოების წესის რღვევას აჩქარებდა“[42].

სოფლად შექმნილი ვითარების განხილვისას ხაზგასმით არის აღნიშნული საბატონო მეურნეობის კრიზისის არსებობა აღებულ ხანაში; ნათქვამია, რომ „ქვეყნის შემდგომი სამეურნეო-ეკონომიური განვითარებისათვის საჭირო იყო ყმათა განთავისუფლება, ბატონყმური სისტემის ლიკვიდაცია“[43].

იგივე დამხმარე სახელმძღვანელოში ბურჟუაზიული რეფორმების ხანისა და მე-19 ს. მეორე ნახევრის ისტორიის ნაკვეთში, რომლის ავტორია პროფ. პ. რატიანი, თავიდანვე არის აღნიშნული, რომ საგლეხო რეფორმა, ისევე როგორც სხვა ბურჟუაზიული რეფორმები, „შედეგი იყო იმ მწვავე კონფლიქტისა, რომელიც აღმოცენდა

---

[39] საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 454.
[40] იქვე, გვ. 450.
[41] იქვე.
[42] იქვე, გვ. 449—450.
[43] იქვე, გვ. 456.

ერთი მხრივ, ახალ (ბურჟუაზიულ) საწარმოო ძალების განვითარებასა და მეორე მხრით, ძველ (ფეოდალურ) საწარმოო ურთიერთობას შორის"[44]. წიგნში მოტანილია არაერთი ფაქტი, რომელიც მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარების მაჩვენებელი იყო.

1962 წელს გამოქვეყნებულ საქართველოს ისტორიის II ტომში მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარებისადმი მიძღვნილ ნაკვეთში პ. რატიანს შეჯამებული აქვს ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევის შედეგები. იგი წერს: „ამრიგად, 70—80-იანი წლების მანძილზე საქართველოში შეუნელებლად მიმდინარეობს სამრეწველო გადატრიალება და საფუძველი ეყრება კაპიტალისტურ ინდუსტრიალიზაციას; ამ დროს ხდება რკინიგზების სწრაფი მშენებლობა და სამთამადნო და მსუბუქი მრეწველობის ფართო განვითარება; ძველი, მანუფაქტურული მრეწველობის ადგილს, რომელიც ხელით შრომას ეყრდნობოდა, თანდათან იჭერს ახალი, მანქანური წარმოება, რომლის საფუძველს შეადგენს მანქანა. 90-იან წლებში კიდევ უფრო სწრაფად მიმდინარეობს ქვეყნის საწარმოო ძალების ზრდა, ფართოვდება საფაბრიკო-საქარხნო და სამთამადნო მრეწველობა, იზრდება ქალაქები და საქალაქო მეურნეობა. კაპიტალისტური წარმოების წესი, რომელიც საქართველოში საბოლოოდ მკვიდრდება და გაბატონებული ხდება, ამ პერიოდში გარკვევით ამჟღავნებს განვითარების ახალი, უმაღლესი სტადიის—მონოპოლისტური კაპიტალიზმის ანუ იმპერიალიზმის ნიშნებს"[45].

წარმოდგენილი სქემა საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების შესახებ სავსებით სწორია, მაგრამ მას მთლიანად არ შეესაბამება თვით ავტორისავე ზოგიერთი დებულება ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე. მაგ. პ. რატიანი წერს რომ „საქართველოს მრეწველობამ ფეოდალიზმის ეპოქაში განცალკა კაპიტალისტური წარმოების ისეთი საფეხურები, როგორიცაა კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია და მანუფაქტურა"[46]. ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის დასასრულად პ. რატიანი მიიჩნევდა 60-იანი წლების მეორე ნახევარს[47]. ხოლო შემდეგ აზუსტებს ამ ვადას 70-იანი წლების დასაწყისით, ე. ი. ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის დასას-

---

[44] საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 483. სახელმძღვანელოს ნაკვეთი, რომელიც მე-19 ს. მეორე ნახევარს მოიცავს, გავრცობილი სახით შევიდა საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოს II ტომში, თბ., 1962.

[45] საქართველოს ისტორია, ტ. II, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1962, გვ. 62.

[46] საქართველოს ისტორია, ტ. I თბ., 1958, გვ. 498, საართველოს ისტორია, ტ. II, 1962, გვ. 45.

[47] საქართველოს ისტორია. I, 1958, გვ. 497.

რულს უკავშირებს საგლეხო რეფორმის დამთავრებას[48]. როგორც ვხედავთ, საესებით კანონზომიერად, ზღვრად საგლეხო რეფორმაა აღებული, რომელიც საქართველოს უმეტეს ნაწილში 60-იანი წლების შუახანებში გატარდა.

ამავე დროს პ. რატიანი საესებით მართებულად მიიჩნევს, რომ მანუფაქტურიდან მსხვილ მანქანურ ანუ საფაბრიკო-საქარხნო წარმოებაზე გადასელა დაიწყო 70-იანი წლებიდან და მოხდა 2-3 ათეული წლის მანძილზე[49]. ამდენად, მანქანური წარმოება გაბატონებული ხდება მხოლოდ ამ პერიოდიდან, რაც, ცხადია, გულისხმობს მანამდე მანუფაქტურის მნიშვნელოვან ხვედრით წონას საქართველოს მრეწველობაში. თვით პ. რატიანისავე ზემომოყვანილ დასკვნაში იყო აღნიშნული, რომ მანქანური წარმოება 70—80-იანი წლების მანძილზე თანდათან იჭერს მანუფაქტურის ადგილს. ე. ი. მანუფაქტურული პერიოდი საქართველოს მრეწველობაში, ფეოდალური სისტემის დაცემის შემდეგაც გრძელდება—მანქანური წარმოების გამარჯვებამდე, ანუ 80—90-იან წლებამდე. რაც საესებით დასტურდება კიდეც ფაქტიური მასალით.

ჩვენი აზრით, ავტორი ყოველთვის არ უწევს ანგარიშს საქართველოს სამრეწველო განვითარებისათვის დამახასიათებელ მრეწველობის სხვადასხვა ფორმების თანაარსებობის ფაქტს მთელი მე-19 ს. მანძილზე და საქმეს ისე წარმოგვიდგენს, თითქოს მსხვილმა ფაბრიკულმა წარმოებამ ერთბაშად თითქმის მთლიანად გამოდევნა როგორც ხელოსნური და წვრილი კაპიტალისტური წარმოება, ისე მანუფაქტურული საწარმოებიც. სინამდვილეში კი მრეწველობის ზოგიერთ დარგში (მაგ. თამბაქოს გადამუშავებაში) მანუფაქტურული წარმოება გაბატონებული იყო არამც—თუ 70—80-იან წლებში, არამედ 90-იან წლებამდეც კი[50]. ამავე დროს საკმაო როლს თამაშობს წვრილი კაპიტალისტური წარმოებაც.

ჩვენი აზრით, ვერ გამოდგება კაპიტალისტური მანუფაქტურის მიერ ფაბრიკული წარმოებისათვის ნიადაგის მომზადების მაგალითად გორის მაზრაში 70-იან წლებამდე არსებული მინის „ქარხნის“ და ბარონ კუჩენბახის მიერ 80-იან წლებში ბორჩალოს მაზრაში და-

---

[48] საქართველოს ისტორია, II, 1962, გვ. 45.

[49] იქვე, გვ. 51.

[50] პ. რატიანი თამბაქოს გადამუშავებაში მანქანურ წარმოებაზე გადასელის პერიოდად მიიჩნევს 80-იან წლებს (საქ. ისტორია, II, 1962 წ., გვ. 56), მაგრამ ფაქტიურად ამ დარგში ორთქლის ძრავისა და მანქანათა სისტემის გამოყენება 90-იანი წლებისათვის ხდება გაბატონებული.

არსებული ასეთივე საწარმოს ერთმანეთთან დაკავშირება[51]. ნიადაგის მომზადებაში პირველ რიგში უნდა იგულისხმებოდეს ტექნიკური ბაზის და მუშათა კადრების მომზადება, რასაც ამ შემთხვევაში ადგილი არა ჰქონია. მანქანური წარმოებისათვის ნიადაგის მომზადების მაგალითები მეტი გვაქვს თამბაქოს, ლითონის, ხე-ტყის და ტყავის დამუშავების დარგებში, სადაც მანქანური წარმოების საწყისები შეიძლება ვეძიოთ არამც თუ მანუფაქტურულ საწარმოებში, არამედ წვრილ კაპიტალისტურ სახელოსნოებშიც კი.

ეხება რა საქართველოს მრეწველობის განვითარების თავისებურებებს, პ. რატიანი აღნიშნავს აქ რუსეთისა და უცხოეთის კაპიტალის დიდ გავლენას, ცარიზმის მისწრაფებას გადაექცია საქართველო ნედლეულის ბაზად, რამაც განაპირობა საქართველოს მრეწველობის ცალმხრივი ხასიათი—უპირატესად სამთამადნო მრეწველობის და მსუბუქი მრეწველობის ზოგიერთი დარგის განვითარება, ხოლო, მეორე მხრით, მძიმე მრეწველობის განვითარების ჩამორჩენა.

*
* *

საქართველოს მრეწველობის განვითარების ზოგადი მიმოხილვა მოცემული აქვს შ. ცაგარეიშვილს წერილში—„ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობისა და მუშათა კლასის ისტორიისათვის საქართველოში"[52]. აღნიშნული წერილი ემყარება ავტორის მიერვე გამოქვეყნებულ დოკუმენტებს, რომელნიც ძირითადად გუბერნატორების ანგარიშებისა და მათ დანართებიდან გაკეთებულ ამონაწერებს წარმოადგენენ. წერილში ავტორი ეხება სარკინიგზო მშენებლობას, სამთამადნო წარმოებას და მოყავს ფაბრიკა-ქარხნების შესახებ ციფრობრივი მონაცემები, თუ პრესაში გამოქვეყნებული აღწერილობანი.

*
* *

50-იანი წლების შუახანებიდან სწარმოებს ახალი საარქივო მასალების საფუძველზე მრეწველობის განვითარების საკითხების შემდგომი დეტალური შესწავლა. ცალკეულ წვრილ და შედარებით

---

[51] საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 498—499.

საქართველოს ისტორია, II, 1962, გვ. 46--47.

იგივე საკითხს შეეხო გ. ბაქრაძეც, რომელიც აგრეთვე შეუძლებლად თვლის ერისთავების მინის მანუფაქტურულ საწარმოსა და შემდგომ ხანებში დაარსებულ მინის ქარხნების დაკავშირებას ერთმანეთთან (იხ. უნივერსიტეტის შრომები. ტ. 100, 1963, გვ. 240).

[52] საისტორიო მოამბე, 9, თბ., 1956, გვ. 1—28.

მსხვილ სამრეწველო საწარმოთა აღწერილობების (უწყისების) გათვალისწინებით მნიშვნელოვნად ივსება და ზუსტდება ზოგადი, ჯამური მონაცემების მიხედვით წარმოდგენილი, სურათი მრეწველობის განვითარებისა მე-19 ს. პირველ ნახევარში[53].

ჩვენს ნაშრომში—„დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX ს. 30— 60-იან წლებში" საგანგებოდაა განხილული წვრილი წარმოების ხასიათი. კონკრეტული მაგალითების საფუძველზე აღნიშნულია ხელოსანთა მიერ დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის ზრდა, ხელოსნურ საწარმოთა გაფართოვება და წვრილი სასაქონლო წარმოების განვითარება. კერძოდ, განხილულია როგორც ქალაქებში, ასევე სოფლად არსებული წვრილი საწარმოები—აგურის, თიხის ჭურჭლის, კრამიტის, არყისსახდელი, ტყავის, საპნის, სახერხი და სხვა ე. წ. „ფაბრიკები და ქარხნები". აღნიშნულ საწარმოთა შესწავლის საფუძველზე დადგენილია, რომ მათი უმრავლესობა წარმოადგენდა სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელთა კუთვნილებას, რომელნიც ქირაობდნენ როგორც ოსტატებს, ისე მუშებს; საშუალოდ ასეთ საწარმოებში მუშაობდა 1—2 ოსტატი და 3—4 მუშა. აღნიშნულია, რომ თავისი ხასიათით ასეთი საწარმოების უმრავლესობა განეკუთვნებოდა კაპიტალისტურ მარტივ კოოპერაციას.

წვრილ საწარმოთა შორის გამოიყოფოდნენ შედარებით მსხვილი სამრეწველო საწარმონი, რომელთა რიცხვი თანდათან იზრდება. ამ საწარმოებში საშუალოდ 10—15 მუშა მუშაობდა, ზოგიერთში კი მუშათა რიცხვი 50-მდე აღწევდა. შრომის განაწილება ამ საწარმოებს მანუფაქტურის ხასიათს აძლევდა, თუმცა ზოგიერთ მათგანში უკვე მანქანების გამოყენებასაც ჰქონდა ადგილი. ამგვარად, კონკრეტული ფაქტების შესწავლის საფუძველზე აღნიშნულია, რომ რეფორმამდელ პერიოდში დამმუშავებელი მრეწველობა დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა. კერძოდ აქ წვრილ ხელოსნურ სა-

---

[53] მე-19 ს. პირველი ნახევრის მრეწველობის განვითარების საკითხები ასეთ ჭრილში გაშუქებულია ნაშრომებში: ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, „დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX ს. 30—60-იან წლებში", ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1958 წ.; დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830—1864 წწ.), თბ., 1959.

წარმოთა გვერდით არსებობდნენ ისეთი საწარმონიც, სადაც, უკვე აშკარად, საქმე კაპიტალისტურ ურთიერთობასთან გვაქვს. წვრილ კაპიტალისტურ საწარმოთა მასაში გამოირჩეოდნენ შედარებით მსხვილი კაპიტალისტური საწარმონიც.

ნაშრომში არის განხილული ზოგიერთი, ჩვენს ისტორიოგრაფიაში მანამდე გამოუყენებელი საარქივო დოკუმენტი, რომელიც ახალ შუქს ფენს, ან მნიშვნელოვნად ავსებს წარმოდგენას მთელი რიგი შედარებით მსხვილი საწარმოს შესახებ, მათ შორის თბილისის აბრეშუმსახვევი და საძახავი „ფაბრიკის" (ე. წ. კასტელას „ფაბრიკის"), ერისთავების მინის „ქარხანის", ზუბალაშვილის შაქრის „ქარხნის" და სხვათა შესახებ. პირველადაა აღნიშნული დაქირავებული შრომის წამყვანი როლი კასტელას „ფაბრიკაში" და ზოგიერთ სხვა საწარმოში; ნაჩვენებია დამმუშავებელი მრეწველობის ზრდა 30—60-იან წლებში, მოცემულია დამმუშავებელ მრეწველობაში დაკავებულ მუშათა რაოდენობის დადგენის ცდა. დასკვნაში აღნიშნულია, რომ არახელსაყრელი პირობების მიუხედავად (კოლონიური პოლიტიკა, ბატონყმობა) 60-იანი წლებისათვის საქართველოს დამმუშავებელ მრეწველობაში ადგილი ჰქონდა კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლის პროცესს, მწვავდება წინააღმდეგობა საწარმოო ძალთა განვითარებასა და წარმოებით ურთიერთობებს შორის, რაც წარმოადგენდა საგლეხო რეფორმის გატარების ერთ-ერთ პირობას

*
* *

ნაშრომში— „კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში"—დ. გოგოლაძე მრეწველობის განვითარებას იხილავს დარგების მიხედვით (აბრეშუმის წარმოება, შაქრის წარმოება, მინის წარმოება, საპნის, ტყავის, ბამბის, თამბაქოს და მაუდის წარმოება, სამთამადნო და სამთო-საქარხნო, მექანიკური, აგურის წარმოება და სხვა). ამასთანავე შედარებით ვრცლად აქვს მას განხილული ზოგიერთი მსხვილი საწარმო—კასტელას აბრეშუმსახვევი და საძახავი „ფაბრიკა", ზუბალაშვილის და სხვების შაქრის „ქარხანა", ერისთავების მინის „ქარხანა" და სხვ. მოცემული აქვს საწარმოთა რაოდენობის, პროდუქციის და მუშათა რიცხვის დინამიკა აღებულ პერიოდში. ავტორი ფართოდ ჩერდება სამრეწველო საწარმოთა სოციალურ-ეკონომიური ბუნებისა და მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარების გზების საკითხზე.

დ. გოგოლაძე აღნიშნავს, რომ განხილულ საწარმოებში ტექნიკურ საფუძველს ხელით წარმოება შეადგენდა. სამრეწველო საწარმოები ძირითადად განეკუთვნებოდნენ მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციის ტიპის წვრილ კაპიტალისტურ სახელოსნოებს; უფრო მსხვილი კაპიტალისტური საწარმოები მიმართავდნენ შრომის სისტემატურ დანაწილებას და ამდენად მანუფაქტურებს წარმოადგენდნენ. იყო მანქანების გამოყენების შემთხვევებიც, მაგრამ ეს არ წარმოადგენდა საერთო დამახასიათებელ მოვლენას. დ. გოგოლაძე ასკვნის, რომ კაპიტალისტურმა მრეწველობამ საქართველოში განვლო მანუფაქტურული საფეხური და იგი წინ უსწრებდა მანქანური წარმოების შემოსვლას. მანუფაქტურის განვითარების გზებად იგი მიიჩნევს წვრილ საქონელმწარმოებელთა კაპიტალისტებად გადაქცევის, ან ვაჭრების მიერ შედარებით მსხვილ სამრეწველო საწარმოთა დაარსების გზებს.

დ. გოგოლაძის წიგნში მოცემული რეფორმამდელი პერიოდის მრეწველობის დარგების განვითარების სურათი ძირითადად სწორია, მაგრამ, წიგნის დასკვნით ნაწილში ავტორის მსჯელობა ერთგვარად ზოგად ხასიათს ატარებს. მართალია მას აღნიშნული აქვს, რომ ოფიციალურ სტატისტიკაში აღრიცხული ყველა საწარმო არ იყო კაპიტალისტური, მაგრამ დასკვნებში მოტანილი მონაცემებიდან არ ჩანს თუ საწარმოთა რა ნაწილი იყო კაპიტალისტური; მით უმეტეს არ ჩანს თუ რამდენი ატარებდა მანუფაქტურულ თუ ფაბრიკულ ხასიათს. ე. წ. „შედარებით მსხვილ“ საწარმოებში, რომელთაც ავტორი ცალკე აღრიცხავს, ხშირად მეტად უმნიშვნელო ხვედრითი წონის მქონე საწარმოებიც არიან შესული და ბოლოს, ავტორი მანუფაქტურული წარმოების საფეხურზე საუბრისას სათანადო ანგარიშს არ უწევს მანუფაქტურული წარმოების ხვედრითი წონის საკითხს, რასაც მისთვის ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

იგივე ნაკლი შეიმჩნევა დ. გოგოლაძის წერილშიც: „კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხის შესახებ საქართველოში“[54]. აქ დ. გოგოლაძეს მოყავს კ. მარქსის ცნობილი დებულება იმის შესახებ, რომ მანუფაქტურას არ შეეძლო მოეცვა მთლიანად საზოგადოებრივი წარმოება და მეორე მხრით მხედველობიდან უშვებს, რომ მანუფაქტურას ახასიათებს ფართო ბაზრისათვის წარმოება, მხსვილი კაპიტალის და მსხვილ საწარმოთა წარმოშობა, დიდი რაოდენო-

---

[54] საქ. მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა „მოამბე“, 1961, № 3, გვ. 315—318.

ბით მუშათა დამორჩილება, რაც გულისხმობს მანუფაქტურულ სტადიაზე. მიუხედავად წვრილ საწარმოთა რიცხობრივი სიჭარბისა, მრეწველობის წამყვან დარგებში მაინც მანუფაქტურული წარმოების მნიშვნელოვან ხვედრით წონას.

არ არის სწორი აგრეთვე მანუფაქტურული წარმოებისადმი 4-5 მუშიან საწარმოთა მიკუთვნებაც (ამის შესახებ იხილე ქვემოთ, გვ. 40).

* * *

კაპიტალისტური მრეწველობის ჩასახვისა და განვითარების საკითხის გაშუქება აქვს დასახული მიზნად გ. ბაქრაძეს წიგნში: „Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке", რომელიც 1958 წ. გამოქვეყნდა. წიგნის ავტორი საგანგებოდ განიხილავს მსხვილ კაპიტალისტურ მრეწველობას, მაგრამ ამასთანავე ეხება ნატურალური მეურნეობიდან სასაქონლო წარმოებაზე გადასვლის პროცესს, კაპიტალიზმის მარტივი, პრიმიტიული ფორმებიდან უმაღლეს სტადიაში გადასვლის პროცესს. საგანგებო ყურადღებას უთმობს იგი მრეწველობის უფრო მაღალი ფორმების (მანუფაქტურულის და ფაბრიკულ-ქარხნულის) ერთმანეთისაგან და მრეწველობის უფრო დაბალი ფორმებისაგან გამიჯვნის საკითხს. თუმცა მის მიერ ჩატარებულ ცდას დაადგინოს მრეწველობის სხვადასხვა ფორმების თანაფარდობა, იგი გახიხილავს, როგორც პირველ ნაბიჯს მრეწველობის სხვა ფორმებიდან ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების გამოყოფის მიმართულებით[55], მაშინ როდესაც მის წინამორბედ მკვლევართა, კერძოდ პ. გუგუშვილის მიერ მრეწველობის სხვადასხვა ფორმის ცალ-ცალკე განხილვა ამასვე ნიშნავდა.

გ. ბაქრაძე თავის გამოკვლევას იწყებს რეფორმამდელი პერიოდის საქართველოს მრეწველობის განხილვით. აღნიშნავს, რომ მე-19 ს. დასაწყისისათვის საქართველოში ბატონობდა პატრიარქალური მიწათმოქმედება და ოჯახური მრეწველობა, არსებობდა პრიმიტიული ხელოსნობა; ამასთანავე თბილისსა და ზოგიერთ სხვა ადგილას ხელოსნობის და შინამრეწველობის ზოგიერთ დარგში ისახება საქონლის წარმოება ბაზრისათვის. რუსეთთან შეერთებამ ხელი შეუწყო სასაქონლო-ფულადი მეურნეობის განვითარებას, რამაც

---

[55] Г. К. Бакрадзе, Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX в., Тб., 1958, გვ. 65.

გამოიწვია ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის რღვევა და კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარებისათვის წანამძღვრების ბომზადება. სასაქონლო-ფულადი მეურნეობის გამოცოცხლება ხდება 40-იანი წლებიდან, რაც სხვათა შორის აიხსნება რუსეთიდან ფაბრიკულ-ქარხნული პროდუქციის შემოტანის გაძლიერებითაც.

გ. ბაქრაძეს მოჰყავს დაწვრილებითი ცნობები 1845 წელს „გლეხურ" („შინამრეწველურ") სარეწებში დამზადებული საქონლის ოდენობისა და გასასყიდათ გამოტანილი ნაწილის შესახებ, იმავე დროის ხელოსნური წარმოების შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ ხელოსნობა უკვე გასცილდა მის პრიმიტიულ ფორმას (შემკვეთისათვის წარმოება) და ბაზრისათვის წარმოებად იქცა, ე. ი. ხელოსანი უკვე საქონელმწარმოებელია, რომელიც დაქირავებული შრომის გამოყენებას მიმართავს.

გადადის რა მანუფაქტურული წარმოების განხილვაზე, გ. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ რეფორმამდელ პერიოდში საქართველოში ოჯახური მრეწველობისა და ხელოსნურ-შინამრეწველური წარმოების გვერდით გაჩნდნენ ისეთი საწარმოები, რომელნიც ემყარებოდნენ არა მარტო კაპიტალისტურ მარტივ კოოპერაციას, არამედ ჰქონდათ მანუფაქტურის სახე. გ. ბაქრაძე ასეთ საწარმოებს მიაკუთვნებს იმათ, სადაც 15-ზე მეტი მუშა მუშაობდა და სადაც ადგილი ჰქონდა შრომის განაწილებას. ამასთანავე ავტორი დასძენს, რომ მანუფაქტურული საწარმოები ერთეულებს შეადგენდნენ; გაბატონებულ მდგომარეობას მრეწველობაში ინარჩუნებდა წვრილი ხელოსნური და შინამრეწველური წარმოება[56].

მანუფაქტურული საწარმოების აღმოცენების გზების შესახებ გ. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ ასეთი საწარმოები ჩნდებოდნენ უმთავრესად არა ამქრული ხელოსნობისა და წვრილ სარეწებიდან მანუფაქტურაზე თანდათანობით გადასვლის გზით, არამედ სავაჭრო კაპიტალის სამრეწველო კაპიტალად უშუალო გადაქცევის გზით. მანუფაქტურული საწარმოების ორგანიზატორები იყვნენ როგორც ადგილობრივი, ისე სხვა ქვეყნებიდან მოსული ვაჭრები.

ავტორი შემდეგ ეხება იმ ფაქტორებს, რომელთაც განსაზღვრეს მანუფაქტურის სუსტი განვითარება საქართველოში. ამის მიზეზად იგი პირველ რიგში ასახელებს ფულადი კაპიტალისა და მუშახელის ნაკლებობას. ამით იგი ეწინააღმდეგება თავისავე მსჯელობას მე-19 ს. პირველ ნახევარში საქონლის მიმოქცევის ზრდისა და სავაჭრო ოპერაციების შედეგად ცალკეულ პირთა ხელში ფულადი კაპიტა-

---

[56] გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 26—29.

ლის დაგროვების, სავაჭრო და სავახშო კაპიტალის ფართო მოქმედების შესახებ[57].

საქმე ისაა, რომ მრეწველობის განვითარებას საქართველოში, როგორც ამას თვით გ. ბაქრაძე აღნიშნავს, აფერხებდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა—ერთი მხრით სამრეწველო საწარმოთა დაარსებისათვის მთელი რიგი დაბრკოლებების შექმნით, ხოლო მეორე მხრით რუსული ფაბრიკების ნაწარმის შემოტანის ზრდის ხელის შეწყობით. სწორედ ეს უშლიდა ხელს სავაჭრო კაპიტალის სამრეწველო კაპიტალად გადაქცევას ჩვენში, უკარგავდა ვაჭარ-მევახშეებს სტიმულს დაებანდებინათ კაპიტალი წარმოებაში, რამაც განაპირობა ის, რომ სავაჭრო და სავახშო კაპიტალი აქ დიდხანს დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ, და თავის მხრივ აფერხებდნენ ქვეყნის ეკონომიურ წინსვლას[58].

არ არის სწორი აგრეთვე მანუფაქტურის განვითარების შემფერხებელ ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მუშახელის ნაკლებობის აღნიშვნა. საქართველოში მიმდინარე სოციალ-ეკონომიური პროცესების შედეგად უკვე მე-19 ს. პირველ ნახევარში ქალაქებში დიდი რაოდენობით თავისუფალი მუშახელი იყრის თავს (გამოქცეული თუ თავდახსნილი საბატონო გლეხები, სოფლიდან ქალაქად მოსული სახაზინო გლეხები, უცხოეთიდან მოსულნი და სხვა). გ. ბაქრაძის შემდგომი მსჯელობიდან ირკვევა, რომ იგი უშუალო მწარმოებლის წარმოების საშუალებებისაგან გამოცალკევების პროცესს მხოლოდ გვიან, რეფორმის მომდევნო ხანაში ხედავს. იგი წერს: „С 70-ых годов в Грузии уже имеет место некоторый прилив крестьян из деревни в город“[59]. ამავე დროს იგი მხოლოდ 80—90-იან წლებში აღნიშნავს სოფლის მოსახლეობის (კერძოდ გურიის მოსახლეობის) საშოვარზე გასვლის ფაქტს. მაგრამ როგორც ცნობილია, არამცთუ საშოვარზე გასვლას, არამედ საერთოდ მოსახლეობის სოფლიდან ქალაქებში ლტოლვის ინტენსიურ პროცესს საქართველოში ადრევე ჰქონია ადგილი, რაც როგორც უშუალო მწარმოებელთა წარმოების საშუალებებისაგან გამოცალკევების შედეგი და თვალსაჩინო მაჩვენებელი, იყო პირველადი დაგროვების ერთ-ერთი ყველაზე არსებითი მხარეთაგანი.

---

[57] გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 13, 35, 36.

[58] გ. ბაქრაძე თვლის, რომ სავაჭრო და სავახშო კაპიტალი რეფორმამდე აფერხებდა ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას (იქვე, გვ. 35), ხოლო რეფორმის მომდევნო პერიოდში ხელს უწყობდა უშუალო მწარმოებელთა დაშლას (იქვე. გვ. 40, 44).

[59] გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი; გვ. 43.

სულ სხვა საკითხია ის, რომ საქართველოში აღებულ პერიოდში იგრძნობოდა კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა. ისიც მხოლოდ ისეთი დარგებისათვის, სადაც ახალი ტექნიკის გამოყენება იწყება. სიღნაღში შავერდოვების საფეიქრო წარმოების დახურვის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ასეთი მუშახელის ნაკლებობა იყო, როგორც ეს გ. ბაქრაძესაც აქვს შენიშნული, და არა საერთოდ მუშახელის ბაზრის არარსებობა; ხოლო თბილისის აბრეშუმსახვევ „ფაბრიკას" დაქირავებული მუშახელი არ მოკლებია, როდესაც აქ საამისო მოთხოვნილება იყო. აქ ადგილობრივი მაღალკვალიფიციური სპეციალისტებიც კი იქნენ მომზადებულნი. კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა შემდგომაც, რეფორმის მომდევნო პერიოდშიც იგრძნობოდა. ე. ი. მანუფაქტურის სუსტი განვითარების მიზეზებიც სხვაგან არის საძიებელი.

გ. ბაქრაძე მანუფაქტურულ საწარმოთა სიმცირის საფუძველზე უარყოფს რეფორმამდელ საქართველოში კაპიტალისტური წყობის არსებობას[60]. მაგრამ წყობას ხომ მხოლოდ მსხვილი საწარმოების სიმრავლე არ ქმნის, არამედ საერთოდ ქვეყნის მთელ სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში მიმდინარე ძვრები, რომელნიც ძველი, ფეოდალური ურთიერთობის რღვევასა და ახალ, ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ზრდას მოწმობენ. ესაა სწორედ თვით გ. ბაქრაძის მიერ აღნიშნული ფაქტები მე-19 ს. პირველ ნახევარში ნატურალური მეურნეობის რღვევისა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვისა: კაპიტალის დაგროვება, გასაღების ბაზრის ზრდა, კაპიტალისტური ტიპის ცალკეულ საწარმოთა აღმოცენება, რაც მოასწავებდა სასაქონლო წარმოების და საქონლის მიმოქცევის განვითარებას და ნიადაგს ამზადებდა კაპიტალისტური წარმოებისათვის[61].

ყველაფერი ეს სხვა ფაქტორებთან ერთად შეადგენდა სწორედ იმ კაპიტალისტურ ელემენტებს, რომელნიც შლიდნენ ძველ ფორმაციას ანუ ქმნიდნენ კაპიტალისტურ წყობას, გლეხთა ანტიბატონყმური მოძრაობის აზვირთების პირობებში ამზადებენ ნიადაგს რეფორმისათვის.

როგორც თვით გ. ბაქრაძე წერს, საერთოდ რეფორმის გატარების ძირითადი მიზეზები სხვა არა იყო რა, თუ არა სასაქონლო წარმოების და სასაქონლო მიმოქცევის ზრდა, გლეხთა ექსპლოატაციის დამძიმება და გლეხთა მოძრაობის გაძლიერება[62]. ყოველივე ამას

---

[60] გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.
[61] იქვე, გვ. 36.
[62] იქვე. გვ. 38.

კი ადგილი ჰქონდა საქართველოშიც. ამდენად ავტორის განცხადება, რომ „რუსეთში 1861 წ. გატარებულმა საგლეხო რეფორმამ, თავის მხრივ დააჩქარა ასეთივე რეფორმის გატარება საქართველოში"[63], სრულად არ ასახავს საქმის ნამდვილ ვითარებას, რამდენადმე გამორიცხავს რეფორმის ქვეყნის შიგნითვე არსებულ წინაპირობებს.

რეფორმის გატარებამ საქართველოში თავის მხრივ დიდი როლი ითამაშა კაპიტალიზმის განვითარების დაჩქარების თვალსაზრისით. როგორც გ. ბაქრაძე აღნიშნავს, რეფორმა და რკინიგზების მშენებლობა წარმოადგენდნენ ქვეყნის სოციალ-ეკონომიური წინსვლის გადამწყვეტ ფაქტორებს. ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობას უკავშირებს გ. ბაქრაძე მრეწველობის ახალ, ფაბრიკულ-ქარხნულ ეტაპზე გადასვლის დასაწყისს, რაც 70-იან წლებში მსხვილ ფაბრიკულ-ქარხნულ საწარმოთა (მირზოევის საფეიქრო ფაბრიკა, რუქსის მექანიკური ქარხანა, ადელხანოვის ტყავის ქარხანა და სხვა) დაარსებით აღინიშნება.

გ. ბაქრაძე მრეწველობის განვითარების სურათს, კერძოდ სამრეწველო საწარმოთა რაოდენობის, მათი პროდუქციისა და მუშათა რაოდენობის დინამიკის განხილვის საფუძველზე დაასკვნის, რომ 1870—1890 წლებში ადგილი ჰქონდა მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობის წარმოქმნასა და განვითარებას, წარმოების კონცენტრაციასა და მუშათა მასების თავმოყრას ფაბრიკულ მრეწველობაში. 80-იანი, განსაკუთრებით კი 90-იანი წლები იყო გარდატეხის პერიოდი საქართველოს მრეწველობის განვითარების თვალსაზრისით. 90-იან წლებში კაპიტალისტური მრეწველობა ავიდა თვისობრივად ახალ საფეხურზე. წარმოების მთელ რიგ დარგებში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა კაპიტალისტურმა ფაბრიკამ, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატა ორთქლის მანქანების გამოყენების ზრდაში[64].

მაგრამ, როგორც გ. ბაქრაძე აღნიშნავს, მხსვილი მრეწველობის გვერდით არსებობას ინარჩუნებდნენ არა მარტო წვრილი კაპიტალისტური ხასიათის საწარმოები, არამედ წვრილხელოსნური და შინამრეწველური სარეწები. „მრეწველობის სხვადასხვა ფორმების თანაარსებობა იყო რეფორმის შემდეგდროინდელი საქართველოს მრეწველობის დამახასიათებელი ნიშანი"—წერს იგი[65].

განვითარებისათვის არახელსაყრელი სოციალ-პოლიტიკური პი-

---

[63] გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

[64] იქვე, გვ. 69.

[65] იქვე, გვ. 71.

რობებით ხსნის გ. ბაქრაძე იმას, რომ კაპიტალიზმმა საქართველოში ვერ მოიცვა მრეწველობის ყველა სფერო[66].

გ. ბაქრაძე თვლის, რომ საქართველოში წვრილსაქონლური წარმოებიდან მანუფაქტურაზე, ხოლო მანუფაქტურიდან ფაბრიკულ წარმოებაზე გადასვლა მოხდა თავისებურ პირობებში: რუსეთისაგან განსხვავებით აქ ეს პროცესი რეფორმამდელ პერიოდში კი არ დაწყებულა, არამედ მთლიანად ემთხვევა რეფორმის მომდევნო ხანას[67]. ამავე დროს მანქანურ პერიოდს იგი 70-იანი წლებით იწყებს. ე. ი. არსებითად გ. ბაქრაძე, ადგილს არ უტოვებს საქართველოში მრეწველობის განვითარების მანუფაქტურულ სტადიას, თუმცა მანუფაქტურულ საწარმოთა არსებობას აღიარებს, როგორც რეფორმამდე, ასევე რეფორმის შემდგომ.

იგივე საკითხს გ. ბაქრაძე შეეხო წერილში: „საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების ზოგიერთი საკითხი", სადაც პირდაპირ უარყოფს რა მანუფაქტურული სტადიის არსებობას, წერს: „როგორც რეფორმამდე, ისე რეფორმის შემდეგაც... მრეწველობის სხვადასხვა დარგებში არსებობდა მანუფაქტურული საწარმოები, მაგრამ კაპიტალისტური მანუფაქტურა რეფორმამდელ საქართველოში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ცალკეული მცირე რაოდენობის საწარმოთა სახით წვრილ ხელოსნურ და გლეხურ სარეწავებთან ერთად; რეფორმის შემდეგ კი იგი განაგრძობდა არსებობას ერთდროულად ფაბრიკულ საწარმოებთან და სარეწავთა თითქმის ყველა ფორმებთან ერთად" [68].

ფაქტოლოგიური თვალსაზრისით მოტანილი მსჯელობა სწორია, მაგრამ განა მოეთხოვება მანუფაქტურას რიცხობრივად სჭარბობდეს წვრილ წარმოებას, რომ გვქონდეს საფუძველი მანუფაქტურული სტადიის დასასაბუთებლად? მით უმეტეს, რომ გ. ბაქრაძე ყველა მსხვილ საწარმოს რეფორმამდელ საქართველოში, იმითაც კი, რომელთაც სხვა მკვლევარნი ფაბრიკებად თვლიან, თვითონ მანუფაქტურებად მიიჩნევს[69], ხოლო ასეთების რიცხვი არცთუ მცირე იყო.

მეორე მხრით გ. ბაქრაძე აღიარებს რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში მანუფაქტურული საწარმოების არსებობას ფაბრიკულ-ქარხნულ საწარმოთა გვერდით და თვლის, რომ მანქანუ-

---

[66] გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 73.

[67] იქვე. გვ. 86.

[68] თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 100, 1963, გვ. 241—242.

[69] ივქე, გვ. 241.

რმა წარმოებამ გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა მხოლოდ 90-იან წლებში, ისიც მრეწველობის ზოგიერთ დარგში[70]. ე. ი. გამოდის, რომ 90-იან წლებამდე გაბატონებული ყოფილა წვრილი სასაქონლო წარმოება, რაც ჩვენის აზრით სინამდვილეს არ შეესაბამება.

გ. ბაქრაძემ თავის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად დაისახა მრეწველობის ფორმების განხილვა მათ ისტორიულ განვითარებაში. იგი იძლევა სამრეწველო საწარმოთა რაოდენობის, პროდუქციისა და მუშათა რიცხვის დინამიკას 1871 წლიდან 1900 წლამდე. მის ძირითად წყაროს ამ შემთხვევაში წარმოადგენენ გუბერნატორების ანგარიშებისათვის დართული უწყისები „ფაბრიკულ-ქარხნული" მრეწველობის მდგომარეობის შესახებ. გ. ბაქრაძე ცდილობს აგრეთვე გამოჰყოს მსხვილი წარმოება (ფაბრიკა-ქარხნები, მანუფაქტურა) წვრილი წარმოებისაგან და თვით ფაბრიკა-ქარხნები მანუფაქტურისაგან. ამ შემთხვევაში მის წყაროს ცალკეული ფაბრიკა-ქარხნების უწყისები წარმოადგენენ. ხოლო 1900 წლისათვის იგი სარგებლობს ხარკოვის ოლქის საფაბრიკო ინსპექტორის ა. გნედიჩის მიერ შედგენილი ცხრილებით, რომლებზედაც ამყარებს ძთელ თავის გაანგარიშებებს[71].

ფაბრიკულ-ქარხნული და მანუფაქტურული წარმოების წვრილ წარმოებიდან გამოყოფისას გ. ბაქრაძე ფაბრიკა-ქარხნებს და მანუფაქტურას მიაკუთვნებს ისეთ საწარმოებს, სადაც მუშათა რაოდენობა 15-ს აღემატებოდა, იმ საბუთით, თითქოს მანუფაქტურის მარქსისტულ-ლენინური გაგება გამორიცხავს ამაზე მცირე მანუფაქტურულ საწარმოთა არსებობას.

მართალია, მუშათა რაოდენობას აქვს არსებითი მნიშვნელობა ასა თუ იმ საწარმოს ხასიათის გასარკვევად. მაგრამ აქ გადამწყვეტი მაინც საწარმოს სოციალურ-ეკონომიური ბუნებაა, რასაც განსაზღვრავს შრომის დანაწილების არსებობა მანუფაქტურაში და მანქანის გამოყენება ფაბრიკაში. ცხადია, მანუფაქტურისა და განსაკუთრებით ფაბრიკისათვის, როგორც მსხვილი მრეწველობის ფორმებისათვის, დამახასიათებელია მუშათა დიდი რაოდენობით კონცენტრაცია წარმოებაში, მაგრამ გამორიცხული არ არის უფრო წვრილი მა-

---

[70] Г. К. Бакрадзе, Возникновение и развитие капиталистической промышленности.., зз. 69.

[71] ლენ.ცსა, ფ. 23, აღწ. 17, საქმე 738. იხ. აგრეთვე ფ. 22, აღწ. 2, საქმე 2914. აღნიშნული დოკუმენტი გამოაქვეყნა შ. ჩხეტიამ. იხ. „საისტორიო მოამბე", 1945, I, ზ. 210—290.

ნუფაქტურული საწარმოების არსებობაც. ასე მაგ., ვ. ი. ლენინი განიხილავს მოსკოვის გუბერნიის წვრილ საქონელმწარმოებელთა დაშლის პროცესს და მანუფაქტურას მიაკუთვნებს „მეორე კატეგორიის ერთეულ სარეწების უფრო დიდ სახელოსნოებს“[72]. ამ კატეგორიის სარეწებში მუშების საშუალო რიცხვი შეადგენდა 2,7-დან 4,4-მდე[73], ხოლო უ მ ს ხ ვ ი ლ ე ს სახელოსნოებში იყო 8-12 მუშა[74].

ამრიგად, გადამწყვეტი მნიშვნელობა მანუფაქტურის განსაზღვრისას, მუშათა რაოდენობის გარკვეული მინიმუმის არსებობის პირობებში, ენიჭება შრომის დანაწილებას ფართო მასშტაბით, ხოლო მუშათა ეს მინიმუმი სხვადასხვა დარგში სხვადასხვა იყო, იმის მიხედვით თუ რა რაოდენობის მუშები იყო საჭირო ამა თუ იმ სარეწის მოსაწყობად[75].

გ. ბაქრაძე ჩვენ მიერ უკვე დასახელებულ წერილში კვლავ ეხება ამ საკითხებს და ისე გამოჰყავს, თითქოს ლენინს დაპირისპირებული ჰქონდეს ერთმანეთთან 10 მუშიანი საწარმოს პატრონი, როგორც „პატარა კაპიტალისტი“, და 15-ზე მეტი მუშიანი საწარმოს პატრონი, როგორც „ნამდვილი კაპიტალისტი“ და თითქოს ეს წარმოადგენდეს საფუძველს მანუფაქტურის გამოყოფისა წვრილი კაპიტალისტური წარმოებისაგან[76].

სინამდვილეში, პირველ შემთხვევაში ვ. ი. ლენინს ავეჯის წარმოებაში მუშათა რიცხვის ზრდის კვალად პატრონის წარმოებაში უშუალოდ მონაწილეობისაგან განთავისუფლების საილუსტრაციოდ მოჰყავს ამონაწერი სტატისტიკოს ისაევის შრომიდან, სადაც აღნიშნულია, რომ 10 და მეტი მუშა საშუალებას აძლევს პატრონს თვითონ აღარ იმუშაოს, ე. ი. იქცეს „პატარა კაპიტალისტად“[77], ხოლო მეორე შემთხვევაში ვ. ი. ლენინი ეხება ოჯახის წევრთა ექსპლოატაციას შედარებით მსხვილ სარეწებში და წერს: „როცა „შინამრეწველი“ იქცევა ნამდვილ კაპიტალისტად, რომელსაც... ჰყავს 15-დან 30-მდე მუშა, — მის სახელოსნოებში ოჯახური შრომის როლი

---

[72] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, 1948, გვ. 449.

[73] იქვე, გვ. 401.

[74] იქვე, დანართი 1.

[75] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი წერდა: „მსხვილი სახელოსნოები ყოველთვის უკეთ არიან ხოლმე ტექნიკურად მოწყობილნი, აღჭურვილნი არიან უკეთესი ინსტრუმენტებით, იარაღებით, ხელსაწყოებით, მანქანებით და სხვ. მაგ., ჯაგრის სარეწის „წესიერად მოწყობილ სახელოსნოში“ უნდა იყოს 15-მდე მუშა, ფუგმის სარეწში 9-10 მუშა“, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 408—409.

[76] თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, 100, 1964, გვ. 24[illegible].

[77] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 415—416.

ეცემა უმცირეს ოდენობამდე..."[78] ე. ი. ორივე შემთხვევაში კონკრეტულ ვითარებასთან დაკავშირებულ მსჯელობასთან გვაქვს საქმე, რაც სრულიადაც არ მოწმობს, რომ მეპატრონე რომელიც „10 და მეტ მუშას" (ე. ი. ვთქვათ 13 მუშას) უწევს ექსპლოატაციას არ არის „ნამდვილი კაპიტალისტი" და ასეთად გვევლინება მხოლოდ ის მეპატრონე, რომელსაც მაინცადამაინც 15-დან 30-მდე მუშა ჰყავს. ამა თუ იმ ციფრის აღება ყველა ასეთ შემთხვევაში მეტად პირობითია. ისევე როგორც პირობითია, მაგალითად, ვ. ი. ლენინის მიერ საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის მონაცემების განხილვისას 16 მუშის აღება, როგორც მინიმუმისა ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების წვრილი წარმოებიდან გამოსაყოფად[79]. ვ. ი. ლენინი შენიშვნაში პირდაპირ წერს: „ფაბრიკის" ცნების ჩვენ მიერ აღებული ნიშანი ყველაზე უფრო ზუსტად მიგვაჩნია, ვინაიდან ფაბრიკათა რიცხვში იმ საწარმოების ჩათვლა, სადაც 16 და მეტი მუშაა, უ დ ა ვ ო ი ყ ო ჩ ვ ე ნ ი ს ა ფ ა ბ რ ი კ ო-ს ა ქ ა რ ხ ნ ო ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ი ს ს უ ლ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა პ რ ო გ რ ა მ ი ს ა დ ა ყ ო ვ ე ლ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა თ ვ ი ს"[80]. ე. ი. ვ. ი. ლენინი ფაბრიკის განმსაზღვრელ ნიშნად ამ შემთხვევაში პირობითად იღებს არა ფაბრიკის მარქსისტული გაგების კრიტერიუმს—მანქანას, არამედ იმ ნიშანს, რომელიც იმდროინდელ სტატისტიკას „უდავოდ" მიაჩნდა, რაც ცხადია არ გამორიცხავს იმას, რომ არსებობდა მთელი რიგი საწარმოებისა, რომელნიც ამავე კატეგორიაში უნდა ყოფილიყვნენ განხილულნი, თუმცა მათი მიკუთვნება ფაბრიკებისადმი იმდროინდელი სტატისტიკის მიერ შეიძლება სადავოდ ყოფილიყო მიჩნეული.

იმის გარკვევას, თუ წვრილ საწარმოთაგან რომელი შეიძლება მიეკუთვნოს კაპიტალისტურ წარმოებას საერთოდ, და მანუფაქტურასა და ფაბრიკას კერძოდ, ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან საქართველოში დიდი რაოდენობით იყო წვრილი საწარმოები და მათი ხასიათის დადგენის გარეშე ძნელია საერთო სურათის წარმოდგენა.

გ. ბაქრაძის მიერ მანუფაქტურულ და ფაბრიკულ საწარმოთა რიცხვიდან ისეთ საწარმოთა გამორიცხვა, სადაც 15-ზე ნაკლები მუშა მუშაობდა, ჩვენის აზრით, ამცირებს ასეთების რაოდენობას და ამდენად არაზუსტ სურათს გვაძლევს.

ასე, მაგ., გ. ბაქრაძე, განიხილავს სახერხ წარმოებას თბილისში

---

[78] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 407.
[79] იქვე, გვ. 552.
[80] იქვე, გვ. 553. შენიშვნა (ხაზი ჩვენია. ე. ხ.)

80-იან წლებში და ფაბრიკებად მიიჩნევს საწარმოებს, სადაც 18-20 მუშა მუშაობდა, ხოლო გამორიცხავს ფაბრიკების რიცხვიდან იმათ, სადაც 10—14 მუშა მუშაობდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ საწარმოებშიც ადგილი ჰქონდა ორთქლის ძრავის და მანქანის გამოყენებას[81]. ვფიქრობთ, რაიმე არსებითი სხვაობა აღნიშნულ საწარმოთა ხასიათში არ ყოფილა. ცნობილია, რომ საწარმოთა ფაბრიკულ ხასიათს სწორედ ორთქლის ძრავას გამოყენება განსაზღვრავდა[82]. სხვა საკითხია, რომ უნდა განვასხვავოთ წვრილი ფაბრიკული საწარმოები მსხვილებისაგან. უკანასკნელებს, ვფიქრობთ, არც 15—16 მუშიანი საწარმოები შეიძლება მივაკუთვნოთ, რომელთა ფაბრიკულ ხასიათში გ. ბაქრაძეს ეჭვი არ ეპარება.

მეორეს მხრით, გ. ბაქრაძის მიერ გამოყენებული ძირითადი წყარო მრეწველობის ფორმების განვითარების დადგენისას—გუბერნატორების ანგარიშებისადმი დართული საფაბრიკო-საქარხნო წარმოების უწყისები, მათი უმკაცრესი კრიტიკული განხილვის გარეშე, ვერ იძლევიან მრეწველობის განვითარების ზუსტ სურათს (ამის შესახებ საგანგებოდ გვექნება საუბარი წყაროების მიმოხილვისას). გარდა იმისა, რომ აღნიშნულ უწყისებში ადგილი აქვს მრეწველობის სხვადასხვა ფორმის აღრევას, არაზუსტ ციფრობრივ მონაცემებს, ისინი გვერდს უხვევენ ე. წ. „ხელოსნურ“ საწარმოებს, რომელნიც ცალკე აღირიცხებოდნენ, და რომელთა შორის არა ერთი არსებითად კაპიტალისტური საწარმო იყო. ამ უკანასკნელთა გაუთვალისწინებლობა აგრეთვე მრეწველობის განვითარების ნაკლულ სურათს იძლევა.

ამრიგად, გ. ბაქრაძის მიერ მოცემული მრეწველობის ფორმების განვითარების ციფრობრივი მაჩვენებლები და მრეწველობის ფორმების გამიჯვნის ცდა პირობითია, თუმცა მის მიერ დახატული მრეწველობის განვითარების სურათი რეფორმის მომდევნო ხანისათვის საერთო ხაზებში სწორია.

*
* *

1958 წელს გამოქვეყნდა ნ. ტყეშელაშვილის წიგნი „ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან (1864—1920 წწ.)“. ნაშრომში მოცემულია მე-19 ს. მეორე ნახევრის საქართველოს სო-

---

[81] მ. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 217—218.
[82] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 567.

ციალურ-ეკონომიური განვითარების ზოგადი სურათი; 1-ლ თავში: „საქართველოს მრეწველობა მონოპოლიზმამდელი კაპიტალიზმის პერიოდში“, რომელიც მოიკავს პერიოდს 1900 წლამდე, განხილულია ძირითადად სამთამადნო წარმოების განვითარება. ავტორი ეხება ამიერკავკასიის რკინიგზის გაყვანას, ნავთობის პროდუქტების ტარის წარმოებას. მრეწველობის სხვა დარგები მას მოკლედ აქვს მიმოხილული, ძირითადად გულიშამბაროვის შრომებზე და ზოგიერთ ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით. შემდეგ თავებში ავტორს უფრო დეტალურად აქვს განხილული მრეწველობის განვითარება 1900 წლიდან 1920 წლამდე.

*
* *

საქართველოს სამრეწველო განვითარების საკითხები გაშუქებული აქვს. ნ. ჩახვაშვილს 1958 წ. გამოცემული წიგნის „Рабочее движение в Грузии (1870-1904 гг.)“ I თავში, რომელიც სპეციალურად მე-19 ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისის მრეწველობის განვითარებასა და მუშათა კლასის მდგომარეობის შესწავლას ეძღვნება. ნ. ჩახვაშვილი არსებულ ლიტერატურაზე. გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მასალასა და სათანადო საარქივო საბუთებზე დაყრდნობით იძლევა მრეწველობის განვითარების სურათს აღებულ პერიოდში. ეხება მრეწველობის ცალკეულ დარგებს, ადგენს სამრეწველო საწარმოთა რაოდენობის, მათი მწარმოებლურობის და მუშათა რაოდენობის დინამიკას 1870-1899 წლებში, ეხება მსხვილ და წვრილ საწარმოთა შეფარდებას 1900 წლისათვის და სხვა. მრეწველობის განვითარების დინამიკის დადგენისას ნ. ჩახვაშვილის ძირითად წყაროს გუბერნატორთა ანგარიშებისადმი დართული „საფაბრიკო-საქარხნო“ მრეწველობის უწყისები წარმოადგენენ, ხოლო საწარმოთა შეფარდების ჩვენებისას, გნედიჩის გუბერნიის ანგარიშებანი.

*
* *

1961 წ. გამოქვეყნდა ნ. როდონაიას წიგნი „თბილისის მრეწველობა მე-19 ს. მეორე ნახევარში (რეფორმის შემდგომი ხანა)“. წიგნში განხილულია მრეწველობის ცალკეული დარგები 70—80-იან წლებში (ტყავის დამუშავება, თამბაქოს წარმოება, საპნის და სანთლის წარმოება, ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობა, მექანიკური წარმოება, აგურის წარმოება, ლუდის, სპირტის დამზადება და სხვა). შემდეგ ავტორი საგანგებოდ ეხება ორთქლის ძრავების გაჩენას თბი-

ლისის მრეწველობაში, მანქანურ წარმოებაზე გადასვლას და თბილისის მრეწველობის შემდგომ ზრდის 90-იან წლებში. ავტორს ცალკე აქვს განხილული ხელოსნური წარმოება აღებული პერიოდის თბილისში.

ავტორი ძირითადად სრულიად ახალ საარქივო მასალაზე, კერძოდ ცალკეულ საწარმოთა შესახებ 80-იანი წლების შუახანებში (1885-1886 წწ.) შედგენილი ვრცელი უწყისების მონაცემებზე დაყრდნობით წარმოგვიდგენს ამ ხანებში თბილისის მრეწველობის მდგომარეობის მეტად მკაფიო სურათს (საწარმოთა დასახელება, პროდუქციის ოდენობა, ტექნიკური აღჭურვილობა, მუშათა რიცხვი და სხვა), არკვევს ამა თუ იმ საწარმოს ხასიათს, ცალკე გამოჰყოფს შედარებით მსხვილ საწარმოებს და სხვა.

წიგნში მოცემულია აგრეთვე 1870 წლიდან მე-19 ს. მიწურულამდე თბილისის საწარმოთა პროდუქციის და მუშათა რაოდენობის დინამიკა, რაც ძირითადად ისევ გუბერნატორთა ანგარიშებისადმი დართულ „ფაბრიკულ-ქარხნული" წარმოების უწყისების საფუძველზეა გაკეთებული. ავტორი გნედიჩზე დაყრდნობით იძლევა ძსხვილ და წვრილ საწარმოთა თანაშეფარდებას 1900 წლისათვის.

ხელოსნობის განხილვისას ნ. როდონაია მოჰყავს სათანადო მონაცემები ხელოსნური წარმოების მდგომარეობის შესახებ, ამქართა 1867 წლის რეორგანიზაციის შემდეგ. აღნიშნავს ამქრული ხელოსნობის დაშლისა და ხელოსნურ წარმოებაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა შეჭრის მაჩვენებელ გარემოებას: ქარგლებისა და შეგირდების დაქირავებული მუშების მდგომარეობაში გადასვლას, უკანასკნელთა ლტოლვას ფაბრიკა-ქარხნებისაკენ და სხვა. წიგნში მოცემულია ხელოსნების რიცხვის დინამიკა, მათი შეფარდება თბილისის დანარჩენ მოსახლეობასთან, ოსტატების რიცხვის შეფარდება ქარგლებთან, შეგირდებთან და სხვა.

ამრიგად, ნ. როდონაიას თავის წიგნში მოცემული აქვს რეფორმის შემდეგდროინდელი თბილისის სამრეწველო განვითარების დეტალური სურათი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მის ხელთ არსებული მასალა არ იძლევა წვრილი სასაქონლო წარმოების საგანგებოდ წესწავლის საშუალებას. ეს უკანასკნელი ან „ფაბრიკულ-ქარხნულ" საწარმოებშია ნაგულისხმევი, ან ხელოსნური წარმოების ამსახველ მასალებში. ავტორი წვრილ საწარმოებს ეხება მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში (მაგ., აგურის საწარმოები), მაშინ, როდესაც წვრილი საწარმოები შედარებით მსხვილ და წვრილ ხელოსნურ საწარმოთა გვერდით შეადგენდნენ სამრეწველო დაწესებულებათა დიდ ნაწილს (მაგ. წვრილი სახერხი „ქარხნები", სამჭედლო-საზეინ-

კლო საწარმოები, სადურგლო სახელოსნოები, ფეხსაცმელისა და ტანსაცმელის სახელოსნოები და სხვა).

*
* *

საქართველოს სამრეწველო განვითარების საკითხები გაშუქებულია ა. კოპლავაშვილის წიგნში—„საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX საუკუნეში" (თბ. 1962 წ.). წიგნში ფართო ადგილი აქვს დათმობილი მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრიობის დამოკიდებულებას ქვეყნის ეკონომიური განვითარების საკითხებისადმი. ამასთანავე ავტორი სამთამადნომეტალურგიული წარმოების საკითხების განხილვასთან დაკავშირებით ეხება დამმუშავებელი მრეწველობის ზოგიერთი დარგის განვითარებას. კერძოდ, გაშუქებული აქვს ლითონისა და მანქანა-იარაღების გამოყენების საკითხი წარმოების ამა თუ იმ დარგში.

საერთოდ ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების დაწინაურებას ავტორი 40-50-იანი წლებიდან აღნიშნავს, სოფლად მანქანა-იარაღების გავრცელებას უკავშირებს მანქანათმშენებლობის დარგის აღმოცენებას (შტუსეს მექანიკური სახელოსნო და სხვა), აღნიშნავს ლითონდამმუშავებელ დარგში ხელოსნური წარმოების წვრილ სასაქონლო წარმოებად გადაქცევის პროცესს, დაქირავებული შრომის გამოყენების ზრდას ხელოსნობაში, კაპიტალისტურ მარტივ კოოპერაციის და მანუფაქტურული ტიპის საწარმოთა რიცხვის ზრდას, უკვე რეფორმამდელ ხანაში ორთქლის ძრავის სპორადულ გამოყენებას. ავტორი ჩერდება შედარებით მსხვილ საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობისა და ენერგეტიკული ბაზის საკითხებზე. განსაკუთრებულ ყურადღებას ამ მხრივ უთმობს ლითონდამმუშავებელ მრეწველობას; აღნიშნავს, რომ რეფორმამდე მსხვილი კაპიტალისტური საწარმონი ერთეულებს შეადგენდნენ, გაბატონებული იყო წვრილი ხელოსნურ-შინამრეწველური წარმოება. ავტორი საგანგებოდ ჩერდება სამთამადნომეტალურგიული წარმოების განვითარებაზე რეფორმის მომდევნო ხანაში (რკინის წარმოება, ნავთობის მოპოვება, ჭიათურის მანგანუმის მრეწველობა), ცალკე განიხილავს მუშათა მდგომარეობას სამთამადნომეტალურგიულ წარმოებაში, როგორც რეფორმამდელ პერიოდში, ისე შემდეგ.

*
* *

საქართველოში მრეწველობის განვითარების არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი დაისვა ამ დარგისადმი მიძღვნილ ნაშრომებზე დაწერილ რეცენზიებში და აგრეთვე ამ ნაშრომების ავტორთა საპასუხო წერილებში.

ასეთების რიგს ეკუთვნის, მაგ., ა. კიკვიძის წერილი — „საქართველოში კაპიტალიზმის წარმოშობის ერთი სადავო საკითხისათვის" (ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1960, გვ. 54—63), რომელიც წარმოადგენს პასუხს პ. გუგუშვილის მიერ 1957 წ. გამოქვეყნებულ წიგნში („Развитие промышленности..." I) ა. კიკვიძის მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებზე.

1959 წელს გამოქვეყნდა გ. ბაქრაძის წიგნზე ა. კიკვიძის, ა. ბენდიანიშვილის, ბ. ხასიას, გ. გველესიანის და გ. თოდუას რეცენზია: „როგორ არ უნდა იწერებოდეს მონოგრაფიული გამოკვლევა" (ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1959, № 1, გვ. 90-95). იგივე რეცენზია რუსულად გამოქვეყნდა 1964 წელს სათაურით: „По поводу одной работы по истории капитализма в Грузии" („მაცნე", 1964, № 4, გვ. 282—288).

პასუხს აღნიშნულ რეცენზიაზე წარმოადგენს გ. ბაქრაძის წერილი: „საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების ზოგიერთი საკითხის სწორი გაგებისათვის" (თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 100, 1963, გვ. 233—251).

1960 წ. გამოქვეყნდა ა. ბენდიანიშვილის და ი. უთურაშვილის რეცენზია დ. გოგოლაძის წიგნზე: „კაპიტალისტური საწარმოები..." (ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1960, № 12, გვ. 85—87), ხოლო 1961 წელს დ. გოგოლაძის საპასუხო წერილი: „კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხის შესახებ საქართველოში" (ჟურნ. „მოამბე", 1961, № 3, გვ. 300—318).

ჩვენ აქ ცალკე არ შევეხებით აღნიშნულ კრიტიკულ წერილებსა და ავტორთა პასუხებს, რადგან სამრეწველო განვითარების ისტორიის დარგში მომუშავე სპეციალისტების დებულებებს ეეხებით თვით მათი ნაშრომების განხილვისას. ამასთანავე, ამა თუ იმ ავტორის ზემოჩამოთვლილ ზოგიერთ წერილს საჭიროების შემთხვევაში ვეხებით ისტორიოგრაფიულ ნარკვევში.

*
* *

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ მე-19 საუკუნეში საქართველოს სამრეწველო განვითარების შესწავლისადმი მიძღვნილი თითქმის ყველა ნაშრომი. ამ შრომების განხილვამ გვიჩვენა, რომ 30-იანი წლებიდან თანდათან ფართოვდება მკვლევართა მიერ გამოყენებული ახალი საარქივო წყაროების წრე, ღრმავდება მრეწველობის განვითარების ისტორიის კვლევა-ძიება. ასე მაგ., თუ კი ფ. მახარაძეს 30-იან წლებში მოცემული აქვს მრეწველობის განვითარების ზოგადი მონახაზი, თანდათან შესწავლის საგნად ხდება ამ პრობლემის ცალკეული საკვანძო საკითხები. 40-იანი წლებისათვის უკვე საგანგებო შესწავლის საგნად იქცევა ხელოსნური წარმოება, მანუფაქტურა, ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება. მოიხაზა საქართველოს ეკონომიური განვითარების ძირითადი ეტაპები: მე-19 ს. პირველი მესამედი მიჩნეულია ვაჭრობისა და ხელოსნობის გამოცოცხლების ხანად, 40-იანი წლებიდან აღნიშნულია ხელოსნურ-შინამრეწველური წარმოების გვერდით კაპიტალისტურ საწარმოთა გაჩენის პროცესი. საგლეხო რეფორმა და რკინიგზების მშენებლობა განხილულია, როგორც კაპიტალისტური მრეწველობის სწრაფი განვითარების ფაქტორები, ხოლო 70—90-იანი წლები, როგორც მანქანურ წარმოებაზე გადასვლის, ე. ი. სამრეწველო გადატრიალების პერიოდი, მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობის გამარჯვებისა და მუშათა კლასის ჩამოყალიბების პერიოდი. ხაზგასმით არის აღნიშნული რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შემფერხებელი გავლენა საქართველოს სამრეწველო განვითარებაზე, მრეწველობის შეზღუდული, ცალმხრივი ხასიათი.

50-იანი წლებიდან ფართოვდება მრეწველობის განვითარების ამსახველი ახალი საარქივო მასალების გამოყენება. გამოვლინდა მე-19 ს. პირველ ნახევარში არსებული, როგორც წვრილ, ისე შედარებით მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოთა შესახებ მანამდე უცნობი მასალები, რომელთაც შესაძლებელი გახადეს ამ პერიოდის სამრეწველო განვითარების შესწავლის შემდგომი გაღრმავება, კერძოდ როგორც მრავალრიცხოვან წვრილ საწარმოთა კაპიტალისტური ხასიათის (კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია) დადგენა, ისე შედარებით მსხვილ საწარმოთა (მანუფაქტურა) შემდგომი შესწავლა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ მხრივ ჰქონდა უკვე მე-19 ს. პირველ ნახევარში დაქირავებული შრომის სისტემატიური გამოყენების ფაქტის დადგენას, როგორც წვრილ, ისე შედარებით მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოებში.

ახალი საარქივო მასალების გამოყენებამ შესაძლებელი გახადა მე-19 ს. მეორე ნახევრის სამრეწველო განვითარების საკითხების შესწავლის გაღრმავებაც. კერძოდ, გაფართოვდა წარმოდგენა ცალკეული ფაბრიკა-ქარხნების შესახებ, შესაძლებელი გახდა ახალი კაპიტალისტური ტექნიკის (ორთქლის მანქანები) შემოსვლის პროცესის თვალის გადევნება, გადაიდგა ნაბიჯი მრეწველობის სხვადასხვა ფორმის თანაფარდობის დადგენის, წვრილი წარმოებიდან მსხვილი წარმოების გამოყოფის მიმართულებით.

ამრიგად, მე-19 საუკუნეში საქართველოს სამრეწველო განვითარების შესწავლის მიმართულებით ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიას მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს მოპოვებული, თუმცა არაერთი საკითხია ჯერ კიდევ სადავო და შემდგომ კვლევა-ძიებას საჭიროებს. ასე მაგ., მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა რეფორმისწინადროინდელ საქართველოში კაპიტალისტური წყობის, რეფორმის შინაგანი წინაპირობების არსებობის შესახებ, მრეწველობის მანუფაქტურული სტადიის შესახებ და სხვა. მრავალი საკითხი მოითხოვს დაზუსტებასა და დამატებით კვლევა-ძიებას (მრეწველობის სხვადასხვა ფორმების თანაფარდობის, სამრეწველო გადატრიალების დროის საკითხი და სხვა.)

ზემოაღნიშნულ საკითხებზე პასუხის გაცემა შეადგენს თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მორიგ ამოცანას, ხოლო წინამდებარე წიგნში ავტორი მიზნად ისახავს შესაძლებლობისდაგვარად შეიტანოს თავისი წვლილი ამ საქმეში.

———

წყაროების მიმოხილვა

საქართველოს სამრეწველო განვითარების ისტორიის კვლევა-ძიების საქმე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული წყაროების გამოვლენისა და შესწავლის მდგომარეობაზე. უკვე 30-იან წლებში, როგორც აღინიშნა, ფ. მახარაძე მიმართავდა საარქივო დოკუმენტებს, კერძოდ ოფიციალურ სტატისტიკას—გუბერნატორთა ანგარიშებისადმი დართულ უწყისებს „ფაბრიკულ-ქარხნული" მრეწველობის მდგომარეობის შესახებ და ამჟღავნებდა კრიტიკულ დამოკიდებულებას მათდამი. ამასთანავე იგი სარგებლობდა გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებით, სხვადასხვა სახის აღწერილობითი მასალებით. 40-იანი წლებისათვის საარქივო დოკუმენტების გამოვლენისა და გამოყენების საქმე საგრძნობლად წაიდა წინ. მაგრამ ჯერ კიდევ ძირითად წყაროს „ფაბრიკულ-ქარხნული" მრეწველობის უწყისებთან ერთად წარმოადგენდა - არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოცემულ „აქტებში" დაცული მასალები, პერიოდული პრესა და ოფიციალური სტატისტიკური კრებულები თუ მიმოხილვები. განსაკუთრებული ადგილი მათ შორის უჭირავს ს. გულიშამბაროვის ნაშრომებს[83].

50-იანი წლებიდან საარქივო მასალის გამოვლენისა და შესწავლის საქმეს კიდევ უფრო მეტი ყურადღება ექცევა. მკვლევარნი ფართოდ მიმართავენ როგორც საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის სხვადასხვა ფონდებში დაცულ მანამდე გამოუყენებელ მასალებს, ასევე ლენინგრადის ცენტრალური საისტორიო არქივის მასალას.

ამ მასალამ შესაძლებელი გახადა საქართველოს სამრეწველო განვითარების არაერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის დასმა და ახ-

---

[83] С. Гулишамбаров, Обзор фабрики и заводов Тифлисской губернии, Тиф., 1888; его-же—Обзор фабрик и заводов Закавказского края, Тиф., 1894.

ლებური გაწუქება, მაგრამ აქამდე მრეწველობის განვითარების ზოგადი სურათის დადგენისას, სამრეწველო საწარმოთა რიცხვის, პროდუქციის მოცულობისა და მუშათა რაოდენობის შეჯამებისას, მკვლევარნი ძირითადად ემყარებიან გუბერნატორთა ანგარიშებისადმი დართულ „უწყისების“ მონაცემებს. აღნიშნულის გამო ჩვენ თავდაპირველად საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ ამ წყაროს მეცნიერული ღირებულების საკითხს.

ჩვენ დეტალურად შევისწავლეთ გუბერნატორთა ანგარიშებისადმი დართული 80-90-იანი წლების უწყისები „საფაბრიკო-საქარხნო“ წარმოების შესახებ მრეწველობის ცალკეული დარგების მიხედვით. დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ საერთოდ ეს წყარო არასანდოა, განსაკუთრებით კი ყალბ წარმოდგენას ქმნის უწყისებში გამოყვანილი ჯამები საწარმოთა რაოდენობის, პროდუქციის მოცულობისა და მუშათა რიცხვისა.

უწყისების ერთ-ერთი არსებითი ნაკლი ის არის, რომ მრეწველობის ცალკეული დარგების შესახებ წარმოდგენილი მონაცემები წლების მიხედვით ხშირ შემთხვევაში არათანამიმდევრულადაა მოცემული; ამა თუ იმ წელს სულ არ არის ცნობები მრეწველობის მთელი დარგის, ან რომელიმე ქალაქსა თუ მაზრაში ამ დარგის საწარმოების შესახებ, მაშინ როდესაც წინა და მომდევნო წლებში ასეთი ცნობები უწყისებში შეტანილია. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ესა თუ ის დარგი კი არ გამქრალა, ან აღნიშნული სახის წარმოება კი არ შეწყდა ამა თუ იმ ქალაქსა თუ მაზრაში (რაც შესაძლებელია მომხდარიყო კიდეც), არამედ უბრალოდ მოცემულ წელს სათანადო მონაცემები არ არის შეტანილი უწყისში. სამაგიეროდ ზოგ შემთხვევაში უწყისებში შეტანილია ცნობები ისეთი დარგების შესახებ, რომელნიც არც წინა და არც მომდევნო წლებში არ არიან ასახული, მათი არსებობა კი ამ დროსაც სავარაუდებელია.

ასე მაგ., 1886 წლის უწყისში არ არის შეტანილი მონაცემები ისეთ საწარმოთა შესახებ, როგორიცაა სახერხი ქარხნები, როგორც ქალ. თბილისში, ისე საერთოდ თბილისის გუბერნიის მასშტაბით, ხოლო საკუთრივ თბილისში—მექანიკურ-საზეინკლო საწარმონი, ეტლების წარმოება და სხვა[84]. ამავე დროს 1886 წლის უწყისში მოხ-

---

[84] ეს საწარმოები არ უნდა იგულისხმებოდეს სვეტში „სხვა საწარმონი“, რომელშიც ამ წელს რატომღაც გატანილია საწარმოების მნიშვნელოვანი რაოდენობა — 72, აქ, ჩვენის აზრით, ძირითადად წვრილი საწარმოები უნდა ვიგულისხმოთ, სწორედ ისინი, რომელნიც 1885 წლის უწყისში, განსხვავებით სხვა წლების უწყისებისაგან, დიდი რაოდენობით არის აღნიშნული. მაგ., საკონდიტრო საწარმო—34, ავეჯის საწარმო—38, ძეხვის საწარმო—16, ქვის სათლელი—9 და სხვ.

სენებულია თბილისის ისეთი საწარმონი, რომელნიც სხვა დროს არ შეჰონდათ უწყისებში (მაგ., ქურქის 13 საწარმო).

80-იანი წლების დასაწყისში ქ. სიღნაღსა, სიღნაღის და ბორჩალოს მაზრებში, ხოლო 1895 წელს მთლიანად ქუთაისის გუბერნიაში არ არის აღნიშნული აგურის, კრამიტისა და თიხის ჭურჭლის საწარმოები, მაშინ, როდესაც წინა თუ მომდევნო წლებში აქ ასეთ საწარმოთა მნიშვნელოვანი რაოდენობაა ნაჩვენები. 1887 წელს გორის მაზრაში კირის საწვავი საწარმონი სულ არ არის ნაჩვენები, წინა წელს კი აქ 107 ასეთი საწარმოა დასახელებული.

ქუთაისის გუბერნიაში აგურის „ქარხნების" შესახებ მონაცემების მერყეობის მაგალითად საკმარისია მოვიტანოთ ცნობები შორაპნის მაზრის შესახებ. 1881 წელს აქ 182 ასეთი საწარმო იყო აღნიშნული. 1883 წელს—45, 1886 წელს—224. 1888—1889 წლებში—32, 1891 წელს — 235. შესაბამისად მერყეობს პროდუქციის ღირებულების და მუშათა რიცხვის მაჩვენებლებიც.

წვრილი საწარმოები—საპნის, ტყავის, თამბაქოს, ზეთსახდელი, მინერალური წყლების და სხვა როგორც თბილისის, ასევე ქუთაისის გუბერნიის უწყისებში, ცალკეული ქალაქებისა თუ მხარეების მიხედვით ხან ნაჩვენებია, ხან არა. 1886 წელს სულ არ არის აღნიშნული ფოთში სახერხი „ქარხნების" რიცხვი, მაშინ, როდესაც წინა წლების უწყისებში აქ 8 ასეთი „ქარხანაა" აღნიშნული, 80 ათასი მანეთის პროდუქციით და 80 მუშით. მომდევნო წლებში მონაცემები ამ ქარხნების შესახებ ისევ იჩენენ თავს.

ყოველივე აღნიშნულს უნდა დაემატოს ისიც, რომ ზოგიერთი წლის უწყისში შეტანილია ასობით წისქვილი და არყის სახდელი „ქარხანა", არსებითად არყის გამოსახდელი ქვაბი, რაც მნიშვნელოვნად ცვლის ამ წლებში საწარმოთა რაოდენობის, პროდუქციისა და მუშათა რიცხვის მაჩვენებლებს. ასე მაგ., თბილისის გუბერნიის უწყისში 1886 წ. შეტანილია 2862 წისქვილი. 1890 წელს—777. 1891 წელს—1406. 1897 წელს—2604, 1898 წელს—2609. სხვა წლებში წისქვილები უწყისებში სულ არ შეჰქონდათ. ქუთაისის გუბერნიაში 1891 წელს 6322 წისქვილია ნაჩვენები. სხვა წლებში კი ძნელად რამოდენიმე მსხვილი წისქვილი.

1886 წელს თბილისის გუბერნიაში 196 არყის სახდელი საწარმოა ნაჩვენები, 1887 წელს—426, 1897 წელს—419. 1898 წელს — 479, სხვა წლებში კი გაცილებით ნაკლები. სულ რამდენიმე ათეული საწარმო. ქუთაისის გუბერნიაში 1880 წელს 141 ასეთი საწარმოა აღრიცხული, 1893 წელს კი 700-ზე მეტი, 1895 წელს—560-მდე, სხვა წლებში კი მხოლოდ ერთეულები. ყოველივე ეს, ცხადია, მხოლოდ სააქციზო პოლიტიკის გავლენას არ შეიძლება მიეწეროს.

თავი რომ დავანებოთ საწარმოთა რაოდენობას და თითოეულ წისქვილზე, თუ არყის სახდელ საწარმოზე 1 ან 2 მუშაც რომ ვივარაუდოთ, ცალკეული წლების მიხედვით მუშათა რიცხვში მნიშვნელოვან განსხვავებას მივიღებთ.

გუბერნატორების ანგარიშებისადმი დართულ უწყისებს სხვა ნაკლიც ახასიათებთ. ხშირ შემთხვევებში დიდი სხვაობა არსებობს ერთი და იგივე დარგის საწარმოთა, ან ზოგჯერ ერთი და იგივე საწარმოს შესახებ სხვადასხვა წლების ციფრობრივ მონაცემებში. ასე მაგ., თბილისში მირზოევის საფეიქრო ფაბრიკის პროდუქციის ღირებულება 1880 წელს ნაჩვენებია 3 მილიონი მანეთი, მომდევნო 1881 წელს კი მხოლოდ 650 ათასი მანეთი, 1884 წ. ნაჩვენებია 1 20ᲐᲐᲐᲐ მანეთის პროდუქცია, მაშინ, როდესაც წინა წელს ნაჩვენებია 432 ათასი მანეთის, ხოლო მომდევნო წელს 300 ათასი მანეთისა. ამავე დროს მუშათა რაოდენობაში ამ წლებში ასეთი დიდი სხვაობა არ არის აღნიშნული (1883 წ.—400, 1884 წელი—415, 1885 წ.—374).

1885 წელს თბილისში ნაჩვენებია 38 ბამბის გადამმუშავებელი საწარმო, წინა წელს მხოლოდ სამი, მომდევნო წელს კი 1. ამავე დროს 1885 წელს აღნიშნულ 38 საწარმოში სულ 7 მუშაა ნაჩვენები, წინა წელს აღნიშნულ 3 საწარმოში კი 16 მუშა. 1885 წელს თბილისში ნაჩვენებია 8 სახერხი ქარხანა, 1886 წელს აქ ასეთი საწარმოები სულ არ არის აღნიშნული, ხოლო 1887 და 1888 წლებში მათი რიცხვი 44 და 42 აღწევს; 1890 წელს ანღიშნულია მხოლოდ 5 ასეთი საწარმო, შემდეგ წლებში კი მათი რიცხვი მერყეობს 40-დან 70-მდე. როგორც ვხედავთ, უწყისებში ხან შექონდათ წვრილი სახერხი „ქარხნები", ხან არა. 1886 წელს უწყისში, როგორც ითქვა, საერთოდ ასეთი საწარმონი სულ არ შეუტანიათ. 1894—1897 წლებში თბილისში ნაჩვენებია 7-8 ტყავის ქარხანა, 1898 წელს—38, მომდევნო 1899 წ. კი ისევ 6.

1882—1884 წლების უწყისების თანახმად თბილისის 3 არყის სახდელი „ქარხანა" ყოველწლიურად უშვებდა 30 ათასი მანეთის პროდუქციას, 1885 წლის უწყისის თანახმად კი იგივე „ქარხნებს" გამოუმუშავებიათ 328 ათასი მანეთის პროდუქცია. ამავე დროს 1882—84 წლებში მუშათა რიცხვი აქ იყო 20, ხოლო 1885 წელს 19 მუშაა ნაჩვენები. ე. ი. მუშათა რაოდენობა თითქმის არ შეცვლილა. მომდევნო წლებში აღნიშნული „ქარხნების" პროდუქცია კვლავ კლებულობს.

თბილისის თუჯსასხმელი ქარხნის პროდუქციის ღირებულება 1882—1884 წლებში შეადგენდა 40 ათას მანეთს. აქ ამ დროს 45 მუშაა ნაჩვენები. 1885 წელს იგივე საწარმოს პროდუქციის ღირე-

ბულება 15 ათას მანეთამდე ჩამოდის, ხოლო მუშათა რიცხვი—20-მდე. 1886 წლის პროდუქციის ღირებულება 713 ათასი მანეთია ნაჩვენები, ხოლო მუშათა რაოდენობა კვლავ 45. 1887 წ. პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 64. 500 მანეთს, მუშათა რაოდენობა კი 12-ს. მომდევნო წლებში უკვე 2-3 ასეთი ქარხანაა ნაჩვენები, რომელთა პროდუქციის ღირებულება და მუშათა ოდენობა აგრეთვე ძალზე მერყეობს.

1880 წელს თბილისში ნაჩვენებია ერთი აბრეშუმსახვევი ფაბრიკა. 204 ათასი მანეთის ღირებულების პროდუქციით და 260 მუშით. მომდევნო წლებში კი 7—9 ასეთი ფაბრიკა, მხოლოდ 16—30 ათასი მანეთის ღირებულების პროდუქციით და 30—50 მუშით. სხვა მონაცემებიდან ირკვევა, რომ 1880 წელს თბილისში იყო 8 წვრილი აბრეშუმსახვევი „ფაბრიკა", თითოეული 4—13 მუშით და 2—4 ათასი მანეთის ღირებულების პროდუქციით, ხოლო ესოდენ დიდი საწარმოს არსებობა აქ ამ დროს არ დასტურდება.

ზემოთ ჩვენ შევეხეთ მხოლოდ თბილისის მონაცემებს, რადგან აქ მეტი რაოდენობით და შედარებით მსხვილი საწარმოები იყო თავმოყრილი და უწყისების მაჩვენებლების მერყეობა უფრო თვალნათლივ ჩანს, მაგრამ იგივე მერყეობა შეიმჩნევა სხვა ქალაქებისა და მაზრების მაჩვენებლებშიაც. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიტანოთ სენაკის მაზრაში არსებული სახერხი ქარხნების მაგალითი. 1883 წელს აქ ნაჩვენებია 1 ასეთი ქარხანა, რომლის პროდუქციის ღირებულება უდრიდა 3 ათას მანეთს, მუშათა რიცხვი კი ამ წელს 1440-ია აღნიშნული, რაც აშკარა შეცდომაა. მომდევნო წლებში მუშათა რიცხვი ამ საწარმოში მერყეობს 2-დან 7-მდე, 1893—1894 წლებში კი ამ საწარმოს პროდუქციის ღირებულება 10—15 ათასამდე აღწევს, მუშათა რიცხვი კი 20-მდე.

ზემოაღნიშნულ უზუსტობებსა და შეცდომებთან ერთად საფაბრიკო-საქარხნო წარმოების უწყისებში შეინიშნება აშკარა კორექტურული შეცდომებიც, რომელნიც, თავის მხრივ აგრეთვე ახდენენ გავლენას ჯამურ მონაცემებზე. ასე მაგ., თელავში 1885 წლის უწყისის თანახმად იყო 184 კირის საწვავი საწარმო, 92 ათასი მანეთის ღირებულების პროდუქციით და 368 მუშით, ხოლო მომდევნო 1886 წელს აქ ნაჩვენებია იგივე 184 ასეთი საწარმო, ასევე 368 მუშით, მაგრამ 29 ათასი მანეთის პროდუქციით. ორივე წელს კირის საწარმოთა პროდუქციის ღირებულების ჯამი ამ განსხვავებული მონაცემების მიხედვით არის ნაანგარიშევი, მაშინ, როდესაც აქ აშკარად ციფრების მექანიკურ გადასმასთან გვაქვს საქმე (ან 29 გადაკეთდა 92-ად, ან პირიქით), რამაც მოგვცა 60 ათასი მანეთის სხვაობა პროდუქციის ღირებულებაში.

არის შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ სვეტში არ არის აღნიშნული საწარმოთა რაოდენობა და მოცემულია მხოლოდ პროდუქციის ღირებულება და მუშათა რაოდენობა, ან არ არის აღნიშნული მუშათა რაოდენობა; ცალკეულ საწარმოთა რიცხვი არ ემთხვევა ჯამის აღმნიშვნელ რიცხვს და სხვა.

შეიძლებოდა კიდევ უამრავი მაგალითების მოყვანა, მაგრამ ვფიქრობთ ზემოაღნიშნულიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ გუბერნატორების ანგარიშებისადმი დართული „ფაბრიკულ-ქარხნული" წარმოების უწყისები არ წარმოადგენენ სანდო წყაროს მრეწველობის განვითარების სურათის დასადგენად. ამდენად სამეცნიერო ლიტერატურაში ყოველწლიური უწყისების ჯამური მონაცემების მიხედვით სამრეწველო დაწესებულებათა რაოდენობის, პროდუქციის ღირებულების და მუშათა რიცხვის დინამიკის დადგენის მიღებული წესი მეტად ნაკლოვანია. ამ წესით მიღებული სურათი არაზუსტია და არ ასახავს საქმის ნამდვილ ვითარებას. აღნიშნული უწყისების გამოყენება ამ მიზნით შესაძლებელია არა ჯამების მონაცემებზე დაყრდნობით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ცალკეული დარგების მიხედვით უწყისებში შეტანილი მონაცემების მ კ ა ც რ ი კ რ ი ტ ი კ უ ლ ი შ ე ს წ ა ვ ლ ი ს შ ე მ დ ე გ, რ ა ც ა ქ ა მ დ ი ს ა რ ა ვ ი ს ა რ უ ც დ ი ა[85].

გასათვალისწინებელია ისიც, რომ უწყისების მონაცემებით სარგებლობისას შეუძლებელია მრეწველობის სხვადასხვა ფორმების გამოყოფა ურთიერთისაგან, როდესაც საწარმოთა რაოდენობა ერთს აღემატება, რადგან წვრილი და შედარებით მსხვილი საწარმოები აქ ერთად არის მოქცეული. საშუალო ციფრების გამოყვანა კი ამ შემთხვევაში სურათის გაყალბება უფროა, ვიდრე ფაქტიური ვითარების დადგენა.

ამასთანავე უწყისები გამორიცხავენ ე. წ. „ხელოსნურ" წარმოებას, რომელიც ამ დროს ცალკე აღირიცხებოდა, მაგრამ ფაქტიურად მოიცავდა არაერთ წვრილ და ზოგ შემთხვევაში საკმაოდ მოზრდილ კაპიტალისტურ საწარმოს (მაგ.. ფეხსაცმელისა და ტანისამოსის სამკერვალოები და სხვა). მეორე მხრით, უწყისებში შეტანილია წვრილი ხელოსნური საწარმოები, რომელნიც არც პროდუქციისა და მუშათა რაოდენობით, არც თავისი ხასიათით, არ შეეფერებიან ფაბრიკულ-ქარხნულ წარმოებას.

---

[85] მკვლევართა მიერ ცალკეულ შემთხვევაში უწყისების მონაცემებიდან მხოლოდ წვრილი არყის სახდელი საწარმოების თუ წყლის წისქვილების გამორიცხვა საკმარისი არ არის.

ამიტომ, როგორც მრეწველობის განვითარების ზოგადი სურათის, ისე მრეწველობის სხვადასხვა ფორმის თანაფარდობის დასადგენად საჭიროა მოვიშველიოთ სხვა, უფრო სანდო წყაროები.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გუბერნატორთა ანგარიშებისადმი დართული უწყისები, როგორც წყარო მრეწველობის განვითარების შესასწავლად ადრეული პერიოდისათვის, კერძოდ 60-იან წლებამდე შედარებით უფრო სანდოა, რადგან ამ დროისათვის თვით მრეწველობა საქართველოში იმდენად მრავალფეროვანი არ იყო, როგორც მომდევნო ხანაში, თუმცა ამ დროსაც სხვადასხვა პრინციპით ხდებოდა უწყისების შედგენა. ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების განვითარების შემდეგ კი, როდესაც გარკვეულ როლს წვრილი წარმოებაც ინარჩუნებს, უწყისებს, როგორც წყაროს სულ უფრო და უფრო ეკარგებათ ღირებულება.

*

* *

ნაშრომში ჩვენ მიერ გამოყენებულია როგორც გამოქვეყნებული წყაროების (სტატისტიკური კრებულები, მიმოხილვები და სხვა) მონაცემები, ისე სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე ცნობილი. თუ სრულიად ახალი საარქივო მასალები.

მრეწველობის განვითარების შესასწავლად, ადრეულ ეტაპზე საინტერესო მონაცემებს შეიცავს ცალკეულ სამრეწველო საწარმოთა გახსნასთან, მათ მუშაობასთან დაკავშირებული მიმოწერა; ხშირ შემთხვევაში ეს არის ვაჭარ-მრეწველთა თხოვნები ხელისუფლებისადმი საწარმოს გახსნის ნებართვის მიცემისა, თუ ფულადი დახმარების აღმოჩენის შესახებ და სხვა. გვხვდება ცალკეულ საწარმოთა უწყისები თუ აღწერილობანი, შესრულებული ხელისუფლების დავალებით სათანადო სპეციალისტების—ინჟინერ-ტექნოლოგების მიერ.

კასტელას აბრეშუმის „ფაბრიკის" შესახებ არსებობს სპეციალური ფონდი[86], რომელიც საკმაო სისრულით ასახავს ამ საწარმოს დაარსებისა და შემდგომი ბედის ისტორიას.

ოჯახურ და ხელოსნურ წარმოებაზე 40-იან წლებში ცნობებს გვაწვდიან ე. წ. „უწყისები მანუფაქტურული მრეწველობის შესახებ" მაზრების მიხედვით[87] და ასეთივე გაერთიანებული უწყისი.

---

[86] სცსია, ფონდი 272.

[87] სცსია, ფონდი 16, საქმე 8888

რომელიც წარმოადგენს 1845 წლის „საქართველო-იმერეთის გუბერნიის“ ანგარიშის დანართს[88].

შედარებით მსხვილ სამრეწველო საწარმოთა შესახებ თბილისში და აგრეთვე ზოგიერთ მაზრაში 40-იანი წლების დასაწყისში საყურადღებო ცნობებია დაცული ამ დროის „ფაბრიკა-ქარხნების“ უწყისებში, რომელნიც საქალაქო თუ სამაზრო ადმინისტრაციის მიერ საგანგებოდ იყო შედგენილი „საფაბრიკო-საქარხნო“ წარმოების მდგომარეობის შესწავლასთან დაკავშირებით[89]. 50-იანი წლებისათვის მოგვეპოვება ქუთაისსა და ახალციხეში არსებული წვრილი საწარმოების (უმთავრესად აგურის, ტყავისა და საპნის ე. წ. „ქარხნების“) უწყისები[90], რომელნიც წარმოდგენას გვიქმნიან ასეთ საწარმოთა ხასიათზე.

მე-19 ს. 60-იანი წლებიდან სტატისტიკური კომიტეტის დაარსებისა და სტატისტიკის საქმის თანდათანობით მოგვარებასთან დაკავშირებით ჩნდება ამ დაწესებულებების მიერ შედგენილი უწყისები, რომელნიც ასახავენ ხელოსნობის თუ „ფაბრიკულ-ქარხნული“ მრეწველობის მდგომარეობას[91].

ხელოსნობისა და წვრილი წარმოების განვითარების შესახებ 60-იანი წლების შუახანების თბილისში ძვირფას მასალებს შეიცავს ამქრების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით შედგენილი ადგილობრივი და უცხოელი ხელოსნების შედარებითი აღწერილობა[92].

მე-19 ს. 80-იანი წლებისათვის ჩვენ ხელთ გვაქვს ცალკეული „ფაბრიკა-ქარხნების“ უწყისები, შედგენილი თვით საწარმოთა მეპატრონეების მიერ. კერძოდ, ასეთი უწყისები გამოვლენილია 1880 წლის[93] და 1885 —1886 წლებისა თბილისის გუბერნიის[94], ხოლო 1885 წლის ქუთაისის გუბერნიის[95] შესახებ. ეს მასალა წარმოადგენს ძვირფას წყაროს, როგორც შედარებით მსხვილი, ისე წვრილი კაპიტალისტური წარმოების შესასწავლად. აღნიშნული უწყისები შეიცავენ ცნობებს საწარმოს დაარსების დროის, მუშათა რაოდენობის,

---

88 ლენ. ცსია, ფონდი 1268, აღწერა 2, საქმე 349, ფურც. 95—98.

89 სცსია, ფონდი 16, საქმე 6105 და 6351.

90 სცსია, ფონდი 4, აღწ. 5, საქმე 125.

91 სცსია ფონდი 414, აღწ. 1, საქმე 18; იხ. აგრეთვე: **Сборник статистических сведений о Кавказе, I, Тифл., 1869, ч. IV.**

92 სცსია, ფონდი 7, აღწ. 1, საქმე 2229, ფურც. 81—92.

93 სცსია, ფონდი 17, საქმე 486.

94 სცსია, ფონდი 204, საქმე 592 და 654.

95 ლენ. ცსია, ფონდი 20, აღწ. 12, საქმე 100.

პროდუქციის მოცულობისა თუ ღირებულების, და საწარმოს ტექ-ნიკური აღჭურვილობის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის გუბერნიაში 80-იანი წლების შუახანების მრეწველობის შესახებ დაწვრილებით ცნობებს შეიცავს აგრეთვე ს. გულიშამბაროვის შრომა — „Историко-статистический обзор фабрик и заводов Тифлисской губернии в связи с развитием в ней кустарных промыслов", Тифл., 1888 г. ზემოაღნიშნული უწყისები და გულიშამბაროვის მონაცემები მნიშ-ვნელოვნად ავსებენ ერთმანეთს, გვაძლევენ ცნობების შემოწმების საშუალებას მათი შედარების გზით. მით უმეტეს, რომ ს. გულიშამ-ბაროვის ნაშრომი შეიცავს არა მარტო სტატისტიკურ მონაცემებს წარმოების ამა თუ იმ დარგის შესახებ, არამედ აგრეთვე იძლევა მთლიანად ამ დარგების თუ ცალკეული საწარმოების აღწერილობას. მისი ნაშრომის ღირსებას ზრდის ის, რომ ცნობები შეკრებილია პი-რადად მის მიერ და შემოწმებულია ადგილზე საწარმოთა დათვა-ლიერების დროს.

ხელოსნური და წვრილი კაპიტალისტური წარმოების შესახებ აღნიშნულ პერიოდისათვის დეტალურ ცნობებს გვაწვდიან ე. წ. „სა-ვაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა გენერალური შემოწმების (აღწერის ჟურნალები", რომელნიც 80-იანი წლების შუახანებიდან რეგულარულად დგებოდა[96], და განსაკუთრებით კი 1893 წლის ცალკეულ „ხელოსნურ" საწარმოთა აღწერის უწყისები, შედგენილი სტატისტიკური კომიტეტის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს და-ვალებით[97].

„სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა გენერალური აღ-წერის ჟურნალები" შეიცავენ მონაცემებს წვრილ საწარმოთა შე-სახებ (სად იმყოფებოდა ან ვის ეკუთვნოდა საწარმო, რამდენი მუ-შა, თუ ქარგალი ან შეგირდი მუშაობდა მასში, ზოგ შემთხვევაში— რა მოცულობის პროდუქცია მზადდებოდა ამა თუ იმ საწარმოში და სხვა). მართალია „ჟურნალებში" არ არის დაწვრილებითი ცნობები შედარებით მსხვილ საწარმოთა შესახებ, ეს უკანასკნელნი აქ მხო-ლოდ მითითებულნი არიან, მაგრამ ამათ შესახებ ამ დროისათვის

---

[96] დაწვრილებით შესწავლილი გვაქვს 1886 წლის (სცსია, ფონდი 254, საქმე 3567, 3570, 3580) და 1888 წლის (სცსია, ფონდი 254, საქმე 3978, 3983, 3932) ჟურნალები.

[97] ლენ. ცსია, ფონდი 1290, აღწ. 5, საქმე 83, 118—129. სამწუხაროდ აღნიშ-ნული უწყისები ლენინგრადის არქივში აღმოჩნდა მხოლოდ თბილისის გუბერ-ნიის ხელოსნური წარმოების შესახებ.

არსებობს სხვა წყაროებიც (ცალკეული უწყისები, აღწერილობითი მასალა), რაც საშუალებას გვაძლევს მრეწველობის შესწავლისას შეავსოთ ეს წყაროები ერთმანეთით.

რაც შეეხება 1893 წლის „ხელოსნური" წარმოების უწყისებს, ისინი არსებითად წარმოადგენენ ანკეტურ მონაცემებს ძირითადად წვრილ საწარმოთა შესახებ, თუმცა ზოგ შემთხვევაში აქ გვხვდებოდნენ, შედარებით მსხვილი საწარმონიც, რომელნიც ტრადიციით, თუ თავისი ხასიათით ხელოსნურ საწარმოებში განიხილებოდნენ. ანკეტები თუ უწყისები შეიცავენ ცნობებს სახელოსნოების დაარსების დროის შესახებ, მუშების, თუ ქარგლებისა და შეგირდების ვინაობის შესახებ (წლოვანება, საიდან არის წამოსული, ეროვნება), სამუშაო პირობებისა და შრომის ანაზღაურების შესახებ და სხვა. აღნიშნული მასალა ძვირფასი წყაროა მე—19 ს. მიწურულისათვის საქართველოში არსებული წვრილი წარმოების მდგომარეობის და განვითარების შესასწავლად.

900-იანი წლებისათვის მრეწველობის მდგომარეობის შესწავლისას ჩვენ აგრეთვე ვემყარებით სხვადასხვა ხასიათის მასალებს, რომელნიც ავსებენ ერთმანეთს.

ერთ-ერთი ყველაზე მრავალმხრივი და შედარებით სრული წყაროა ხარკოვის საფაბრიკო ოკრუგის უფროსი ინსპექტორის ა. გნედიჩის ვრცელი ნარკვევი კავკასიაში მრეწველობის მდგომარეობის შესახებ[98], შედგენილი 1900 წელს ფინანსთა სამინისტროს ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტის დავალებით, კავკასიის მხარეზე საფაბრიკო-საქარხნო ინსპექციის შესახებ 1886 წლის 3 ივლისის კანონის გავრცელებასთან დაკავშირებით[99].

---

[98] А. Гнедич, Обзор промышленности фабрично-заводской, кустарной и горнозаводской губернии и областей Кавказского Края. ლენ. ცსია, ფონდი 23, აღწ. 17, საქმე 738. აღნიშნული ნარკვევი ხელნაწერთა ინსტიტუტში (ყოფ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება) დაცული პირის მიხედვით გამოაქვეყნა შ. ჩხეტიამ. იხ. „საისტორიო მოამბე", 1, 1945, გვ. 210—290.

[99] გნედიჩის მიმოხილვას ემყარება აგრეთვე დოკუმენტი: „Представление в Гос. Совет о распространений правил о надзоре за заведениями фабрично-заводской промышленности и о взаимоотношениях фабрикантов и рабочих на Черноморскую и Кутаисскую губерний" (ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 2, საქმე 2914). ეს დოკუმენტი შეიცავს ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების მრეწველობის აღწერას სათანადო ცხრილებით, რომელნიც იმეორებენ გნედიჩის მიმოხილვის მონაცემებს, რის გამოც მას ჩვენ ცალკე წყაროდ არ გავიხილავთ.

გნედიჩის მიმოხილვის, როგორც წყაროს ღირსებას ის შეადგენს, რომ თუმცა იგი ემყარება საგუბერნიო მექანიკოსების, სტატისტიკური კომიტეტისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ მიწოდებულ მასალებს, მან პირადადაც იმოგზაურა კავკასიაში და ამდენად, საშუალება ჰქონდა ადგილზეც გაცნობოდა მრეწველობის მდგომარეობას. ამავე დროს გნედიჩი იყო არა მარტო მოხელე, არამედ საქმეში საკმაოდ ჩახედული, გამოცდილი სპეციალისტი. იგი ცდილობს განასხვავოს სამრეწველო საწარმოები მათი მასშტაბების მიხედვით, ცალკე გამოჰყოფს უწვრილეს საწარმოებს და არ შეაქვს ისინი საერთო ჯამში (წყლის წისქვილები, თიხის ჭურჭლის სახელოსნოები, საკირეები, წვრილი სახერხები და სხვ.). აღსანიშნავია ისიც, რომ გნედიჩი ერთი თვალსაზრისით უდგება თბილისის და ქუთაისის გუბერნიების მრეწველობას, რაც აგრეთვე უპირატესობას აძლევს მის ცნობებს ცალკეულ მოხელეთა მიერ შეკრებილ ცნობებთან შედარებით.

მეტად მნიშვნელოვანია გნედიჩის მიერ გაკეთებული მუშათა რაოდენობის მიხედვით საწარმოთა თანაშეფარდების გაანგარიშება, რომელიც დღემდე უცვლელად არის გადმოღებული სამეცნიერო ლიტერატურაში.

ბაგრამ, გნედიჩის მიმოხილვის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ გვაძლევს ცნობებს ცალკეულ საწარმოთა შესახებ, არამედ წარმოგვიდგენს შეჯამებულ მონაცემებს წარმოების დარგების მიხედვით, წვრილ და მსხვილ საწარმოთა გამოუყოფლად. ამასთანავე მონაცემები ორთქლის ქვაბების შესახებ მას ცალკე აქვს განხილული, იმის მიუთითებლად, თუ რომელ საწარმოებში იყენენ ისინი გამოყენებული.

ერთი სიტყვით, გნედიჩის მიმოხილვა წარმოადგენს უფრო სათანადო მასალების ანალიზს, ვიდრე საარქივო პირველწყაროს. თუმცა მისი მნიშვნელობაც, როგორც წყაროსი, სხვა მონაცემების გათვალისწინებით, დიდია. არის შემთხვევები, როდესაც გნედიჩის მონაცემები არ ემთხვევა ჩვენ ხელთ არსებულ საკმაოდ სანდო სხვა წყაროების მონაცემებს. ასე, რომ არც გნედიჩის მიმოხილვაა დაზღვეული ცალკეულ უზუსტობათაგან[100].

---

[100] ჩვენ საგანგებოდ ვეძებეთ მიმოხილვის შედგენის დროს გნედიჩის განკარგულებაში არსებული მასალები, რომელნიც მოსალოდნელი იყო აღმოჩენილ ყოფნენ ხარკოვის საფაბრიკო ოლქის უფროსი ინსპექტორის ფონდში (უკრაინის ცენტრალური საისტორიო არქივი, ხარკოვის ფილიალი, ფონდი 834). მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი მასალა ამ ფონდში არ აღმოჩნდა, ჩანს იმის გამო, რომ ფონდის მასალების დიდი ნაწილი არ შემონახულა.

1900 წლისათვის მრეწველობის მდგომარეობის შესასწავლად ძვირფას მასალას შეიცავენ საფაბრიკო რევიზორის ვ. ვარზარის რედაქტორობით ფინანსთა სამინისტროს მრეწველობის განყოფილების მიერ გამოცემული „სტატისტიკური ცნობები", რომელნიც მოიცავენ აქციზით დაუბეგრავ წარმოების დარგებს[101]. გარდა საწარმოთა რაოდენობის ჩვენებისა დარგების მიხედვით, ეს კრებული შეიცავს დაწვრილებით მონაცემებს საწარმოთა პროდუქციის ოდენობის, მუშახელის, საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობის, ნედლეულის სახეობისა და ღირებულების შესახებ. მართალია აღნიშნულ კრებულშიც, ისევე როგორც გნედიჩის მიმოხილვაში, მონაცემები საწარმოთა შესახებ ცალკეული დარგების მიხედვით შეჯამებულადაა მოცემული, რაც აძნელებს ერთმანეთისაგან წვრილი და მსხვილი საწარმოების გამოყოფას, მათ ხასიათის გარკვევას და ამასთანავე კრებულში მხოლოდ აქციზით დაუბეგრავი დარგებია წარმოდგენილი. მაგრამ ამ ნაკლს ავსებს „რუსეთის ევროპული ნაწილის ფაბრიკა-ქარხნების სია", რომელშიც ამიერკავკასიის გუბერნიებიც არის შესული[102]. საყურადღებოა, რომ აღნიშნული „სია" შედგენილია ფინანსთა სამინისტროს მრეწველობის განყოფილებაშივე, საფაბრიკო ინსპექტორების მეშვეობით შეკრებილ იმავე მასალების საფუძველზე, რომელნიც დაუმუშავებია საფაბრიკო რევიზორს ვ. ვარზარს ზემოაღნიშნული—„სტატისტიკური ცნობებისათვის".

„სიაში" ცალკე არის ჩამოთვლილი ის საწარმოები, რომელნიც ვარზარის კერუბლში შეჯამებულად არიან წარმოდგენილი, მათი დაარსების თარიღის, პროდუქციის მოცულობის, მუშათა რაოდენობის და ზოგ შემთხვევაში ნედლეულის რაოდენობის და ღირებულების ჩვენებით. ამასთანავე აქ აქციზით დაბეგრილი საწარმოებიც არის შეტანილი. ამდენად, ეს ორივე გამოცემა ავსებს ერთმანეთს, კერძოდ „სია" აკონკრეტებს და აზუსტებს „სტატისტიკურ ცნობებს", თუმცა თავის მხრივ არ შეიცავს მონაცემებს საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ. ზოგ შემთხვევაში „სიაში" შესულია დამატებითი მონაცემები საწარმოთა შესახებ, რომელნიც რედაქციამ უშუალოდ მეფაბრიკეებისაგან მიიღო, მათთვის დაგზავნილი კითხვარების საფუძველზე, თუმცა ასეთი მონაცემები ყველა მეფაბრიკეს არ მოუწოდებია რედაქციისათვის.

---

101 Статистические сведения о фабриках и заводах по производствам не обложенным акцизом за 1900 г. Спб., 1903.

102 Список фабрик и заводов Европейской России, СПб., 1903.

როგორც ირკვევა, ვარზარის რედაქციით გამოცემული „სტატისტიკური ცნობების“ და ზემოაღნიშნული „სიის“ წყაროს წარმოადგენს ლენინგრადის არქივის სტატისტიკური კომიტეტის ფონდის საქმეებში დაცული ცალკეულ სამრეწველო საწარმოთა უწყისები, მათ შორის ქუთაისის გუბერნიის[103] და თბილისის გუბერნიის[104] სამრეწველო საწარმოთა უწყისები. სამწუხაროდ, აღნიშნულ საქმეებში დაცული უწყისები სრულად არ არის გამონახული. ასე მაგ., ხელთ გვაქვს ქუთაისის გუბერნიის მხოლოდ 9 საწარმოს, ხოლო თბილისის გუბერნიის მხოლოდ 23 საწარმოს უწყისი. ამავე დროს კი „სტატისტიკურ ცნობებში“ შეტანილია თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში არსებული 153 საწარმო, ხოლო—„სიაში“, აქციზით დაბეგრილ საწარმოთა ჩათვლით, 170 საწარმო. ჩანს აღნიშნულ საქმეებში შემორჩა მხოლოდ უმსხვილეს საწარმოთა ნაწილის უწყისები, მაგრამ ის, რაც ხელთ გვაქვს მეტად ძვირფასი მასალაა მსხვილი მრეწველობის შესასწავლად. ეს უწყისები შეიცავენ დეტალურ მონაცემებს საწარმოებზე, თუმცა მათაც ახასიათებს გარკვეული ნაკლი. ასე, მაგ., როგორც წესი, უწყისები იძლევიან ცნობებს არა საწარმოთა პროდუქციის ღირებულების შესახებ. არამედ მხოლოდ წარმოების ღირებულებისა და წარმოების დანახარჯების შესახებ. სხვათა შორის, როგორც ვარზარის რედაქციით გამოცემულ „სტატისტიკურ ცნობებში“, ასევე „სიაში“, რომელნიც ამ უწყისებს ემყარებოდნენ, პროდუქციის ღირებულების მაგივრად ხშირ შემთხვევაში გადატანილია წარმოების ღირებულების მაჩვენებელი მონაცემები (მაგ. სახერხი ქარხნები, მექანიკური-თუჯსასხმელი ქარხნები), რომელნიც ჩვეულებრივ ნაკლები არიან პროდუქციის ღირებულების მაჩვენებლებზე, ზოგჯერ კი მეტიც (თუ კი მოცემულ წელს წარმოებაში დაბანდებულია თანხა წარმოების გასაფართოებლად). თუმცა ზოგჯერ საწარმოთა პროდუქციის ღირებულება არ ემთხვევა წარმოების ხარჯების ოდენობას (მაგ. თამბაქოს გადამმუშავებელი ფაბრიკები). ასეთი და ზოგიერთი სხვა სახის ნაკლის მიუხედავად დასახელებული წყაროები ძვირფას მასალას იძლევიან მრეწველობის განვითარების სურათის დასადგენად.

1900 წლის ვითარების შესწავლისას ჩვენს მიერ გამოყენებულია აგრეთვე ამიერკავკასიის სტატისტიკური კომიტეტის მიერ გა-

---

103 ლენ. ცსია, ფონდი 1290, აღწ. 5, საქმე 176, ფურც. 504—513.

104 ლენ. ცსია, ფონდი 1290, აღწ. 5, საქმე 177, ნაწ. II, ფურც. 407—433.

მოცემული „სტატისტიკური ცნობების კრებული“[105], რომელშიც მოცემულია ქ. თბილისის შედარებით მსხვილ (9-ზე მეტი მუშიანი) საწარმოთა სია პროდუქციის მოცულობისა და მუშათა რაოდენობის მითითებით და ზოგ შემთხვევაში ორთქლის ქვაბების თუ ძრავას აღნიშვნით. აქვე ცალკეა შეტანილი მონაცემები შედარებით წვრილ (2—9 მუშიანი) საწარმოთა შესახებ დარგების მიხედვით, საწარმოთა რაოდენობის, წლიური ბრუნვისა და მუშათა რაოდენობის ჩვენებით.

მაგრამ, უნდა აღინიშნოს რომ „კრებულის“ მონაცემები ხშირ შემთხვევაში ნაკლული და არაზუსტია. „კრებულში“ გაპარულია აშკარა შეცდომებიც, რომელთაც, სათანადო კრიტიკული ანალიზის გარეშე, შეუძლიათ შეცდომაში შეიყვანონ მკვლევარი. მაგ., ჩვენ მიერ დადგენილია, რომ ფაბრიკა-ქარხნების ცხრილში შებრუნებულადაა დაბეჭდილი მონაცემები მუშათა რაოდენობისა და პროდუქციის ღირებულების შესახებ (მუშათა რაოდენობის ნაცვლად ჩასმულია პროდუქციის ღირებულება და პირიქით). მაგრამ, მიუხედავად ამისა აღნიშნული კრებული მაინც გარკვეულ სამსახურს გვიწევს თბილისის მრეწველობის, და განსაკუთრებით წვრილი წარმოების შესწავლაში.

ჩვენ გამოყენებული გვაქვს აგრეთვე „კავკასიის კალენდარის“ 90-იანი წლების მიწურულისა და 900-იანი წლების დასაწყისის გამოცემათა ცნობები სამრეწველო საწარმოთა თუ მეპატრონეთა შესახებ, თუმცა აქაც დიდი სიფრთხილე და ცნობების კრიტიკული ანალიზია საჭირო[106].

900-იანი წლების დასაწყისისათვის ძვირფას ცნობებს თბილისის გუბერნიის ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობის შესახებ გვაწვდიან ლენინგრადის არქივის ფინანსთა სამინისტროს ვაჭრობისა და მრეწველობის დარგის ცენტრალურ დაწესებულებათა ფონდში დაცული უწყისები[107], რომელნიც 1901—1902 წლების ვითარებას ასახავენ. სულ აღნიშნულ ფონდში დაცულია თბილისის გუბერნიის 118 საწარმოს უწყისი. საყურადღებო ცნობებს შეიცავს აგრეთვე ხარკოვის არქივის ხარკოვის ოლქის საფაბრიკო ინსპექტორის ფო-

---

[105] Сборник статистических сведений по Закавказскому Краю, ч. I, Тифл., 1902.

[106] მაგალითისათვის შეიძლება აღინიშნოს, რომ „კავკასიის კალენდრის“ 1902 წ. გამოცემაში დაბეჭდილია 1900 წლის მონაცემები ფაბრიკა-ქარხნების შესახებ, რომელნიც ამოღებული ჩანს 1902 წ. გამოცემულ სტატისტიკური „კრებულიდან“. აქვე გამეორებულია „კრებულის“ ყველა შეცდომა (მაგ. მეწარმეთა გვარების დამახინჯება და სხვ).

[107] ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 2, საქმე 2925, 2926, 2927 და 2929.

ნდში დაცული თბილისის გუბერნიის სამრეწველო საწარმოთა სია[108], სადაც შეტანილია მონაცემები 74 საწარმოს შესახებ. სია ასახავს 1901—1902 წლის ვითარებას 1903 წლის დაზუსტებებით.

ზემოაღნიშნულ უწყისებში და სიაში მოცემულია ცნობები თითოეული საწარმოს პროდუქციის მოცულობისა და ღირებულების, საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობის, მუშახელის რაოდენობის, სამუშაო დროის ხანგრძლივობის, ხელფასის ოდენობის შესახებ და სხვა.

ამგვარად, დამმუშავებელი მრეწველობის განვითარების შესასწავლად ხელთ გვაქვს ცოტად თუ ბევრად სრული მასალები, ე. ი. მონაცემები როგორც შედარებით მსხვილ საწარმოთა შესახებ, ასევე წვრილ წარმოებაზე, 60-იანი წლების შუახანების, 80-იანი წლების შუახანებისა და 900-იანი წლების დასაწყისისათვის. ამიტომაც, როგორც მრეწველობის განვითარების დინამიკას, ისე მრეწველობის სხვადასხვა ფორმების თანაფარდობას ჩვენ ვსწავლობთ ძირითადად დროის აღნიშნული მონაკვეთების ვითარების დადგენისა და ერთმანეთთან შედარების გზით.

---

[108] უკრაინის ცსია, ხარკოვის ფილიალი, ფონდი 834, საქმე 408, ფურც. 13—18.

თავი I

მრეწველობის მარტივი ფორმები — ოჯახური მრეწველობა და ხელოსნობა. წვრილი სასაქონლო წარმოების განვითარება

კაპიტალიზმის განვითარების ტემპები და მასშტაბები ამა თუ იმ ქვეყანაში განაპირობებენ მრეწველობის მარტივი ფორმების— ოჯახური მრეწველობისა და ხელოსნობის არსებობის ხანგრძლივობას და ხვედრით წონას.

„შინასარეწები შეადგენენ ნატურალური მეურნეობის აუცილებელ კუთვნილებას; ამ მეურნეობის ნაშთები თითქმის ყოველთვის დაცულია იქ, სადაც წვრილი გლეხობაა".[1]—წერს ვ. ი. ლენინი. ხოლო „ხელოსნობა ქალაქის ყოფაცხოვრების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ ის მნიშვნელოვნად არის გავრცელებული სოფლადაც და გლეხური მეურნეობის დამატების დანიშნულებას ასრულებს"[2].

ბუნებრივია, რომ საქართველოში, ისევე როგორც მთლიანად ამიერკავკასიაში. რომელიც „უფრო გლეხური" იყო ვიდრე რუსეთი[3]. მრეწველობის აღნიშნული მარტივი ფორმები დიდხანს შემორჩნენ. მაგრამ ქვეყნის საერთო ეკონომიური განვითარების ზეგავლენით მრეწველობის ეს ფორმებიც ან იცვლიან სახეს, იძენენ ისეთ ნიშნებს, რომელნიც უკვე სცილდებიან ოჯახური მრეწველობის თუ ხელოსნობის ჩვეულებრივ გაგებას, ებმებიან სასაქონლო წარმოების, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების საერთო ფერხულში, ან თანდათან ქრებიან. სწორედ ასეთი ტენდენციების განხილვა გვაქვს დასახული მიზნად.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 382.

[2] იქვე, გვ. 383.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 398.

ოჯახური მრეწველობის დანიშნულებას თავდაპირველად შეადგენდა კლეხის უზრუნველყოფა ყოველივე აუცილებელით მისივე მეურნეობის ფარგლებში. მაგრამ ოჯახური მრეწველობის ზოგიერთი ნაწარმი, მაგ., ბამბის, შალის და აბრეშუმის ქსოვილები, ხალიჩები, ფარდაგები, ლითონის, ხისა და თიხის ნივთები ადრევე ხდება ვაჭრობის საგანი. ოჯახური მრეწველობის მასშტაბისა და მისი ნაწარმით ვაჭრობის შესახებ საქართველოში, აღწერილობითი წყაროების ზოგადი მითითებების გარდა[4], გვაქვს საარქივო წყაროების შემდეგი მონაცემები: 1827 წლის ცნობით თბილისის, გორის, დუშეთის, სიღნაღის და თელავის მაზრების სოფლებში იმ ოჯახების რიცხვი, რომელნიც მისდევდნენ ბამბის შინაური ქსოვილების დამზადებას, ათასამდეა ნაჩვენები[5], ხოლო 1844 წლისათვის დაახლოებით იგივე რაიონებში აღრიცხულია 3 ათასზე მეტი შინაური დაზგა, რომლებზედაც ბამბის, შალის და აბრეშუმის ქსოვილებს ამზადებდნენ; ქუთაისის მაზრაში კი ათასამდე ასეთი დაზგა[6].

ოჯახური მრეწველობის ნაწარმი ნაწილობრივ ოჯახშივე მოიხმარებოდა, ნაწილობრივ კი გასაყიდად გადიოდა. გორის მაზრის უფროსის 1845 წლის ანგარიშში ამის შესახებ შემდეგს ვკითხულობთ: „Некоторые из жителей на домашних станках ткут бязь (бумажный холст) и сукна, употребляемый черным народом в хозяйственном быту и произведения эти сбываются по уезду в малом количестве и не более как на сумму до 200 руб.“[7] ადგილობრივი ნაწარმით ვაჭრობის შესახებ გორის მაზრაში იმავე დოკუმენტში აღნიშნულია: „Местного изделия товары—войлоки, носки шерстяные, крестянские сукна, спурки шерстяные, веревки шерстяные, белая бязь и пряденная шерсть. Все вышеобозначенные товары идут в продажу в Горийском уѣздѣ“. თბილისის მაზრის უფროსის 1844 წლის ანგარიშში ოჯახური

[4] იხ. პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტ. V, თბ., 1962, გვ. 337—346.

[5] სცსია, ფონდი 16, საქმე 3508. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ქსოვილების დამზადება „სახლებში“ („в домах“), რაც გულისხმობს ოჯახურ მრეწველობას სოფლად, დაპირისპირებით „დუქნებში“ („в лавках“) წარმოებისადმი, რაშიც ქალაქად ხელოსნური წარმოება უნდა იგულისხმებოდეს. ფუძეცალკევდა, ცხადი არ არის, რომ ზოგ შემთხვევაში ქალაქებშიც მისდევდნენ ქსოვილების სახლში დამზადებას.

[6] სცსია, ფონდი 16, საქმე 8392, ფურც. 24—26.

[7] სცსია, ფონდი 16, საქმე 8888, ფურც. 5—9.

[8] იქვე.

მრეწველობის ნაწარმიდან ჩამოთვლილია: „1. Бязь, 2. Крестьянские сукна, 3. Ковры, 4. Паласы и 5. Войлоки. Наиболее таковые выделываются для домашнего употребления, но из Борчалинского участка выпускаются на продажу грубого изделия—ковры до 300 штук, войлоков до 2000...“ [9].

ოჯახური მრეწველობის გავრცელებასა და ნაწარმის ოდენობაზე. ისევე როგორც ამ ნაწარმის გასაყიდად გამოტანის მასშტაბებზე, წარმოდგენას გვიქმნის ცხრილი 1.

ცხრილი 1

„სოფლური ნაწარმის“ დასახელება	მ ა ხ რ ე ბ ი	დამზადდა (ცალი)	გაიყიდა (ცალი)	თანხა (მან.)	[illegible]
1. ხალიჩები	თბილისის, თელავის, ახალციხის	671	345	2083	52%
2. ჩული	თბილისის, თელავის, ახალციხის	193	99	450	52%
3. ქეჩა	გორის, თელავის, ქუთაისის, ახალციხის	1220	960	798	78%
4. ფლოსტები	თბილისის, თელავის, ახალციხის	1104	765	578	69,5%
5. შალის წინდა	თბილისის, გორის, თელავის, ქუთაისის, გურიის, ახალციხის	26421	10192	1240	38,4%
6. შალის ქსოვილი	თბილისის, გორის, ქუთაისის, გურიის, ახალციხის	14030	4390	1570	31,2%
7. აბრეშუმის ქსოვილი	ახალციხის	60	60	120	100%
8. აბრეშუმნარევი ქსოვილი	ახალციხის	40	30	60	75%
9. ბილობი	გურიის, ახალციხის	1747	547	94	31,2%
10. ხონარი შალის	თბილისის, გორის, თელავის, ახალციხის	64326	44020	961	68,7%
11. აბრეშუმის ქამარი	თელავის, ქუთაისის, ახალციხის	370	310	460	84%
12. ბაწარი შალის	თბილისის, გორის, თელავის	5170 60*	4325 30*	214	83%
13. ბაწარი	ქუთაისის, გურიის	2640**	1876**	154	60%
14. ტილო, ხამი	თბილისის, თელავის, ქუთაისის, გურიის, ახალც.	33443***	20981***	5375	63,5%
15. მაფრაშა	თბილისის, თელავის, ახალციხის	476	215	698	45,7%
		ჯ ა მ ი.		14855	მან.

* ფუთი, ** საქენი, *** არშინი.

[9] სცსია, ფონდი 16, საქმე 8888, ფურც. 17—18.

აღნიშნული ცხრილი (1) შედგენილია სამაზრო ადმინისტრაციის მონაცემების საფუძველზე[10] და ცხადია ვერ იძლევა სრულ სურათს. უნდა აღინიშნოს, რომ ცხრილში სრულიად არ არის ასახული სიღნაღის მაზრის მონაცემები, ჩანს სათანადო მასალის უქონლობის გამო. ამასთანავე, დასავლეთ საქართველოდან ცნობები მხოლოდ გურიისა და ნაწილობრივ იმერეთის შესახებ მოგვეპოვება. ქუთაისის მაზრაში სულ არ არის აღნიშნული აბრეშუმის ქსოვილის ოჯახური წარმოება, ეს უკანასკნელი შეტანილია ამავე დროის ხელოსნური წარმოების უწყისში, სადაც მარტო სოფლად მითითებულია 105 ასეთი საწარმო. საერთოდ ოჯახური წარმოების ხელოსნობაში აღრევის ფაქტები ამ დროს სხვაც გვაქვს. ასე მაგ., იგივე ქუთაისის მაზრაში არსებული ხელოსნური წარმოების უწყისში შეტანილია სოფლად არსებული ბამბის ქსოვილების 70 სარეწი. ამავე დროს იქვე მითითებულია, რომ ამ სარეწების პროდუქცია კი არ იყიდებოდა, არამედ კეთდებოდა „თავისათვის" („для себя"), ე. ი. განეკუთვნებოდა ოჯახურ წარმოებას. ბამბის ქსოვილების სარეწები შეტანილია ახალციხის და თელავის მაზრების ხელოსნური წარმოების უწყისებშიაც. „სოფლურ ნაწარმში" აქ მხოლოდ ტილოს უჩვენებენ. გორის მაზრის „სოფლური ნაწარმის" უწყისში არ არის აღნიშნული არც ტილოს და არც ბამბის ქსოვილების წარმოება, მაშინ, როდესაც ამ დროს აქ გაუყიდიათ 180 მან. ღირებულების თეთრი ხამი (ситец) —300 ნაჭერი, სხვადასხვაფრად შეღებილი ასეთივე ქსოვილი — 350 ნაჭერი, 200 მანეთის ღირებულების და 60 მანეთის ღირებულების ბამბის სუფრები—80 ცალი[11]. თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც აქ სწორედ ოჯახური მრეწველობის ნაწარმი იგულისხმება და არა მხოლოდ ხელოსნური ნაწარმი, რაც იქიდან ჩანს, რომ იგივე 1845 წელს ხელოსნური წარმოების უწყისში აღნიშნულ ბამბის ქსოვილების სარეწებს სოფლად და ქალაქად მთლიანად მხოლოდ 257 მანეთის პროდუქცია დაუმზადებიათ[12], მაშინ, როდესაც ჩვენს მიერ ზემომოტანილი მონაცემებით ასეთი ნაწარმი 440 მანეთისა მარტო გაყიდული ჩანს.

---

[10] სცსია, ფონდი 16, საქმე 8888, ფურც. 50—51, 64—65, 73—74, 107, 128—130; ლენ. ცსია, ფონდი 1268, აღწ. 2, საქმე 349, ფურც. 97—98. აღსანიშნავია, რომ თბილისისა და ლენინგრადის არქივებში დაცული მასალები მხოლოდ მცირეოდენ განსხვავებას გვაძლევენ და მნიშვნელოვნად ავსებენ ერთმანეთს. ცხრილის შედგენისას საფუძვლად ლენინგრადის არქივის მასალას ვიღებთ.

[11] სცსია, ფონდი 16, საქმე 8888, ფურც. 107.

[12] ლენ ცსია, ფონდი 1268, აღწ. 2, საქმე 349, ფურც. 95—96.

ჩვენ აქ აღარაფერს ვამბობთ ხის და ლითონის დამუშავებასა და კერამიკულ წარმოებაზე, რომელნიც მთლიანად ხელოსნობაში არიან მოქცეულნი, თუმცა ნაწილობრივ ოჯახური მრეწველობის სფეროსაც განეკუთვნებიან.

ამრიგად, მოტანილი ცხრილი (1) თუმცა ვერ ქმნის ოჯახური მრეწველობის მდგომარეობის სრულ სურათს აღებულ პერიოდში, მაგრამ ერთგვარ წარმოდგენას მაინც გვიქმნის მრეწველობის ამ ფორმის შესახებ. ერთი კი ცხადია, რომ ოჯახური მრეწველობის ნაწარმის გარკვეული ნაწილი, საშუალოდ 30—60% უკვე 40-იან წლებში გამოდიოდა გასაყიდად[13].

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის აღწერილობით მასალებში და ოფიციალურ სტატისტიკაში გლეხის მეურნეობაში პირველი მოხმარების სამრეწველო საგნების (მანამდე „სოფლური ნაწარმის" სახელით რომ იყვნენ ცნობილნი) წარმოება უკვე „შინამრეწველობად" („кустарные промыслы") განიხილება.

როგორც ცნობილია „შინამრეწველობის" ქვეშ ხშირ შემთხვევაში მრეწველობის სხვადასხვა ფორმები იგულისხმება. კერძოდ აქ ოჯახური მრეწველობის გვერდით გვხვდება ხელოსნობის და ზოგჯერ წვრილი კაპიტალისტური საწარმოების აღწერაც (არაფერი რომ არ ვთქვათ იმაზე, რომ თვით მეაბრეშუმეობაც — ე. ი. აბრეშუმის ჭიის მოშენება და პარკის დამზადება შინამრეწველობის დარგად ცხადდება). „შინამრეწველობაში" აერთიანებს, მაგ., ი. პეტროვი მეაბრეშუმეობას, აბრეშუმისა და შალის ქსოვილების ოჯახურ წარმოებასა და მეწაღეობას[14]. უკანასკნელის აღწერა: სპეციალურ სახელოსნოებში ოსტატების მიერ ქარგლებისა და შეგირდების დახმარებით მთელი დღის განმავლობაში დიდი რაოდენობით წუღების დამზადება გასაყიდად აშკარად მეტყველებს, რომ აქ საქმე გვაქვს ხელოსნობასთან, იმ საფეხურზე, როდესაც იგი უკვე არა შემკვეთისათვის, არამედ ბაზრისათვის იწყებს წარმოებას და ამდენად იქცევა წვრილ საქონლურ წარმოებად. ამგვარადვე, ა. ფირალოვის მიერ აღწერილი ლითონის დამმუშავებელი სხვადასხვა დარგები, საქართველოს ქალაქებსა თუ სოფლებში გავრცელებულ ხელოსნურ წარმოებას უფრო განეკუთვნებიან, ვიდრე მრეწველობის სხვა რომელიმე ფორმას[15].

---

[13] შეადარე: Г. К. Бакрадзе, Возникновение и развитие.., გვ. 18.

[14] И. Петров. Кустарные промыслы Кутаисской губернии. «Новое обозрение», 1894, №№ 3567, 3573.

[15] А. С. Пиралов, Краткий очерк кустарных промыслов Кавказа. СПБ., 1913.

თბილისის გუბერნიის „შინამრეწველური“ წარმოების აღწერაში, რომელიც შედგენილია 1900 წელს[16] ფეიქრობასა და ჩულის წარმოებასთან ერთად ჩამოთვლილია ტყავის, ლითონის, ხისა და ქვის დამმუშავებელი მთელი რიგი დარგები, რომელნიც სოფლის ხელოსნობის სფეროს განეკუთვნებიან. აღნიშნული წყარო, ჩანს, უპირისპირებს ერთმანეთს სოფლად „შინამრეწველურ“ წარმოებას, განურჩევლად იმისა—არის იგი ოჯახური წარმოება თუ ხელოსნობა ქალაქურ ხელოსნობას. ასე მაგ., თბილისის და ახალციხის მაზრებში სამშენებლო ქვის დამზადებისა, ხოლო ბორჩალოს მაზრაში წისქვილის ქვების დამზადების შესახებ ავტორი წერს: „Оба промысла плохо развиты и переходят в ремесло, сосредоточенное в городах, и главным образом в Тифлисе“[17]. ე. ი. ავტორი იმავე დარგებს სოფლად არ განიხილავს, როგორც ხელოსნობას.

ჩვენი აზრით, „შინამრეწველობის“ ცნების ამგვარ ფართე მნიშვნელობაზე მიუთითებს აგრეთვე პ. გუგუშვილის მიერ ამ წარმოების განხილვისას მოყვანილი ზოგიერთი ფაქტი. ასე მაგ., არსებითად ოჯახური მრეწველობის სფეროს უნდა განეკუთვნებოდეს ავტორის მიერ „შინამრეწველობად“ განხილული სვანური ქუდების დამზადება[18], ისევე როგორც ანალოგიური წარმოება საქართველოს სხვა კუთხეებში. ამის დადასტურებას წარმოადგენს თუნდაც თვით პ. გუგუშვილის მიერვე ოჯახური მრეწველობის დასახასიათებლად მოტანილი სვანი დამკვირვებლის საუცხოო აღწერა სვანეთში ქუდების და სხვა საშინაო საგნების დამზადებისა[19]. მეორე მხრით, პ. გუგუშვილის მიერ მოყვანილი ფაქტები ლითონის „შინამრეწველურ“ დამუშავებასთან დაკავშირებით, კერძოდ სოფლად ფართოდ გავრცელებული მჭედლობა, როგორც შემკვეთისათვის მუშაობა და ამ საქმის პროფესიად გადაქცევა (მთელი წლის განმავლობაში მუშაობა) ხელოსნობას უნდა წარმოადგენდეს[20].

---

16 Докладная записка от 30 VI 1900 г. тифлисского губернского механика о кустарных промыслах Тифлисской губернии (ლენ. ცსია, ფონდი 20, აღწ. 15, საქმე 109).

აღნიშნული აღწერა, რომელიც ძირითადად ემთხვევა გნედიჩის აღწერილობას („საისტორიო მოამბე“, 1, 1945, გვ. 258—260), ამიერკავკასიის სხვა გუბერნიების შინამრეწველური წარმოების აღწერასთან ერთად შემდგომში უცვლელად იქნა გამოქვეყნებული წიგნში—Г. Хелимский, О кустарной промышленности Закавказья, М., 1910, გვ. 5—8.

17 ლენ. ცსია, ფონდი 20, აღწ. 15, საქმე 109, ფურც. 2—5. გ. ხელიმსკი, დასხ. ნაშრ., გვ. 8.

18 პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება.... გვ. 359.

19 იქვე, გვ. 344.

20 იქვე. გვ. 399—400, 406—407 და სხვ.

ამჟამად ჩვენი მიზანი არის ე. წ. „შინამრეწველობიდან“ გამოვიყოთ ოჯახური მრეწველობის დარგები, თვალი გავადევნოთ მათ განვითარებას მე-19 ს. მეორე ნახევარში.

როგორც მე 19 ს. პირველი ნახევრის მასალის განხილვამ გვიჩვენა, საქართველოში ოჯახური მრეწველობის დარგებიდან წამყვანი ადგილი ეჭირა საფეიქრო წარმოებას—სელის თუ ბამბის, აბრეშუმის და შალის ქსოვილების დამზადებას, ხალიჩების, ფარდაგების, შალის წინდების, ზონარის, ჩულის წარმოებას და სხვა. იყო ოჯახური მრეწველობის სხვა დარგებიც—ხის, ლითონის, ტყავის დამუშავება, კერამიკული წარმოება. მაგრამ ეს დარგები ან საკუთრივ რომელიმე კუთხისათვის იყვნენ დამახასიათებელი, ან ყოველთვის არ იქცევდნენ აღმწერთა ყურადღებას, რადგან ნაკლებად ხდებოდა მათი ნაწარმის გამოტანა გასაყიდად, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ისინი ხელოსნური წარმოების სფეროს განეკუთვნებოდნენ.

თბილისის გუბერნიის „შინამრეწველური“ წარმოების 1900 წლის აღწერის თანახმად[21] ხალიჩებისა და ფარდაგების წარმოებას მისდევდნენ ახალქალაქის, დუშეთის, თიანეთის მაზრებში, მცირე რაოდენობით ბორჩალოს მაზრაში, ხოლო გორის მაზრაში უმნიშვნელო მასშტაბით. გასაყიდად ხალიჩებს აქ მხოლოდ მუსლიმანური მოსახლეობა ამზადებდა. ხალიჩის წარმოებას მისდევდა 1800-მდე ქალი. მათი დღიური გამომუშავება აღწევდა 22 კაპიკამდე. საშუალოდ წელიწადში მზადდებოდა 160 ათასი მანეთის ნაწარმი.

შალის ქსოვილებისა და ჯეჯიმების წარმოებას მისდევდნენ თიანეთის, დუშეთის, გორის, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში. ამ საქმიანობას მისდევდა მხოლოდ ქართველი მოსახლეობა და აგრეთვე ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში მცხოვრები სექტანტები. ბორჩალოსა და სიღნაღის მაზრებში შალის ქსოვილებს ამზადებდნენ მცირე რაოდენობით. სულ თბილისის გუბერნიაში ამ საქმიანობაში ჩაბმული იყო 3 ათასამდე ქალი. თითოეული მათგანის საშუალო დღიური გამომუშავება უდრიდა 20-დან 30 კაპიკამდე. წელიწადში მზადდებოდა დაახლოებით 350 ათასი მანეთის პროდუქცია[22].

---

[21] ლენ. ცსია, ფონდი 20, აღწ. 15, საქმე 109. გ. ხ ე ლ ი მ ს კ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 5—8.

[22] აღნიშნული ციფრობრივი მონაცემები ჩვენ გაზვიადებული გვეჩვენება. ჩანს, პროდუქციის რაოდენობაა ორივე შემთხვევაში გაზრდილი, რადგან თუ ეიხელმძღვანელებთ დღიური გამომუშავების მოცემული ნორმებით, გამოდის, რომ

ოჯახური ძრეწველობის სხვა დარგებიდან აღნიშნულია წინდების ქსოვა—მხოლოდ ახალქალაქის მაზრის სექტანტებში, მატყლის ქუდების წარმოება—დუშეთისა და თიანეთის მაზრებში, რკინის, ხის და კერამიკული ნაწარმის დამზადება სხვადასხვა რაიონში. აქ ზოგ შემთხვევაში ხელოსნური წარმოებაც არის ნაგულისხმევი.

როგორც ვხედავთ თბილისის გუბერნიაში ოჯახური მრეწველობის დარგებში აღარ ჩანს ბამბის ქსოვილების დამზადება, რომელიც 90-იან წლებში კიდევ იხსენიება თბილისის მაზრაში[23]. ვეღარ ვხვდებით აგრეთვე აბრეშუმის წარმოებასაც. წინდის ქსოვაც მხოლოდ სექტანტების საქმიანობადაა აღნიშნული. ჩანს იგი საერთოდ შემცირდა და აღარ გამოდიოდა ოჯახური მოხმარების ფარგლებიდან.

რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიას, აქ 900-იანი წლებისათვის აღნიშნულია ბამბის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილების დამზადება, ნაბდების წარმოება, აგრეთვე ხის დამუშავება და მეთუნეობა. კერძოდ, ბამბის ქსოვილების დამზადება მეტნაკლებად გავრცელებული იყო მთელ გუბერნიაში, მაგრამ უპირატესად ვანის სასოფლო საზოგადოებაში, სადაც ბამბა ადგილობრივადაც მოჰყავდათ. გაწმენდილ ბამბას ნაწილობრივ იყენებდნენ ძაფის სართავად ხამისათვის, რომელსაც მხოლოდ საკუთრად მოიხმარდნენ, ნაწილი ბამბისა კი ქუთაისში მიჰქონდათ გასაყიდად.

ზოგიერთ რაიონში, სადაც ბამბის ნაწარმს ქსოვდნენ, ნედლეულს ბაზარზედაც ყიდულობდნენ.

ქუთაისის გუბერნიაში საკმაოდ გავრცელებული იყო შალის ქსოვილების დამზადება. ნედლეულს თბილისელი ვაჭრებისაგან ყიდულობდნენ, ხოლო პროდუქციის დიდ ნაწილს საკუთრად მოიხმარდნენ, ნაწილი კი გასაყიდადაც გამოჰქონდათ[24].

რუსული ფაბრიკების ნაწარმის შემოტანასთან დაკავშირებით ქუთაისის გუბერნიაში განსაკუთრებით ბამბის და აბრეშუმის ქსოვილების დამზადება ეცემა, რაც უკვე ადრევეა შემჩნეული. ასე მაგ. ქუთაისის გუბერნატორის 1890 წლის მიმოხილვაში აღნიშნულია „შინამრეწველური წარმოების“ საერთო დაცემა და აქვეა მოტანილი სათანადო მონაცემები იმის დასადასტურებლად, თუ რამდე-

---

პირველ შემთხვევაში—ე. ი. ხალიჩის ქსოვაზე თითოეული ქალი წელიწადში 370 დღე მუშაობდა, ხოლო მეორე შემთხვევაში—შალის ქსოვაზე—390-დან 595 დღემდე.

[23] Обзор Тифлисской губернии за 1891 г., л. 78.

[24] გ. ხ ე ლ ი მ ს კ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 21—26.

ნად არახელსაყრელი იყო აბრეშუმისა და შალის ქსოვილების „შინამრეწველური“ წარმოება[25].

როგორც აღნიშნული გვქონდა, ე. წ. „შინამრეწველური“ ნაწარმის გარკვეული ნაწილი გასაყიდად გადიოდა. ირკვევა, რომ გლეხებს თავისი ნაწარმი უმთავრესად ბაზრობაზე გამოჰქონდათ. ასეთ ნაწარმს ხშირ შემთხვევაში ვაჭარი-გადამყიდველები იძენდნენ. ასე მაგ., გორის მაზრაში 40-იან წლებში ადგილობრივი „სოფლური“ ნაწარმით ვაჭრობის შესახებ აღნიშნულია: „Товары местного изделия доставляются поселянами как Горийского уезда, так равно и из соседственных оному уездов. коими ведут торг 5 человек из горийских граждан“ [26].

ბ. გუგუშვილს მოჰყავს რამდენიმე ცნობა შემსყიდველთა როლის დასახასიათებლად „შინამრეწველურ“ ნაწარმით ვაჭრობის საქმეში, კერძოდ 1899 წ. ძველი სენაკის ბაზრობაზე ჩარჩ-შემსყიდველების თვითნებობის მაგალითი, რომელნიც მიმართავდნენ ყველა ხერხს რათა „ორ გროშად“ გამოეძალათ ბაზრობაზე თავიანთი ნაწარმის (ამ შემთხვევაში შალის ქსოვილის) გასაყიდად ჩამოსულ გლეხ ქალებისაგან მათი ნაოფლარი[27].

ანალოგიური სურათია მოცემული სხვა ბაზრობის აღწერაშიც: „ზის სკამზე მოხუცი ებრაელი, მას თავს ახვევია რამდენიმე ათეული ქალი და ხელგაშვერილი აწვდის შალს ერთადერთ მყიდველს. ცხადია, ასეთ პირობებში მყიდველი თვით კარნახობს ფასებს. ხშირად დედაკაცი ჰყიდის შალს და მატყლის ღირებულებასაც ვერ ინაზღაურებს“[28].

ა. ფირალოვი ასე აგვიწერს ქუდების გასაღების პროცესს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში: „Мингрельские шляпы производятся женщинами и большими партиями доставляются в базарные дни, по пятницам в м. Хони, Зугдиди и Сенаки, где скупщики—евреи покупают их по поразительно дешевой цене—от 12 до 30 руб. за сотню для вывоза“ [29].

წარმოდგენილი სურათი ნათელყოფს, რომ ვაჭარი-შემსყიდველი მოცემულ შემთხვევებში არავითარ მონაწილეობას არ იღებს „შინამრეწველური“ ნაწარმის დამზადების სფეროში, იგი ერევა

---

25 Обзор Кутаисской губернии за 1890 г. л. 206—212.

26 სცსია, ფონდი 16, საქმე 8888, ფურც. 107.

27 ბ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 61—62.

28 იქვე.

29 А. С. П и р а л о в, Краткий очерк кустарных промыслов Кавказа, СПб., 1913. გვ. 38.

მხოლოდ გასაღების სფეროში, და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც მწარმოებელი თვით მიდის მასთან. ამდენად ვაჭარი ასეთ შემთხვევებში კი არ ცდილობს ჩაერიოს წარმოების ორგანიზაციის საქმეში, დაიმორჩილოს მწარმოებელი და აქციოს იგი დაქირავებულ მუშად, არამედ გამოდის მხოლოდ გადამყიდველის როლში, რომელიც ძარცვავს მწარმოებელს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თითქმის მუქთად ართმევს მას ნაწარმს.

რაც შეეხება აბრეშუმის „შინამრეწველურ" დამზადებას, მეღვინეობასა და რძის პროდუქტების გადამუშავებას, აქ მართალია შემსყიდველთა მეტი აქტიურობაა დადასტურებული, კერძოდ ნაწარმის შესყიდვაზე წინასწარი გარიგება, ფულის სესხება, ზოგ შემთხვევაში წარმოებისათვის საჭირო მასალის თუ პროდუქტების მიწოდება და სხვა. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს არსებითად არ ცვლის საქმის ვითარებას, არ ახდენს ზეგავლენას თვით წარმოების ხასიათზე. შემსყიდველები ამ შემთხვევაშიც იფარგლებიან მხოლოდ და მხოლოდ იაფად შესყიდული პროდუქტის უფრო ძვირად გაყიდვის შედეგად მიღებული მოგებით, ძარცვავენ მწარმოებელს, ისე რომ არ ზრუნავენ კვლავწარმოებაზე, რითაც გაჩანაგებამდე მიჰყავთ იგი.

სათანადო მონაცემებით დასტურდება, რომ თუმცა „შინამრეწველური" ნაწარმის ნაწილი გასაყიდად გამოდიოდა, მაგრამ ძირითადად იგი მაინც მწარმოებლის პირად მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა.

1845 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: „Ткачество занимает руки всех почти поселян в грузинских уездах, но это скорее необходимость, нежели промысел" [30].

ამის მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ ქუთაისის მაზრის „მანუფაქტურული წარმოების" 1845 წლის უწყისში არ არის ნაჩვენები თუ რა რაოდენობის შალის ქსოვილი გადიოდა გასაყიდად, არამედ თანხის ნაცვლად აღნიშნულია: „для себя" [31], ე. ი. შალის შინაური ქსოვილები აქ მთლიანად საკუთარი მოხმარებისათვის მზადდებოდა. წყაროების მითითება უფრო გვიან იმერული შალის ფართე წარმოებაზე და გავრცელებაზე[32], ცხადია პირველ რიგში საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მის წარმოებას გულისხმობს. ფირალოვი შალის წარმოების აღწერას შემდეგი სიტყვებით

---

30 ლენ. ცსია, ფონდი 1281, აღწ. 4, საქმე 182, ფურც. 25—26.

31 სცსია, ფონდი 16, საქმე 8888, ფურც. 128—130.

32 А. С. Пиралов. დასახელებული ნაშრომი, გვ. 44, Н. Петров, დასახ. ნაშრომი.

ოწყებს: „Сукно или шали для верхней одежды производятся всем населением Кавказского края, хотя бы для удовлетворения домашних нужд“ [33]. ე. ი. შალს საკუთარი მოხმარებისათვის მთელი მოსახლეობა აწარმოებდა, ხოლო ნაწილობრივ იგი გასაყიდადაც მზადდებოდა. ჩულის ნაწარმის შესახებ, რომელიც საქართველოს მთიანეთში მზადდებოდა, იგივე ა. ფირალოვი წერდა: „Эти войлоки идут главным образом на удовлетворение домашних нужд производителей и имеют некоторый сбыт на местах производства и в соседних уездах“ [34].

თბილისის გუბერნიის 1891 წლის მიმოხილვაში ლაპარაკია ახალციხის მაზრაში საერთოდ „შინამრეწველური“ ნაწარმისა და გორის მაზრაში სახელდობრ შალის („თივთიკის“) წარმოებაზე და აღნიშნულია: „Произведения этих двух уездов за удовлетворением местной потребности, сбываются в города Гори, Ахалцих и Тифлис“[35]. იგივეა აღნიშნული ნაბდის ქუდების შესახებაც. რომელნიც ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებას ხმარდებოდა, ხოლო ნაწილი კი გადიოდა გასაყიდად რუსეთში[36]. ა. ფირალოვი პირდაპირ წერს, რომ ხალიჩების დამზადებას საქართველოში საბაზრო მნიშვნელობა არ ჰქონია[37]. ამას მხარს უჭერს 1900 წლის „შინამრეწველური“ წარმოების ძიმოხილვა, სადაც აღნიშნულია, რომ თბილისის გუბერნიის მხოლოდ მუსლიმანური მოსახლეობა ეწეოდა ხალიჩების დამზადებას გასაყიდად, ისიც მხოლოდ შემთხვევით მყიდველისათვის. ხოლო, ქუთაისის გუბერნიაში, როგორც აღინიშნა, ბამბის ქსოვილები მზადდებოდა საკუთარი მოხმარებისათვის. („только для себя“), ისევე როგორც შალის ნაწარმის დიდი ნაწილი („из шерсти ткут материи для домашнего употребления и очень редко для продажи в Кутаис“... „...Местное сукно идет главным образом для домашнего употребления и из него сами хозяйки приготовляют черкески, башлыки, шаровары для мужчин...“) [38].

---

[33] А. С. Пиралов, დასახელ. ნაშრომი, გვ. 41.

[34] იქვე, გვ. 37.

[35] Обзор Тифлисской губернии за 1891 г., л. 78.

[36] А. С. Пиралов, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

[37] იქვე, გვ. 51.

[38] ლენ. ცსია, ფონდი 20, აღწ. 15, საქმე 109; გ. ხელიმსკი. დასახ. ნაშრ., გვ. 21—26.

წყაროების პირდაპირი მითითების თანახმად საფეიქრო წარმოება საქართველოს სოფლებში თითქმის მთლიანად ქალის საქმიანობას წარმოადგენდა[39], და ისიც უმთავრესად სოფლის მეურნეობისაგან თავისუფალ დროს სრულდებოდა[40]. ამასთანავე იქმნება შთაბეჭდილება, რომ ფეიქრობა წარმოადგენდა ოჯახის არა მუდმივი შემოსავლის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს, არამედ მას დამატებითი შემოსავლის მნიშვნელობა ჰქონდა. ი. პეტროვი ქუთაისის გუბერნიის „შინამრეწველური“ წარმოების მიმოხილვას სწორედ იმის აღნიშვნით იწყებს, რომ იმერელი, მეგრელი და გურული გლეხის ქალებს მეაბრეშუმეობით, აბრეშუმის და შალის ნაწარმის დამზადებით დამატებითი შემოსავალი შეჰქონდათ ოჯახში, წელიწადში სულ 200 მანეთამდე, რაც ძირითადად ისევ მათ მორთულობას ხმარდებოდა, ან მზითვის შესაძენად იყო განკუთვნილი[41].

ქუთაისის გუბერნიის 1890 წლის მიმოხილვაში პირდაპირ არის აღნიშნული: „Женщины... занимаются тканием или вязанием в случаях крайней нужды, с целью заработать несколько рублей на пополнение скарба...“[42].

ამრიგად, ქალებისათვის ფეიქრობა არ წარმოადგენდა პროფესიას, რომელსაც ისინი დღენიადაგ მისდევდნენ. მით უმეტეს არ შეადგენდა პროფესიას ამა თუ იმ „სოფლური ნაწარმის“ დამზადება მამაკაცებისათვის, რომელნიც, როგორც წესი, ძირითადად სოფლის მეურნეობას მისდევდნენ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ხელოსნობას, ან გარესამუშაოებზე გასვლას. ქუთაისის გუბერნიის 1888 წლის მიმოხილვაში ამის შესახებ აღნიშნულია: „Промыслы сельского населения ограничиваются мелким кустарным производством, и при том исключительно предметов, необходимых в крестьянском быту.

Ремесленников или кустарей, специально занимающихся какой либо отраслью почти нет. Из 25 тысяч сельских ремесленников едва 1/10 часть занята круглый год своим ремеслом; остальная часть обыкновенные земледельцы, занимающиеся в

---

39 А. С. Пиралов. დასახ. ნაშრომი, გვ. 44; И. Петров, დასახ. ნაშრომი, Обзор Тифлисской губернии за 1891 г. л. 78, გ. ხელიმსკი, დასახ. ნაშრ. გვ. 21, 24.

40 ს. გულიშამბაროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 64—66. გ. ხელიმსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

41 И. Петров, დასახელებული ნაშრომი.

42 Обзор Кутаисской губернии за 1890 год, л. 212.

свободное от полевых работ время тем или другим несложным ремеслом“ [43]. ასეთი დარგებიდან დასახელებულია მჭედლობა, კალათების წნა, შალის ქსოვილების წარმოება, ფეხსაცმელის, ტანისამოსის, ხის ჭურჭლის დამზადება და სხვა. ამათგან ისეთი ხელოსნები, რომელნიც მთელი წლის განმავლობაში მისდევდნენ თავიანთ საქმიანობას, იყენენ ხარაზები, თერძები, მჭედლები, ხოლო დანარჩენნი კი უფრო ოჯახური წარმოების სფეროს განეკუთვნებოდნენ.

საინტერესოა ამ მხრივ ს. გულიშამბაროვის დაკვირვება: „Необходимо заметить, что в Тифлисской губернии, как и вообще на всем Кавказе, кустарное производство имеет совершенно другой характер, чем в России. Здесь нигде нельзя встретить того разделения труда и специализации производства, какие мы привыкли видеть в русских деревнях среди кустарей. Горская женщина прежде всего занята домом и хозяйством и только свободное от этого время она уделяет на сторонний промысел, напр., шерстяной“. შემდეგ გულიშამბაროვი აღნიშნავს, რომ წარმოების მთელი პროცესი ერთი ქალის ხელში გაივლის და დასძენს: „Уже из этого видно, что кустарный промысел не играет здесь главной роли. Он есть только пособие для пополнения дефицитов в хозяйстве, не более“ [44].

ქვემოთ იგივე ავტორი წერს: „Кроме того важно и то, данным промыслом занимается не все село, как в России, а только отдельные семьи и искусство переходит от одного члена семьи к другому, от поколения к поколению“ [45].

ს. გულიშამბაროვი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქალები, რომელთა ხელში იმყოფება მთლიანად აღნიშნული წარმოება, მას ეწეოდნენ უფრო თავის შექცევის მიზნით, ვიდრე მოგებისაო („более для пополнения досуга, чем для выгоды“), მით უმეტეს რომ, როგორც ის ამტკიცებს, არავითარ მოგებას აქ ადგილი არც ქონდა [46]. ბოლოს გულიშამბაროვი ასკვნის: „Уже из вышеизложенного достаточно выяснилось, что ни один из поименованных промыслов не может быть назван кустарным в строгом смысле

---

[43] Обзор Кутаисской губернии за 1888 г.

[44] ს. გულიშამბაროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

[45] იქვე, გვ. 67.

[46] იქვე, გვ. 68.

этого слова; они не имеют ни определенного типа, ни определенной организации“ [47].

სხვაგან ის პირდაპირ აღნიშნავს, რომ ეს იყო არა „შინამრეწველური“, არამედ „ოჯახური მეურნეობა“ („домашнее хозяйство“)[48].

ამრიგად ირკვევა, რომ საქართველოში ნედლი მასალის გადამუშავება გლეხის ოჯახში არსებითად არ გამოდის ოჯახური მრეწველობის ფარგლებიდან, არ იქცევა პროფესიად, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით; თუმცა ვხვდებით ნაწარმის დამზადებას გასაყიდადაც, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს პროდუქციის წარმოებასთან არა მოგების, გამდიდრების მიზნით, არამედ გლეხის ოჯახის საარსებო წყაროს შევსებასთან. ე. ი. არა საცვლელი ღირებულება, როგორც თვითმიზანი, არამედ ისევ სახმარი ღირებულების შექმნა იყო ასეთი წარმოების დანიშნულება.

ოჯახური მრეწველობის ნაწარმის გაყიდვა გლეხისათვის იყო ფულის შოვნის ერთ-ერთი ძირითადი გზა. ფულის საჭიროება კი ახალ ვითარებაში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა (გადასახადების გადახდისათვის, საქონლისა და პროდუქტების შესაძენად და სხვა).

ოჯახური მრეწველობის საგნების წარმოება სხვა საგნებზე გადასაცვლელად ან გასაყიდად, კომუტაციაქმნილი ბეგარის გასტუმრების მიზნით, პ. გუგუშვილის აზრით, სწორედ ოჯახური მრეწველობის ბაზრისათვის წარმოებად („შინამრეწველობად“) გადაქცევის საფუძველს წარმოადგენდა[49]. მაგრამ, ჩანს, არახელსაყრელი პირობები, პირველ რიგში უცხოური და რუსული ფაბრიკული ნაწარმის სულ უფრო და უფრო მზარდი რაოდენობით შემოტანა საქართველოში, ახშობდა ოჯახური მრეწველობის მთელი რიგი დარგების (კერძოდ ფეიქრობის) სასაქონლო წარმოებად გადაქცევის სტიმულს. თუმცა ასეთი ტენდენცია მაინც არსებობდა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ხდებოდა შეძენილი ნედლეულის გადამუშავება გაყიდვის მიზნით. ოჯახური მრეწველობის სასაქონლო წარმოებად გადაქცევის საფეხურზე გაყინვის, ამ წარმოების უპერსპექტივობის მაჩვენებელია ვაჭარ-შემსყიდველის პასიური როლი ამ საქმეში და განსაკუთრებით ის, რომ საქართველოში აღნიშნულ წარმოებაში არ არის დადასტურებული დაქირავებული შრომის გამოყენება, განსხვავებით ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ოლქებისაგან, სადაც ე. წ. „შინამრეწველობის“ ზოგი-

---

[47] ს. გულიშამპაროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 70.

[48] იქვე. გვ. 71.

[49] იქვე, გვ. 347, 580.

ერთ დარგში (მაგ., ნოხის წარმოებაში) მართლაც ქონდა ადგილი კაპიტალისტური ხასიათის წარმოებაზე გადასვლას დაქირავებული შრომის ფართო გამოყენებით[50].

ჩვენ ხელთ არსებული მასალები მოწმობენ, რომ „შინამრეწველობა" სოფლად, ე. ი. არსებითად ოჯახური მრეწველობა მე-19 ს. მეორე ნახევარში საქართველოში კი არ ვითარდება, გლეხის მეურნეობაში სამრეწველო საგნების დამზადება და გასაღება კი არ ფართოვდება, არამედ პირიქით მცირდება. ამის მიზეზი, როგორც აღინიშნა, პირველ რიგში რუსეთიდან და უცხოეთიდან შემოტანილი და ნაწილობრივ ადგილზე დამზადებული ფაბრიკული პროდუქცია იყო.

ქუთაისის გუბერნიის 1890 წლის მიმოხილვაში აღნიშნულია: „Сбыт кустарных изделий и разных предметов сельской промышленности, ввиду незначительного спроса на таковые, не доставляет населению существенной прибыли к бюджету, особенно если принять во внимание количество труда, затрачиваемого на изготовление местных изделий. Местныя металлические, деревянные изделия, а равно и ткани, с каждым годом вытесняются таковыми же предметами, привозимыми из внутренних губернии России и Северного Кавказа; деревянная посуда повсеместно заменяется фаянсовой, или стеклянной; равным образом ситцы и каленкор вытесняют соответствующия туземныя материи (хами, бязь), местные изделия сохраняют еще свое значение в тех местностях, куда вследствие бездорожья трудно проникают привозные товары, или где эти последние не могут удовлетворить местным требованиям. Из местных изделий наибольший сбыт имеют шерстяные и шелковые ткани" [51].

როგორც დავინახეთ, შინამრეწველობის ზოგიერთი დარგი სავსებით ქრება, ზოგიერთი კი რჩება გარკვეულ ფარგლებში, მაგრამ ესენიც, მაგალითად, აბრეშუმისა და შალის ქსოვილების წარმოება, იგივე წყაროს თანახმად, იმდენად არარენტაბელური იყო, რომ თითქმის არ ამართლებდა თავს[52]. რუსეთიდან შემოტანილი ფაბრიკული ნაწარმის მიერ ადგილობრივი „შინამრეწველური" პროდუქციის გამოდევნა, რაც მოცემულია ი. პეტროვთანაც[53] და სხვა წყაროებ-

---

[50] პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 365—381.

[51] Обзор Кутаисской губернии за 1890 г., л. 206—212.

[52] იქვე.

[53] И. Петров, დასახ. ნაშრომი.

შიც[54]. საგანგებოდ აღინიშნა ლენინის ნაშრომში, როგორც რუსეთის კაპიტალიმზის ბიერ საქონლის მსოფლიო ბრუნვაში კავკასიის ჩათრევის მაგჩენებელი[55].

ამდენად საკვლევით ბუნებრივია, რომ მე-19 ს. მეორე ნახევარში შეიმჩნევა „შინამრეწველური“ ანუ არსებითად ოჯახური მრეწველობის დარგების შეკვეცა და ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, პროდუქციის გასაყიდად გამოტანილი ნაწილის შემცირება.

2. ხელოსნობა, წვრილი სასაქონლო წარმოების განვითარება

ხელოსნურ წარმოებას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს[56]. მიუხედავად იმისა, რომ ხელოსნობა არსებითად წინაკაპიტალისტური ხანის წარმოების წესის დამახასიათებელ ფორმას წარმოადგენდა, იგი დიდხანს შემორჩა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს, თუმცა ახალი ვითარების შესაბამისად განიცდიდა ცვლილებასაც. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ მხრივ ჰქონდა ხელოსნური წარმოების ტენდენციას დაქირავებული შრომის სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით გამოყენებისაკენ, რაც სხვა მოვლენებთან ერთად (ამქრის გარეშე ხელოსნობის ზრდა, ბაზრისათვის საქონლის წარმოებაზე გადასვლა, ცარიზმის ღონისძიებანი, მიმართული ამქრების წინააღმდეგ და სხვა) არყევდა ამქრული ხელოსნობის საფუძველს[57].

მე-19 ს. წყაროებში, როგორც აღწერილობით მასალებში, ისე სტატისტიკაში, ხშირ შემთხვევაში ხელოსნობაში იგულისხმება ამ წარმოების განვითარების, ე. ი. სახელოსნოს გაფართოვების შედეგად მიღებული ისეთი მსხვილი საწარმოები, ან ბაზრისათვის მომუშავე წვრილი სარეწები, რომელნიც უკვე აღარ შეესაბამებიან ხელოსნობის, როგორც შემკვეთისათვის მუშაობის გაგებას. ხელოსნობის განხილვისას, გამოვდივართ ამ ვითარებიდან და ვცდილობთ გამოვყოთ იგი მრეწველობის სხვა ფორმებიდან (კერძოდ წვრილ სასაქონლო წარმოებიდან) „ყოველი წვრილი მრეწველის შესახებ

---

[54] ს. გულიშამბაროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

გ. ხელიმსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 1-3, 21 და სხვა.

[55] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 3. გვ. 703—704.

[56] ბ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 3—272; Ш. Месхна, Города и городской строй феодальной Грузии (XVII—XVIII вв.), Тб., 1959

[57] ბ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 272—336; Ш. Чхетия, Тбилиси в XIX столетии, Тб., 1942.

ცნობების ეკონომიური განხილვის“ გზით[58], თუ კი ამის შესაძლებლობა გვეძლევა. ამავე დროს ჩვენ გვაინტერესებს ხელოსნობის დაშლის პროცესი, კერძოდ ბაზრისათვის წარმოებაზე გადასვლა, დაქირავებული შრომის გამოყენების ზრდა და მსხვილი სახელოსნოების გაჩენა, რაც იყო ხელოსნობის წვრილ სასაქონლო წარმოებაში გადასვლის მაჩვენებელი.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ხელოსნობის გავრცელების სურათს 1845 წელს გვაძლევს ცხრილი 2[59].

ცხრილი 2

მაზრების დასახელება	ოსტატების რიცხვი		მუშების რიცხვი	რა თანხის საქონელს ამზადებდნენ (მანეთებში)
	ქალაქებში	სოფლებში		
თბილისის	2099*	602	—	14020
გორის	224	577	619	8645
თელავის	231	384	1029	52297
სიღნაღის	220	290	865	75641
ქუთაისის	76	626	430	15840
გურიის	102	167	221	3789
ახალციხის	603	151	368	52650
ს უ ლ	3555	2797	3532	222882

* აქედან 34 დუშეთზე მოდის.

ხელოსანთა შორის ჩამოთვლილი არიან მეტყავეები, მეაგურეები, მჭედლები, დურგლები, ოქრომჭედლები, მექვაბეები (მესპილენძეები), მეუნაგირეები, სარაჯები, მკალავები, ზეინკლები, ხარაზები, თერძები, ჭონები, ხაბაზები, დალაქები, ფეიქრები და სხვა. (სულ 26 სახელწოდების დარგი).

უნდა აღინიშნოს, რომ ცხრილში მოტანილი ციფრობრივი მაჩვენებლები მხოლოდ დაახლოებით ასახავენ არსებულ ვითარებას

[58] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 384.

[59] ცხრილი შედგენილია სპეციალური უწყისების საფუძველზე. სცსია, ფონდი 16, საქმე 8888, ფურც. 50—51, 64—65, 73—74, 128—130; ლენ. ცსია, ფონდი 1268, აღწ. 2, საქმე 349, ფურც. 95—97. იგივე მასალას იყენებს გ. ბაკრაძეც—დასახ. ნაშრომი, გვ. 19—20.

და ხშირ შემთხვევაში ნაკლულნიც არიან. ასე მაგ., ცხრილში სულ არ არის ასახული თბილისსა და თბილისის მაზრაში არსებულ სახელოსნოებში მომუშავე მუშების რაოდენობა, ხოლო პროდუქციაში არ არის ნაჩვენები თბილისის სახელოსნოების გამომუშავება[60], რაც 1845 წლის სხვა მონაცემებით 145 ათას მანეთს აღემატებოდა[61]. შემცირებულად გვეჩვენება აგრეთვე გორის, ქუთაისის და გურიის მაზრების ხელოსანთა პროდუქციის მაჩვენებლებიც.

როგორც ზემომოტანილ მონაცემებიდან ირკვევა, თითო ოსტატზე (თბილისის გამოკლებით) საშუალოდ თითო მუშა მოდიოდა. მაგრამ ცალკეული მაზრების მიხედვით სურათი განსხვავებული იყო: თელავის მაზრაში თითო ოსტატზე 2 მუშა მოდის, ქუთაისის მაზრაში კი 2 ოსტატზე 1 მუშა. ამასთანავე უნდა ვივარაუდოთ, რომ ქალაქებში, როგორც წესი, ხელოსნობაში შედარებით მეტად იყო გავრცელებული დაქირავებული მუშახელის გამოყენება. ამდენად უკვე ამ მონაცემებით ირკვევა ცალკეულ შემთხვევებში ხელოსანთა მიერ 2-3 მუშის გამოყენება. საშუალო წლიური გამომუშავება თითო სახელოსნოზე (თბილისის გამოკლებით) დაახლოებით 50 მანეთს უდრიდა, თუმცა მაზრების მიხედვით ამ მხრივაც მკვეთრი განსხვავებაა. ასე მაგ., სიღნაღის მაზრაში ხელოსნის საშუალო გამომუშავება უდრის 150 მანეთს, თელავის მაზრაში 85 მანეთს, ქუთაისის მაზრაში 23 მანეთს, ზოგგან კი ამაზე ნაკლებსაც. ცხადია, ასეთი სხვაობა ცნობების ნაკლოვანების შედეგია. მაგრამ დაახლოებითი სურათის წარმოდგენა მაინც შეიძლება. არსებითად ჩვენ აქ საქმე გვაქვს წვრილ ხელოსნურ წარმოებასთან.

1865 წლის ოფიციალური ცნობით თბილისის გუბერნიის ქალაქებში (ელიზავეტოპოლის ჩათვლით) სულ 3247 ოსტატი, 2981 შეგირდი და 874 მუშა იყო. აქედან თბილისზე მოდიოდა 2489 ოსტატი, 2168 შეგირდი და 849 მუშა. ესენი, როგორც ჩანს, ამქრებში გაერთიანებული ხელოსნები იყვნენ, რადგან ამათ გარდა თბილისში ნაჩვენებია 167 „დამოუკიდებელი" ხელოსანი[62].

საერთოდ, ხელოსნობის შესახებ არსებული მასალები მეტად განსხვავებულ მონაცემებს შეიცავენ. შედარებით ზუსტი ცნობები მოგვეპოვება ქ. თბილისის შესახებ, რომელიც ხელოსნური წარმო-

---

[60] როგორც „უწყისების" ანალიზი გვიჩვენებს თბილისის მაზრის სახელოსნოთა პროდუქციაში მხოლოდ დუშეთის და თბილისის მაზრის სოფლების სახელოსნოების პროდუქციაა მითითებული, თვით ქალაქ თბილისის გამოკლებით. სცსია, ფონდი 16, საქმე 8888, ფურც. 64—65.

[61] Кавказский Календарь, 1846, стр. 163.

[62] სცსია, ფონდი 414, საქმე 18, ფურც. 13—14.

ების ცენტრი იყო. ასეთ ცნობებს გვაწვდის, მაგალითად, 1866 წელს ამქრების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით შედგენილი აღწერილობა, რომლის ავტორია სტატისტიკური კომიტეტის წევრი დუნკელველინგი[63].

აღწერის მიხედვით თბილისში ამქრების რეორგანიზაციამდე იყო 76 ამქარი. ადგილობრივი ხელოსანი—ოსტატი და ქარგალი იყო 2894, შეგირდი—944, მუშა—245. ამ ხელოსანთა რიცხვში 208 იყო ტვირთის მზიდავი („მუშა") და 95 წყლის დამტარებელი („თულუხჩი"), 25 მუშით. არაადგილობრივი ანუ „ევროპელი" ხელოსნებიდან ოსტატი იყო 382, ქარგალი—450, მუშა—91.

როგორც ირკვევა, ყველა ადგილობრივი ხელოსანი არ ყოფილა ამქარში გაერთიანებული. მაგალითად, ისეთი ხელოსნები, როგორიც იყვნენ: კონდიტრები, მეძეხვეები, მეშუშეები, მეთუნუქეები, მკინძავები და სხვა, არ იყვნენ ამქრის წევრები. ხოლო ადგილობრივ ხელოსანთა ნაწილი—დურგლები და ავეჯის მკეთებლები, ზეინკლები, ეტლების მკეთებლები, მღებავები და გადამკვრელები (обшики) გაერთიანებულნი იყვნენ ამქრებში „ევროპელ" ხელოსნებთან ერთად. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამქრებს ეკუთვნოდნენ აგრეთვე მესაათეები და ოქრომჭედლები. ასე რომ, უცხოელ ხელოსანთა გარკვეული ნაწილიც გაერთიანებული აღმოჩნდა ამქარში, ხოლო დიდი ნაწილი კი არა. ზოგიერთი უცხოელი ხელოსანი პირობით იყო მიკუთვნებული ამქარს. ასე მაგ., ფეხსაცმელების მკეთებლების შესახებ აღნიშნულია: „Считаются в амкаре европейских сапожников, но не подвергаются никаким сборам оного, а равно и штрафам". იგივეა ნათქვამი მჭედლებზეც. ხოლო მკერავებს უწერიათ: „К амкару шитья европейского платья не принадлежат, но приглашаются на испытание в мастера и подмастерья в качестве экспертов". უცხოელ ხელოსნებს, ზოგ შემთხვევაში თავიანთი საკუთარი ორგანიზაციის ჩამოყალიბებაც უცდიათ. ასე მაგ. ხაბაზებზე და მეფუნთუშეებზე ნათქვამია: „К амкару не принадлежат. В 1864 г. предполагали составить свою общину или цех и избрать устабашем или старейшиною Клоца, но предположение это не приведено в исполнение". ხოლო ლამფების

---

63 «Сравнительная ведомость числа ремесленников туземных и нетуземных». სცსია, ფონდი, 7, აღწ. 1, საქმე 2229, ფურც. 81—92. ეს დოკუმენტი ჯერ კიდევ 1954 წ. მოგვაწოდა პროფ. შ. მ ე ს ხ ი ა ს, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ. ეს წყარო სხვა ამდროინდელ მასალებზე უფრო სანდო და სრული ჩანს.

მკეთებლებს და მესპილენძეებს უწერიათ: „К амкару не принадлежат, но имеют старшину Тимофея Науменко“.

გარდა აღნიშნულისა, იგივე დოკუმენტი კარგად გვიჩვენებს ხელოსნური წარმოების დარგებში მომხდარ ცვლილებებს, კერძოდ ახალი დარგების გაჩენას, უპირატესად უცხოელ ხელოსანთა მოსვლის შედეგად, ადგილობრივ ხელოსანთა ჩაბმას ამ დარგებში. ასე მაგ., ხელოსნობის ძველი, ტრადიციული დარგების გვერდით, თავი რომ დავანებოთ ევროპულ ფეხსაცმლის და ტანსაცმლის მკერავებს, ვინაიდან ისინი უკვე დიდი ხანია ამქრებს განეკუთვნებოდნენ, ჩნდება სრულიად ახალი დარგები, რომელთაც ადგილობრივი ხელოსნებიც კიდებენ ხელს. ესენია კონდიტრები, მეძეხვეები, მეთუნუქეები, მეშუშეები, მკინძავები. იყო დარგები, რომელთაც ამ დროს მხოლოდ უცხოელი ხელოსნები მისდევდნენ. ესენია: ეტლების მკეთებლები, ლუდის დამამზადებლები, კასრების მკეთებლები, ხელთათმანებისა და ბანდაჟების მკეთებლები, მეშტემპელეები და სხვები.

მთელი ზემომოტანილი მასალა ამქრის გარეშე ანუ თავისუფალი ხელოსნობის გაჩენის ილუსტრაციას წარმოადგენს, რაც ამქრული ხელოსნობის დაშლის ერთ-ერთი მაჩვენებელი იყო. იგივე მოვლენაზე მიგვითითებს წვრილი სახელოსნოების გვერდით შედარებით მსხვილ სახელოსნოთა გამრავლება. სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არსებული დოკუმენტი ადგილობრივი ოსტატებისა და ქარგლების რიცხვს ერთად უჩვენებს, რის გამოც შეუძლებელია დადგენა, თუ თითო ოსტატზე რამდენი ქარგალი და მუშა მოდიოდა, მაგრამ, სამაგიეროდ დოკუმენტში მოცემული „ევროპელ“ ოსტატთა, ქარგლებისა და მუშების თანაშეფარდება მოწმობს, რომ წვრილი სახელოსნოების გვერდით, სადაც თითო ოსტატი და 1-2 ქარგალი და მუშა მუშაობდა, გვხვდება სახელოსნოები, რომლებშიც თითო ოსტატთან 1-2 ქარგალი და 2-4 მუშა მუშაობდა. გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც თითო სახელოსნოში 10-20 ქარგალი და მუშა მუშაობდა. აღნიშნული სახელოსნოების ანალიზი ცხადყოფს, რომ ისინი უკვე წვრილი საქონლური წარმოების სფეროს განეკუთვნებოდნენ, ხოლო უმსხვილესნი, უკვე კაპიტალისტურ მარტივ კოოპერაციას და ზოგ შემთხვევაში მანუფაქტურებს წარმოადგენდნენ. ზოგიერთ მათგანს სტატისტიკა უკვე „ფაბრიკა-ქარხნების“ რიცხვშიც კი ათავსებს.

ანალოგიურ სურათს წარმოგვიდგენს ქ. ქუთაისის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული მასალაც, კერძოდ 1860 წლის ხელოსნური და სხვა

სახის მრეწველობის აღწერა[64]. აღწერაში სულ 45 ოსტატია ჩამოთვლილი, ადგილობრივი და უცხოელიც. ესენი არიან: მესაათე—1, ოქრომჭედელი—12, ზეინკალი—1, იარაღის მკეთებელი—2, მჭედელი—2, დურგალი—3, მეჩექმე—12, ევროპული ტანისამოსის მკერავი—4, ადგილობრივი ტანისამოსის მკერავი—8.

როგორც ჩანს, სიაში შეტანილია მხოლოდ ქუთაისში არსებული შედარებით მსხვილი სახელოსნოები, რადგან ქალაქში გაცილებით მეტი ხელოსანი უნდა ყოფილიყო, როგორც სიაში ჩამოთვლილი დარგების, ისე სხვა ისეთი დარგისა, რომელიც დამახასიათებელი იყო საერთოდ საქართველოს ქალაქებისათვის (მაგ., მექუდეები, მეუნაგირეები, ხაბაზები, მკალავები, მექვაბეები და სხვ.).

ამასვე მოწმობს სახელოსნოთა წლიური გამომუშავება 100-დან 1000 მანეთამდე, საშუალოდ 200—300 მანეთი. ცხადია ქუთაისში, ისევე როგორც სხვაგან, იქნებოდა უფრო მცირე მასშტაბის სახელოსნოებიც.

სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს ცნობა, თუ რამდენი ქარგალი და ოსტატი მუშაობდა სიაში აღნიშნულ ოსტატებთან. მაგრამ სამაგიეროდ აღნიშნულია სახელოსნოების დაარსების დრო. ირკვევა რომ სიაში აღრიცხული სახელოსნოებიდან მე-19 ს. 20-იან წლებში დაარსებული იყო მხოლოდ 1 სახელოსნო, 30-იან წლებში—6, 40-იან წლებში—14, ხოლო 50-იან წლებში—24. თუ ჩავთვლით, რომ სიაში მართლაც შედარებით მსხვილი სახელოსნოებია შეტანილი, გამოდის, რომ ასეთი სახელოსნოების რიცხვი თანდათან მატულობს, რაც საქონლური წარმოების განვითარების მაჩვენებელია.

როგორც ცნობილია, რუსული ხელისუფლების წინაშე უკვე 50-იანი წლებიდან დგება საკითხი ამქრული ორგანიზაციის ლიკვიდაციის შესახებ, იმ საბაბით რომ იგი აფერხებდა საკაჭრო-ხელოსნურ საქმიანობას. მით უმეტეს, რომ ამ დროს არსებობდა ვაჭართა ამქრებიც. მაგრამ ხელისუფლება დიდხანს ვერ ელეოდა ამქრულ ორგანიზაციას, რადგან იგი მას ჰირდებოდა ქალაქის ვაჭრულ-ხელოსნურ ფენებში წონასწორობის დასაცავად და საგადასახადო საქმის მოსაგვარებლად. მაგრამ 1865 წლის „ამქართა გამოსვლამ", რომელიც სპეციალურ ლიტერატურაშია გაშუქებული, როგორც ბურჟუაზიისა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობის, ე. ი. საერთოდ დაბალი ფენების გამოსვლა ცარიზმისა, პოლიციურ-ბიუროკრატიული რეჟი-

---

64 «Список частных фабрик, заводов и ремесленных заведений, находящихся в г. Кутаиси. 1860 г.» სცსია, ფონდი 10, საქმე 496, ფურც. 88 — 89. სულ სიაშია 55 სახელწოდების საწარმო. აქედან 45 ხელოსნური საწარმო, 9— „ქარხანა" და 1 „ფაბრიკა" (აბრეშუმსახვევი).

მის და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა წინააღმდეგ[65], დააჩქარა ამქართა რეორგანიზაცია. 1867 წლის დებულებით თუმცა ამქრები შენარჩუნებული იქნენ შეზღუდული რაოდენობით (17 სახელოსნო ამქარი და 4 მუშათა არტელი), მაგრამ ისინი მთლიანად დაექვემდებარნენ ხელისუფლების ორგანოებს, რამაც მეტად შეზღუდა მათი თვითმოქმედების სფერო. ვაჭართა ამქრები საერთოდ გაუქმდა[66]. დებულებაში განსაკუთრებით საინტერესოა იმ ახალი მოვლენების ასახვა, რომელნიც თავს იჩენენ ხელოსნურ წარმოებაში. ესაა პირველ რიგში ოსტატისათვის სახელოსნოს გაფართოებისა და ქარგლების რიცხვის ნებისმიერად გაზრდის უფლების მიცემა; არა მარტო იმ ხელოსნის მიჩნევა ოსტატად, რომელიც თვითონ მუშაობს, არამედ სახელოსნოს მფლობელისა, რომელიც დაქირავებულ მუშახელს იყენებს. ამავე დროს ქარგლებისა და შეგირდების განხილვა, როგორც დაქირავებული მუშახელისა. დებულებაში ნათქვამია: „Мастером называется тот, кто или сам занимается каким либо мастерством в отдельной лавке, или содержит мастерскую из наемых подмастерьев и учеников“[67]. ქარგლების შესახებ პირდაპირ მითითებულია, რომ ისინი წარმოადგენდნენ ხელოსნებს, რომელნიც ქირით მუშაობენ სახელოსნოს პატრონთან, ე. ი. განიხილებოდნენ როგორც კვალიფიციური მუშები.

ყოველივე აღნიშნული, ცხადია, ხელოსნობაში კაპიტალისტური ურთიერთობის შეჭრის მაჩვენებელი იყო, რის შედეგადაც თვით ამქრული ორგანიზაცია თანდათან რუდიმენტულ ორგანოდ იქცა და მხოლოდ ტრადიციას ემყარებოდა[68].

მე-19 ს. მეორე ნახევარში საქართველოში მიმდინარეობს ხელოსნობის წვრილ საქონლურ წარმოებად გადაქცევის ინტენსიური პროცესი. ხელოსანი, როგორც წესი, ბაზრისათვის მწარმოებლად იქცევა. ეს განსაკუთრებით თბილისისა და სხვა ქალაქების ხელოსნებზე ითქმის, მაგრამ ანალოგიური მოვლენა სოფლადაც შეიმჩნევა.

---

[65] შ. ჩხეტია, დასახ. ნაშრომი, გვ. 271; А. Г. Пирцхалайшвили, К истории выступления Тбилисских амкаров, „Исторические записки“, 1940 № 8; პ. გუგუშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 280 — 281; საქართველოს ისტორია, ტ. II, თბ., 1962, გვ. 12—17 და სხვა.

[66] პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 284—295; ნ. როდონაია, თბილისის მრეწველობის მე-19 ს. მეორე ნახევარში, თბ., 1961, გვ. 103—104.

[67] შ. ჩხეტია, დასახ. ნაშრომი, დამატება, გვ. 500. Положение о ремесленных амкарах (цехах) в гор. Тифлисе и об их управлении, Тифл., 1911, гл. IV, отд. 1, § 39.

[68] პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 316.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ აქ საკმაოდ დიდხანს შემორჩა ხელოსნობიდან სასაქონლო წარმოებაზე გარდამავალი ფორმები, დაქსაქსულ წვრილ მრაწმოებელთა სახით, რომელნიც ჯერ კიდევ შეზღუდულნი იყვნენ შემკვეთისათვის მუშაობით და რომელთა საქმიანობის მთავარ მიზანს, იმ შემთხვევაშიც კი, როცა საქონელი ბაზარზე გამოაქონდათ, ჯერ კიდევ შეადგენდა მათი „არსებობის უზრუნველყოფა, მაშასადამე, სახმარი ღირებულება; და არა გამდიდრება, არა საცვლელი ღირებულება, როგორც თვითმიზანი“[69]

მე-19 ს. მეორე ნახევარში ხელოსნობის მდგომარეობის შესწავლისას, როგორც უკვე აღინიშნა, ჩვენ ვემყარებით სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა გენერალური აღწერის მასალებს. კერძოდ ჩვენ შესწავლილი გვაქვს 1886 და 1888 წლის აღწერილობანი[70]. 1886 წლის აღწერაში შეტანილია ყველა წვრილი სახელოსნო, ისეთიც კი, სადაც მხოლოდ თითო ოსტატი მუშაობდა, ხოლო 1888 წლის აღწერაში მხოლოდ ისეთები, სადაც ოსტატთან 1-2 და მეტი მუშა მუშაობდა. დანარჩენ (ე. ი. უფრო წვრილ) სახელოსნოთა შესახებ აღწერაში მხოლოდ ჯამური მონაცემებია. 1893 წლისათვის კი ჩვენ გვაქვს თბილისის გუბერნიის სახელოსნოების ანკეტური აღწერილობა[71], რომელიც წვრილი წარმოების არა ერთ დეტალში გარკვევის საშუალებას გვაძლევს.

1888 წლის გენერალური აღწერის ჟურნალის მასალების მიხედვით, საქართველოს ქალაქებში ხელოსნური და წვრილი საქონლური წარმოების შესახებ წარმოდგენას გვიქმნის ცხრილი 3 (იხ. გვ. 87).

ცხრილში მოტანილი მონაცემები ცხადყოფენ, რომ საქართველოს ქალაქებში წვრილი სახელოსნოები ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი რაოდენობით იყო. მარტო ისეთი სახელოსნოები, სადაც ოსტატი მარტო მუშაობდა, ან შეგირდების თუ ოჯახის წევრების, ან 1 მუშის დახმარებით მუშაობდა, შეადგენდნენ 78,5%. მაგრამ იყო ისეთი სახელოსნოები, რომელნიც გამსხვილების ტენდენციას ამჟღავნებდნენ. განსაკუთრებით ეს ითქმის თბილისზე და ქუთაისზე, სადაც 2-4 მუშიანი სახელოსნოები მნიშვნელოვან პროცენტს შეადგენდნენ (თბილისში—22%, ქუთაისში—58%). აქვე გამოირჩეოდნენ უფრო მსხვი-

---

[69] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, თბ., 1952, გვ. 68.

[70] სცსია, ფონდი 254. 1886 წ. — საქმე 3567, 3570, 3580;
1888 წ. — საქმე 3932, 3978, 3983.

[71] ლენ. ცსია, ფონდი 1290, აღწ. 5, საქმე 83, 118—129.

ლი სახელოსნოებიც 5—8 მუშით, რომელნიც არსებითად უკვე წვრილ კაპიტალისტურ საწარმოებს წარმოადგენდნენ.

ხელოსნური და წვრილი საქონლური წარმოების განხილვისას საქართველოს დაბებსა და სოფლებში ჩვენ ყურადღება მივაქციეთ არა მარტო სახელოსნოთა რაოდენობრივ მაჩვენებლებს, არამედ სახელოსნოთა გავრცელებას ცალკეული პუნქტების მიხედვით. კერძოდ, დავაჯგუფეთ ისეთი პუნქტები, რომლებშიც 10-მედ სახელოსნო იყო, შემდეგ 11-დან 20-მდე, 21-დან 40-მდე და 40-ის ზევით.

ცხრილი 3

ქალაქების დასახელება	სულ სახელოსნო	უმუშევთ ან 1 მუშით	2 მუშით	3 მუშით	4 მუშით	5—8 მუშით
თბილისის გუბერნია						
1. თბილისი	2175	1696	132	196	128	23
2. გორი	164	116	14	25	8	1
3. თელავი	195	165	—	30	—	—
4. ახალციხე	391	355	7	27	—	2
5. ახალქალაქი	164	157	7	—	—	—
6. სიღნაღი	139	125	12	1	1	—
სულ გუბერნიის ქალაქებში	3228	2614	172	279	137	26
ქუთაისის გუბერნია						
1. ქუთაისი	293	122	84	76	8	3
2. ზუგდიდი	99	87	11	1	—	—
3. ფოთი	94	84	2	8	—	—
4. სოხუმი	37	19	9	7	—	—
5. ბათუმი	296	221	25	39	8	3
სულ გუბერნიის ქალაქებში:	819	533	131	131	16	6
სულ საქართველოს ქალაქებში	4047	3147	303	410	153	32

ხელოსნობის და წვრილი საქონლური წარმოების გავრცელებაზე საქართველოს დაბებსა და სოფლებში 1886—1888 წლებში წარმოდგენას გვიქმნის ცხრილი 4 (იხ. გვ. 88).

მოტანილი მასალა ცხადყოფს ხელოსნური წარმოების კონცენტრაციას შედარებით მსხვილ სოფლებსა და დაბებში. თბილისის გუბერნიაში სულ ასეთი იყო 33, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 67. აღნიშნულ პუნქტებს გარდა სოფლად ხელოსნებს ჩვენ იშვიათად ვხვ-

დებით, აქა-იქ მხოლოდ თითო მჭედელს ან ხარაზს. ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ სოფლად თანდათან იშლება ძველი ხელოსნური წარმოება, მიწათმოქმედების დამატების სახით რომ არსებობდა და მწარმოებელი უახლოვდება ბაზარს—ხელოსნები თავს იყრიან საკავკრო-სახელოსნო პუნქტებში, უპირატესად საბაზრო ადგილებში, რითაც ხელოსნური წარმოება თანდათან ეთიშება მიწათმოქმედებას. ხელოსანი უკვე ერთ სოფელს კი აღარ ემსახურება, არამედ მთელ რაიონს, მაზრას. დამახასიათებელია ამ მხრივ ი. პეტროვის

ცხრილი 4

	სოფლები, სადაც იყო 10-მდე სახელოსნო	სახელოსნოთა რაოდენობა	სოფლები, სადაც იყო 11—20 სახელოსნო	სახელოსნოთა რაოდენობა	სოფლები, სადაც იყო 21—40 სახელოსნო	სახელოსნოთა რაოდენობა	სოფლები და დაბები, სადაც იყო 41—80 სახელოსნო	სახელოსნოთა რაოდენობა	დაბები, სადაც იყო 80-ზე მეტი სახელოსნო	სახელოსნოთა რაოდენობა	სოფლების და დაბების რაოდენობა	სახელოსნოთა რაოდენობა
თბილისის გუბერნია	20	109	5	79	5	142	3	188	—	—	33	518
ქუთაისის გუბერნია	39	217	10	136	8	219	7	322	3	302	67	1196
სულ	59	326	15	215	13	361	10	510	3	302	100	1714

მიერ აღწერილი წულის წარმოება ქუთაისის გუბერნიაში: „Из кустарных промыслов, находящихся в руках мужчины и имеющих значение для всей губернии, достойно внимания производство местной обуви — „цуги“, носимой почти всем крестьянским населением губернии. В каждом местечке, городе и даже селении вы часто видите десятки мастерских для приготовления „цуг“. Мастер „мецуге“ с несколькими подмастерьями и учениками сидит дни и ночи за шитьем „цуги“, увешивая ими все стены своей мастерской. Покупатель в такие мастерские является, главным образом три раза в год, т. е. раз в 4 месяца. И тогда мастерская „мецуге“ живо опорожняется. После праздника, опять происходит закупка кож, и опять идет работа четыре месяца“[72].

[72] ი. პ ე ტ რ ო ვ ი, დასახ. ნაშრ.

აქ მოცემულია ტიპიური სურათი ხელოსნის, რომელიც არა მარტო ქალაქში, არამედ დაბასა და ზოგიერთ სოფელში (ჩანს იქ. სადაც ბაზრობა იმართებოდა) საქმობდა და თავის ნაწარმით მთელ რაიონს ამარაგებდა.

ხელოსნური წარმოების სავაჭრო-სახელოსნო პუნქტებში კონცენტრაციის თვალსაზრისით საინტერესოა ის გარემოება, რომ ზემომოტანილი ცხრილის თანახმად 100 პუნქტიდან 26 შედარებით მსხვილ სოფელსა და დაბაში (სადაც 20-ზე მეტი სახელოსნო ითვლებოდა) თავმოყრილი იყო სახელოსნოთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი (903—1714-დან).

ზემოთ გვქონდა აღნიშნული, რომ ქალაქებში წვრილი სახელოსნოები უმრავლესობას შეადგენენ. მით უმეტეს ეს ითქმის სოფლებსა და დაბებზე. აქ ისეთი სახელოსნოები, სადაც სულ არ ვხვდებით მუშებს, ან 1 მუშა მუშაობდა, შეადგენდნენ სახელოსნოთა საერთო რაოდენობის 92,5% (1573—1714-დან). ასეთი გამოანგარიშების საფუძველს გვაძლევენ ჩვენ ხელთ არსებული მონაცემები იმის შესახებ. თუ სახელოსნოთა საერთო ჯამიდან რამდენი იყო 2 და მეტი მუშიანი სახელოსნო. აღსანიშნავია. რომ რამდენადაც მსხვილი იყო სავაჭრო-სახელოსნო პუნქტი, იმდენად მატულობდა იქ 2 და მეტი მუშიან სახელოსნოთა რიცხვი. ასე მაგ., ისეთ სოფლებში, სადაც სახელოსნოთა რიცხვი 10-მდე აღწევდა[73], სულ არ ვხვდებით 2 მუშიან სახელოსნოსაც კი. სოფლებში სადაც 11-დან 20-მდე სახელოსნო იყო[74] სულ 215 სახელოსნოდან 2 მუშიანი იყო 8, ხოლო 3 მუშიანი—2; სოფლებში, სადაც 21-დან 40-მდე სახელოსნო იყო[75], 361

---

[73] ასეთი სოფლებია: აღმოსავლეთ საქართველოში — მუხრანი, მცხეთა, ახალგორი, კოჯორი, მანგლისი, საგარეჯო, გურჯაანი, შილდა, ნაფარეული, ქვემო მაჩხაანი, ყვარელი, აწყური, აბასთუმანი, ხერთვისი და სხვა. აქვე პირობითად გვაქვს შეტანილი დუშეთიც (9 სახელოსნოთი): დასავლეთ საქართველოში—ტობანიერი, საჯევახო, კულაში, სადემეტრავო, ვარციხე, სვირი, დვალიშვილები, წიფა, წევა, ბესლათუბანი, ხარაგაული, განიერი, მაღლაკი, ბუგეული, ხოტევი, ცაგერი, სუფსა, ხიდისთავი, მუხური, დარჩელი, ზენი, ბანძა, ანაკლია, გუდაუთი, ოქუმი, ხულო და სხვა...

[74] აღმოსავლეთ საქართველოში — თიანეთი, ლაგოდეხი, თეთრი წყარო (Белый ключ, წითელწყარო (Царские колодцы) ახალქალაქი (გორის მაზრის); დასავლეთ საქართველოში —ორპირი (ქუთ. მაზრაში), ჭიათურა, ტყიბული, ნახახულევი, ნაგომარი, იანეთი, ლაილაში, წალენჯიხა, ახუტი, სუჯუნა.

[75] აღმოსავლეთ საქართველოში — ბორჯომი, ხაშური (მიხაილოვო), ველისციხე, ეკატერინოფელდი, ჯელალ-ოღლი (ბორჩ. მაზრა); დასავლეთ საქართველოში — ვანი, ბაღდადი, ორპირი (სენაკის მაზრა), ძველი სენაკი, ნაგოლევი, ჩოხატაური, ხოფი, ოჩამჩირი.

სახელოსნოდან 2 მუშიანი იყო 18, 3 მუშიანი კი 16; სოფლებში და დაბებში, სადაც იყო 41-დან 80-მდე სახელოსნო[76], 510 სახელოსნოდან 2 მუშიანი იყო 13. ხოლო 3 მუშიანი—27. დაბებში, სადაც სახელოსნოთა რიცხვი 80-ს აღემატებოდა (ხონი, ყვირილა, ოზურგეთი) 302 სახელოსნოდან 2 მუშიანი იყო 23, ხოლო 3 მუშიანი 34. სახელოსნოთა კონცენტრაციისა და შედარებით მცხვილ სახელოსნოთა რაოდენობის მიხედვით ეს უკანასკნელნი აჭარბებდნენ ზოგიერთ ქალაქსაც კი (მაგ. სოხუმს).

ხელოსნური წარმოება 1886 და 1888 წლების გენერალურ აღწერილობათა მასალების მიხედვით მეტად ჭრელ სურათს წარმოადგენდა, როგორც ხელოსანთა შრომის ორგანიზაციის, ისე მომხმარებელთან, თუ ბაზართან მათი დამოკიდებულების თვალსაზრისით.

როგორც უკვე აღინიშნა ხელოსნურ წარმოებაში დაქირავებული შრომის გამოყენება უკვე ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მაგრამ ჯერ კიდევ ხშირად ვხვდებით მარტო მომუშავე ოსტატებს, რომელთა შესახებაც ზოგ შემთხვევაში პირდაპირ წერია: „работает без помощи рабочих“, „работает сам“. გვხვდება შეამხანაგების ფაქტებიც: „работает с сотоварищем“, ან ოჯახის წევრთა მონაწილეობა წარმოებაში: „работает с сыном“, „сыновьями“, „с женой“, „с помощью брата“, ან ზოგადად „с помощью своего семейства“, „с помощью членом своей семьи“.

1893 წლის ხელოსნური აღწერილობის (საანკეტო) მასალებში მარტო მომუშავე ოსტატებთან ერთად ვხვდებით ისეთ ოსტატებს, რომელნიც ოჯახის წევრთა დახმარებით მუშაობდნენ. ასეთ შემთხვევებში ოსტატის ძმები ქარგლების როლში გვევლინებიან, ხოლო შვილები—შეგირდებისა. გვაქვს, მაგალითად, ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთ სახელოსნოში ოსტატის 3 ძმა ქარგალი იყო, ხოლო 2 შვილი—შეგირდი. აქ საქმე გვაქვს ოჯახური კოოპერაციის ტიპიურ მაგალითთან, რომელიც კაპიტალისტური კოოპერაციის საფუძველს წარმოადგენდა.

ოსტატების შეამხანაგების შემთხვევაში 1893 წლის მასალებში სახელოსნოს მფლობელად ყველა შეამხანაგებული ოსტატია გამოცხადებული, რაც ხშირად აღინიშნება კიდეც მინაწერით: „общая хозяйна“. სიღნაღში არსებულ ერთ-ერთ ტყავის სახელოსნოში ჰომუშავე 4-ვე ოსტატი სახელოსნოს მეპატრონედაა გამოცხადებული. ჩანს ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს კოოპერაციის გარკვეულ სახეს თან.

[76] აღმოსავლეთ საქართველოში — სურამი, ცხინვალი, დიდი შულავერი; დასავლეთ საქართველოში—სამტრედია, საჩხერე. ჩხარი, ლანჩხუთი, ახალი სენაკი, აბაშა, ონი.

მაგრამ, ამასთან ერთად შეიძლება ითქვას, რომ ხელოსნური წარმოების ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას ოსტატთან თითო დაქირავებული მუშის გამოყენება წარმოადგენდა. გამოთქმა: „занимается ремеслом с помощью одного рабочего"... აღწერებში თითქმის ტრაფარეტად იქცა. თუმცა გვხვდება ასეთი გამოთქმაც: „занимается ремеслом с помощью 2-х работников по найму", ან „3-х наемников" და სხვა. ხშირად საგანგებოდ არ არის აღნიშნული, რომ სახელოსნოებში მუშები დაქირავებულნი იყვნენ. მაგრამ ეს უკვე თავისთავადაც იგულისხმებოდა. ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ წერია: „работает при 2-х (ან 3-х, 4-х) рабочих."

აღსანიშნავია, რომ 1886—1888 წლების გენერალურ აღწერებში ქარგლები იშვიათად მოიხსენიებიან, რადგან ისინი მუშებად არიან მიჩნეულნი, რაც ამ დროისათვის სავსებით ბუნებრივია. მაგრამ 1693 წლის ანკეტურ მასალებში ვხვდებით ქარგლებსაც და მუშებსაც, რაც, ცხადია, არ ცვლის ვითარებას, რადგან ქარგლები ამ შემთხვევაში განიხილებიან მხოლოდ როგორც კვალიფიციური მუშები. დამახასიათებელია ამ მხრივ ის გარემოება, რომ ხშირ შემთხვევაში ერთი და იგივე დარგის სახელოსნოებში თანაბარ პირობებში ხან ქარგლებია აღნიშნული, ხან მუშები (მაგალითად, თერძებთანაც კი—-თელავში), თუმცა უფრო ხშირად ორივენი გვხვდებიან, რადგან ერთ და იგივე სახელოსნოში გამოიყენებოდა კვალიფიციური მუშახელიც და არაკვალიფიციურიც (უმთავრესად შავ სამუშაოზე). მხოლოდ მუშები ჩვეულებრივ მოიხსენიებიან ისეთ დარგებში, სადაც ნაკლები კვალიფიკაცია იყო საჭირო და შავი სამუშაოც მეტი იყო (მაგ. მეაგურეებთან, ხაბაზებთან და სხვა), განსხვავებით ისეთ დარგებისაგან, რომელნიც მეტ კვალიფიკაციას მოითხოვდნენ და სადაც სამუშაო უფრო ფაქიზი იყო (ოქრომჭედლები, ხარაზები, თერძები, ჭონები და სხვა).

რაც შეეხება შეგირდების მონაწილეობას ხელოსნურ წარმოებაში, ისინი თითქმის ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში არიან დადასტურებულნი, ე. ი. იქ, სადაც ოსტატი მარტო მუშაობდა, ან 1-4 დაქირავებული მუშა ჰყავდა. თუმცა იყო სახელოსნოები შეგირდების გარეშეც. ჩვეულებრივ შეგირდები, არასრულასაკოვანი ყმაწვილები იყვნენ, რაც ზოგჯერ საგანგებოდ იყო აღნიშნული, მაგ.: — „работает с 2 учениками малолетними", ან „... с помощью одного ученика—13 летнего подмастерья". როგორც წესი შეგირდი ხელფასს არ იღებდა, თუმცა ეს გამორიცხული არ იყო. ზოგ შემთხვევაში იმის აღნიშვნა, რომ შეგირდი ხელფასს არ იღებდა

(მაგ., „занимается ремеслом при 2-х учениках не получающих жалованья“) იმის მაჩვენებელია, რომ შესაძლოა შეგირდს მისცემოდა ხელფასი.

1893 წლის ანკეტურ მასალებში შეგირდების შესახებ უფრო დაწვრილებითი ცნობები გვაქვს.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ დარგში სულ არ ჰანან შეგირდები. ეს ის დარგებია, სადაც ნაკლები კვალიფიკაცია იყო საჭირო (მაგალითად, მეაგურეებთან, ხაბაზებთან); სხვა დარგებში შეგირდების რიცხვი განუსაზღვრელი იყო. უმეტესწილად სახელოსნოში 1-3 შეგირდი მუშაობდა, ზოგ შემთხვევაში კი მათი რიცხვი 8-10-ს აღწევდა. ასეთ შემთხვევებში ჩვენ ფაქტიურად არა შეგირდებთან, არამედ დაქირავებულ მუშებთან გვაქვს საქმე.

ასაკის მიხედვით შეგირდები მეტწილად 16—23 წლის ახალგაზრდები იყვნენ. სწავლების ვადა სხვადასხვა იყო, იგი მერყეობდა 1-დან 5-წლამდე, ზოგჯერ კი 10 წლამდე აღწევდა. ზოგ შემთხვევაში ვადა არ არის დაზუსტებული. შეგირდი ოსტატთან რჩებოდა სანამ ხელობას არ შეისწავლიდა („до обучения мастерству“) მაგრამ გვაქვს შემთხვევები, როდესაც შეგირდები დღიურად მუშაობდნენ —„нанимаются по дням“, „подневно работают“; თვიურად —„помесячно“, ან დროებით მუშაობდა — „временно работает“. ცხადია ასეთ შემთხვევებშიც ჩვენ უკვე შეგირდობასთან კი არა, არამედ დაქირავებულ შრომასთან გვაქვს საქმე.

შეგირდები ზოგ შემთხვევაში ოსტატებთან ცხოვრობდნენ, უფრო იშვიათად კი საკუთარ სახლებში, მშობლებთან.

შეგირდების მდგომარეობის მაჩვენებელი იყო აგრეთვე მათი შრომის ანაზღაურების წესი. ცხადია იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ნამდვილად შეგირდობასთან გვაქვს, შრომის ანაზღაურებაზე ზედმეტია ლაპარაკი. სწავლის ფასად შეგირდი, როგორც წესი, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მუშაობდა ოსტატთან. მაგრამ გვაქვს შემთხვევები, როდესაც შეგირდები მაინც იღებდნენ მცირე თანხას 2—10 მანეთამდე წელიწადში. ჩვეულებრივ ოსტატები აღნიშნავენ, რომ შეგირდის შენახვა უჯდებათ წელიწადში დაახლოებით 30—70 მანეთი. ეს იყო კვებისა და ფეხსაცმელის ღირებულება. ასე მაგ., ხაბაზთან მყოფ შეგირდს ახალციხეში ეძლეოდა 30 მანეთი. ცნობაში აღნიშნულია: „Определенной зарплаты не получает кроме 30 р. шедших на стол и обувь“. მაგრამ ამასთან ვხვდებით შეგირდებს, განსაკუთრებით მსხვილ სახელოსნოებში, რომელნიც

წელიწადში საშუალოდ 50—100 მანეთს იღებდნენ. მათსა და დაქირავებულ მუშებს შორის განსხვავებას ვერ ვხედავთ. ასე მაგ., დაქირავებული ოსტატებიც ახალციხეში არსებულ მსხვილ სახარაზო სახელოსნოში წლიურად იღებდნენ 48. 72 და 80 მან. ცხადია აქ პირველ რიგში იგულისხმებიან ისეთი შეგირდები, რომელნიც დღიურად, თვიურად ან ერთ წლამდე ვადით მუშაობდნენ. თუმცა ასეთსავე ხელფასს იღებდნენ დიდ სახელოსნოებში მომუშავე ისეთი შეგირდებიც, რომელთა სახელოსნოში ყოფნის ვადა 4—5 წელი იყო.

ზემომოტანილი ცნობები მოწმობენ. რომ 80—90-იან წლებში ხელოსნობაში დაქირავებული შრომის გამოყენება ფართოდ წარმოებდა. ირღვევა საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული ტრადიციული ურთიერთობა არა მარტო ოსტატსა და ქარგალს შორის, არამედ ოსტატსა და შეგირდებს შორისაც. უკანასკნელნიც თანდათან დაქირავებული მუშების მდგომარეობაში გადადიან. ქარგალს, შეგირდსა და მუშას შორის ზღვარის სრული წაშლის მაგალითია სიღნაღში არსებული ოქრომჭედლის სახელოსნო, სადაც საერთოდ ქარგლები არ არიან აღნიშნულნი. ხოლო შეგირდი 8 არის ნაჩვენები. მათ შორის ერთი იყო 35 წლისა, იღებდა 350 მანეთს; ორი იყო 25—26 წლისა და თითო იღებდა 300 მანეთს; ერთი იყო 24 წლისა. იღებდა 250 მანეთს; სამი იყო 19—23 წლისა და თითო იღებდა 100 მანეთს, უმცროსი იყო 13 წლისა და იღებდა 30 მანეთს. ყველას მიწერილი აქვს: „нанимаются по дням, живут каждый у себя дома". სახელოსნოს პატრონი—ოსტატი იყო სიღნაღის მე-2 გილდიის ვაჭარი მელქო ბაშინჯაღოვი.

როგორც ვხედავთ, აქ საქმე გვაქვს წვრილ კაპიტალისტურ სახელოსნოსთან, რომელიც დაქირავებული მუშახელის ექსპლოატაციაზე იყო დამყარებული. განსხვავება ხელფასში ჩანს მუშათა („შეგირდების") ასაკზე და, ამდენად, მუშაობის გამოცდილებაზე იყო დამოკიდებული.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1886—1888 წლების გენერალურ აღწერილობათა მიხედვით წარმოგვიდგება ხელოსანთა მომხმარებელთან თუ ბაზართან დამოკიდებულების ასევე რთული სურათი. როგორც ირკვევა ამ დროისათვის ჯერ კიდევ საკმაოდ გავრცელებული ყოფილა არა ბაზრისათვის, არამედ შემკვეთისათვის მუშაობა, რაზედაც აღწერილობის არაერთი მითითება არსებობს: გამოთქმა „занимается ремеслом по заказу" ხშირად არის ნახმარი თერძების, ხარაზების, ოქრომჭედლების, დურგლების, მჭედლების და სხვა ხელოსანთა მიმართ. უპირატესად ეს იყო წვრილი სახელოსნოები, სადაც

თითო ოსტატთან 1-2 შეგირდი ან თითო მუშა მუშაობდა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ შეკვეთით მუშაობა წარმოებდა შედარებით უფრო მსხვილ სახელოსნოებშიც. ასე მაგ., სოფ. საჩხერეში გვხვდება თერძის სახელოსნო, სადაც 4 მუშა მუშაობდა („занимается ремеслом по заказу при 4-х рабочих и одном покое"), ხოლო ახალციხეში იყო სახარაზო, რომელშიც 6 მუშა მუშაობდა („тузeмная башмачная—шитье башмаков по заказу с помощью 6 рабочих").

ვფიქრობთ, შეკვეთით მუშაობა ხელოსნობის ზოგიერთ დარგში ამ დარგის სპეციფიურობის გამო ამა თუ იმ ზომით ყოველთვის რჩებოდა. განსაკუთრებით ეს შეეხება ხარაზებს, თერძებს, ოქრომჭედლებს, იმის გამო, რომ ტანისამოსზე და ფეხსაცმელზე მოთხოვნილება ინდივიდუალური იყო მომხმარებლის ასაკის თუ ფიზიკურ მონაცემების მიხედვით, ხოლო ოქრომჭედლურ ნაწარმზე—გემოვნების მიხედვით. ამიტომ შემკვეთისათვის მუშაობა ასეთ დარგებში ყოველთვის არ გამორიცხავს საქონლური წარმოების ელემენტებს. მით უმეტეს ეს ითქმის მსხვილ სახელოსნოებზე, რომელთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა.

ეს ცხადია არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოში ამ დროს გაქრა ტიპიური ხელოსნობა (წარმოება შემკვეთისათვის). ასეთი სახელოსნოები ჯერ კიდევ გვხვდება უმთავრესად სოფლად სამჭედლოთა, სახარაზოების, სამღებროების, თიხის ჭურჭლის თუ სხვა წვრილსაწარმოთა სახით, სადაც მხოლოდ საქონლის მიმოქცევასთან გვაქვს საქმე (შრომის ნატურით ანაზღაურება, პროდუქტის გადაცვლა და სხვ.) და არა საქონლის წარმოებასთან ბაზარზე გასაყიდად. მაგრამ ეს უმთავრესად ეხება მიყრუებულ სოფლებში არსებულ სახელოსნოებს, ან და ქალაქებში და დაბებში არსებულ წვრილ საწარმოებს, სადაც შეკვეთით წარმოება არ გამორიცხავდა ერთდროულად გასაყიდად საქონლის დამზადებასაც. გვაქვს შემთხვევები, როდესაც პირდაპირ არის მითითებული, რომ ხელოსანი (მაგალითად, ხარაზი, თერძი) აწარმოებს პროდუქციას შემკვეთისათვისაც და გასაყიდადაც („производит работу шитья обуви по заказу и для продажи," „приготовляется на заказ и на продажу азиатская одежда").

ამავე დროს, უმეტესწილად, უწვრილეს სახელოსნოებშიც კი (სადაც მარტო ოსტატი მუშაობდა) უკვე ვხვდებით ბაზრისათვის წარმოებას, რაზედაც გვაქვს პირდაპირი მითითებანი. ხელოსანთა უმეტესობას უწერია: „занимается ремеслом и торгует собствен-

ными изделиями из самой мастерской", ან „производит приготовление и продажу собственных изделий," . . „производит приготовление на продажу" და სხვა. ეს შეეხება ხელოსნობის თითქმის ყველა დარგს, მათ შორის ისეთ დარგებსაც, სადაც შეკვეთით მუშაობაზედაც შედარებით ხშირი მითითებები გვაქვს (ხარაზებთან, თერძებთან, დურგლებთან და სხვა), სახელოსნოს სიდიდისა და შრომის ორანიზაციის ფორმების განურჩევლად, რაც ხელოსნობის წვრილ საქონლურ წარმოებად გადაქცევის ტენდენციის მაჩვენებელია.

არ მოგვეპოვება პირდაპირი მითითება იმის შესახებ, თუ რა როლს ასრულებდნენ ვაჭარი-შემსყიდველები ხელოსნურ ნაწარმის გასაღების საქმეში. აღწერილობის მონაცემებით ხელოსნები, როგორც წესი, თვითონ ვაჭრობდნენ თავიანთ სახელოსნოებიდან, მაგრამ აღწერილობებში დაცული ზოგიერთი არაპირდაპირი მონაცემი გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ ვაჭარ-შემსყიდველთა მონაწილეობა ხელოსნური ნაწარმის გასაღებაში. მხედველობაში გვაქვს. მაგალითად, აღწერილობის მითითება იმის შესახებ, რომ ქუთაისში არსებულ ფეხსაცმლის მაღაზიებში იყიდებოდა თბილისის, ახალციხისა და ადგილობრივი ხელოსნების ნაწარმი. ერთ-ერთი ასეთი მაღაზიის შესახებ ვკითხულობთ: „Магазин обуви купца 2-ой гильдии Артема Агианова—торгует обувью мужской и дамской, тифлисских, ахалцихских и местных—кутаисских ремесленников и другими предметами для обуви . "

ვფიქრობთ ეჭვს არ უნდა ბადებდეს ის გარემოება, რომ ამ მაღაზიებში ხელოსანთა ნაწარმი ან თვით მაღაზიის პატრონის უშუალო მონაწილეობით, ან ვაჭარ-შუამავლების მეშვეობით ხვდებოდა. ამასვე გვაფიქრებინებს საქართველოს ზოგიერთ ქალაქსა თუ დაბაში ადგილობრივი ნაწარმის მაღაზიების არსებობა: ავეჯის, ტანისამოსის, თიხის ჭურჭლის და სხვ. მაგრამ, ხელოსნური წარმოების განლაგება სოფლად—სამაზრო ადგილებში და სავაჭრო-სახელოსნო დაბებსა თუ ქალაქებში აადვილებდა მომხმარებლის უშუალო დაკავშირებას მწარმოებელთან, რაც მნიშვნელოვნად ამცირებდა ვაჭარ-შუამავლების როლს. ამდენად სუსტი იყო სავაჭრო კაპიტალის მხრივ ხელოსნური წარმოების დამორჩილების ტენდენციაც. ასეთ ტენდენციას ახშობდა აგრეთვე მსხვილი წარმოების ხელისშემშლელი ობიექტური ფაქტორები—ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა და უცხო და რუსული საქონლის დიდი რაოდენობით ბრუნვა საქართველოს ბაზრებზე.

სამწუხაროდ, გენერალური აღწერილობანი მეტად მწირ ცნობებს შეიცავენ ხელოსნური წარმოების მასშტაბებისა და სახელოსნოების გამომუშავებაზე. მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებშია აღნიშნული, თუ რას უდრიდა ამა თუ იმ სასელოსნოს გამომუშავება. ასე მაგ., ახალქალაქის მაზრაში არსებული ტყავის სახელოსნოს გამომუშავება უდრიდა 300 მანეთს, ხოლო მოგება 110 მანეთს: მუხრანში, ნაგოლევში, ბუგეულში არსებულ სამჭედლოთა გამომუშავება დაახლოებით 70 მანეთიდან 300 მანეთამდე მერყეობდა, მოგება კი 25 მანეთიდან 120 მანეთამდე; მუხრანში, ნაგოლევში და ბუგეულში არსებული სახარაზოების გამომუშავება შეადგენდა 100 მანეთიდან 300 მანეთამდე, ხოლო მოგება 40-70 მანეთს; ბაღდადში და ნაგოლევში არსებულ სამკერვალოთა გამომუშავება 150-200 მანეთია ნაჩვენები, ხოლო მოგება 50 მანეთი; ნაგოლევში არსებულ სადურგლოს გამომუშავება 260 მანეთი იყო, მოგება კი 150 მანეთი; აქვე არსებული სახაბაზოს გამომუშავება 180 მანეთს, ხოლო მოგება 40 მანეთს უდრიდა.

ამრიგად სახელოსნოთა გამომუშავება მოტანილი მონაცემების თანახმად არ აღემატებოდა 300 მანეთს, მოგება კი 150 მანეთს. საშუალოდ სახელოსნოს გამომუშავება 100 მანეთს, ხოლო მოგება 60 მანეთს უდრიდა[77].

ცხადია უწვრილეს სახელოსნოებში ოსტატის შემოსავალი მხოლოდ და მხოლოდ მისი საარსებო საშუალების მინიმუმს შეადგენდა, ისიც უთუოდ სხვა წყაროდან (მიწათმოქმედებიდან) შევსების შემთხვევაში. წვრილ სახელოსნოს მაგალითს წარმოადგენს სოფ. ბარში (რაჭა) არსებული სახარაზო, რომლის შესახებაც შემდეგი ცნობა გვაქვს: „Заведение принадлежит жителю селения Чибреви Рачинского уезда Кимоту Придонову Мачаидзе. Находится сам. Производит продажу своего изделия—чувяков и башмаков. Размер торговли простирается до ста рублей, приблизительности (sic) оплачивающего пошлины свидетельств и патента—80 руб. С покупкою товара, при перепродаже получает прибыли приблизительно от 10 до 13 коп. сер.“ აღწერა საკმაოდ უწიგნურად არის შედგენილი და ზოგიერთი დეტალი ბუნდოვა-

---

[77] ხელოსნის საშუალო შემოსავალი ამავე ხანებში რუსეთში, იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მიწათმოქმედებასთან არ იყო დაკავშირებული, უდრიდა 102,9 მანეთს, ხოლო მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულისა—49, 9 მანეთს (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 385). დაახლოებით ასეთივე სურათი გვაქვს საქართველოშიც.

ნია. თუმცა ირკვევა, რომ საქმე გვაქვს წვრილ სახელოსნოსთან, რომლის პატრონის შემოსავალი წარმოების ხარჯების გასტუმრების შემდეგ (ნედლეულის შეძენა, სახელმწიფო გადასახადის გადახდა) შეადგენდა დღიურად 10—13 კაპიკს, რაც წელიწადში შეადგენს დაახლოებით 50 მანეთამდე. წვრილ წარმოებად ჩაითვლება აგრეთვე ნაგოლევში არსებული სახარაზო, სამკერვალო, სამჭედლო და სხვები, სადაც ოსტატებთან 1—2 მუშა მუშაობდა, გამომუშავება 100—200 მანეთს, ხოლო მოგება 50—60 მანეთს არ აღემატებოდა. ერთ-ერთ სამჭედლოს გამომუშავება, სადაც 2 ამხანაგთან 2 მუშა მუშაობდა, უდრიდა 300 მანეთს, ხოლო მოგება 200 მანეთს.

ასეთი წვრილი სახელოსნოების გვერდით, რომელნიც შესაძლოა მთელი წლის განმავლობაში ყოველთვის არც კი მუშაობდნენ, გვაქვს მსხვილი სახელოსნოების მაგალითებიც, ძირითადად ქალაქებში. ასეთი იყო მაგალითად, ჩვენ მიერ უკვე ნახსენები სიღნაღში არსებული ოქრომჭედლის სახელოსნო, სადაც მარტო 8 მუშის („შეგირდების") ხელფასის ჯამი შეადგენდა 1530 მანეთს. ჩვენ ჯერ კიდევ 1860 წლის აღწერაში შეგვხვდა ისეთი სახელოსნოები ქუთაისში, რომელთა პროდუქციის ღირებულება 500—1000 მანეთს უდრიდა.

გზადაგზა უკვე შევეხეთ ხელოსნური წარმოების განვითარების ტენდენციებს მე-19 ს. მეორე ნახევარში, იმ ცვლილებებს, რომელთაც ქვეყნის საერთო სოციალურ ეკონომიური განვითარების ზეგავლენით ადგილი ქონდა მასში. ამჟამად 90-იანი წლების მასალების დეტალური განხილვის საფუძველზე გვინდა წარმოვიდგინოთ ამ განვითარების საერთო სურათი. სამწუხაროდ, როგორც უკვე ითქვა, ხელოსნური წარმოების ანკეტური აღწერის მასალა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ გვაქვს. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, აქაც ანალოგიური სურათი უნდა წარმოვიდგინოთ. მით უმეტეს, რომ ამის საფუძველს გვაძლევს უფრო ადრეული, კერძოდ 60-იანი და 80-იანი წლების ჩვენს მიერ უკვე განხილული მასალები.

1893 წლის აღწერის მასალების მიხედვით თბილისში ხელოსნური წარმოების შემდეგი სურათი გვეხატება: სულ თბილისში იმ დროს აღრიცხულია 1993 სახელოსნო[78]. ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს თვალი

---

[78] ჩვენ აქ შეგვაქვს აღწერაში მოხვედრილი ისეთი სახელოსნოები. სადაც 9-დან 15-მდე დაქირავებული მუშა მუშაობდა. ასეთების რიცხვი ამ დროს 9-მდე აღწევდა. ხოლო ისეთი საწარმოები, როგორებიც იყო რუქსის და პოპოვიჩის მექანიკური „სახელოსნოები", კოტრინის ეტლების „სახელოსნო" და აკოპოვის საამკინძაო „სახელოსნო", სახელოსნოთა საერთო ჯამიდან გამორიცხული გვაქვს.

გავადევნოთ, თუ როდის იქნა დაარსებული ეს სახელოსნოები. ამის შესახებ ანკეტაში სპეციალური კითხვა იყო შეტანილი. პასუხად ჩვეულებრივ აღნიშნულია: „Ремесленное заведение существует с . . года. Собственное приобретение“, ან „Открыто самим с . . года.“

იმ შემთხვევაში, როცა სახელოსნო გადმოსულია მემკვიდრეობით, ან ნაყიდია, ზოგჯერ წერია დაარსების თარიღი და მემკვიდრეობით მიღების ან ყიდვის თარიღიც. ასეთი ცნობა შესაძლოა არაზუსტიც აღმოჩნდეს, ან აღნიშნული იყოს დაარსების დრო, ხოლო იგულისხმებოდეს ყიდვის თარიღი, მაგრამ ეს შემთხვევები საერთო სურათს არ ცვლიან. მით უმეტეს, რომ ჩვენ გვაინტერესებს ხელოსნობის განვითარების ტენდენციები და სახელოსნოს შექმნა ოსტატის მიერ, ე. ი. დამოუკიდებლად ხელოსნობის წამოწყება, თავისთავად საინტერესო ფაქტია.

აღწერა გვაძლევს სახელოსნოების დაარსების შემდეგ სურათს (ცხრილი 5):

ცხრილი 5

სახელოსნოთა საერთო რაოდენობა	დაარსდა 40-იან წლებში	დაარსდა 50-იან წლებში	დაარსდა 60-იან წლებში	დაარსდა 70-იან წლებში	დაარსდა 80-იან წლებში	დაარსდა 1890—1893 წლებში
1993	37	95	234	479	766	382

დამახასიათებელია, რომ დროთა ვითარებაში ახლად დაარსებულ სახელოსნოთა რაოდენობა თანდათან იზრდება. ცხადია ეს იმას არ ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლებოდა ქალაქში არსებულ სახელოსნოთა რიცხვიც. თუ ვიმსჯელებთ ოსტატთა რაოდენობის მიხედვით, ოფიციალური სტატისტიკა ასეთ ცვლას არ უჩვენებს[79]. როგორც ირკვევა, ძველ სახელოსნოთა ადგილს ახალი სახელოსნოები იჭერენ, რაც იმის მაჩვენებელია, რომ თანდათან ირღვევა ძველი ამქრულ ტრადიციებზე დამყარებული ხელოსნობა, ხოლო მის ადგილს თვისობრივად ახალი, წვრილი საქონლური წარმოება იჭერს. ამ უკანასკნელის არსებითი დამახასიათებელი ნიშანი ბაზრისათვის თავისუფალი წარმოება იყო. იგი ვითარდება საქალაქო ცხოვრების ზრდისა და ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისად. დამახასიათებელია მაგალითად ის ფაქტი, რომ თუ კი ევროპული ქუდების დამამზადე-

[79] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 265.

ბელ სახელოსნოთა რიცხვი თანდათან იზრდება, ისე რომ 45 სახელოსნოდან, მხოლოდ 1890—1893 წლებში 12, ე. ი. მეოთხედი იყო დაარსებული, აზიური ქუდების დამამზადებელ სახელოსნოთა რიცხობრივი მაჩვენებლები შებრუნებულ სურათს გვიჩვენებს. 37 სახელოსნოდან 60-იან წლებში 11 ასეთი სახელოსნო იყო დაარსებული, 80-იან წლებში 6, ხოლო 1890—1893 წლებში მხოლოდ—3. ანალოგიურ სურათს ვხვდებით ხელოსნობის ზოგიერთ სხვა დარგებშიც. თუმცა საერთოდ დამახასიათებელი იყო წვრილი წარმოების თანდათანობითი ზრდა, ზოგიერთ დარგში წლების მიხედვით თანაბრად (მაგ., აზიური ფეხსაცმლის და ტანსაცმლის წარმოება), ზოგში კი პროგრესიულად (მაგ., ევროპული ფეხსაცმლის წარმოება[80]).

აღნიშნულ სახელოსნოებში ჩვენ ხელთ არსებული მონაცემებით 1893 წელს მუშაობდა 1993 ოსტატი-სახელოსნოს მეპატრონე. 2237 მუშა (აქ იგულისხმებიან როგორც კვალიფიციური მუშა-ხელოსნები, ძირითადად ქარგლები, ასევე შავი მუშები) და 1066 შეგირდი. მათი საერთო რიცხვი 5296-ს უდრიდა. აღნიშნული ციფრობრივი მაჩვენებლები მართალია არ ემთხვევა, მაგრამ უახლოვდება 1893 წლის ოფიციალური სტატისტიკის ჯამურ მონაცემებს თბილისის ხელოსნური წარმოების შესახებ[81].

წვრილ და შედარებით მსხვილ სახელოსნოთა შეფარდება 1893 წლის მონაცემების მიხედვით შემდეგნაირად წარმოგვიდგება (ცხრილი 6):

ცხრილი 6

მუშათა რაოდენობა სახელოსნოებში	სახელოსნოს რაოდენობა	მუშათა რაოდენობა
სახელოსნოები, სადაც არ ვხვდებით მუშებს	816	—
1 მუშიანი სახელოსნოები	603	603
2 „ „	343	686
3 „ „	128	384
4 „ „	49	196
5—8 „ „	45	263
9—15 „ „	9	105
	1993	2237

[80] აზიური ფეხსაცმლის სახელოსნო 50-იან წლებში დაარსდა —5, 60-იან წლებში—21, 70-იანში—22, 80-იან წლებში — 25, 1890—93 წწ.—13; აზიური ტანისამოსის სახელოსნო—50-იან წლებში—9, 60-იან წლებში—10, 70-იან წლებში—22, 80-იან წლებში—21, 1890—93 წწ.—11; ხოლო ევროპული ფეხსაცმლის სახელოსნო 50-იან წლებში დაარსდა 2, 60-იან წლებში—13, 70-იან წლებში—35. 80-იან წლებში—114, 1890—93 წწ.—25.

[81] ვ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 159—160; იხ. აგრეთვე: П. В. Гугушвили, Развитие промышленности в Грузии и Закавказье

ამ მონაცემებს თუ შევუდარებთ 1888 წლის აღწერის მონაცემებს, დავინახავთ, რომ სახელოსნოთა საერთო რაოდენობა ბევრად არ შეცვლილა. თუ 1888 წელს სულ 2175 სახელოსნო გვქონდა. ამჟამად მათი რიცხვი 2 ათასამდე აღწევს. ეს განსხვავება უნდა ვიფიქროთ ნაწილობრივ წვრილ სახელოსნოთა გაქრობით იყო გამოწვეული. ასე მაგ., თუ კი 1888 წელს უმუშო, ან 1 მუშიან სახელოსნოთა რიცხვი 1828-ს შეადგენდა, ამჟამად ასეთი მხოლოდ 1219-ია აღრიცხული, ე. ი. თითქმის 600 წვრილი სახელოსნოთი ნაკლები. მაგრამ ეს ფაქტები, თავისთავად, საერთოდ სახელოსნოთა შეფარდებაში მნიშვნელოვანი ცვლილებების მაჩვენებელიც არის. მართლაც, თუკი 1888 წელს 2 მუშიანი სახელოსნო იყო მხოლოდ 132, ამჟამად მათი რიცხვი 343-ს აღწევს, ხოლო თუ 1888 წელს 3 მუშიანი სახელოსნო იყო 196, ამჟამად მათი რიცხვი 128-მდე შემცირდა, 4 მუშიან სახელოსნოთა რიცხვი კი 128-დან 49-მდე. ე ი. ერთის მხრივ ხდება უწვრილეს (უმუშო, 1 მუშიან და შედარებით მოზრდილ, 3-4 მუშიან) სახელოსნოთა რიცხვის შემცირება, ხოლო მეორე მხრივ 2 მუშიან სახელოსნოთა რაოდენობის ზრდა.

ეს ფაქტები იმით უნდა ავხსნათ, რომ წვრილი სახელოსნოები ვერ იჩენენ საკმაო გამძლეობას და ნაწილობრივ ქრებიან: ან სულ ისპობიან, ან უფრო მსხვილ სახელოსნოებად იქცევიან. კერძოდ ამას შეიძლება დავუკავშიროთ სწორედ 2 მუშიან სახელოსნოთა რიცხვის ზრდა, რომელნიც, ჩანს უფრო გამძლენი იყვნენ. რაც შეეხება 3—4 მუშიან სახელოსნოებს, რომელთაც ცხადია შემდგომი ზრდის მეტი უნარი ჰქონდათ, ისინი მეტწილად უკვე წვრილ კაპიტალისტურ საწარმოებად იქცევიან და ან 5—8 მუშიან სახელოსნოთა რიცხვში გადადიან, რის მაჩვენებელიც ამ უკანასკნელთა რაოდენობის 1888 წელთან შედარებით ერთი ორად გადიდება არის. ან იმდენად იზრდებიან, რომ უკვე „ფაბრიკულ-ქარხნულ“ წარმოებაში აღირიცხებიან.

წვრილ სახელოსნოთა გამსხვილების და კაპიტალისტურ საწარმოთა რიცხვში გადასვლის არა ერთი ფაქტია დადასტურებული საქართველოში, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

в XIX—XX вв., I, СПб, 1957, გვ. 58—59. ხელოსნობის ცალკეული დარგების მიხედვით ჩვენსა და ამ მონაცემებს შორის უმეტესწილად სრული დამთხვევაა. განსხვავებას მხოლოდ ზოგიერთი დარგი გვაძლევს.

1893 წლის აღწერის მასალები საინტერესო მონაცემებს შეიცავენ ხელოსანთა ეროვნული შედგენილობის მხრივაც. თბილისის ხელოსნები ეროვნების მიხედვით შემდეგნაირად იყოფოდნენ (ცხრილი 7):

ცხრილი 7

	ხელოსანთა საერთო რ-ბ	ქართველი	სომეხი	რუსი	მუსლიმანი (თურქი, სპარსელი)	ევროპელი	ებრაელი	სხვა
ოსტატი	1993	494	995	152	134	91	117	10
ქარგალი,	2237	728	985	239	157	64	54	9
მუშა	1066	336	484	143	27	30	44	2
შეგირდი								
	5296	1558	2465	534	318	185	215	21

ცხრილიდან ჩანს, რომ ხელოსნებში უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ (46,5%), შემდეგ რიცხობრივად ქართველები მოდიოდნენ (29,4 %); რუსები 10% იყო; დანარჩენ 14%-ს სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები: ებრაელები, ევროპის ქვეყნების მცხოვრებნი და მუსლიმანური მოსახლეობა—თურქები, სპარსები, ლეკები, ამიერკავკასიის აღმოსავლეთი პროვინციების მცხოვრებნი (აზერბაიჯანლები) შეადგენდნენ.

აღსანიშნავია, რომ წარმოშობით თბილისიდან ხელოსანთა მხოლოდ ნახევარი იყო, დაახლოებით 2500-მდე კაცი, ე. ი. 47%. დანარჩენები მოსულნი იყვნენ საქართველოს რაიონებიდან, ამიერკავკასიის სხვა მხარეებიდან, ჩრდილო კავკასიიდან, რუსეთიდან, სპარსეთიდან. თურქეთიდან, ევროპიდან. საკუთრივ თბილისის გუბერნიიდან მოსული დაახლოებით 800 კაცი იყო, ე. ი. 15%, ქუთაისის გუბერნიიდან—დაახლოებით 600-მდე კაცი, ე. ი. 11%, ამიერკავკასიის სხვა მხარეებიდან დაახლოებით 400 კაცი—ე. ი. 8%, რუსეთიდან დაახლოებით 300 კაცი, ე. ი. 6%, თურქეთიდან და სპარსეთიდან დაახლოებით 600 კაცი, ე. ი. 11%, ხოლო ევროპიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსულნი შედარებით უმნიშვნელო რაოდენობას შეადგენდნენ, სულ 100 კაცს, ე. ი. 2%. რუსეთიდან საკუთრივ რუსების გარდა მოდიოდნენ ებრაელები და ევროპელებიც. თურქეთიდან და სპარსეთიდან მოსული ხელოსნების მნიშვნელოვანი ნაწილი სომხები იყვნენ.

როგორც ვხედავთ, თბილისის ხელოსნური მოსახლეობის ზრდა ხდებოდა განსაკუთრებით საკუთრივ საქართველოს რაიონებიდან

მოსული (უპირატესად ქართული) მოსახლეობის ანგარიშზე (26%) და აგრეთვე ამიერკავკასიის სხვა მხარეებიდან, თურქეთიდან და სპარსეთიდან მოსული (უპირატესად სომხური) მოსახლეობის ანგარიშზე (19%).

თბილისის გუბერნიის სხვა ქალაქებში არსებულ სახელოსნოთა დაარსების დროის თვალსაზრისით იგივე 1893 წლის მასალა შემდეგ სურათს წარმოგვიდგენს (ცხრილი 8):

ცხრილი 8

ქალაქების დასახელება	40-იანი წლები	50-იანი წლები	60-იანი წლები	70-იანი წლები	80-იანი წლები	1890—93 წლები	ჯამი
გორი	—	3	7	46	75	43	174
თელავი	—	11	13	30	85	64	203
სიღნაღი	—	6	12	36	45	38	137
ახალციხე	17	35	27	64	101	98	342
ახალქალაქი	—	11	14	47	51	22	145
	17	66	73	223	357	265	1001

თბილისის გუბერნიის ქალაქებში არსებულ სახელოსნოთა რიცხვი 1893 წლისათვის დიდად არ განსხვავდება 1888 წლის მაჩვენებლებისაგან. აქ ამ დროს 1053 სახელოსნო იყო აღრიცხული. არ არის რაიმე არსებითი განსხვავება სახელოსნოებში დაკავებულ მუშათა რაოდენობის თვალსაზრისითაც. ძირითადად ეს წვრილი სახელოსნოებია მუშის გარეშე, ან 1—2 მუშით. თუმცა უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ სახელოსნოებში ხშირ შემთხვევაში ვხვდებით შეგირდების მნიშვნელოვან რაოდენობას (2—3). განსაკუთრებით ეს ახალციხეზე ითქმის, სადაც თითო სახელოსნოში ხშირად ნაჩვენებია 4—7 შეგირდი. ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშული, რომ ეს უკანასკნელნი ხშირ შემთხვევაში განიხილებიან როგორც მუშები.

თბილისის გუბერნიის ქალაქების ხელოსნური ფენა ძირითადად ადგილობრივ და გარეშემო სოფლების მოსახლეობისაგან შედგებოდა. თუმცა მათ გარკვეულ ნაწილს თბილისიდან, ან სხვა ქალაქებიდან, თუ მაზრებიდან მოსული ხელოსნებიც შეადგენდნენ. ასე მაგ., გორში თბილისელებს გარდა იყვნენ თელავის, სიღნაღის, ახალციცის მცხოვრებნი, ქუთაისისა თუ ქუთაისის გუბერნიის მაზრების მცხოვრებნი და ამიერკავკასიის სხვა ოლქებიდან მოსულნიც. თელავში მოსულნი უპირატესად იყვნენ სიღნაღის მაზრიდან, ქუთაისის გუბერნიიდან და ამიერკავკასიის სხვა ოლქებიდან.

გორში, სიღნაღსა და თელავში ქართველ ხელოსნებთან ერთად დიდი რაოდენობით იყვნენ სომხებიც, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათი დიდი ნაწილის სალაპარაკო ენა ქართული იყო, რაც პირდაპირ არის მითითებული ანკეტებში სათანადო კითხვის პასუხად. იგივე ირკვევა ოსტატების ხელისმოწერიდანაც, რაც უმრავლეს შემთხვევაში ქართულად არის შესრულებული. ხშირად სომხებში არიან ჩარიცხულნი, ჩანს სარწმუნოების მიხედვით, აშკარად ქართული გვარების მატარებელი ხელოსნები[82].

ახალციხესა და ახალქალაქში ხელოსნური მოსახლეობა უპირატესად სომხური იყო.

1893 წლის მასალა თბილისის გუბერნიის მაზრებში სახელოსნოების დაარსების შემდეგ სურათს იძლევა (ცხრილი 9):

ცხრილი 9

მაზრების დასახელება	40-იანი წლები	50-იანი წლები	60-იანი წლები	70-იანი წლები	80-იანი წლები	1890—93 წლები	ჯამი
თბილისის	—	—	1	—	15	23	39
დუშეთის	1	—	2	7	7	2	19
თიანეთის	—	—	2	7	16	10	35
ბორჩალოს	1	2	1	14	42	20	80
გორის	—	—	1	7	22	34	64
თელავის	1	4	2	28	57	71	163
სიღნაღის	—	1	22	71	145	64	303
ახალციხის *	1	1	—	3	14	12	31
ახალქალაქის	—	—	—	—	—	—	—
	4	8	31	137	318	236	734

* ახალქალაქის მაზრაში ადგილობრივი ხელოსნები ნაჩვენები არ არიან. აქ ვხედებით მხოლოდ რუს სექტანტებს, რომელნიც გვიან გადმოსახლდნენ.

როგორც ვხედავთ სახელოსნოთა საერთო რიცხვმა თბილისის გუბერნიის მაზრებში 1886—88 წლებთან შედარებით მოიმატა 518-დან 734-მდე. ეს ზრდა ძირითადად ზოგიერთ სავაჭრო-სახელოსნო პუნქტების შემდგომი დაწინაურებით იხსნება. ასეთებია, მაგალითად, საგარეჯო, ანაგა, ქვემო მაჩხაანი, ბოდბისხევი და სხვა, რომელნიც 80-იან წლებში სიდიდით არ გამოირჩეოდნენ. გაჩნდა ზოგიერთი

[82] ასეთები იყვნენ, მაგალითად, გორში მცხოვრებნი: მამულაშვილი, ნიაზაშვილი, ბერუაშვილი, მიჩიტაშვილი, მამუკაშვილი, ნასყიდაშვილი, მენაბდიშვილი, მღებრიშვილი და მრავალი სხვა. ბევრი მათგანი გორში გორის მაზრის სოფლებიდან არის მოსული. იგივე სურათია სიღნაღისა და თელავის მასალებში.

ახალი სავაჭრო-სახელოსნო პუნქტიც. ასეთი ზრდა განსაკუთრებით თელავისა და სიღნაღის მაზრებში შეიმჩნევა, სხვაგან კი შედარებით სტაბილური მდგომარეობა გვაქვს, ზოგ შემთხვევაში კი ხელოსნური წარმოების შემცირებაც კი. მაგ., თბილისის მაზრაში სულ 39 სახელოსნოა აღრიცხული, აქედანაც 22 საგარეჯოზე მოდის.

თელავისა და სიღნაღის მაზრებში ხელოსნობის შედარებითი ზრდა ამ მხარის საერთო ეკონომიური აღმავლობით უნდა აიხსნას სავაჭრო მეღვინეობის განვითარებასთან დაკავშირებით.

ამრიგად, ჩვენ განვისილეთ ხელოსნობის მდგომარეობა საქართველოში მე-19 საუკუნის მანძილზე, მისი განვითარების ტენდენციები. როგორც ზემომოტანილმა მასალამ გვიჩვენა აღებულ პერიოდში საქართველოში აშკარად შეიმჩნევა ხელოსნობის წვრილ სასაქონლო წარმოებად გადაქცევის ძლიერი პროცესი, კერძოდ ხდება წვრილ მწარმოებელთა გადასვლა ბაზრისათვის საქონლის თავისუფალ წარმოებაზე, წვრილ საწარმოთა ქალაქებსა და სავაჭრო-სახელოსნო სოფლებსა და დაბებში თავმოყრა და რაც მთავარია სახელოსნოების გაფართოვება —2—4 და მეტი მუშიანი სახელოსნოების გამრავლება. აშკარაა წვრილ სასაქონლო წარმოებაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა ზრდა, რასაც მრეწველობის ამ ფორმის შემდგომი განვითარებისკენ მივყევართ.

ერთი სიტყვით, ყოველივე ზემოაღნიშნული მოწმობს, რომ „წვრილი სასაქონლო წარმოების ტენდენცია იბრება დაქირავებულ-შრომის სულ უფრო და უფრო მეტად გამოყენებისაკენ, კაპიტალისტური სახელოსნოების შექმნისაკენ“[83], რასაც საქართველოში მთელი მე-19 ს. მანძილზე აქვს ადგილი.

---

[83] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 404.

თავი II

კაპიტალიზმის განვითარება მრეწველობაში

საქართველოს სამრეწველო განვითარებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო მრეწველობის სხვადასხვა ფორმების თანაარსებობა. ჩვენ უკვე გვქონდა ნაჩვენები, რომ მე-19 ს. მთელ მანძილზე ამა თუ იმ სახით განაგრძობენ არსებობას მრეწველობის მარტივი ფორმები—ოჯახური მრეწველობა და ხელოსნობა. მართალია, საქართველოში არსებული პირობების გამო, საკმაოდ დიდხანს გარკვეულ როლს წვრილი სასაქონლო წარმოება ინარჩუნებდა, მაგრამ უკვე მე-19 ს. 30-იანი წლებიდან ხდება წვრილი კაპიტალისტური საწარმოების—კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციის თუ მანუფაქტურის ტიპის საწარმოების აღმოცენება, ხოლო უფრო მოგვიანებით ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების დანერგვაც.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მრეწველობის ზოგიერთმა დარგმა განიცადა თანმიმდევრული განვითარება ხელოსნური და წვრილი საქონლური წარმოებიდან მანქანურ წარმოებამდე, ზოგიერთ დარგს კი პირდაპირ მანუფაქტურით, ან მანქანური წარმოების სახით ჩაეყარა საფუძველი; მეორე მხრივ, გვაქვს არაერთი მაგალითი იმისა, რომ მრეწველობის ესა თუ ის დარგი სავსებით გაქრა, ან განვითარების გარკვეულ საფეხურზე გაიყინა, ვერ გასცილდა განვითარების წედარებით დაბალ ფორმებს (წვრილი საქონლური წარმოება, კოოპერაცია), თუ მანუფაქტურას, ან შეჩერდა მრეწველობის ერთი ფორმიდან მეორეზე გარდამავალ საფეხურზე. აქ მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, ისეთი საწარმონი, სადაც ჯერ ხელით შრომა იყო გაბატონებული, მაგრამ უკვე მანქანებსაც ეხვდებით (წყლის თუ ცხენის ძალის, ზოგ შემთხვევაში კი ორთქლის ძრავას გამოყენებით).

ქვემოთ განვიხილავთ კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების პროცესს ცალკეული საფეხურების თუ ფორმების მიხედვით.

1. წვრილი კაპიტალისტური საწარმოების აღმოცენება, კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია

წვრილი საქონლური წარმოების განვითარებას კაპიტალისტური საწარმოების დაარსებამდე მივყევართ. ვ. ი. ლენინი წერდა: „წვრილ საქონელმწარმოებელთა მიერ შედარებით მსხვილი სახელოსნოების დაარსება წარმოადგენს მრეწველობის უფრო მაღალ ფორმაზე გადასვლას. დაქსაქსული წვრილი წარმოებიდან იქმნება კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი მ ა რ ტ ი ვ ი კ ო ო პ ე რ ა ც ი ა“[1].

წინა თავში განხილული მასალა ცხადყოფს, რომ სახელოსნოთა უმრავლესობა სწორედ დაქსაქსულ წვრილ საქონლურ წარმოებას განეკუთვნებოდა, ხოლო მათი ნაწილი უკვე შედარებით მსხვილ სახელოსნოებს წარმოადგენდა, სადაც კაპიტალისტურ ურთიერთობათა აშკარა ნიშნებს ვხვდებით. ეს უკვე 2—4 მუშიან სახელოსნოებზედაც ითქმის. მართალია ეს სახელოსნოები, როგორც წესი, მათ მეპატრონე-ოსტატს იმდენ შემოსავალს არ აძლევდნენ, რომ განთავისუფლებულიყო ფიზიკური შრომისაგან, მაგრამ, გარკვეულ მოგებას აქაც ჰქონდა ადგილი, რაც ხელსაყრელ პირობებში, წარმოების შემდგომი გაფართოების საწინდარი იყო.

როგორც კ. მარქსს აქვს აღნიშნული, კაპიტალისტური წარმოება იწყება მას შემდეგ, რაც მეწარმის კაპიტალი იმ მინიმუმს აღწევს, რომელიც აძლევს მას საშუალებას იყოლიოს მუშათა გარკვეული რიცხვი, რომელთა მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასა საკმარისი იყო, რათა თვითონ ექსპლოატატორი ხელით შრომისაგან განთავისუფლებულიყო, წვრილი ხელოსანი კაპიტალისტად გადაქცეულიყო[2].

მას შემდეგ კი რაც მეწარმის „კაპიტალი იმ მინიმალურ სიდიდეს აღწევს, რომლითაც პირველად იწყება საკუთრივ კაპიტალისტური წარმოება“, და თვით მეწარმე თავისუფლდება ხელით შრომისაგან, წარმოების გაფართოებასთან ერთად, ხდება წარმოებაზე მეთვალყურეობის ფუნქციების გადაცემა „განსაკუთრებული კატეგორიის დაქირავებული მუშებისათვის“[3] (ნოქრები, ზედამხედველები).

ე. ი. „საკუთრივ კაპიტალისტური წარმოება“ იწყება იქ, სადაც კაპიტალის გარკვეული მინიმუმი აძლევს საშუალებას მეწარმეს მუ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 413.
[2] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, წ. 1, თბ., 1954, გვ. 420.
[3] იქვე, გვ. 422.

შათა ექსპლოატაციის ხარჯზე თვით განთავისუფლდეს ხელით შრომისაგან.

როგორც უკვე აღინიშნა, ჩვენ გვაქვს ხელოსნური საწარმოს გაფართოებისა და კაპიტალისტური სახელოსნოების წარმოქმნის არაერთი მაგალითი. ეს პროცესი შეინიშნება, აგურის წარმოებაში. ტყავის დამუშავებაში, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის დამზადებაში და სხვ.

მაგრამ, ამასთან ერთად ხდებოდა სავაჭრო კაპიტალის თუ თავად-აზნაურობის წარმომადგენელთა მხრივ, ან მოხელეთა მიერ წვრილი საწარმოების დაარსებაც. ცხადია, ასეთ შემთხვევაში წარმოების მეპატრონე, მიუხედავად საწარმოს მასშტაბის სიმცირისა და შემოსავლის შეზღუდულობისა, პირადად არ მონაწილეობდა წარმოებაში, ხოლო ამ საწარმოს მოგება არ იყო მისი მეპატრონის შემოსავლის ერთადერთი წყარო. ამ საწარმოებს სათავეში ხშირად დაქირავებული უფროსი ოსტატები ედგნენ (ისინი ჩვეულებრივ თვითონ მუშაობდნენ), ან ნოქრები, რომელნიც მხოლოდ ხელმძღვანელობდნენ წარმოებას. ასეთი საწარმოები გვხვდება ისეთ დარგებშიც, სადაც ხელოსნობიდან განვითარებული მსხვილი სახელოსნოებიც იყო (მაგ., აგურის წარმოება, ტყავის დამუშავება, ხაბაზობა. დურგლობა, ფეხსაცმლის და ტანსაცმლის დამზადება და სხვ.). ანდა რომელთაც უშუალოდ წვრილი სასაქონლო წარმოებით, ხშირად კი მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციის ტიპის საწარმოებით ეყრებათ საფუძველი (ლუდის დამზადება, სახერხი წარმოება, მექანიკური-საზეინკლო სახელოსნოები, ეტლების წარმოება და სხვა). თუმცა ეს უკანასკნელნიც თავდაპირველად განიხილებოდნენ როგორც „ხელოსნური“ საწარმოები.

ჩვენი ამოცანაა გამოვყოთ წვრილი კაპიტალისტური საწარმოები ერთი მხრით ხელოსნური წარმოებიდან, ხოლო მეორე მხრით ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობიდან, სადაც ისინი აგრეთვე ხვდებიან სტატისტიკის ნაკლოვანების გამო. აქვე განვიხილავთ წვრილ საქონლურ წარმოების განვითარების შედეგად წვრილ კაპიტალისტურ საწარმოთა წარმოქმნას მრეწველობის ზოგიერთ ისეთ დარგში, სადაც ეს პროცესი ყველაზე უფრო თვალნათლივ ჩანს.

აგურის წარმოება

წვრილი საქონლური წარმოების ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული დარგი აგურის წარმოება იყო. მე-19 საუკ. შუა წლებიდან ქალაქების ზრდასთან დაკავშირებით, უკვე აშკარად შეიჩნევა მა-

ნამდე არსებული აგურის სახელოსნოების გაფართოვება, აგურის ახალი წვრილი კაპიტალისტური სარეწების აღმოცენება[4].

1847 წლის ცნობით თბილისში ამ დროს არსებული 44 აგურის „ქარხანა“ წლიურად 33. 348 მანეთის ღირებულების 5. 558 ათას ცალ აგურს ამზადებდა[5]. ე .ი. თითო „ქარხანაზე“ წლიურად საშუალოდ მოდის 757 მანეთის ღირებულების 126. 300 ცალი აგური. ამავე ცნობის თანახმად ამ „ქარხნებში“ მუშაობდა 74 ოსტატი და 119 მუშა, ე. ი. თითოეულ „ქარხანაზე“ საშუალოდ მოდიოდა 1—2 ოსტატი და 2—3 მუშა.

აგურის ასეთი „ქარხნების“ შესახებ ჩვენ პირდაპირი ცნობებიც მოგვეპოვება. ასე მაგ., ოფიციალური მონაცემებით 50-იან წლებში ქუთაისში არსებულ აგურის „ქარხანაში“, რომელიც აზნაურ ფირან ვარდანეიშვილს ეკუთვნოდა, მუშაობდა დაქირავებული 1 ოსტატი და 2 მუშა. „ქარხნის“ წლიური პროდუქცია შეადგენდა 240 მანეთის ღირებულების 30 ათას ცალ აგურს. იქვე იყო ანალოგიური საწარმო გლეხი ივანე გურულის აგურის „ქარხანაც“.

ამავე ხანებში ქუთაისში შედარებით უფრო მოზრდილ საწარმოს წარმოადგენდა მაქსიმე გაბაევის აგურის „ქარხანა“, რომელშიც მუშაობდა 2 ოსტატი და 4—6 მუშა. „ქარხნის“ წლიური პროდუქცია 800 მან. ღირებულების 100 ათას ცალ აგურს შეადგენდა. დაახლოებით ასეთივე საწარმო იყო მღვდელი ივანე ნაცვალოვის აგურის „ქარხანა“ და აგრეთვე გლეხი ბეჟან დადუნაშვილის (დადუნოვის) „ქარხანა“. პირველში 2 ოსტატი და 4 მუშა მუშაობდა, ხოლო მეორეში კი 2 ოსტატი და 3 მუშა.

ანალოგიური აგურის „ქარხნები“ ამავე ხანებში არსებობდა ახალციხეშიც[6].

ამგვარად, მოტანილი ცნობები მოწმობენ, რომ მე-19 ს. პირველ ნახევარში საქართველოში არსებობდა აგურის ისეთი წვრილი საწა-

---

[4] აგურის საწარმოები (ე. წ. „ქარხნები“) მე-19 ს. შუახანებიდან, როგორც წესი, უკვე შეაქვთ არა „ხელოსნურ“, არამედ „ფაბრიკულ ქარხნულ“ წარმოებაში (მაგ. 1865 წლის უწყისში—ცსია, ფ. 414, აღწ. 1, საქმე 18, ფურც. 11, 12 და 13, 14). ზოგჯერ კი მათ ისევ ხელოსნურ წარმოებაში აღრიცხავდნენ. 1866 წ. თბილისის ხელოსნური წარმოების აღწერაში ნაჩვენებია მეაგურეთა 2 ამქარი, სადაც სულ 30 ოსტატი იყო გაერთიანებული (ცსია, ფონდი 7, აღწ. 1, საქმე 2229, ფურც. 81—92). 1892 წ. მეაგურეები შეტანილი არიან ხელოსნური წარმოების უწყისებში, 1894 წელს კი მათ აქ ეეღარ ვხედებით. იხ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დას. ნაშრ., გვ. 244—253.

[5] ცსია, ფ. 4, საქმე 125, ფურც. 26—29.

[6] ცსია, ფ. 4, საქმე 125, ფურც. 39, 40, 44, 48, 60—66, 80, 93, 107—112.

რმოები (ე. წ. „ქარხნები“), რომლებშიც 1-2 ოსტატი და 2-4 მუშა მუშაობდა. ჩვენ ხელთ არსებული მასალები ადასტურებენ, რომ ზემოაღნიშნული საწარმონი კერძო მეწარმეთა კუთვნილებას შეადგენდნენ, რომელნიც ქირაობდნენ ოსტატებსა და მუშებს. ქუთაისის და ახალციხის აგურის „ქარხნების“ აღწერილობაში ეს გარემოება პირდაპირაა აღნიშნული. ქუთაისში აგურის „ქარხნების“ მფლობელებად გვეელინებიან სხვადასხვა წოდებათა წარმომადგენლები: აზნაური ფირან ვარდანეიშვილი, მოხელე მაქსიმე გაბაევი, მღვდელი იოსებ ნაცვალოვი და გლეხები ივანე გურული და ბექან დადუნაშვილი (დადუნოვი). ახალციხეში აგურის „ქარხნის“ მფლობელი იყო ახალციხის მცხოვრები კირაკოზ კრიკოროვი.

მე-19 ს. 50—60-იან წლებში საქართველოს ქალაქების, განსაკუთრებით კი თბილისის, სწრაფ მშენებლობასთან დაკავშირებით მოთხოვნილება აგურზე ძალზე იზრდება, რაც იწვევს აგურის წარმოების მნიშვნელოვან გაფართოვებას.

1865 წლის ცნობით თბილისის გუბერნიაში 154 აგურის „ქარხანა“ იყო. აქედან ქალაქებში 118 (მათ შორის თბილისში 95, ხოლო მაზრებში 36). მათი საერთო წლიური პროდუქცია ამ წელს უდრიდა 394 ათას მან. მომუშავეთა რაოდენობა ამ „ქარხნებში“ სულ შეადგენდა 2480-ს[7]. ე. ი. თითო „ქარხანაზე“ საშუალოდ მოდის 2558 მანეთის პროდუქცია და 16-მდე მუშა (მუშათა რაოდენობა ეჭვს ბადებს, თუ აქ მუშათა მუდმივ კონტინგენტთან ერთად სეზონური მუშებიც არ იგულისხმება[8]).

1866 წლის ცნობით თბილისის აგურის 96 საწარმოში 390 ათასი მანეთის პროდუქცია მზადდებოდა, რაც შეეხება თბილისის

---

[7] სცსია, ფ. 414, საქმე 18, ფურც. 11—12.

[8] 1865 წლის სხვა ცნობით თბილისის გუბერნიაში აგურის 164 საწარმოში 409 ათას მანეთამდე პროდუქცია მზადდებოდა. ხოლო მუშათა რაოდენობა 950-ს უდრიდა (Сведения о фабриках и заводах действовавших в 1865 г. СПб., 1867, стр. 21. ლენ. ცსია, ფონდი 18, აღწ. 2, საქმე 1770, ფურც. 391). ე. ი. ამ შემთხვევაში თითო საწარმოზე 2500 მან. პროდუქცია და 5—6 მუშა მოდის, რაც უფრო დასაჯერებელია.

თბილისის 1866 წლის ხელოსნური წარმოების აღწერაში შეაგურეთა 2 ამქარია ნაჩვენები, სადაც 30 ოსტატი იყო გაერთიანებული. მათთან მომუშავეთა შესახებ აღნიშნულია: „Рабочие нанимаются поденно и преимущественно из персиян. В зимнее время рабочих почти нет, летнее число их доходит ежедневно до 2500 и более человек“. (სცსია, ფონდი 7, აღწ. 1, საქმე 2229, ფურც. 81—92). აქედან ირკვევა, რომ აგურის წარმოებაში სეზონურ მუშათა დიდი რაოდენობა იყო ჩამბული.

გუბერნიის მაზრებში არსებულ 65 საწარმოს, ისინი სულ 12. 400 მანეთის პროდუქციას იძლეოდნენ[9].

1880 წლისათვის ოფიციალურ სტატისტიკაში თბილისში ისევ 95 აგურის ქარხანაა ნაჩვენები, სადაც სულ 300 მუშა მუშაობდა[10]. ხოლო ამავე წლის „ფაბრიკულ-ქარხნულ" წარმოების ცალკეულ უწყისებში ჩვენ მხოლოდ 31 საწარმოს შესახებ გვაქვს მონაცემები[11]. აქ გვხვდება როგორც უწვრილესი სახელოსნოები, სადაც 1 ოსტატი და 2 მუშა მუშაობდა, ისე 12 მუშიანი საწარმოები. საწარმოთა უმრავლესობაში 2—4 მუშა მუშაობდა. არსებითად ეს „ქარხნები" წარმოადგენდნენ აგურის გამოსაწვავ მარტივ ქურებს („горно") რომლებშიაც ეტეოდა 20—80 ათასი აგური თითოეულში. ზოგ შემთხვევაში თითო „ქარხანაში" 2 ქურა ითვლებოდა. ერთ-ერთი ასეთი „ქარხნის" აღწერაში ვკითხულობთ: „Кирпич делается руками, глина добывается на месте—в Тифлисе и окрестностях его". საწარმოთა წლიური პროდუქცია უდრიდა 1000—6500 მანეთის ღირებულების 40 ათასიდან—500 ათასამდე ცალ აგურს.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ზოგ შემთხვევაში თითო ოსტატ-მეპატრონეს ორ-ორი „ქარხანა" ეკუთვნოდა, ზოგს კი სამ-სამი და მეტიც. თითოეულ მათგანში 2-4 მუშა მუშაობდა. ასე, მაგ., თბილისის მოქალაქე არტემ ზახმურადოვს ეკუთვნოდა აგურის 3 „ქარხანა". ორში ორ-ორი კაცი მუშაობდა, მესამეში კი—1. აზიზ ნაზაროვის 3 „ქარხანაში", თითოში ოთხ-ოთხი მუშა მუშაობდა; ხოლო თადარიგის პოლკოვნიკ ხანცინსკის კუთვნილ 4 „ქარხანაში", თითოეულში 2 მუშა. ე. ი. ასეთ შემთხვევებში თითოეულ მეპატრონის კუთვნილ „ქარხნებში" 4-დან—12-მდე მუშა იყრიდა თავს. ფაქტიურად აღნიშნული „ქარხნები" ერთმანეთის გვერდით არსებული „ქურები" უნდა ყოფილიყო, სადაც მუშაობა წარმოებდა ერთი მეწარმის კაპიტალით. რაც ამ წარმოებას კაპიტალისტური მარტივი კოოპე-

---

[9] სცსია, ფონდი 5, საქმე 307, ფურც. 54—57. აღნიშნულ წყაროში თბილისის გუბერნიის მაზრებში არსებულ აგურის საწარმოთა პროდუქციის ოდენობა ძალზე არაზუსტადაა ნაჩვენები. მაგ. სიღნაღის მაზრის აგურის საწარმოებზე თითოზე მოდის 1000 მან. პროდუქცია. თვით სიღნაღის თითო საწარმოზე სულ 100 მან. პროდუქცია, ხოლო თელავის 26 საწარმოზე სულ 1600 მან. პროდუქცია.

ამავე დროს დუშეთის მაზრაში, სოფ. შაშაბუროში მითითებულია ერთი სახაზინო საწარმო 10 ათასი მან. პროდუქციით. ეს უთუოდ საგზაო მშენებლობასთან დაკავშირებით მოწყობილი დროებითი სახაზინო წარმოება იყო, რომელსაც ჩვენ მხედველობაში არ ვიღებთ.

[10] Обзор Тифлисской губернии за 1880 г.

[11] ცსია, ფონდი 17, საქმე 495.

რაციის ხასიათს აძლევს. შესაძლოა, რომ ერთი მეწარმის ხელში არსებული რამოდენიმე „ქარხანა“, ადრე ცალკეულ ოსტატების კუთვნილებაც ყოფილიყო, შემდეგ ერთი პირის ხელში მოქცეული. რაც შეეხება აგურის ისეთ „ქარხნებს“, სადაც ერთდროულად 12-ზე მეტი მუშა იყო ჩაბმული, აქ შესაძლოა უკვე შრომის დანაწილებასთან და. ამდენად, მანუფაქტურულ წარმოებასთან გვქონდეს საქმე[12].

ამგვარად, 80-იანი წლებისათვის აგურის წარმოებაში, თუმცა ვხვდებით შედარებით მხსვილ საწარმოებს, მაგრამ ძირითადად ეს დარგი კვლავ წვრილი სახელოსნოებით იყო წარმოდგენილი, რომლებშიც ხელით შრომა იყო გაბატონებული. 80-იანი წლების შუახანებში ს. გულიშამბაროვი წერდა: „Кирпичных заводов в Тифлисской губернии много, но подобно гончарным, все они имеют кустарный характер, т. е. кирпич приготовляется и обжигается только по мере надобности, в остальное-же время заводы бездействуют... Работа везде ручная“[13]. აღნიშნული საწარმოები, გულიშამბაროვის თანახმად, ამზადებდნენ ადგილობრივი ფორმის აგურს. ერთადერთი ტექნიკურად გაუმჯობესებული საწარმო იყო ხიმშიაშვილის აგურის „ქარხანა“, რომელშიც 20 მუშა მუშაობდა, ხოლო პროდუქცია—8400 მან. შეადგენდა.

გულიშამბაროვის ცნობით, თბილისის გუბერნიაში აგურის 47 საწარმო იყო. აქედან ახალქალაქში 3, გორში 4 და ახალციხეში 5 წვრილი საწარმო, თითოეული 2 მუშით და 200—400 მან. პროდუქციით. თბილისშიც იყო 8 წვრილი საწარმო 2-3 მუშით და 1000 მანეთამდე პროდუქციით. თბილისის დანარჩენ 27 საწარმოდან 10 საწარმო იყო თითოეული 3 მუშით და 1000—1600 მან. პროდუქციით. 11 საწარმო 4 მუშით. და 1500—2400 მან. პროდუქციით, ხოლო 3 საწარმო 6—7 მუშით, თითოეული 1600, 2000 და 5000 მან. პროდუქციით. 1 საწარმო 8 მუშით ამზადებდა 6 ათასი მან. პრო-

---

[12] აგურის წარმოებაზე 80-იან წლებში იხ. ნ. რ ო დ ო ნ ა ი ა, დას. ნაშრომი, გვ. 53—56. როგორც ამ ნაშრომშია აღნიშნული აგურის წარმოებაში 80—90 წლებში დასტურდება პროდუქციის მნიშვნელოვანი ზრდა. მაგრამ ეს სრულიადაც არ ხდებოდა საწარმოთა რაოდენობის შემცირების პირობებში. აგურის „ქარხნების“ რაოდენობის შემცირება 95-დან 38-მდე 80-იან წლებში სტატისტიკის უზუსტობით უნდა აიხსნას, ვინაიდან 90-იან წლებში თბილისში ისევ ასობით აგურის „ქარხანაა“ ნაჩვენები. პროდუქციის ზრდის ფაქტი უმთავრესად წვრილ საწარმოთა შორის შედარებით მსხვილი „ქარხნების“ გამრავლებით უნდა აეხსნათ.

[13] ს. გ უ ლ ი შ ა მ ბ ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 212—213.

დუქციას. ხიმშიაშვილის „ქარხნის“ გარდა“ შედარებით მსხვილი საწარმო ეკუთვნოდა ავერიანოვს, სადაც 20 მუშა მუშაობდა, ხოლო პროდუქცია 4 ათას მანეთს შეადგენდა.

გულიშამბაროვის ცნობით, თბილისის გუბერნიის 47 საწარმოში სულ 186 მუშა მუშაობდა, ხოლო მათი პროდუქციის ღირებულება 69. 550 მან. შეადგენდა[14].

1887 წლის ცნობით თბილისში აგურის 47 საწარმო იყო. 187 მუშით და 64. 620 მანეთის პროდუქციით[15].

თბილისში არსებული ცალკეული აგურის „ქარხნების“ 1886 წლის უწყისებიც მოწმობენ, რომ აქ უმეტეს შემთხვევაში აგურის წვრილ საწარმოებთან გვაქვს საქმე. ასე, მაგ., 39 საწარმოდან. რომელთა უწყისი შემოინახა, 1—2 მუშიანი იყო 3 საწარმო, 3 მუშიანი—27 საწარმო, 4 მუშიანი 3 საწრმო, 5—6 მუშიანი—2 საწარმო[16].

ამგვარად, თბილისის გუბერნიაში 80-იანი წლების შუა ხანებში, თუ არ ჩავთვლით წვრილ ხელოსნურ საწარმოებს ათასამდე მან. პროდუქციით, დაახლოებით იყო 30-მდე აგურის საწარმო, 120 მუშით და 60 ათასი მან. პროდუქციით.

ქუთაისში, ჩვენ ხელთ არსებული უწყისების თანახმად, 1885 წ. 6 აგურის საწარმო იყო, თითოეული 8 მუშით და 16. 840 მან. პროდუქციით და 10 საწარმო 1—2 მუშით და 1000 მანეთამდე პროდუქციით[17]. სამუშაოები აქ მხოლოდ ზაფხულობით, აპრილიდან ნოემბრამდე სწარმოებდა. საწარმოში აგურის გამოსაწვავი თითო ღუმელი იყო.

აგურის და კრამიტის საწარმოები არსებობდა ქუთაისის გუბერნიის მაზრებშიც[18].

---

[14] ს. გ უ ლ ი შ ა მ ბ ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 214—215. თბილისის გუბერნატორის 1885 წლის ანგარიშის მიხედვით თბილისის გუბერნიაში 235 აგურის საწარმო იყო, 203. 750 მან. პროდუქციით და 875 მუშით. ჩანს აქ დიდი რაოდენობითაა შესული წვრილი ხელოსნური საწარმოები.

[15] სცსია, ფონდი 414, საქმე 34, ფურც. 46—47.

[16] სცსია, ფონდი 204, საქმე 654.

[17] ლენ. ცსია, ფონდი 20, აღწ. 12, საქმე 100.

[18] ქუთაისის გუბერნატორის 1886 წ. ანგარიშის დანართში ქუთ. გუბერნიაში ნაჩვენებია ასობით აგურის და თიხის პურეკლის „ქარხანა“. მათ შორის ქუთაისში 16, ფოთში 2, სოხუმში 3; 1886 წ. ქუთაისში არსებულ 16 საწარმოს პროდუქცია ნაჩვენებია 22. 105 მან., მუშათა რაოდენობა კი 67. ჩვენ უფრო სწორი გვეჩვენება 1885 წლის ანგარიშის მაჩვენებლები, რომელთა თანახმად ქუთაისის 18 საწარმოში. 112. 050 მან. პროდუქცია მზადდებოდა. აქ 68 მუშა იყო. აღნიშნული მონაცემები უახლოვდება 1885 წ. უწყისების მონაცემების ჯამს. ქუთაისის გუბერნიაში ამ დროს წვრილი სახელოსნოების გამოკლებით დაახლოებით 10 საწარმო უნდა ყოფილიყო, 60 მუშით და 100 ათასი მან. პროდუქციით.

90-იანი წლებიდან აგურის წარმოებაში ტექნიკური სიახლე შემოდის. კერძოდ, შეშის ნაცვლად ხდება თხიერი საწვავის—ნავთობის გამოყენება, რაც მნიშვნელოვნად აიაფებს წარმოებას. თხიერ საწვავზე გადასვლასთან დაკავშირებული იყო ორთქლის ქვაბების გამოყენება „მფრქვევანებისათვის“ („форсунка“) 90-იანი წლების დასაწყისში თბილისის გუბერნიაში ასეთი საწარმოები ეკუთვნოდა ბაბლუმოვს, ელჩიევს და ყაზარმების საამშენებლო კომისიას თბილისში, ხოლო გორში არქიტექტორ შიმკევიჩს.

ორთქლის ქვაბების გამოყენება ამ საწარმოებში სრულიადაც არ ამცირებდა ხელით შრომას, რადგან აღნიშნული სიახლე უშუალოდ შრომის პროცესს კი არ შეეხებოდა, არამედ მხოლოდ ტექნიკურ მომენტთან—თხიერ საწვავზე გადასვლასთან იყო დაკავშირებული[19].

90-იანი წლების მიწურულისათვის ორთქლის ქვაბები დაიდგა თბილისის გუბერნიის აგურის საწარმოთა უმრავლესობაში. 1898 წლის ორთქლის ქვაბების აღწერის თანახმად თბილისში იყო აგურის 41 საწარმო ორთქლის ქვაბით, თბილისის გუბერნიის მაზრებში კი 6 საწარმო[20]. როგორც ირკვევა ორთქლის ქვაბის გამოყენება არ იყო დაკავშირებული აგურის საწარმოს მასშტაბებზე. 900-იანი წლების დასაწყისის უწყისებიდან ჩანს, რომ ორთქლის ქვაბი იდგა უმცირეს საწარმოებშიც, სადაც 3—5 მუშა მუშაობდა, ხოლო პროდუქცია 2 ათას მანეთს არ აღემატებოდა[21].

1900 წლისათვის, გნედიჩის მონაცემებით, თბილისის გუბერნიაში სულ 235 აგურისა და კრამიტის საწარმო იყო. მათი პროდუქცია 606 ათას მანეთს უდრიდა, ხოლო მუშათა რაოდენობა 1689-ს. აქედან თბილისში იყო 101 საწარმო 420 ათასი მანეთის პროდუქციითა და 1008 მუშით. ქუთაისის გუბერნიაში კი გნედიჩის მონაცემებით იყო აგურის 75 საწარმო 112 ათასი მან. პროდუქციით და 300 მუშით. როგორც ირკვევა, ძირითადად ეს იყო აგურის წვრილი საწარმოები. კერძოდ, 1899 წლის „კავკასიის კალენდარის“ ცნობით თბილისში ამ წელს არსებულ 103 აგურის საწარმოდან 2 მუშიანი

---

[19] მაგ., ბაქოს გუბერნიაში, სადაც თხიერი საწვავი დიდი ხნის წინათ იყო გამოყენებული და ამდენად ორთქლის ქვაბებიც არსებობდა, გულიშამბაროვის ცნობით, აგურის წარმოება მაინც მთლიანად ხელით შრომაზე იყო დამყარებული—„На всех кирпичных заводах Бакинской губернии кирпич приготовляется исключительно ручным способом“ (Обзор фабрик и заводов Бакинской губернии, Тифл., 1890 г., გვ. 197—198).

[20] ლენ. ცსია, ფონდი 20, აღწ. 15, საქმე 104, ფურც. 186—188.

[21] ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 2, საქმე 2925.

იყო 16; 3 მუშიანი—17; 4 მუშიანი—21; 5 მუშიანი—7; 6—10 მუშიანი 28; 11—20 მუშიანი—10; ხოლო 20-ზე მეტ მუშიანი მხოლოდ 4.

ანალოგიურ სურათს წარმოადგენს „ევროპული რუსეთის ფაბრიკა-ქარხნების სიაში“ შეტანილი 34 აგურის „ქარხნის“ დაყოფა. ამ საწარმოთა შორის 3—5 მუშით და 1—3 ათას მან. პროდუქციით იყო 6. 6—10 მუშით და 2, 5—6 ათასი მან. პროდუქციით—15; 10-ზე მეტი მუშით 10 საწარმო. ამ უკანასკნელთა შორის იყო 5 საწარმო მხოლოდ 4—5 ათასი მანეთის პროდუქციით. იმ საწარმოთა რიცხვი, რომელთა პროდუქცია 10 ათას მანეთს აღემატებოდა, სულ იყო 4[22].

ხელთ გვაქვს თბილისში არსებული მხოლოდ 27 ცალკეული საწარმოს უწყისი, რომელნიც 1901 წლის ვითარებას ასახავენ. აქედან 7 საწარმო იყო 3—5 მუშითა და 2—3 ათასი მანეთის პროდუქციით, 13 საწარმო 6—10 მუშითა და 4—6 ათასი მან. პროდუქციით, 4 საწარმო 12—14 მუშით და 6—7 ათასი მანეთის პროდუქციით, ხოლო 3 საწარმო 20-ზე მეტი მუშითა და 25 ათასზე მეტი პროდუქციით[23].

წვრილ ხელოსნურ საწარმოთა გამოკლებით 1900 წლისათვის სავარაუდებელია 100-მდე აგურის საწარმო, 800 მუშით და 400 ათასამდე მან. პროდუქციით.

1901 წლის უწყისებში განსაკუთრებით საინტერესოა მითითება იმის შესახებ, რომ აგურის საწარმოთა უმრავლესობაში, სადაც მუშათა მუდმივი კონტინგენტი 10-მდე აღწევდა, ისეთ მცირე საწარმოებშიაც კი, სადაც 3—5 მუშა მუშაობდა, ხოლო პროდუქცია 3—4 ათას მანეთს არ აღემატებოდა, ქურების დატვირთვასა და განტვირთვაზე დამატებით ერთდროულად იყენებდნენ 15 კაცისაგან შემდგარ „არტელებს“, რომელთაც „პოდრიადჩიკები“ უწევდნენ ექსპლოატაციას. ჩანს, ასეთი „არტელების“ გამოყენებით წვრილ საწარმოებში ხდებოდა მუშათა კონტინგენტის შევსება ისეთ ერთდროულ შრომატევად სამუშაოებზე, როგორიც იყო ღუმელების დატვირთვა და განტვირთვა

აგურის საწარმოები, უწყისების თანახმად, ზოგ შემთხვევაში მთელ წელიწადს მოქმედებდნენ, უმეტესწილად კი წელიწადში 200 280 დღე. თითოეულ მათგანზე. იმათ გარდა, სადაც გოფმანის სისტემის ღუმელები იდგა, იყო 10-დან 80 ათასამდე აგურის ტევადობის 1-დან 8-მდე „დროებით მომქმედი“ ქურა. ცალკეულ შემთხვევებში

---

22 Список фабрик и заводов Европ. России. СПб., 1903, გვ. 399—400.

23 ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 2, საქმე 2925.

გვხვდება უფრო დიდი ქურებიც, 150—250 ათასი აგურის ტევადობის.

წარმოდგენილი სურათი ნათელყოფს, რომ აგურის საწარმოთა დიდი ნაწილი, თბილისის რამოდენიმე აგურის „ქარხნის" გამოკლებით, სადაც გამოყენებული იყო გოფმანის სისტემის ღუმელები თუ მექანიკური ძრავა, წარმოადგენდნენ წვრილ, უმეტესწილად კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციის ტიპის საწარმოებს, სადაც უკვე შემოდის ტექნიკური გაუმჯობესებანი, მაგრამ ხელით შრომა წარმოებაში კვლავ გაბატონებულია[24]. ცალკეული საწარმოები, სადაც მუშათა საჭირო რაოდენობა და შრომის ორგანიზაცია უკვე შრომის დანაწილებასაც გულისხმობდა, მანუფაქტურულ წარმოებას უნდა მივაკუთვნოთ.

ტყავის დამუშავება

ტყავის დამუშავება ხელოსნური წარმოების ერთ-ერთი უძველესი დარგია. საქართველოში იგი დიდხანს განაგრძობს არსებობას, თუმცა აქაც თავიდანვე შეინიშნება წვრილ სასაქონლო წარმოებად გადაქცევის ტენდენცია. თანდათან ჩნდება აგრეთვე შედარებით მსხვილი კაპიტალისტური საწარმოებიც.

მე-19 ს. 20—30-იანი წლებიდან დადასტურებულია არაერთი ასეთი საწარმოს დაარსების ფაქტი, როგორც უფრო წვრილის (ყაზაროვის), ისე შედარებით მსხვილების (სარაჯიშვილის, თამამშოვის და სხვების)[25]. მაგრამ ამ საწარმოებს დიდხანს არ უარსებიათ. როგორც ირკვევა, შედარებით უფრო მყარი მდგომარეობა ტყავის წვრილ წარმოებას ჰქონდა მოპოვებული. მხედველობაში გვაქვს ე. წ. „სუმბათაშვილების ტყავის ქარხანა", რომლის შესახებაც დაწვრილებითი

---

[24] აღსანიშნავია, რომ 1898 წლის ორთქლის ქვაბების აღწერის მიხედვით თბილისის აგურის 41 საწარმოში ორთქლის ქვაბების გარდა იყო მანქანებიც (ლენ. ცენტრ., ფონდი 20, აღწ. 15, საქმე 104, ფურც 186—188). იგივეზე მიგვითითებს ვარშარის რედაქციით გამოცემული სტატისტიკური კრებული. აქაც თბილისის აგურის 34 საწარმოზე მითითებულია ორთქლის ძრავის არსებობა (Статистические сведения..., СПб., 1903, გვ. 150—151). მაგრამ აღნიშნული ცნობები ეჭვს ბადებს. სინამდვილეში აგურის საწარმოთა დიდ ნაწილს ჰქონდა მხოლოდ ორთქლის ქვაბი თხევადი სათბობის (ნავთობის) გამოსაყენებლად მფრქვევანების მეშვეობით. მექანიკური ძრავა არ არის მითითებული აგურის საწარმოებში 1901 წლის უწყისებშიც, ერთი შემთხვევის გარდა.

[25] ე. ხოშტარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 161; მ. სამსონიძე, მე-19 ს. რეფორმამდელი ხანის თბილისის სამრეწველო განვითარების ისტორიიდან, „მაცნე", 1964, № 1, გვ. 141—145.

ცნობები 40-იანი წლებიდან შემორჩა. ფაქტიურად ეს იყო მეტყავეთა ამქარში გაერთიანებული ხელოსნების საწარმო, რომელიც სუმბათაშვილების მიწაზე იყო მოწყობილი. მეტყავეები სუმბათაშვილებს მხოლოდ მიწის იჯარას აძლევდნენ[26]. ამ „ქარხნის" ხასიათზე წარმოდგენას გვიქმნის შემდეგი შენიშვნა 1841 წლის უწყისში: «На заводе этом машин нет. Мастеров 25, подмастерьев 25, чернорабочих 20. Все они вольнонаемные из здешних жителей, из коих мастера выделывают кожи на свой капитал, а подмастерья и чернорабочие у мастеров по найму»[27]. ე. ი. ოსტატები დამოუკიდებლად უძღვებოდნენ წარმოებას და ქირაობდნენ ბუშებს. 1841 წლის სხვა ცნობით ამ „ქარხანაში" 25 ოსტატთან 200-მდე შეგირდი და 100 დაქირავებული მუშა მუშაობდა[28], ე. ი წარმოებაში 300-ზე მეტი კაცი იყო ჩაბმული. წინა წლის (1840 წ.) ცნობებით კი იგივე „ქარხანაში" ოსტატთა რაოდენობა შეადგენდა 40-ს, ხოლო მუშებისა — 50-ს[29]. განსხვავებული მონაცემები წყაროების უზუსტობით უნდა აიხსნას, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ხელოსანთა თავისებურ გაერთიანებასთან, რომელიც დამყარებული იყო არა კაპიტალის ერთიანობაზე, არამედ ტექნიკურ საფუძველზე — სუმბათაშვილების მიწაზე ბუნებრივი თბილი წყლის არსებობაზე, რომელსაც იყენებდნენ ტყავის დასამუშავებლად. დაქირავებული შრომის გამოყენება აღნიშნულ წარმოებაში (ერთ-ერთი ცნობით აქ თითო ოსტატზე 8 შეგირდი და 4 მუშა მოდიოდა) გვიჩვენებს, რომ იგი ამეღავნებდა წვრილ სასაქონლო წარმოებად გადაქცევის ტენდენციას.

აღსანიშნავია, რომ ასეთივე „ქარხანა" იგივე ადგილას მე-19 ს. 80-იან წლებშიც არსებობდა. ასე. მაგ., 1885 წლის უწყისის თანახმად ისევ სუმბათაშვილების მიწაზე არსებული ერთ-ერთი ტყავის „ქარხანა", კვლავ იმავე პრინციპზე მოწყობილი ჩანს, როგორც მე-19 ს. 40-იან წლებში იყო. აქ ამჟამად 26 ოსტატთან (არტემ პოპოვი და სხვები). რომელნიც აგრეთვე დამოუკიდებლად უძღვებოდნენ წარმოებას, 200 სრულწლოვანი და 25 მცირეწლოვანი მუშა მუშაობდა. „ქარხანა" იძლეოდა 127 ათასი მანეთის პროდუქციას[30]. გარდა აღნიშნული „ქარხნისა", თბილისში ამავე პერიოდში იყო კიდევ

---

[26] ე. ხოშტარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 156: გ. ბაკრაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 20—22; მ. სამსონიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 139—140.

[27] ცსია, ფონდი 16, საქმე 6351, ფურც 26—27.

[28] ცსია, ფონდი 16. საქმე 8399, ფურც. 19—20.

[29] ცსია, ფონდი 16, საქმე 6105, ფურც. 35—37.

[30] ცსია, ფონდი 204, საქმე 592, იქვე, საქმე 654.

2 შედარებით უფრო მცირე მასშტაბის ტყავის ასეთივე ხასიათის „ქარხანა“, რომელნიც აგრეთვე ოსტატების გაერთიანების საფუძველზე იყვნენ მოწყობილი. ერთ-ერთი მათგანი 5 ოსტატს ეკუთვნოდა (გრიგოლ ჩიკვაიძეს და სხვებს), რომლებთანაც 40 სრულწლოვანი და 15 მცირეწლოვანი მუშა მუშაობდა. საწარმოს პროდუქციის ღირებულება 20 ათას მანეთს შეადგენდა, მეორე კი სამ ოსტატს (ბაღდასარ მელიქოვს) და სხვებს). ამათთან 1885 წლის უწყისით 30 მუშა მუშაობდა, ამ საწარმოს პროდუქციის ღირებულება კი 13 ათას მანეთს შეადგენდა. ხოლო 1886 წლის უწყისით აქ მუშათა რაოდენობა 25-ს შეადგენდა, პროდუქციის ღირებულება კი 40 ათას მანეთს[31]. ერთ-ერთი ასეთი საწარმოს აღწერა აქვს ს. გულიშამბაროვს, რომელიც ხაზს უსვამს წარმოების ასწლოვანი ტრადიციის არსებობას მასში. იგი წერს: «В азиатской части города, где издавна вытекает горячая минеральная вода и где сосредоточены все городские бани, часть минеральной воды отводится в помещение местных кожевников—это длинное ветхое каменное здание, в котором прямо вмазаны в земляной пол 400 больших глиняных чанов для мочки кож . Описанное здание принадлежит одному лицу, кожевники же платят ему только аренду, причем образуют из себя род своеобразной артели или какой-то общины, в которой каждый сохраняет свою индивидуальность и в тоже время, пользуется выгодами общего управления»[32].

ქვემოთ გულიშამბაროვი წერს: «В этом здании работаю 50 отдельных кожевников, имеющих по одному или по два рабочих. Работает каждый смотря по своим средствам и ходу торговли более или менее продолжительное время»[33].

ს. გულიშამბაროვი ადგილობრივ ტრადიციებზე დამყარებული სამი „ქარხნის“ არსებობაზე მიუთითებს, სადაც 71 ოსტატი—მეპატრონე და 230 მუშა, ე. ი. სულ 300 კაცი მუშაობდა. მისი ცნობით ამ „ქარხნების“ პროდუქციის საერთო ღირებულება 200 ათას მანეთს უდრიდა[34].

გულიშამბაროვის მიერ ნაჩვენები „ადგილობრივი ქარხნების“ („туземные заводы“) პროდუქციის რაოდენობა და მომუშავეთა რიცხვი დაახლოებით ემთხვევა 1885-86 წლების უწყისებში აღნიშ-

---

[31] სცსია, ფონდი 204, საქმე 592, 654.

[32] ს. გ უ ლ ი შ ა მ ბ ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშ., გვ. 95.

[33] იქვე.

[34] იქვე, გვ. 96.

ნულ ასეთივე „ქარხნების“ პროდუქციისა და მუშათა რაოდენობას, თუმცა აქ მხოლოდ 34 ოსტატთან გვაქვს საქმე.

აღსანიშნავია, რომ ასეთივე „ქარხანა“ 1900 წელსაც გვხვდება თბილისში. კერძოდ, 1900 წლის „კავკასიის კალენდარში“, ტყავის მსხვილ ქარხნებთან ერთად (ადელხანოვის, ზარგარიანცის) მოხსენებულია სუმბათოვის „ქარხანაც“. ეს უკანასკნელი სხვა მასალებში, რომელნიც ფაბრიკა-ქარხნების შესახებ მონაცემებს შეიცავენ, არსად არ გვხვდება. ეჭვს გარეშეა, რომ სუმბათოვის „ქარხანაში“ იგივე ადგილობრივი («туземный») საწარმო იგულისხმება. ამას ადასტურებს გნედიჩის მიერ მოცემული აღწერა თბილისში ტყავის დამმუშავებელი წარმოებისა. კერძოდ, გნედიჩი წერს, რომ ტყავის ქარხნები აქ „ჯერ კიდევ ქართველ მეფეთა დროიდან“ განლაგებულნი არიან მტკვრის პირას, სადაც გამოდის თბილი მინერალური წყალი, რომელსაც იყენებენ ტყავის დასამუშავებლად. შემდეგ, გნედიჩი ადგილობრივი ქარხნების თავისებურების შესახებ აღნიშნავს: «На туземных заводах владельцы отдают в аренду по два, три чана арендаторам, которые выделывают собственный товар, имея от себя два, три рабочих. Таким образом, на заводе является человек 20 арендаторов-хозяев, имеющих каждый своих рабочих. Все кожевенные заводы (за исключением завода Адельханова) крайне неблагоустроены, как в техническом отношении, так и в санитарном“[35].

ამრიგად, ხელოსნურ ტრადიციაზე დამყარებულ ტყავის საწარმოთა არსებობა, რომელნიც ოსტატების თავისებურ გაერთიანებას წარმოადგენენ, დადასტურებულია 900-იანი წლებისათვისაც.

ამასთან დაკავშირებით უნდა თქვას, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ვერ ვხვდებით მე-19 ს. მეორე ნახევრის სტატისტიკაში ტყავის შედარებით მსხვილი წარმოებიდან აღნიშნული საწარმოების გამოყოფის ცდას. ნ. როდონაია, ეხება 80-იან წლებში თბილისში არსებულ ჩიკოიძისა და სხვების ზემოაღნიშნულ „ქარხნებს“, და მათ მიიჩნევს მანუფაქტურულ საწარმოებად, სადაც 90-იანი წლების დამლევისათვის ორთქლის ძრავას გამოყენებასაც კი ვარაუდობს[36]. ხოლო გ. ბაქრაძე, აღნიშნავს რა მე-19 ს. პირველ ნახევარში ე. წ.

---

[35] ლენ. ცსია ფონდი 23, აღწ. 17, საქმე 738;

„საისტორიო მოამბე“, 1, 1945, გვ. 273—275.

[36] ნ. რ ო დ ო ნ ა ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 10, 11. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ნაშრომში ერთი და იგივე საწარმო პოპოვისა და სხვების, ორჯერ არის განხილული, როგორც სხვადასხვა საწარმო (შეადარე იქვე გვ. 7 და 11).

„სუმბათაშვილის ტყავის ქარხნის“ ხელოსნურ ხასიათს. მომდევნო პერიოდში აღარ ხედავს ამ საწარმოს ტრადიციის გაგრძელებას და, როგორც უნდა ვიფიქროთ, ასეთ საწარმოებს ასევე მანუფაქტურებად მიიჩნევს. ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ გ. ბაქრაძე უპირისპირებს 80—90-იანი წლების დასაწყისში არსებულ ტყავის საწარმოებს ადელხანოვის ქარხანას და აღნიშნავს: «Крупное фабричное производство занимало господствующее положение над мелким и мануфактурным производством»[37]. გ. ბაქრაძის მიხედვით მანუფაქტურად არ ჩაითვლება საწარმო, თუ კი მასში 16-ზე ნაკლები მუშა მუშაობდა. ადელხანოვის ქარხნის გარდა აღებულ პერიოდში ასეთებად შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ პოპოვის, ჩიკვაიძის, მელიქოვის და მათი ამხანაგების „ქარხნები“. რომელნიც გუბერნატორთა ანგარიშებისადმი დართულ უწყისებში შეტანილნი არიან როგორც „ფაბრიკულ-ქარხნული“ საწარმოები. ამდენად, აღნიშნულ მონაცემებზე დამყარებული მსჯელობა თბილისში ტყავის წარმოების მდგომარეობის შესახებ, ე. წ. „ადგილობრივი ქარხნების“ ხასიათის გაუთვალისწინებლად, არაზუსტია.

1865 წელს თბილისის გუბერნიაში იყო 18 ტყავის საწარმო. აქედან თბილისში 11, სიღნაღში 2, თელავში 3, ელიზავეტპოლში 2. ამ საწარმოთა პროდუქცია დაახლოებით უდრიდა 71 ათას მანეთს. მუშათა რაოდენობა კი აქ 150-ს შეადგენდა[38].

1866 წლისათვის თბილისში კვლავ 11 ტყავის „ქარხანაა“ ნაჩვენები, რომელთა პროდუქციის ღირებულება 63 ათას მანეთს უდრიდა. სიღნაღში ამ წელსაც 2 ტყავის „ქარხანაა“ ნაჩვენები, სულ 1035 მანეთის პროდუქციით, თელავში—3 — 1400 მანეთის პროდუქციით, ხოლო ახალციხეში ერთი—12 ათასი მანეთის პროდუქციით[39].

აღნიშნული ტყავის „ქარხნები“, თბილისისა და ახალციხის „ქარხნებს“ გარდა, ჩვეულებრივი წვრილი ხელოსნური საწარმოები უნყოფილიყო, ხოლო რაც შეეხება თბილისს, აქ, როგორც ვიცით,

---

[37] გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 243.

[38] სცსია, ფონდი 414, საქმე 18, ფურც. 11—12. Сведения о фабриках и заводах действовавших в 1865 г. СПб., 1867, გვ. 21. ლენ. ცსია, ფონდი 18, აღწ. 2 საქმე 1770, ფურც. 391. დასახელებულ წყაროთა მონაცემები საწარმოთა რაოდენობის და პროდუქციის ღირებულების შესახებ ემთხვევა ერთმანეთს, რაც შეეხება მუშათა რაოდენობას, საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივის აღნიშნულ საქმეში ტყავის ყველა საწარმოში მხოლოდ 32 ოსტატია ნაჩვენები. აქ ან აშკარა შეცდომასთან გვაქვს საქმე, ან ამ შემთხვევაში მართლაც მხოლოდ ოსტატების რიცხვი იგულისხმება, დამხმარე მუშახელის გარეშე.

[39] სცსია, ფონდი 5, საქმე 308, ფურც. 54—57.

გვიახლობამდე გვხვდება ხელოსანთა გაერთიანებაზე დამყარებული წვრილი სარეწები და ამდენად აქ არსებული 11 ქარხნის ნაწილი სწორედ ასეთი საწარმოები უნდა ყოფილიყო, ხოლო მათი პროდუქციისა და მუშათა დიდი ნაწილი სწორედ ამ საწარმოებზეა სავარაუდებელი. იგივე უნდა ითქვას ახალციხის ტყავის „ქარხანაზედაც", რომელიც ამ სახით ჯერ კიდევ 40-იან წლებშიაც არსებობდა.

თბილისში არსებული ტყავის წვრილი კაპიტალისტური საწარმოებიდან 1885-86 წლების უწყისებში დაცულია ცნობები აგათია მენეევას, იაკობ მენეევისა და თედორე პონომარიოვის ტყავის „ქარხნების" შესახებ, სადაც წარმოებაში გამოყენებული იყო ცხენის ძალა. თითოეულ ამ „ქარხანაში" 4—6 მუშა მუშაობდა, ხოლო პროდუქცია 4—7 ათას მანეთს შეადგენდა[40]. სამივე საწარმოს პროდუქცია 16 ათას მან. უდრიდა, ხოლო მუშათა რაოდენობა—14-ს.

რაც შეეხება ახალციხის ტყავის „ქარხანას", რომლის 1885—1886 წლების უწყისები ხელთ გვაქვს, იგი კელავ კოოპერაციაზე დამყარებული ხელოსნური საწარმო უნდა ყოფილიყო, რომელიც ეკუთვნოდა 21 ოსტატს. უწყისების თანახმად ოსტატებთან აქ საშუალოდ 15 სრულწლოვანი და 5 მცირეწლოვანი მუშა მუშაობდა. ნიშანდობლივია, რომ საწარმოს უწყისებზე ხელს აწერს: «Управляющий устабаши Григорий Каракулов». ამ „ქარხანის" პროდუქციის ღირებულება უკვე 22 ათას მანეთს შეადგენდა[41].

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებიდან, ტყავის მცირე მასშტაბის საწარმოები 2—3 მუშით და 300—500 მანეთის პროდუქციით 80-იანი წლების შუა ხანებში იყო გორში და ახალქალაქში[42]; დასავლეთ საქართველოში კი—ქუთაისში. აქ არსებული „ქარხნის" პროდუქცია დაახლოებით 3 ათას მანეთს შეადგენდა[43].

გნედიჩის მონაცემებით 1900 წლისათვის თბილისში ტყავის 11 „ქარხანა" იყო[44], 580 მუშით და 1.450 ათასი მან. პროდუქციით, ხო-

---

[40] სცსია, ფონდი 204, საქმე 654. იქვე, საქმე 592, შეადარე: გულიშამბაროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 98.

[41] სცსია, ფონდი 204, საქმე 654. იქვე, საქმე 592. გულიშამბაროვის ცნობითაც ახალციხის ტყავის „ქარხანა" ეკუთვნოდა 21 კაცისაგან შემდგარ ამხანაგობას. საწარმოს პროდუქციის ღირებულება მას 12 ათას მან., ხოლო მუშათა რაოდენობა კი 19 აქვს ნაჩვენები, დასახ. ნაშრ., გვ. 97.

[42] იქვე.

[43] იხ. ქუთაისის გუბერნატორების 80—90-იანი წლების ანგარიშების დანართები.

[44] ლენ. ცსია, ფონდი 23, აღწ. 17, საქმე 738, ფურც. 60—61; „საისტორიო მოამბე", 1, 1945, გვ. 256—257.

ლო 1899 წლის „კავკასიის კალენდარის“ მონაცემებით თბილისის ტყავის საწარმოთა რაოდენობა 38-ს უდრიდა. იგივე რიცხვია ნაჩვენები თბილისის გუბერნატორის 1898 წლის ანგარიშის დანართში. ჩანს ამ ციფრს რაღაც რეალური საფუძველი ჰქონდა.

გარდა იმისა, რომ აღნიშნული წყაროების მონაცემები არ ემთხვევა ერთმანეთს საწარმოთა რაოდენობის მხრივ, საკითხს ართულებს ის გარემოებაც, რომ XIX-19 საუკუნის მიწურულისათვის თბილისში არსებობდა ტყავის 2 მსხვილი ქარხანა (ადელხანოვის და ზარგარიანცის), ამასთანავე განაგრძობდა არსებობას ხელოსანთა კოოპერაციაზე დამყარებული წარმოებაც.

„კავკასიის კალენდარის“ ცნობით თბილისში 1899 წელს არსებული ტყავის 38 საწარმო მუშათა რაოდენობის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა: 2 საწარმო 100-დან 300 მუშამდე, 1 საწარმო 41—50 მუშით, 1 საწარმო 11—20 მუშით, 2 საწარმო 5 მუშით, 6 საწარმო 4 მუშით, დანარჩენი 26 კი 1—3 მუშით.

აქ დასახელებულ უმსხვილეს საწარმოებში ადელხანოვის და ზარგარიანცის ქარხნები უნდა ვივარაუდოთ, ხოლო უფრო მომცრო საწარმოებში ხელოსანთა კოოპერაციაზე დამყარებული წარმოება. დანარჩენი საწარმოები, ჩანს, კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციის ტიპის, თუ ჩვეულებრივი წვრილი ხელოსნური საწარმოები იყო.

ჩანს, სტატისტიკა (გნედიჩი, გუბერნატორთა ანგარიშების დანართები, 1898 წლის „უწყისის“ გამოკლებით) თბილისში არსებულ წვრილ ხელოსნურ საწარმოებს, როგორც წესი, არ უჩვენებდა. ამიტომ საწარმოთა რაოდენობა შედარებით მცირე გამოდის (გუბერნატორთა ანგარიშების დანართებით 7—8, გნედიჩით—11). ზოგ შემთხვევაში კი წყაროებში წვრილი სახელოსნოებიცაა ნაჩვენები (1899 წლის „კავკასიის კალენდარი“, თბილისის გუბერნატორის 1893 წლის ანგარიშის დანართი). გნედიჩს, თბილისში აღნიშნული ტყავის 11 ქარხნის გარდა, ტყავის თითო საწარმო ნაჩვენები აქვს ახალციხესა და გორში. პირველში 16 მუშა მუშაობდა, პროდუქცია კი 14 ათას მანეთს შეადგენდა, მეორეში კი 8 მუშა მუშაობდა, პროდუქცია კი 10 ათას მანეთს შეადგენდა. ამასთანავე მას თბილისის გუბერნიაში კიდევ აღნიშნული აქვს 10 წვრილი საწარმო, სულ 8 ათასი მანეთის პროდუქციით და 17 მუშით, რომელნიც მას არ შეაქვს საწარმოთა საერთო რიცხვში. ამ საწარმოებში სწორედ თბილისში არსებული წვრილი სახელოსნოები უნდა ვიგულისხმოთ.

ჩვენ ხელთ არსებული მონაცემების სირთულის გამო ძნელდება ზუსტად განსაზღვრა იმისა თუ რამდენი ტყავის წვრილი საწარმო

იყო 900-იანი წლებისათვის საქართველოში. მოტანილი მონაცემების მიხედვით შეიძლება კვლავ 40 ასეთი საწარმო ვივარაუდოთ. „კავკასიის კალენდარის“ ცნობით 1899 წელს თბილისში არსებული ტყავის საწარმოებში (მსხვილ საწარმოთა გამოკლებით) სულ 130—140 მუშა მუშაობდა. ჩანს, წვრილ წარმოებაში 1886 წელთან შედარებით მუშათა რაოდენობა თითქმის 2-ჯერ შემცირდა. შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ პროდუქციის ღირებულების შემცირებაც დაახლოებით ორჯერ.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, ტყავის წვრილი წარმოება საქართველოში დიდხანს განაგრძობს არსებობას, მიუხედავად იმისა რომ აქ ადრევე ვხედებით ტყავის შედარებით მსხვილ საწარმოებს. ხოლო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში არსდება მსხვილი კაპიტალისტური ქარხნებიც. ტყავის წვრილი „ქარხნების“ ნაწილი წარმოადგენდა კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციის ტიპის საწარმოებს. ასეთებად გადაქცევის ტენდენცია შეიმჩნევა აგრეთვე ჩვენ მიერ ზემოაღწერილ ტყავის ხელოსნურ წარმოებაშიც, სადაც ტექნიკური საფუძველზე დამყარებულ გაერთიანებასთან ერთად თავს იჩენს ცალკეულ ოსტატ-მეპატრონეთა კაპიტალზე დამყარებული შრომის კოოპერირებაც (თითოეულ ოსტატთან გარკვეული რაოდენობის მუშახელის თავმოყრა).

საპნისა და სინათლის წარმოება

საპნისა და სანთლის ხელოსნური წარმოება ძველთაგანვე არსებობდა საქართველოში. ამასთანავე, წარმოების გამსხვილება ამ დარგში ადრიდანვე შეიმჩნევა. ამიტომ, ხშირ შემთხვევებში, სტატისტიკა საპნისა და სანთლის წარმოებას ხელოსნურ წარმოებში კი არ აღრიცხავდა, არამედ თავიდან „ფაბრიკა-ქარხნებს“ განაკუთვნებდა. საპნის წვრილი საწარმოების შესახებ შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ 40-იან წლებში ახალციხეში არსებული საპნის „ქარხნების“ მიხედვით. ამ საწარმოთა პროდუქციის ღირებულება 300 მანეთამდე აღწევდა. საწარმოში თითო ოსტატი და 2 მუშა მუშაობდა[4]. თბილისში 40-იან წლებში 2 შედარებით მსხვილი საპნის საწარმო იყო, ხოლო 60-იან წლებისათვის საპნის „ქარხნების“ რიცხვი აქ მნიშვნელოვნად იზრდება. კერძოდ 1865 და 1866 წლებში თბილისში 8 საპ-

---

[4] ხ სცსია, ფონდი 16, საქმე 6105, ფურც. 14—15; ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

ნის „ქარხანა“ იყო. მათი პროდუქციის ღირებულება 16.500 მანეთს უდრიდა[46], ე. ი. თითო „ქარხანაზე“ საშუალოდ 2 ათასი მანეთის პროდუქცია მოდის. წვრილი საპნის საწარმოები იყო აგრეთვე სიღნაღში, სოფ. ანაგასა და ახალქალაქში. ამ „ქარხნების“ პროდუქციის ღირებულება 620—660 მანეთს უდრიდა, ხოლო ამავე წელს ქუთაისის საპნის „ქარხნის“ პროდუქციის ღირებულება 690 მანეთს შეადგენდა[47]. თბილისში ამავე დროს 2 სანთლის „ქარხანა“ იყო, რომლებშიც 2300 მანეთის პროდუქცია მზადდებოდა, ქუთაისში კი 1. ეს უკანასკნელი 1380 მანეთის პროდუქციას იძლეოდა[48].

აღნიშნული „ქარხნები“ უმთავრესად წვრილ საწარმოებს წარმოადგენდნენ, 2—3 მუშით, მაგრამ მათ შორის იყო შედარებით მსხვილი საწარმოებიც (მაგ., თბილისში).

80-იანი წლების დასაწყისში, თბილისში შედარებით მსხვილი კაპიტალისტური საპნისა და სანთლის საწარმოების გარდა, არსებობდა წვრილი კაპიტალისტური საწარმონიც. ასეთი იყო, მაგ., მე-2 გილდიის ვაჭრის კაზარ ახნაზაროვის საპნის „ქარხანა“, სადაც 5 მუშა მუშაობდა. „ქარხნის“ პროდუქცია 23 ათას ფუთს შეადგენდა, 40. 700 მანეთის ღირებულებისა. აქ საპნის სახარში 5 ქვაბი მოქმედებდა. „ქარხანა“ 1856 წელს იყო დაარსებული. ანალოგიური საწარმო იყო მე-2 გილდიის ვაჭრის ავეტიქ შახნაზაროვის „ქარხანაც“, დაარსებული აგრეთვე 1856 წელს. აქ 3 მუშა მუშაობდა. „ქარხნის“ პროდუქცია 11 ათასამდე ფუთ საპონს შეადგენდა, 35 ათასი მანეთის ღირებულებისა. „ქარხანაში“ 4 ქვაბი მოქმედებდა. მე-2 გილდიის ვაჭრის პოღოს ავანესოვის და სხვათა „ქარხანაში“ (დაარსდა 1880 წ.) 3 კაცი მუშაობდა (1 მთავარი ოსტატი, 1 ქარგალი და 1 შავი მუშა), ხოლო ნერსეს შახნაზაროვის „ქარხანაში“ 1 ოსტატი და 1 შავი მუშა. ამ უკანასკნელის პროდუქცია 960 ფუთს შეადგენდა, 2200 მანეთის ღირებულებისა[49].

1886 წლისათვის ავეტიქ და კაზარ ახნაზაროვების საწარმოები გაერთიანებული ჩანან კიდევ სხვა თბილისელი ვაჭრების—გრიგოლ ბაინდუროვის, მოსეს ტერ-არაქელოვის და არტემ შაუმოვის წარმოებაში[50]. ამ საწარმოში უკვე 15 ქვაბი მოქმედებდა, მუშათა რაოდენობა კი 1886 წელს 14-ს უდრიდა (მათ შორის 2 მცირეწლოვანი იყო). პროდუქცია შეადგენდა 30 ათას ფუთს, 94 ათას მანეთის ღი-

---

[46] სცსია, ფ .5, საქმე 307, ფურც. 54—57.

[47] იქვე.

[48] იქვე.

[49] სცსია, ფ. 17, საქმე 486.

[50] ნ. რ ო დ ო ნ ა ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 24—25.

რებულებისა. გარდა ამ საწარმოსი, თბილისში 1886 წელს არსებობდა საპნის ორი წვრილი „ქარხანა" (საფარ ბუდაგოვის, ავაკიმ ტერ-მინასოვის). თითოეულ მათგანში 5 მუშა მუშაობდა, ხოლო პროდუქციის ღირებულება 3—5 ათას მანეთს შეადგენდა. აქვე იყო აგრეთვე საპნისა და წებოს ორი „ქარხანა" (მიხეილ მარქაროვის და ნერსეს შახნაზაროვის), სადაც სამ-სამი მუშა მუშაობდა, ხოლო პროდუქციის ღირებულება თითოეულისა 1500 მანეთს შეადგენდა[51].

გულიშამბაროვის ცნობით 1886 წ. ახნაზაროვის საპნის საწარმოში 10 მუშა მუშაობდა, პროდუქციის ღირებულება კი 40 ათას მან. შეადგენდა, ტერ-მინასოვის საწარმოში 5 მუშა იყო, პროდუქციის ღირებულება კი 15 ათას მანეთს შეადგენდა, ბუდაგოვის საწარმოში 6 მუშა იყო, პროდუქცია კი 5 ათას მანეთს უდრიდა, მარქაროვის და შახნაზაროვის საწარმოებში კი ორ-ორი მუშა მუშაობდა, თითოეულის პროდუქციის ოდენობა კი 1400 მანეთს უდრიდა[52]. მართალია, გულიშამბაროვის ცნობები რამდენადმე განსხვავდება უწყისების მონაცემებისაგან, მაგრამ საპნის წარმოების საერთო სურათი 80-იანი წლების შუახანებში ორივე წყაროში ემთხვევა ერთმანეთს.

საპნის წვრილი „ქარხნები" 2—3 მუშით არსებობდნენ ახალციხეში, ახალქალაქში და სიღნაღში.

ქუთაისში ამავე ხანებში ერთი საპნის „ქარხანაა" ნაჩვენები, სადაც 80—90-იან წლების მონაცემებით 2—5 მუშა მუშაობდა, პროდუქციის ღირებულება კი 4 ათასიდან 30 ათასამდე მერყეობდა[53]. ე. ი. 80-იანი წლების შუახანებში საქართველოში საპნისა და სანთლის დაახლოებით 8 წვრილი საწარმო იყო, 30-მდე მუშით და 24 ათას. მან. პროდუქციით.

1900 წლისათვის თბილისში საპნისა და სანთლის მსხვილ ფაბრიკულ საწარმოთა გარდა იყო არუთინოვის, ბოსენცოვისა და შაუმოვ-ახნაზაროვის საპნის საწარმოები, თითოეული 6 მუშითა და 23—25 ათას მანეთის პროდუქციით. სანთლის წვრილ საწარმოთაგან ცნობები გვაქვს კაზაროვისა და მთვარაძის საწარმოებზე, თითოეულში 3 მუშითა და 10—13 ათასი მანეთის პროდუქციით[54]. გარდა ამისა იყო საპნის ანალოგიური საწარმოები სტეპანბეკოვის, ისმაილ-ოღლის, მირზოევის; სანთლისა—დანდურაოვის და ზედგინიძის[55], რომლებზედაც დაწვრილებითი ცნობები არა გვაქვს.

---

[51] სცსია, ფ. 204, საქმე 654, იქვე საქმე 592.

[52] ს. გ უ ლ ი შ ა მ ბ ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრომი. გვ. 113.

[53] იხ. გუბერნატორთა ანგარიშების დანართები (80—90-იანი წლების).

[54] Список фабрик и заводов . . , СПб., 1903 გვ. 455—456

[55] Кавказский Календарь, 1900 г.

გნედიჩის ცნობით თბილისში სულ საპნის 8 საწარმო იყო 60 მუშით და 350 ათასი მან. პროდუქციით და 6 სანთლის საწარმო 25 მუშით და 142 ათასი მან. პროდუქციით[56] (აქ შედის მსხვილი საწარმოებიც).

1900 წლისათვის ქუთაისში იყო ერთი საპნის საწარმო 5 მუშით და 22 ათასი მან. პროდუქციით და ცვილის სანთლის ერთი საწარმო 3 მუშით და 24 ათასი მანეთის პროდუქციით[57]. სულ საქართველოში 900-იანი წლებისათვის იყო დაახლოებით 12 წვრილი საწარმო, 45-მდე მუშით და 200 ათასამდე მან. პროდუქციით.

აღნიშნულის გარდა თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში იყო რამდენიმე უმნიშვნელო ხელოსნური საპნისა და სანთლის საწარმო.

სახერხი და სადურგლო წარმოება

ხე-ტყის დამუშავება მე-19 ს. პირველ ნახევარში საქართველოს ქალაქებში ძირითადად ხელოსნური წარმოების სახით (დურგლები, ხუროები) იყო წარმოდგენილი. ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებს ხე-ტყით თვით იმ რაიონების მოსახლეობა ამარაგებდა, სადაც ტყის მასივები არსებობდა და საიდანაც ტყის გამოტანა მდინარეების საშუალებით შედარებით ადვილი იყო (ბორჯომის ხეობა, ატენის ხეობა, ქსნისა და ლიახვის ხეობები—აღმოსავლეთ საქართველოში; ხოლო რიონის ხეობა—დასავლეთ საქართველოში). ტივებად შეკრული ხე-ტყე დიდი რაოდენობით ჩამოდიოდა თბილისსა და ქუთაისში. ხე-ტყის დამმუშავებელი „ქარხნები" მართალია უკვე 30-იანი წლებიდან ჩნდებიან, მაგრამ ისინი ამ დროს მხოლოდ ერთეულებს შეადგენდნენ. ასეთი იყო, მაგალითად 30-იან წლებში ერისთავების მიერ ატენის ხეობაში დაარსებული სახერხი „ქარხანა". აქ ამ დროს 2 ხერხი მოქმედებდა[58]. 40-იან წლებში ერისთავებს ამ „ქარხნის" გარდა მეორე „ქარხანა" დაუარსებიათ გორში. 1845 წელს შემოსავალი ამ „ქარხნებიდან" უდრიდა: პირველიდან—4800 მანეთს, მეორედან კი 400 მან[59]. 30-იან წლებთან შედარებით 50-იან წლებში

---

[56] ლენ. ცსია, ფონდი 23, აღწ. 17, საქმე 738. ფურც. 60—61; „საისტორიო მოამბე", 1, 1945, გვ. 256—257.

[57] ლენ. ცსია, ფონდი 23, აღწ. 17, საქმე 738, ფურც. 70—71. „საისტორიო მოამბე", I, 1945, გვ. 266—267, ქუთაისის საპნის საწარმო ეკუთვნოდა ვაჭარ ეოლოს. Список..., გვ. 455—456.

[58] Обозрение..., ч. II, გვ. 52—54, 69; სცსა, ფ. 16, საქმე 4673.

[59] სცსია, ფ. 16, საქმე 8888, ფურც. 5—9.

ერისთავების ატენის „ქარხანა“ გაფართოვებული ჩანს; აქ ამ დროს უკვე 4 სახერხი „მანქანა“ მოქმედებდა. გორის „ქარხანაში“ კი მხოლოდ 2 ასეთი „მანქანა“ იყო[60]. უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ საწარმოებში სახერხი „მანქანების“ მოძრაობაში მოსაყვანათ წყლის ენერგია იყო გამოყენებული. ამ „ქარხნების“ ნაწარმი ნაწილობრივ გორის მაზრაში იყიდებოდა. ნაწილი კი მტკვრით თბილისში ჩამოჰქონდათ.

50-იანი წლების ბოლოს თბილისში ნაჩვენებია 2 სახერხი „ქარხანა“, რომელთა პროდუქცია 3 ათას მანეთს უდრიდა[61]. 60-იანი წლების დასაწყისში კი აქ უკვე 19 სახერხი „ქარხანა“ ყოფილა, რომელთა პროდუქცია სულ 27 ათას მანეთს უდრიდა[62], ე. ი. თითოეულ მათგანზე საშუალოდ 1421 მანეთის პროდუქცია მოდის.

1865 წლის ცნობით თბილისის გუბერნიაში სულ 34 სახერხი „ქარხანა“ იყო. ამათში 1 ატენის „ქარხანა“ იგულისხმება. დანარჩენი 33 კი თბილისზე მოდის. სულ მათი პროდუქცია 60 ათას მანეთს უდრიდა, ე. ი. საშუალოდ თითოზე 1800 მან. მოდის. ამ „ქარხნებში“ 125 მუშა მუშაობდა, ე. ი. თითოეულში საშუალოდ 3—4 მუშა[63].

1866 წლის ცნობით თბილისის 34 სახერხი „ქარხანა“ («Пильные ручные заводы») 42 ათასი მანეთის პროდუქციას იძლეოდა. ე. ი. თითო „ქარხანაზე“ ამჯერად საშუალოდ მოდის 1200 მანეთი. მარტო ატენის „ქარხანა“ კი იგივე ცნობის თანახმად 4600 მანეთის პროდუქციას იძლეოდა[64].

როგორც ვხედავთ, თბილისში სახერხი „ქარხნების“ რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა 60-იანი წლებიდან ხდება. რაც საქალაქო ცხოვრების განვითარებით იყო გამოწვეული. ამიერიდან სახერხი წარმოება, როგორც ჩანს, უკვე ცალკე დარგად გამოიყოფა. უფრო გვიან, კერძოდ 80—90-იან წლებში, თბილისში თუმცა ჩნდება და მრავლდება შედარებით მსხვილი სახერხი „ქარხნებიც“, სადაც ორთქლის ძრავაც იყო გამოყენებული, მაგრამ მათ გვერდით ხშირად

---

60 Кавказ, 1850, № 20.

61 Сборник материалов для опис. Тифл. губ., т. I, в. I, 1870, გვ. 73—74.

62 Сборн. статист. свед. о Кавказе, 1869, I, ч. IV, გვ. 91.

63 სცსია, ფ. 414, საქმე 18, ფურც. 11—12.

64 სცსია, ფ. 5, საქმე 308, ფურც. 54—57.

ვხვდებით კვლავ ხელით შრომაზე დამყარებულ წვრილ საწარმოებსაც. ასე, მაგ. 1886—1888 წლებში თბილისში არსებობდა ათობით „ხელის“ („ручные“)სახერხი „ქარხნები“, რომელთაგანაც ზოგიერთში მხოლოდ 1—2 მუშა მუშაობდა, უმრავლესობაში 3—4 მუშა, ხოლო შედარებით მსხვილ საწარმოებში 6—8 მუშა. საყურადღებოა. რომ აქაც. ისევე როგორც აგურის წარმოებაში, ხშირად ერთ მეპატრონეს რამდენიმე „ქარხანა“ ეკუთვნოდა. ასე, მაგ., რაჭის მაზრის მცხოვრებს ევტიხი ენუქიძეს ერთდროულად ეკუთვნოდა 2 სახერხი „ქარხანა“, რომლებშიც ორ-ორი მუშა მუშაობდა[65]. გვაქვს ასეთივე სხვა შემთხვევებიც.

ოფიციალური ცნობით თბილისში 1887 წელს 37 წვრილი სახერხი („ручные заводы“) იყო, სადაც სულ 148 მუშა მუშაობდა. ხოლო პროდუქციის ღირებულება 22 ათას მანეთს შეადგენდა[66]. ე. ი. თითო საწარმოზე მოდიოდა 4 მუშა და 600 მან. პროდუქცია. პროდუქციის ოდენობა თითო საწარმოზე აქ თითქმის 2-ჯერ ნაკლებია, ვიდრე 1866 წელს იყო და 3-ჯერ ნაკლები ვიდრე 1865 წელს იყო ნაჩვენები, რაც ცნობების უზუსტობით უნდა აიხსნას. მუშათა რაოდენობა კი 1885 და 1887 წლებში თითო საწარმოზე თითქმის ერთნაირად ნაწილდებოდა. ს. გულიშამბაროვი, უპირისპირებს რა მის მიერ ჩამოთვლილ შედარებით მსხვილ საწარმოებს. სადაც ორთქლის ძრავა იყო გამოყენებული, წვრილ ხელის სარეწებს, აღნიშნავს რომ შეუძლებელი იყო იმის აღრიცხვა, თუ რამდენს ხერხავდნენ ეს უკანასკნელნი: «Но сколько распиливается простыми пильщиками—решительно нельзя определить»[67]. წვრილი სახერხი საწარმოები 2-3 მუშით და 2 ათასამდე მან. პროდუქციით არსებობდა თბილისის გუბერნიის მაზრებშიც, თუმცა მათი აღრიცხვა ზუსტი არ იყო. 80-იანი წლების შუახანებისათვის ქუთაისის გუბერნიაში ჩნდება წვრილი სახერხები, სადაც უკვე ორთქლის ძრავას გამოყენებას ვხვდებით. ასე, მაგ., ჩვენ ხელთ გვაქვს 1885 წლის უწყისი სენაკის მაზრაში სოფ. ჭალადიდში არსებული სახერხი საწარმოსი, რომელიც დავით გამსახურდიას ეკუთვნოდა. საწარმოში იდგა 1 ორთქლის ქვაბი და მანქანა. მუშათა რაოდენობა 5-ს შეადგენდა, პროდუქციის ღი-

---

65 თბილისის 1888 წლის სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა გენერალური აღწერის ეურნალი, რიგითი №№ 736 და 737.

66 სცსია, ფონდი 414, საქმე 34, ფურც. 46—47.

67 ს. გ ულ ი შ ამ ბ ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

რებულება კი 3.300 მანეთს. საწარმო მუშაობდა ხანგამოშვებით, იმისდა მიხედვით, არსებობდა თუ არა მოთხოვნილება მის ნაწარმზე[68].

ანალოგიური საწარმო იყო სოხუმის ოკრუგში სოფ. გულრიფშში გენ. ერისთავის სახერხი „ქარხანა", სადაც 1885 წ. უწყისის თანახმად 6 მუშა მუშაობდა. აქ ერთი ორთქლის ქვაბი და ძრავა იდგა[69]. აღნიშნული საწარმოები, როგორც ჩანს, შეტანილია ქუთაისის გუბერნატორის 1885 წლის ანგარიშის დანართში. სოხუმის ოკრუგში არსებულ საწარმოში დანართის თანახმად 4 მუშა მუშაობდა. პროდუქციის ღირებულება კი 15 ათას მანეთს შეადგენდა. აქვე შეტანილია ფოთში არსებული 8 საწარმო, 80 მუშით და 80 ათასი მანეთის პროდუქციით, რომლების უწყისები ჩვენ ხელთ არა გვაქვს.

90-იანი წლებისათვის ქუთაისის გუბერნიაში მრავლდება წვრილი სახერხი საწარმოები, სადაც ორთქლის ძრავა იყო გამოყენებული. გულიშამბაროვის ცნობით თითოეულ მათგანში მოქმედებდა 12 ცხენის ძალიანი ლოკომობილი და თითო დაზგა მრგვალი ხერხით. მუშათა რაოდენობა ამ საწარმოებში საშუალოდ 10-მდე აღწევდა[70].

ასეთივე საწარმოები არსდება თბილისის გუბერნიაშიც. ასე მაგ.1898 წლის თბილისის გუბერნიის ორთქლის ქვაბების მქონე საწარმოთა სიაში, გორის მაზრაში სხვა წყაროებითაც ცნობილი მსხვილი სახერხი ქარხნების გარდა (ზეზემანის, ბორჯომის), მითითებულია შემდეგი სახერხი საწარმოები: ოთარიძის (ქ. გორში), ღოღობერიძის (სოფ. ქარელში), ვილენკინის (სოფ. გომში), ხოლო ახალციხეში — მოსესოვის[71].

გნედიჩის ცნობით, 1900 წლისათვის თბილისის გუბერნიაში იყო 71 წვრილი სახერხი საწარმო, რომელნიც მას არ შეაქვს საერთო ცხრილში. ამ საწარმოთა პროდუქცია 500 ათას მანეთს შეადგენდა, ხოლო მუშათა რაოდენობა აქ 262-ს უდრიდა, ე. ი. თითო საწარმოზე მოდის 7 ათასი მანეთის პროდუქცია და 4 მუშა. ამიერკავკასიის სტატისტიკური კომიტეტის მიერ გამოცემულ „სტატისტიკური კრებულის" თანახმად თბილისში 1900 წელს 55 წვრილი ხელის «ручной» სახერხი იყო, თითოეული 1—8 ათასი მან. პროდუქციით და

---

[68] ლენ. ცსია, ფონდი 20 აღწ. 12, საქმე 100, ფურც. 1—46.

[69] იქვე.

[70] С. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Закавказского Края, Тифл., 1894, გვ. 391—396.

[71] ლენ. ცსია, ფონდი 29, აღწ. 15, საქმე 104, ფურც. 186—188. ამ საწარმოთაგან 1900 წლისათვის მოსესოვის საწარმოში 12 მუშა მუშაობდა, ხოლო პროდუქციის ღირებულება 11 ათას მანეთს შეადგენდა. Список фабрик и заводов..., СПб., 1903, გვ. 232—233.

2—8 მუშით. სულ ამ საწარმოთა პროდუქციის ღირებულება 173 ათას მანეთს შეადგენდა, ხოლო მუშათა რიცხვი 292-ს[72].

1899 წლის „კავკასიის კალენდრის“ ცნობით თბილისში გარდა 5 მსხვილი სახერხი საწარმოსი, რომლებშიაც თითოში 11-ზე მეტი მუშა მუშაობდა, იყო 54 შედარებით წვრილი საწარმო, აქედან 4 მუშიანი 39 საწარმო, 6—10 მუშიანი კი 15 საწარმო. ე. ი. სულ ამ 54 საწარმოში მუშაობდა 246- დან 306-მდე მუშა, რაც დაახლოებით ეფარდება „სტატისტიკურ კრებულში“ თბილისის 55 წვრილ სახერხ საწარმოებში ნაჩვენებ მუშათა რიცხვს (292). ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გნედიჩთან შემცირებული ჩანს თბილისის გუბერნიის 71 წვრილ სახერხ საწარმოში აღნიშნული მუშების რიცხვი (262), ხოლო პროდუქციის ღირებულება (500 ათასი მან.) გაზვიადებულია.

თბილისში არსებულ წვრილ საწარმოებზე, სადაც ჯერ კიდევ მანქანა არ იყო გამოყენებული, წარმოდგენა შეგვიძლია ვიქონიოთ ტერ-სარქისოვის საწარმოს მიხედვით. აღნიშნულ საწარმოში 1901 წელს 9 კაცი მუშაობდა, პროდუქციის ღირებულება 7 ათას მანეთს შეადგენდა. აქ 4 ხელის ხერხი („ручные пилы“) იყო. საწარმო წელიწადში მხოლოდ 162 დღე მოქმედებდა[73]. ჩანს, ეს იყო ხელით შრომაზე დამყარებული ერთ-ერთი შედარებით მსხვილი სახერხი საწარმოთაგანი. ჩვეულებრივ კი ასეთ საწარმოებში, თუ ვიმსჯელებთ მუშათა რაოდენობისა და პროდუქციის მოცულობის მიხედვით, უნდა ყოფილიყო 1—2 ხელის ხერხი. თავისი ხასიათით ეს საწარმოები კაპიტალისტურ მარტივ კოოპერაციას განეკუთვნებიან. ამავე დროს, 90-იან წლებში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, როგორც აღინიშნა, ჩნდება წვრილი საწარმოები. სადაც ორთქლის ძრავაც იყო გამოყენებული, თუმცა მუშათა რაოდენობა და წარმოების მასშტაბი არ გვაძლევს საფუძველს ყველა ასეთი საწარმო ფაბრიკულ წარმოებას მივაკუთვნოთ.

გნედიჩის ცნობით ქუთაისის გუბერნიაში 1900 წლისათვის იყო 26 სახერხი საწარმო, 560 მუშითა და 695 ათასი მან. პროდუქციით[74]. აქედან მუშათა რაოდენობისა და პროდუქციის დიდი ნაწილი მოდის ქუთაისის გუბერნიაში არსებულ მსხვილ ქარხნებზე (სერებრიაკოვის,

---

[72] Сборник статистических сведений по Закавказскому краю. Тифл. 1902, გვ. 236.

[73] ლენცსია. ფონდი 22, აღწ. 2, საქმე 2926.

[74] ლენ. ცსია, ფ. 23, აღწ. 17, საქმე 738, ფ. 70—71: „საისტორიო მოამბე“, I, 1945, გვ. 266—267.

სოფ. მარანში და მაქსიმოვის, სოფ. აძიუბეკაში), ნაწილი კი წვრილ საწარმოებზე. გულიშამბაროვი 90-იანი წლების დასაწყისში ქუთაისის გუბერნიის 28 სახერხ საწარმოში, რომელთაგან მსხვილები ერთეულებს შეადგენდნენ, სულ 300-მდე მუშას უჩვენებს. აქ იგულისხმებიან ის მუშები, რომელნიც უშუალოდ სახერხ წარმოებაში იყვნენ ჩაბმულნი[75], ხის მორების ტყეში დამზადებაზე დაკავებულ მუშებს გარდა. ე. ი. თითო საწარმოზე საშუალოდ 10-მდე მუშა უნდა ვიგულისხმოთ, როგორც ეს გულიშამბაროვს პირდაპირაც აქვს მითითებული.

ამგვარად, საქართველოში წვრილი სახერხი საწარმონი, რომელთა დიდი ნაწილი კვლავ ხელით შრომაზე იყო დამყარებული. ხოლო ნაწილში მექანიკური ძრავის გამოყენებასაც ვხვდებით, მნიშვნელოვანი რაოდენობით არსებობდნენ იმ მსხვილი სახერხი ქარხნების გვერდით, რომელნიც არსდება აქ მე-19 ს. მეორე ნახევარში, კერძოდ 80-იანი წლებიდან.

* * *

თბილისის ზრდასთან დაკავშირებით ქალაქში თანდათან იზრდება მშენებელ ხელოსანთა რაოდენობა, მათ შორის ხუროების და დურგლების რაოდენობა[76]. ამავე დროს ჩნდება შედარებით მსხვილი სადურგლო სახელოსნოებიც, უმთავრესად უცხოელ ხელოსანთა მიერ დაარსებული. 1866 წლისათვის თბილისში არსებულ ზეიტცერის სადურგლო სახელოსნოში 21 ქარგალი და 20 შეგირდი მუშაობდა, ნაუმენკოს სახელოსნოში 20 ქარგალი და 22 შეგირდი, ილინის სახელოსნოში 12 ქარგალი და 10 შეგირდი. იყო ათიოდე უფრო წვრილი სახელოსნოც 1—3 ქარგლით და 3—5 შეგირდით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ოსტატები ამ დროისათვის ჯერ კიდევ ამქარში შედიოდნენ[77].

დასახელებული სახელოსნოებიდან 80-იანი წლებისათვის ზეიტცერის საწარმოში უკვე მანქანის გამოყენებას ვხვდებით. რაც შეეხება დანარჩენებს, მათ ან შეწყვიტეს არსებობა, ან სხვა მეპატრონის ხელში გადავიდნენ. 80-იან წლებში შედარებით მსხვილ სადურგლო საწარმოებში უკვე მანქანური ტექნიკის გამოყენებას ჰქონდა

---

[75] С. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Зак. края, Тифл., 1894, გვ. 391—396.

[76] ვ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.

[77] სცსია, ფ. 7, აღწ. 1. საქმე 2229, ფურც. 81—92.

ადგილი. ხელით შრომაზე დამყარებულ წვრილ კაპიტალისტურ სახელოსნოებიდან, სადაც ხელის დაზგები იყო ხმარებაში («ручные машины») მოხსენებულია რობერტ რენციის საწარმო. აქ 1886 წ. 4 კაცი მუშაობდა, ხოლო საწარმოს პროდუქციის ღირებულება 6 ათას მანეთს უდრიდა[78]. აქვე იყო კიდევ 3 ასეთი საწარმო 6—8 მუშით[79].

1867 წლის ცნობით თბილისში ავეჯისა და პარკეტის შედარებით მსხვილი საწარმოების გარდა იყო 12 სადურგლო „ფაბრიკა". 51 მუშითა და 54700 მანეთის პროდუქციით[80], ე. ი. თითოზე მოდის 4 მუშა და 4—5 ათასი მანეთის პროდუქცია.

„სტატისტიკური კრებულის" ცნობით 1900 წლისათვის თბილისში იყო 18 სადურგლო საწარმო 1000-დან 8 ათას მანეთამდე პროდუქციით და 2—8 მუშით. აღნიშნულ საწარმოთა გამომუშავება სულ 99 ათას მანეთს უდრიდა, ხოლო მუშათა რაოდენობა 115-ს შეადგენდა[81]. გარდა ამისა თბილისში იყო პარკეტისა და ავეჯის 5 საწარმო, 55 მუშით და 33 ათასი მანეთის პროდუქციით[82], ფანერის 3 საწარმო 30 მუშით და 28 ათასი მანეთის პროდუქციით[83].

ამავე დროს ქუთაისის გუბერნიაში, კერძოდ ქუთაისსა და ბათუმში იყო ავეჯის 7 საწარმო 68 მუშით და 25 ათასი მან. პროდუქციით[84]. სულ წვრილი სადურგლო, ავეჯის, პარკეტის და ფანერის საწარმოები 1900 წლისათვის იყო დაახლოვებით 33, 185 ათასი მანეთის პროდუქციით და 270 მუშით, ე. ი. თითო საწარმოზე საშუალოდ მოდის 8 მუშა და 5—6 ათასი მანეთის პროდუქცია.

ლითონის დამუშავება. მექანიკური (საზეინკლო-სახარატო და სამჭედლო) სახელოსნოები

1866 წლისათვის უცხოელ ხელოსანთა მიერ თბილისში მოწყობილ საზეინკლო-სახარატო სახელოსნოებიდან აღსანიშნავია ზომერის საწარმო, სადაც 10 ქარგალი და 12 შეგირდი მუშაობდა. სხვა საწარმოებში კი თითო ქარგალი და 3—4 შეგირდი მუშაობდა. ასეთი

---

78 სცსია, ფ. 204, საქმე 654.

79 1886 წლის გენერალური აღწერის ჟურნალების მონაცემები.

80 ცსია, ფონდი 414, საქმე 34, ფურც. 46—47.

81 Сборник статистич. сведений..., Тифл., 1902, გვ. 236—237.

82 ლენ. ცსია, ფონდი 23, აღწ. 17, საქმე 738, ფურც. 60—61, „საისტ. მოამბე", 1, 1945 წ., გვ.256—257.

83 Сборник статист. сведений..., Тифл., 1902, გვ. 236—237.

84 ლენ. ცსია, ფონდი 23, აღწ. 17, საქმე 738, ფურც. 70—71; „საისტორიო მოამბე", 1, 1945, გვ. 266—267.

იყო მაგალითად შემდგომში კარგად ცნობილი რუქსის სახელოსნოც. თბილისშივე ამ დროისათვის არსებობდა 10 სამჭედლო. რომლებშიც საშუალოდ 1—3 შეგირდი და 2—5 მუშა მუშაობდა[85]. 1880 წლისათვის ზომერის ზემოაღნიშნული საწარმო როლოვის ხელში გადასულა. აქ, ამ დროს 14 მუშა მუშაობდა (3 ქარგალი და 11 შეგირდი), ხოლო პროდუქციის ღირებულება 4500 მანეთს შეადგენდა. 1880 წლისათვის სხვა ისეთი სახელოსნოებიდან, სადაც ჯერ არ ჰქონდა ადგილი მექანიკური ძრავის გამოყენებას და შრომის პროცესი ძირითადად ხელით შრომაზე იყო დამყარებული, აღსანიშნავია დანიელ ლონგის საწარმო, სადაც 6 ოსტატი და 2 შავი მუშა მუშაობდა. საწარმოს პროდუქციის ღირებულება 6 ათას მანეთს უდრიდა. საწარმოში გამოყენებული იყო სახარატო და სხვა დაზგები („ручные"), რომლებზედაც შრომის პროცესი ხელით სწარმოებდა. ფერდინანდ ბოგდანოვის ასეთსავე საწარმოში 3 ქარგალი და 11 შეგირდი მუშაობდა. საწარმოს პროდუქცია 4500 მანეთამდე აღწევდა; გოტლიბ გენინგის საწარმოში მუშაობდა 9 ოსტატი, ხოლო ვილგელმ ფრანკენის საწარმოში 3 ქარგალი, 11 შეგირდი და 1 შავი მუშა. ამ საწარმოს პროდუქციის ღირებულება 6 ათას მანეთს შეადგენდა[86].

1886 წლისათვის ასეთივე სახელოსნოებიდან ცნობები გვაქვს იგივე ფრანკენის საწარმოზე (მხოლოდ იგი უკვე ფრანკენის ქვრივის ხელშია), სადაც ამ დროისათვის მხოლოდ 8 მუშაა ნაჩვენები. პროდუქციის ღირებულებაც მნიშვნელოვნად შემცირებული ჩანს (მხოლოდ 1537 მან.). პეტრე იასნიცკის სამჭედლო-სახარატო საწარმოში 10 სრულწლოვანი და 5 მცირეწლოვანი მუშა მუშაობდა, საწარმოს პროდუქციის ღირებულება 6 ათას მანეთს უდრიდა. ხოლო ემანუილ შვარცის საწარმოში მუშაობდა 3 სრულწლოვანი და 8 მცირეწლოვანი მუშა. ამ საწარმოს პროდუქციის ღირებულება 4500 მანეთს შეადგენდა[87].

გულიშამბაროვის ცნობით თბილისში 6 წვრილი ლითონდამმუშავებელი საწარმო იყო (ფრანკენის, იასნიცკის, შვარცის, ძმების ბერონების, კალანტაროვის და კოტრინის), თითოეული 8—12 მუშით და 4-დან 12 ათასამდე მანეთის პროდუქციით. სულ ამ საწარმოებში

---

[85] სცსია, ფ. 7, აღწ. 1, საქმე 2229, ფურც. 81—92.

[86] სცსია, ფ. 17, საქმე 486.

[87] სცსია, ფ. 204, საქმე 654. დაწვრილებითი ცნობები 80-იან წლებში თბილისში არსებულ წვრილ ლითონდამმუშავებელ საწარმოებზე იხილე: ნ. როდონაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 43—53.

56 მუშა მუშაობდა, პროდუქციის ღირებულება კი 51 ათას მანეთს შეადგენდა[88].

1887 წლის ცნობით თბილისში იყო 27 „მექანიკური“ საზეინკლო და სახარატო „ქარხანა“, სულ 55 ათასი მანეთის პროდუქციით და 97 მუშით[89], ე. ი. თითოზე მოდის საშუალოდ 2 ათასი მანეთის პროდუქცია და 3—4 მუშა. ჩანს, აქ უმნიშვნელო საწარმოებიც შეუტანიათ.

აღნიშნულ მექანიკურ საწარმოებში მზადდებოდა რკინა-კავეულის ნაგები (კარისა და ფანჯრების მოწყობილობა, კლიტეები და სხვა). იასნიცკის სახელოსნოში მზადდებოდა რკინიგზის მომსახურებისათვის საჭირო ხელსაწყოები.

აღსანიშნავია, რომ ამ საწარმოებში, თუმცა ჯერ არ იყო გამოყენებული მექანიკური ძრავა, მაგრამ უკვე ხელსაწყო-იარაღების და სხვა მოწყობილობათა ნაირსახეობას ვხვდებით (სახარატო დაზგები. ბურღები, სამჭედლო ქურები და სხვ.), რაც გარკვეულ ფარგლებში ოსტატების, თუ მუშების სათანადო დასპეციალებასაც მოითხოვდა.

1900 წლისათვის თბილისში წვრილი ლითონდამმუშავებელი საწარმო (სამჭედლო, სახარატო, თუნუქის ნაკეთობათა და სპილენძის ჭურჭლის სახელოსნოები) აღრიცხულია 29, სულ 151 მუშითა და 125 ათასი მანეთის პროდუქციით[90], ე. ი. თითოეულ საწარმოზე საშუალოდ მოდის 5 მუშა და 4—5 ათასი მან. პროდუქცია. თავისი ხასიათით ეს საწარმოები ძირითადად კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციის ტიპის საწარმოებს წარმოადგენდნენ, თუმცა ზოგიერთ მათგანში უკვე ვხვდებით შრომის დანაწილებასაც. შედარებით მსხვილი ლითონდამმუშავებელი საწარმო, სადაც ჯერ კიდევ მექანიკურ ძრავას გამოყენებას არ ქონდა ადგილი, ამ დროისათვის იყო ბეპლეს სამჭედლო—მექანიკური სახელოსნო, სადაც ზოგიერთი წყაროს მითითებით 13—14 მუშა მუშაობდა, ზოგიერთის კი 21 მუშა. ხოლო პროდუქცია ერთ შემთხვევაში ნაჩვენებია 5—6 ათასი მან., ხოლო მეორეში 10 ათასი მან[91]. ამ საწარმოში 1901 წლიდან გაზის ძრავაც

---

88 С. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисскоii губернии, Тифл., 1888, გვ. 134—185. მართალია უწყისების მონაცემები ყოველთვის არ ემთხვევა გულიშამბაროვის ცნობებს ამა თუ იმ საწარმოს შესახებ, მაგრამ ეს განსხვავებანი ვერ ახდენენ გავლენას აღნიშნულ საწარმოთა ხასიათის გარკვევაზე.

89 სცსია, ფონდი 414, საქმე 34, ფურც. 46—47.

90 Сборник статистических сведений..., Тифл., 1902, გვ. 236—237.

91 Сборник статист. сведений..., Тифл. 1962; გვ. 239; Список фабрик и заводов, СПб., გვ. 323—324.

ჩნდება. ვუდერლიხის რკინა-კაევულის საწარმოში მუშათა რაოდენობა ზოგ წყაროში 12, ზოგში კი 25-ია აღნიშნული[92], ხოლო ანდერეგის ქლიბების საწარმოში ნაჩვენებია 7 ათასი მან. პროდუქცია და 9 მუშა[93]. შედარებით უფრო მსხვილი საწარმო იყო გაუფის „სამხატვრო-საამშენებლო და მექანიკური ქარხანა", სადაც 20—25 მუშა მუშაობდა, ხოლო პროდუქციის ღირებულება 15—16 ათას მანეთს შეადგენდა[94].

გნედიჩის ცნობით თბილისში 1900 წლისათვის 6 წვრილი ლითონდამმუშავებელი საწარმო იყო (საზეინკლო-სახარატო 5 და ქლიბებისა 1) სულ 56 ათასი მან. პროდუქციით და 96 მუშით[95]. მათ რიცხვში უნდა იყვნენ ზემოჩამოთვლილი ლითონდამმუშავებელი საწარმოებიც.

აღნიშნული საწარმოები წარმოადგენდნენ მაგალითს გაფართოებული სახელოსნოებისა, სადაც შემოდის ტექნიკური სიახლენი სხვადასხვა გაუმჯობესებული იარაღების (სამჭედლო ქურები. სახარატო დაზგები, წნეხები, ლითონსახვრეტი დაზგები და სხვა) სახით და, ზოგ შემთხვევაში, შრომის დანაწილებაც მუშებს შორის. თუმცა წარმოების მასშტაბი აქ იმდენად ფართო არ არის, რომ აღნიშნული საწარმოები მივაკუთვნოთ მსხვილ წარმოებას[96]. ამათ შორის შედარებით მსხვილი საწარმოები, მიუხედავად მათი მასშტაბის სიმცირისა, თავისი ხასიათით უკვე მანქანურ წარმოებაზე გარდამავალ საწარმოებს განეკუთვნებოდნენ.

სატრანსპორტო საშუალებათა (ეტლების) წარმოება

ეტლების წარმოებას თბილისში საფუძველი ეყრება საქალაქო ცხოვრების განვითარებისა და სატრანსპორტო საშუალებებზე მოთხოვნილების ზრდასთან დაკავშირებით აღმოცენებულ უცხოელ ხელოსანთა საწარმოებით. 1866 წლისათვის თბილისში ასეთი 12 სახელოსნო არსებობდა, ამათგან უწვრილესში ოსტატთან ერთად 2 ქარ-

---

[92] ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 2, საქმე 2927. Сборн. стат. свед..., Тифл. 1902, გვ. 239.

[93] ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 2, საქმე 2927.

[94] იქვე, Сборник статист. сведений . . ,Тифл., 1902, გვ. 239.

[95] ლენ. ცსია, ფონდი 23, აღწ. 17, საქმე 738, ფურც. 60—61.

[96] გ. ბაქრაძე ვუნდერლიხის და ანდერეგის საწარმოებს მიიჩნევს წვრილხელოსნურ („мелко-ремесленный") საწარმოებად, რაც არ არის მართებული. იხ. გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 184.

გალი და 1 შეგირდი მუშაობდა, ხოლო უმსხვილესში 9 ქარგალი და 15 შეგირდი. აღნიშნული სახელოსნოებიდან მარტო მაიერებს სამი საწარმო ეკუთვნოდათ (დავითს. დანიელს და ემანუილს), მადერებს კი ოთხი საწარმო (ფრიდრიხს, ბოგდანს, იოგან უმცროსს და იოგან უფროსს). ერთ-ერთი სახელოსნო კოტრინისა იყო. აქ ამ დროს 8 ქარგალი და 9 შეგირდი მუშაობდა. აღსანიშნავია, რომ საწარმოში. რომელიც ტოპირკევიჩს ეკუთვნოდა მომუშავე მუშების რაოდენობა კი არ არის მითითებული, არამედ აღნიშნულია: „отдает работы поштучно," რაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ოსტატი წარმოებასთან დაკავშირებული ცალკეული ოპერაციების შესრულებას სათანადო დარგის ხელოსნებს აკისრებდა, თვით კი, უთუოდ, თავს უყრიდა მათ ნაწარმს, ამთავრებდა ოპერაციას. აღნიშნული სახელოსნოების ოსტატი-მეპატრონეები გაერთიანებული იყვნენ ერთ ამქარში ზეინკლებთან, მღებავებთან და ავეჯის გადამკვრელებთან (обойщики). სულ ამ დროისათვის შედარებით მსხვილ 6 საწარმოში, რომლებშიც მომუშავეთა რიცხვი 10-ს აღემატებოდა, მუშაობდა 40-მდე ქარგალი და 50-მდე შეგირდი[97].

1865 წელს ოფიციალური მონაცემებითაც თბილისში იყო ეტლის 6 „ქარხანა", რომელთა პროდუქციის ღირებულება 25 ათას მანეთამდე აღწევდა, ხოლო მუშათა რაოდენობა ერთ წყაროში 40-ია ნაჩვენები[98], მეორეში კი 85[99]. პირველ შემთხვევაში, შესაძლოა. მხოლოდ ქარგლების რიცხვია მოცემული, მეორეში კი შეგირდებისაც. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ციფრი (85) უახლოვდება ზემოაღნიშნულ შედარებით მსხვილ 6 სახელოსნოში მომუშავეთა (ქარგლები, შეგირდები) ჯამს.

80-იან წლებში ეტლების წარმოებაში შეიმჩნევა წარმოების კონცენტრაცია შედარებით მსხვილ საწარმოებში[100].

ეტლების სახელოსნოებში სწარმოებდა როგორც ახალი ეტლების, დროგების და სხვა საჭაპანო სატრანსპორტო საშუალებათა დამზადება, ასევე შეკეთებაც.

აქ კიდევ უფრო მეტად, ვიდრე მექანიკურ-საზეინკლო-სახარატო სახელოსნოებში შეიმჩნევა ხელსაწყო-იარაღების ნაირსახეობა

---

97 სცსია, ფონდი 7, აღწ. 1, საქმე 2229 ფურც. 81—92.

98 Сведения о фабриках и заводах действовавших в 1865 г. СПб., 1867, გვ. 21.

99 სცსია, ფონდი 414, საქმე 18, ფურც. 11—12.

100 ს. გულიშამბაროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 226—227.

და შესაბამისად ოსტატების და მუშების დასპეციალება. კერძოდ 80-იანი წლებისათვის აქ ვხვდებით ერთდროულად მომუშავე მჭედლებს, დურგლებს, ხარატებს, მღებავებს, გადამკვრელებს (обойщики) და სხვა[101]. უკანასკნელი გარემოება, ზოგ შემთხვევაში, საწარმოთა მცირე მასშტაბის მიუხედავად (სულ 8—12 მუშის არსებობა). მათ არამცთუ მარტივი კოოპერაციის, არამედ უკვე ისეთ მანუფაქტურულ საწარმოთა ხასიათს აძლევს, რომელნიც ჯერ კიდევ „დამოუკიდებელ ხელობათა კომბინირებას წარმოადგენდნენ“[192].

1900 წლისათვის ეტლების შედარებით მსხვილ საწარმოებს გარდა თბილისში ნაჩვენებია 12 წვრილი საწარმო, სულ 84 მუშით და 105 ათასი მან. პროდუქციით[103]. ე. ი. თითოზე მოდის 7 მუშა და 8—9 ათასი მანეთის პროდუქცია.

ფეხსაცმლისა და ტანისამოსის წარმოება

წვრილ კაპიტალისტურ საწარმოებს ფეხსაცმლისა და ტანისამოსის დამზადების დარგებშიც ძირითადად უცხოელ ოსტატთა მიერ დაარსებული სახელოსნოებით ეყრება საფუძველი. 1866 წლისათვის თბილისში უცხოელი ოსტატების ფეხსაცმლის 17 და ტანისამოსის (მამაკაცისა და ქალის) დამამზადებელი 28 სახელოსნო იყო. მათ შორის იყო ისეთებიც, სადაც მარტო ოსტატი, ან ოსტატთან ერთად 1—2 ქარგალი და 2—3 შეგირდი მუშაობდა, მაგრამ, იყო უფრო მსხვილი სახელოსნოებიც, სადაც ქარგლებისა და შეგირდების რაოდენობა 5—6 აღემატებოდა, ზოგიერთში კი ათეულებს ითვლიდა. ასე, მაგ. შვარცის ფეხსაცმლების სახელოსნოში ამ დროს 12 ქარგალი და 2 შეგირდი მუშაობდა, ლუცენკოს ასეთსავე სახელოსნოში 10 ქარგალი და 6 შეგირდი მუშაობდა. კრეისმანის მამაკაცის ტანისამოსის სახელოსნოში 8 ქარგალი და 4 შეგირდი მუშაობდა, ვალინგის ასეთსავე სახელოსნოში—10 ქარგალი და 10 შეგირდი, ალექსი ბუჩაცკის ქალის ტანისამოსის სახელოსნოში—6 ქარგალი და 2 შეგირდი, ერვეს სახელოსნოში, რომელიც ტანისამოსის მაღაზიასთან არსებობდა—8 ქარგალი მუშაობდა[104].

1880-90-იან წლებში თბილისში ფეხსაცმლისა და ტანისამოსის დამამზადებელი მთელი რიგი მსხვილი საწარმოები არსდება, რომე-

---

101 სცსია, ფონდი 17, საქმე 486.

102 ლ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 428.

103 Сборник статист. сведений..., Тифл., 1902 г., გვ. 236.

104 სცსია, ფონდი 7, აღწ. 1, საქმე 2229, ფურც. 81—92.

ლთა ნაწილი მანქანურ წარმოებაზედაც გადადის. მაგრამ ამავე პერიოდში არსებობდა ხელით შრომაზე დამყარებული წვრილი კაპიტალისტური საწარმოებიც. მათ რიცხვს განეკუთვნება, მაგალითად, 1893 წლის თბილისის გუბერნიის ხელოსნურ საწარმოთა აღწერილობაში მოხვედრილი სააკოვის ფეხსაცმლის სახელოსნო, სადაც 4 ქარგალი და 6 შეგირდი მუშაობდა, ტერ-ზახაროვის ასეთივე სახელოსნო, სადაც 8 ქარგალი და 1 შეგირდი მუშაობდა, სტეპანიკოვის სახელოსნო, სადაც 6 ქარგალი და 1 შეგირდი მუშაობდა და სხვა. სამკერვალო სახელოსნოებიდან 5-დან 10-მდე ქარგლიანი სახელოსნო მამაკაცის ტანისამოსისა იყო ათზე მეტი, ხოლო ქალის ტანისამოსისა—5. ზოგიერთ სახელოსნოში 12—15 ქარგალი მუშაობდა.

აღნიშნული ფაქტი გვიჩვენებს, რომ ფეხსაცმლისა და ტანისამოსის დაქსაქსული წვრილი საქონლური წარმოების გვერდით ეხვდებით კოოპერაციის ტიპისა და ზოგ შემთხვევაში მანუფაქტურული ტიპის საწარმოებსაც, რომელნიც როგორც წესი, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში კაპიტალისტურ საწარმოებზე მსჯელობისას არ არიან მხედველობაში მიღებული.

ოფიციალური მონაცემებით 1900 წლისათვის თბილისში იყო ფეხსაცმლის 20 წვრილი საწარმო, თითოეული 2—8 მუშით და 2-დან 15 ათასამდე მან. პროდუქციით. ამ 20 საწარმოში მზადდებოდა 81 ათასი მანეთის პროდუქცია, მუშათა რაოდენობა კი აქ 78-ს უდრიდა. იგივე წყაროს თანახმად თბილისში 6 წვრილი სამკერვალო იყო, თითოეული 2—4 ათასი მან. პროდუქციით და 3—4 მუშით. სულ ამ 6 საწარმოს პროდუქციის ოდენობა 17 ათას მან. შეადგენდა, მუშათა რიცხვი კი 21-ს[105].

აბრეშუმის და ბამბის ნაწარმის დამზადება. სამღებრო წარმოება

აბრეშუმის ამოხვევა და აბრეშუმის ნაწარმის დამზადება მე-19 საუკუნის სტატისტიკაში და აღწერილობით მასალებში ან „შინამრეწველობის“ სფეროს განეკუთვნებოდა, ან შედარებით მსხვილი კაპიტალისტური საწარმოების სახით იყო წარმოდგენილი. წვრილი კაპიტალისტური საწარმოები მხოლოდ კანტი-კუნტად აისახებოდა სტატისტიკაში. ასეთებს წარმოადგენდნენ, მაგალითად, 80-იან წლებში თბილისში არსებული აბრეშუმის ძაფსახვევი და აბრეშუმის ნაწარმის (ზონრის, ოქრომკედის და სხვა) დამამზადებელი საწარმოები.

---

[105] Сборник статист. сведений..., Тифл., 1902, გვ. 236—237.

1880 წლისათვის ცნობები გვაქვს 8 ასეთ საწარმოზე. ისინი დაარსებული იყვნენ 50—60-იან წლებში და თბილისელი ვაჭრების კუთვნილებას წარმოადგენდნენ. თითოეულ მათგანში 4-დან 13-მდე მუშა მუშაობდა, უმეტესობაში კი 6—7 მუშა. პროდუქციის ღირებულება 1400—4000 მანეთს უდრიდა. წარმოებაში გამოყენებული იყო ხელის დაზგები. ნედლი აბრეშუმი წარმოებისათვის ქუთაისის გუბერნიიდან შემოდიოდა[106]. 900-იანი წლებისათვის ცნობები აბრეშუმის წვრილ საწარმოებზე უკვე აღარა გვაქვს.

ბამბის ნაწარმის, კერძოდ, ქსოვილების დამზადებას ღრმად ქონდა გადგმული ფესვები საქართველოში საოჯახო მრეწველობისა თუ ხელოსნობის სახით. თანდათან ხდებოდა ამ წარმოების კაპიტალისტურ საწყისებზე გადასვლაც[107], მაგრამ უცხოეთიდან და რუსეთიდან შემოტანილმა მზა ფაბრიკულმა ნაწარმმა არ მისცა გასაქანი წარმოების ამ დარგს, დიდი ხნით ჩაახშო იგი. თბილისში შემორჩა მხოლოდ ბამბის საპენტი წარმოება.

თბილისში არსებულ ბამბის საპენტ წვრილ საწარმოებიდან ცნობები გვაქვს გრ. მიკირტუმოვის საწარმოზე, რომელიც 1857 წელს იქნა დაარსებული[108]. 1886 წელს აქ სულ 2 მუშა მუშაობდა. ბამბის საპენტი მოწყობილობა და დაზგები ცხენის ძალით მოყავდათ მოძრაობაში. პროდუქციის ღირებულება 10 ათას მანეთს უდრიდა. მეორე ასეთი „ქარხანა“ არტემ ვარძიგულოვს ეკუთვნოდა. აქ სამი მუშა მუშაობდა. მათ შორის 1 მცირეწლოვანი. წარმოებაში „ხელის მანქანები“ იყო გამოყენებული. ამ საწარმოს პროდუქციის ღირებულება 4800 მანეთს შეადგენდა. ბამბის მესამე საწარმო დავით ყაზაროვის კუთვნილებას წარმოადგენდა. აქაც 2 მუშა მუშაობდა. წარმოებაში წყლის ძალა იყო გამოყენებული. პროდუქციის ღირებულება 3600 მანეთს უდრიდა[109]. გულიშამბაროვიც 1886 წლისათვის აღნიშნავს ბამბის 3 საწარმოს: იმავე მიკირტუმოვისა, 4 მუშით და 8 ათასი მან. პროდუქციით, იმავე ვარძიგულოვისა, 3 მუშით და 3 ათასი მან. პროდუქციით და პოპოვისა, 3 მუშით და 5 ათასი

---

[106] სცსია, ფ. 17, საქმე 486.

[107] მ. სამსონაძე. მანუფაქტურის ჩასახვის საკითხისათვის თბილისის ბამბეულის წარმოებაში. „მაცნე“, № 6, 1964 წ. გვ. 135—145.

[108] ე. ხოშტარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

[109] სცსია, ფ. 204, საქმე 654.

მან. პროდუქციით. პირველში ცხენის ძალის გამოყენებას ჰქონდა ადგილი, მეორეში წყლის ძალისა, ხოლო მესამეში მხოლოდ ხელით შრომობდნენ[110]. განსხვავება უწყისების მონაცემებსა და გულიშამბაროვის ცნობებს შორის არ ცვლიან ჩვენ წარმოდგენას ბამბის წვრილ საწარმოთა ხასიათის შესახებ.

1900 წლისათვის გნედიჩი თბილისში აღნიშნავს ბამბის 2 საწარმოს, სულ 12 მუშით და 25 ათასი მან. პროდუქციით[111]. ერთ-ერთი მათგანი უნდა იყოს ზლატოგორსკის საწარმო, 5 მუშით და 16 ათასი მან. პროდუქციით[112], ხოლო მეორე პოპოვისა[113].

*
* *

სამღებრო საქმესაც საქართველოში ადრიდანვე ვხვდებით. წარმოების ამ დარგში წვრილ კაპიტალისტურ საწარმოთა დაარსებას უკვე მე-19 ს. პირველ ნახევარში ჰქონდა ადგილი[114]. მაგრამ „შინა-მრეწველური“ ფეიქრობის თანდათან მოსპობასთან ერთად, სამღებრო საქმეც ეცემა. 1865 წ. ცნობით თბილისში ჯერ კიდევ 26 სამღებრო იყო, გორში 4, თელავში 1, თიანეთის მაზრაში 2. ძირითადად აქ წვრილი საწარმოები იგულისხმება 2—3 მუშით და 300—400 მანეთის ღირებულების პროდუქციით, თუმცა ზოგიერთი მათგანი უკვე კაპიტალისტურ საწარმოს წარმოადგენდა[115]. 60—90-იან წლებში სამღებროთა რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება. 80-იან წლებში გუბერნატორების ანგარიშების დანართებში თბილისში 6—10 სამღებროა ნაჩვენები, თითოეული საშუალოდ 2—3 მუშით. 1900 წლისათვის უმსხვილეს საწარმოთაგან მოხსენებულია მანუჩაროვის სამღებრო 9 მუშით და 14 ათასი მან. პროდუქციით[116].

საამკინძაო საწარმოები, სტამბა-ლითოგრაფიები

60-იანი წლების შუახანებში თბილისში, შედარებით მსხვილი სახაზინო სტამბების გარდა, ხუთიოდე უცხოელი ოსტატის და რამო-

---

110 ს. გ ულ ი შ ა მ ბ ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

111 ლენ. ცსია, ფონდი 23, აღწ. 17, საქმე 738, ფურც. 60—61. „საისტორიო მოამბე“, 1, 1945, გვ. 256—257.

112 Список фабрик и заводов..., СПб., 1903, გვ. 3.

113 „Кавказский календарь“, 1899 г.

114 ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 158—159.

115 იქვე.

116 Сборник статист. сведений..., Тифл., 1902, გვ. 238.

დენიმე ადგილობრივი ხელოსნის საამკინძაო საწარმო იყო. შეგირდებისა თუ ქარგლების რაოდენობა ამ სახელოსნოებში ერთეულებს წარმოადგენდა. მაგრამ, საქალაქო ცხოვრების ზრდის კვალად იზრდება საამკინძაო საქმეც. წვრილ საამკინძაოთა გვერდით ჩნდება შედარებით მსხვილი სახელოსნოებიც 6—8 მუშით და წვრილი სტამბა-ლითოგრაფიები.

მართალია სტატისტიკაში არ აისახა 80-იან წლებში თბილისში არსებული სტამბები და საამკინძაოები, მაგრამ ასეთების არსებობაზე მიუთითებს გვიანდელი, კერძოდ 900-იანი წლების დასაწყისის მასალები, სადაც აღნიშნულია საწარმოთა დაარსების თარიღები. მაგ., 1900 წ. თბილისში არსებული სტამბებიდან და საამკინძაოებიდან 80-იანი წლების შუახანებამდე დაარსებული იყო დაახლოებით 15 საწარმო[117]. მათ შორის 900-იანი წლებისათვის კვლავ წვრილ საწარმოებად გვეკლინება 10-მდე საწარმო, თითოეული 6—8 მუშით და 5—10 ათასი მან. პროდუქციით. ე. ი. 80-იანი წლების შუახანებისათვის აღნიშნულ 10 საწარმოში შეიძლება ვივარაუდოთ არა უმეტეს 70 მუშისა და 70 ათასამდე მან. პროდუქციისა.

გნედიჩის ცნობით თბილისში 1900 წლისათვის 17 საამკინძაო სახელოსნო და სტამბა-ლითოგრაფია იყო, სულ 407 მუშით და 358 ათასი მან. პროდუქციით. აქ შედარებით მსხვილი სტამბებიც იგულისხმება, მაგრამ, დიდი ნაწილი წვრილი საწარმოები იყო. თბილისის გუბერნიაში (ძირითადად სამაზრო ცენტრებში) გნედიჩი 10 წვრილ სტამბის არსებობაზე მიუთითებს. აქ სულ 69 მუშა მუშაობდა, პროდუქციის ღირებულება კი 36 ათას მანეთს შეადგენდა. ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 17 ასეთი საწარმოა აღნიშნული 124 მუშით და 73 ათასი მან. პროდუქციით[118].

როგორც ირკვევა, თბილისს გარდა, სადაც მსხვილი სტამბებიც იყო თავმოყრილი, თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში ძირითადად წვრილი საწარმოები არსებობდა, 4—8 მუშით და 2—6 ათასი მან. პროდუქციით. ბათუმში არსებულ ასეთ საწარმოებს წარმოადგენდნენ მახარაძის სტამბა, 7 მუშითა და 2600 მან. პროდუქციით და თავართქილაძის სტამბა, 3 მუშითა და 3 ათასი მან. პროდუქციით[119].

---

[117] Список фабрик и заводов, СПб., 1903 г.

[118] ლენ. ცსია, ფონდი 23, აღწ. 17, საქმე 738, ფურც. 60—61, 70—71, „საისტორიო მოამბე", I, 1945 წ., გვ. 256—257, 266—267.

[119] Список фабрик и заводов... СПб., 1903, გვ. 3.

რაც შეეხება თბილისის საწარმოებს, ამათგან შედარებით წვრილებს უნდა მივაკუთვნოთ ფელდშტეინის, ნამურაზოვის, ხაჩატურიანისა და ცომაიას საამკინძაოები, 4—6 მუშით და 1—3 ათასი მან პროდუქციით, ხოლო შედარებით მსხვილი საამკინძაოები იყო აკოპოვის, პარსეგოვისა და რეგერისა, 10—15 მუშით და 4—10 ათასი მან. პროდუქციით.

წვრილი სტამბა-ლითოგრაფიებიდან აღსანიშნავია დიუსტერდიკის, შახბაზიანცის, იაკშატის, პეტროვის, ხელაძის საწარმოები, სადაც 5—12 მუშა მუშაობდა, ხოლო პროდუქცია 4—9 ათას მანეთს შეადგენდა. ამავე მასშტაბის საწარმო იყო მადერის ასოთსაჩამომსხმელო. ამ 6 საწარმოში 53 მუშა მუშაობდა, პროდუქციის მოცულობა კი 42400 მანეთს შეადგენდა[120]. ზოგიერთ მათგანში ხელის მანქანებთან ერთად უკვე მექანიკური ძრავის (ბენზინის, ელექტრონის) გამოყენებასაც ჰონდა ადგილი (მადერის, შახბაზიანცის და სხვა)[121]. 900-იანი წლებისათვის სულ წვრილი საწარმო იყო 40-მდე, დაახლოებით 280 მუშით და 190 ათასი მან. პროდუქციით.

ამგვარად, საამკინძაოების და სტამბა-ლითოგრაფიების დიდი ნაწილი კვლავ წვრილ საწარმოებს წარმოადგენდნენ, მაგრამ მათ შორის მრავლდება შედარებით მსხვილ საწარმოთა რაოდენობა, სადაც შრომის დანაწილება არის სავარაუდებელი. საწარმოთა ნაწილში მექანიკური ძრავის გამოყენებასაც ვხვდებით.

არყისსახდელი, ზეთსახდელი, ლუდის და მინერალური წყლების დამამზადებელი საწარმოები

ყურძნისაგან (ჭაჭისაგან), სხვადასხვა ხილეულისა, თუ მარცვლეულისაგან არყის გამოხდა საქართველოში ძველთაგანვე იყო გავრცელებული. იგი ე. წ. „შინამრეწველური“ წარმოების სახით მთელ

---

[120] Список фабрик и заводов... СПб., 1903, გვ. 3.

[121] ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 2. საქმე 2929.

აღსანიშნავია, რომ 1900 წლის უწყისებით ცომაიას საამკინძაო საწარმოში საშეალოდ 78 მუშაა ნაჩვენები (55 სრულწლოვანი და 23 მცირეწლოვანი). რაც სხვა მონაცემებით არ დასტურდება. იგივე ვითარება გვაქვს ფელდშტეინის საამკინძაოს მიმართაც, სადაც 124 მეშაა ნაჩვენები (ლენ. ცსია. ფონდი 1290, აღწ. 5, საქმე 177, ნაწ. II, ფურც. 417, 431). მეშათა რაოდენობის აღმნიშვნელი ეს მონაცემები არ ჩანს თვით „Список“-ში, რომელიც ჩვეულებრივ იმეორებს 1900 წლის უწყისების მონაცემებს.

მე-19 ს. მანძილზე არსებობდა[122]. გუბერნატორთა ანგარიშების დანართებში ცალკეული წლების მიხედვით ასობით არყისსახდელი „ქარხანაა“ ნაჩვენები, როგორც თბილისის, ისე ქუთაისის გუბერნიებში, რომელნიც ხშირ შემთხვევაში უბრალო არყისსახდელ ქვაბებს წარმოადგენდნენ[123], მაგრამ მათ შორის შედარებით უკეთ მოწყობილი საწარმოებიც გამოირჩეოდა. ასეთი „ქარხნების“ შესახებ წარმოდგენა შეგვიძლია ვიქონიოთ 40-იან წლებში ქუთაისის მაზრაში აღრიცხულ საწარმოების მიხედვით. ჩვენს ხელთ არსებული ცნობის თანახმად აქ ამ დროს 3 არყისსახდელი ქარხანა იყო, რომელნიც ეკუთვნოდნენ: „ტიტულარნი სოვეტნიკ“ ნიკოლოზ ბაქრაძეს (სოფ. ტობანიერში), აზნაურ იოსებ ჩარექიშვილს (სოფ. ოფჩაში) და აზნაურ ნიკოლოზ რევიას (სოფ. ისრითში). 1849 წლის ცნობით თითოეული ეს „ქარხანა“ 400—500 მანეთის პროდუქციას ამზადებდა[124] წვრილი არყისსახდელი სარეწები არსებობდნენ როგორც მემამულეთა, ისე გლეხების მეურნეობაში, განსაკუთრებით მევენახეობის რაიონებში.

არყის „შინამრეწველურ“ საწარმოთა გვერდით უკვე მე-19 ს. პირველ ნახევარში არსდება შედარებით მსხვილი არყისსახდელი „ქარხნებიც“[125], მაგრამ არც ერთ მათგანს დიდხანს არ უარსებია.

1865 წლის ცნობით თბილისის გუბერნიაში იყო 61 არყისსახდელი საწარმო 10400 მან. პროდუქციით და 112 მუშით[126]. ე. ი. თითო საწარმოზე მოდის 170 მან. პროდუქცია და 2 მუშა. აქედან გორში იყო 11. სიღნაღის მაზრაში 25, დანარჩენი 25 კი ელიზავეტპოლსა და მის მაზრაში.

1873 წლიდან სააქციზო სისტემის შემოღებამ დიდად დასცა არყისსახდელი წარმოება. ზედიზედ დაიხურა შედარებით მსხვილი საწარმოები[127].

80-იან წლებში თბილისში არსებული არყის წვრილ კაპიტალისტურ საწარმოებიდან ცნობები გვაქვს გრიგოლ მეღვინოვის „ქარხანაზე“, სადაც 1880 წ. 4 მუშა მუშაობდა, საწარმოს პროდუქციის

---

122 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 415—424.

123 იქვე, გვ. 422.

124 სცსია, ფ. 4, საქმე 125, ფურც. 46.

125 ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 163—164, მ. ს ა მ ს ო ნ ა ძ ე, მე-19 საუკუნის რეფორმამდელი ხანის თბილისის სამრეწვ. განვითარების ისტორიიდან. „მაცნე“, 1964, № 2, გვ. 148—152.

126 სცსია, ფონდი 414, საქმე 18, ფურც. 11—12.

127 ს. გ უ ლ ი შ ა მ ბ ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40—41.

ღირებულება 36 ათას მანეთამდე აღწევდა და ნიკოლოზ სტეპანოვის ანალოგიურ საწარმოზე[128]. აღსანიშნავია, რომ მეღვინოვის „ქარხანა“ გვხვდება 900-იანი წლების დასაწყისშიც. აქ ამ დროს 6 მუშა მუშაობდა, პროდუქციის ღირებულება კი 42 ათას მანეთს უდრიდა[129]. ჩანს იგი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა.

არსებულ გამოსახდელი წვრილი საწარმოები, რომელთაც ს. გულიშამბაროვის განსაზღვრით სამრეწველო მნიშვნელობა ჰქონდათ („промышленные“) 1886 წლისათვის თბილისის გუბერნიაში 68 იყო, ამათში უძრავლესობა წვრილი. კერძოდ, 100 მანეთამდე პროდუქციით და 2—3 მუშით იყო 16 საწარმო, 1—5 ათასი მან. პროდუქციით და 3—5 მუშით 40 საწარმო, 6—10 ათასი მან. პროდუქციით და 4—6 მუშით 10 საწარმო, ხოლო 10 ათას მანეთზე ზევით (14 და 15 ათასი მან.) პროდუქციით 2 საწარმო. საწარმოთა დიდი ნაწილი თავმოყრილი იყო თელავის, სიღნაღის და ბორჩალოს მაზრებში. გულიშამბაროვის თანახმად სულ ამ 68 საწარმოში 261 მუშა მუშაობდა, პროდუქციის ღირებულება კი 220 ათას მანეთს უდრიდა. ყველა ეს საწარმო, მცირე გამონაკლისის გარდა იყო პრიმიტიული. მხოლოდ ზოგიერთზე გვხვდება სპირტის გამოსახდელი მარტივი მოწყობილობა[130].

აღნიშნულ საწარმოთაგან ცალკე უწყისები მოგვეპოვება ბორჩალოს მაზრის 7 საწარმოზე („ქარხანაზე“). თითოეულ მათგანზე 3—4 მუშა მუშაობდა, პროდუქციის ღირებულება კი 800—3000 მანეთს უდრიდა[131]. აღნიშნული „ქარხნები“ მუშაობდნენ მხოლოდ იანვარსა და თებერვალში. ჩვენ ცნობები გვაქვს თელავის მაზრაში არსებულ ასეთსავე „ქარხნების“ შესახებ. ერთ-ერთი მათგანი გიორგი ჯორჯაძეს ეკუთვნოდა. „ქარხანაში“ საშუალოდ 5 მუშა მუშაობდა. პროდუქციის ღირებულება 4496 მან. უდრიდა. მეორე „ქარხანა“ იოსებ ქობულოვს ეკუთვნოდა. აქ 14 მუშა მუშაობდა. მათ შორის 8 საკუთრივ წარმოებაში, 6 კი დამხმარე სამუშაოებზე. ამ საწარმოს პროდუქციის ღირებულება 15 ათას მან. შეადგენდა[132]. ეს „ქარხნებიც“ მხოლოდ რამდენიმე თვე მოქმედებდნენ ზამთრის პერიოდში[133]. გნედიჩის მონაცემებით თბილისის გუბერნიაში (თბილისის

---

128 სცსია, ფ. 17, საქმე 486.

129 ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 2, საქმე 2925.

130 ს. გულიშამბაროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 48—54.

131 სცსია, ფ. 204, საქმე 654.

132 ს. გულიშამბაროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 48—54.

133 სცსია, ფ. 204, საქმე 654.

გარდა) 1900 წლისათვის იყო 483 არყისსახდელი საწარმო 1703 მუშითა და 586 ათასი მან. პროდუქციით. ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 276 ასეთივე საწარმო 1356 მუშით და 47 ათასი მან. პროდუქციით. ე. ი. თბილისის გუბერნიაში თითო საწარმოზე მოდის 1 ათასი მან. პროდუქცია, ქუთაისის გუბერნიაში კი 270 მან. პროდუქცია. მუშათა ოდენობა თითო საწარმოზე ორივე გუბერნიაში იყო 4—5 კაცი[134].

*
* *

ზეთის შინაური გამოხდაც ძველთაგან იყო გავრცელებული საქართველოს სოფლებში. ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში ეს დარგი წვრილი წარმოების სახეს იღებს. 40-იან წლებში გორში 2 ზეთსახდელი „ქარხანა" ყოფილა[135]. იგივე რაოდენობა რჩება 1866 წლისათვის. ამ დროს ორივე ზეთსახდელი„ქარხნის" პროდუქციის ღირებულება 863 მანეთს უდრიდა[136]. 40-იან წლებში სოფ. დიდ ენაგეთში სოლომონ ყორღანოვს ჰქონია ზეთსახდელი „ქარხანა". რომელიც წლიურად 430 ვედრო ზეთს ამზადებდა. აქ 2 ოსტატი და 5 მუშა მუშაობდა. ქარხანაში იყო ზეთსახდელი მოწყობილობა, რომელიც მოძრაობაში წყლის საშუალებით მოყავდათ[137].

1866 წლის ცნობით, მნიშვნელოვანი რაოდენობით ზეთსახდელი „ქარხნები" არსებობდა ქვემო ქართლში (თრიალეთის საპრისტავოში). აქ ამ დროისათვის 12 ასეთი საწარმო იყო აღრიცხული. თითოეული მათგანის პროდუქციის ღირებულება 300—700 მანეთს უდრიდა[138].

80—90-იან წლებში გუბერნატორთა ანგარიშების დანართებში წვრილი ზეთსახდელი საწარმოები (1—2 მუშით) ნაჩვენებია გორში და ახალქალაქის მაზრაში. გორში 80-იან წლებში 2 ასეთი „ქარხანაა" ნაჩვენები, ხოლო შემდეგ ერთი, ახალქალაქის მაზრაში კი მათი რიცხვი 40-მდე აღწევდა.

900-იანი წლებისათვის ზეთსახდელი წარმოება თბილისში კონცენტრირებული იქნა მსხვილ საწარმოებში. წვრილ საწარმოთაგან

---

134 ლენ. ცსია, ფონდი 23, აღწ. 17, საქმე 738, ფურც. 60—61, 70—71. „საისტორიო მოამბე", 1, 1945 წ., გვ. 256—257, 266—267.

135 ს.ცსია, ფ. 16, საქმე 8888, ფურც. 5—9.

136 სცსია, ფ. 5, საქმე 308, ფურც. 55.

137 სცსია, ფ. 16, საქმე 6351, ფურც. 18—31.

138 სცსია, ფ. 5, საქმე 308, ფურც. 55.

შემორჩა მხოლოდ ერთეულები, კერძოდ კარლინსკის საწარმო 4 მუშით და 13 ათასი მან. პროდუქციით[139].

* * *

ლუდის დამზადებას თბილისში უცხოელი ოსტატების მიერ დაარსებული საწარმოებით ეყრება საფუძველი. 1866 წლისათვის აქ 5 ასეთი საწარმო იყო. ამ საწარმოებში ამ დროს ოსტატების გარდა თითო ქარგალი და 3—6 მუშა მუშაობდა. მათ შორის იყო შემდგომში ცნობილი მადერის და ვეტცელის საწარმოებიც. პირველში 1 ქარგალი და 6 მუშა მუშაობდა, მეორეში კი 1 ქარგალი და ხუთი მუშა[140]. ოფიციალური ცნობით ამ საწარმოთა პროდუქცია 1866 წ. სულ 4200 მანეთს უდრიდა[141].

1880 წელს თბილისში ისევ 5 ლუდის „ქარხანაა" ნაჩვენები. მათ შორის კვლავ ხელით შრომაზე დამყარებულ („работы ручным способом") წვრილ საწარმოებს წარმოადგენდნენ დავით მადერის და შეიფლერის „ქარხნები". პირველში 5 მუშა. ხოლო მეორეში 7 მუშა მუშაობდა. 70-იანი წლებიდან აქ ამუშავდა ნიკოლოზ ლორთქიფანიძის (ყოფილი გუტბორდის) ლუდის „ქარხანა". 1880 წელს აქ 10 მუშა მუშაობდა, შრომის პროცესი აქაც ძირითადად ისევ ხელით შრომაზე იყო დამყარებული („завод ручной"). 1880 წელს ამ „ქარხანამ" 21 ათასი მანეთის პროდუქცია დაამზადა[142]. ხოლო 1886 წელს კი 56 ათასი მანეთისა[143]. ფრ. მადერის ასეთსავე „ქარხანაში" 1880 წელს 10—14 მუშა მუშაობდა, ხოლო ვეტცელის „ქარხანაში" ამ დროს უკვე ორთქლის მანქანასაც ვხვდებით[144].

1886 წელს ლუდის წვრილ „ქარხანას" წარმოადგენდა 1885 წ. გახსნილი ფრიდრიხ დიტრიხის საწარმო, სადაც 4 მუშა მუშაობდა[145]. ამ საწარმოს პროდუქციის ღირებულება 9 ათას მანეთს შეადგენდა[146].

90-იან წლებში ლუდის წარმოება თბილისში თითქმის მთლიანად შედარებით მსხვილ საწარმოებში იქნა კონცენტრირებული, რომელთა ნაწილი მანქანურ წარმოებაზე გადადის.

---

139 Список фабрик и заводов... СПб.. 1903 г., გვ. 378 — 697.

140 სცსია, ფ. 7, აღწ. 1, საქმე 2229, ფურც. 81—92.

141 სცსია, ფ. 5, საქმე 307, ფურც. 54.

142 სცსია,. ფ. 17, საქმე 486.

143 სცსია, ფ. 204, საქმე 654.

144 სცსია, ფ. 17, საქმე 486.

145 სცსია, ფ. 204, საქმე 654.

146 ს. გ უ ლ ი შ ა მ ბ ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38—39.

ლუდის წვრილი საწარმოები 2—3 მუშით 80—90-იან წლებში საქართველოს სხვა ქალაქებშიც ჩნდება (ახალციხეში, ქუთაისში და სხვ.).

ხელოვნური მინერალური და ტკბილი წყლების წარმოებასაც მე-19 ს. მეორე ნახევრის საქართველოში საქალაქო ცხოვრების განვითარებასთან დაკავშირებით ეყრება საფუძველი. 1886 წელს თბილისში ასეთი 11 „ქარხანა" იყო. მუშათა რაოდენობა თითოეულ ამ „ქარხანაში" 2-დან 6-მდე აღწევდა, პროდუქციის ღირებულება კი 2 ათას მანეთიდან 9 ათას მანეთამდე. ამ „ქარხნებში" გამოყენებული იყო შუშხუნა წყლის დამამზადებელი სპეციალური აპარატურა, რომელიც უმთავრესად ხელით მოყავდათ მორძაობაში. ნაწილოდ 2 „ქარხანაში" (ლუდვიგ შპელცერის და ეგორ დოლანოვის) წყლის ძრავაც იყო. პროდუქციის შედარებითი სიდიდის მიხედვით გამოირჩეოდნენ ფრანც მადერის „ქარხანა" (5 მუშით). სადაც 9 ათასი მანეთის ნაწარმი მზადდებოდა და ალექსანდრე აკოპოვის „ქარხანა" (6 მუშით), სადაც 6 ათასი მანეთის ნაწარმი მზადდებოდა[147].

ს. გულიშამბაროვის თანახმად თბილისის გუბერნიაში სულ 14 ასეთი საწარმო იყო 50 მუშით და 40600 მან. პროდუქციით. აქედან 11 თბილისში, 2 გორში და 1 ახალციხეში[148].

გუბერნატორთა ანგარიშების მონაცემებით 80—90-იან წლებში ანალოგიური წვრილი „ქარხნები" (2—4 მუშით) არსებობდა სხვა ქალაქებსა და დაბებში: სიღნაღში, თელავში, ქუთაისში. ბათუმში, ფოთში, სოხუმში, ქუთაისის მაზრაში, შორაპნის მაზრაში, ოზურგეთის მაზრაში და სხვა.

პურის საცხობები, საკონდიტროები და ძეხვეულის საწარმოები

პურის ცხობა ერთ-ერთი ისეთი დარგია, რომელიც ადრიდანვე არსებობდა ხელოსნური წარმოების სახით, მაგრამ საქალაქო ცხოვრების განვითარებასთან დაკავშირებით იგი მალე იღებს წვრილ საქონლო წარმოების ხასიათს. ამის მაჩვენებელია ის, რომ თუ 1866

---

147 სცსია, ფონდი 204, საქმე 654.

148 ს. გ უ ლ ი შ ა მ ბ ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 137.

წელს წვრილი ხელოსნური სახაბაზოების გვერდით თბილისში პურის წვრილი საწარმო რამდენიმე უცხოელ ოსტატს ჰქონდა, 80—90-იან წლებში თბილისსა და სხვა ქალაქებში, იყო მრავალი ასეთი საწარმო, სადაც. როგორც წესი, 2—4 მუშა მუშაობდა. პურის მცხობელებად ამჯერად ძირითადად რაჭველები და სპარსელები იყვნენ. აღსანიშნავია, რომ მე-19 ს. ბოლომდე ჩვენ იშვიათად ვხვდებით პურის შედარებით მსხვილ მექანიკურ საცხობებს. ისინი ერთეულებს შეადგენდნენ. წამყვანი ადგილი პურის წვრილ საწარმოებს ჰქონდით (2—4 მუშით). იშვიათად მათ შორის 5—6 მუშიანი საწარმოც. გამოერეოდა. ჩანს ეს ქართული პურის ცხობის სპეციფიკით აიხსნება, რაც ტექნიკური თვალსაზრისით (პურის თორნეში ცხობა) არ იგუებს კოოპერირებას ფართო მასშტაბით. მაგრამ, ისევე, როგორც სახერხ თუ აგურის წარმოებაში, აქაც ვხვდებით ერთი მეპატრონის ხელში რამოდენიმე საცხობის არსებობის ფაქტებს. მაგ 1888 წლის „გენერალური აღწერის ჟურნალის“ მასალის თანახმად რაჭის მაზრის მცხოვრებ მარკოზ მარდახველიძეს (თუ დარახველიძეს) ერთმანეთის გვერდით ჰქონდა 2 სახაბაზო, თითოეულ მათგანში 4 მუშა მუშაობდა. გვაქვს ანალოგიური სხვა შემთხვევებიც.

1900 წლის ცნობით თბილისში 149 პურის საცხობი წვრილი საწარმო იყო, თითოეული 1000-დან 25 ათასამდე პროდუქციით და 2—8 მუშით. ამ საწარმოთა პროდუქციის ღირებულება სულ 764 ათას მანეთს შეადგენდა, მუშათა რაოდენობა კი 519-ს[149].

*

* *

საკონდიტრო და ძეხვეულის წარმოება ისევე, როგორც ლუდის წარმოება ჩვენში უცხოელი ოსტატების მეშვეობით შემოდის 60-იანი წლებიდან. მაგრამ ამავე დროიდან ამ საქმიანობას ადგილობრივი ხელოსნებიც კიდებდნენ ხელს[150]. 900-იანი წლებისათვის თბილისში არსებობდა რამოდენიმე წვრილი საკონდიტრო საწარმო (სააკიანცის, ხრისტიან როლოვის, აგაიანცის და სხვათა) და ერთი ძეხვის საწარმო (კოვტუნენკოსი). თითოეულ ამ საწარმოში 5—7 მუშა მუშაობდა. პროდუქციის ღირებულება 20 ათასამდე მანეთს უდრიდა[151]. ამ დროისათვის აქვე არსებობდა რამოდენიმე შედარებით მსხვილი საკონდიტრო საწარმოც.

---

149 Сборник статистич. сведений..., Тифл., 1902, გვ. 237.

150 სცსია, ფ. 7, საქმე 2229, ფურც. 80—92.

151 ლენ. ცსია. ფ. 22, აღწ. 2, საქმე 2925; Список фабрик и заводов., СПб., 1903, გვ. 678 — 697.

*
* *

ზემოთ აღნიშნული მასალა, რომელიც საქართველოში გავრცელებულ წვრილი წარმოების ძირითად დარგებს შეეხება. ნათელყოფს, რომ უკვე მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან, გასაკუთრებით კი ამ საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოში მიმდინარეობს წვრილი საქონლური წარმოების შემდგომი განვითარების. წვრილი კაპიტალისტური საწარმოების აღმოცენებისა და ზრდის პროცესი. ამ საწარმოთა უმრავლესობა კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციის ხასიათს ატარებდა. ყურადღებას იქცევს ის გარემოება. რომ წვრილ საწარმოთა დიდ ნაწილში ადგილი ქონდა ოსტატებისა თუ მუშების რაოდენობის დამთხვევას ქურების რაოდენობასთან—ეგურის წარმოებაში, კასრებისა (чаны)—ტყავის წარმოებაში და ქვაბებისა (котлы) — საპნის წარმოებაში ცხადია. ეს იმაზე მიუთითებს. რომ აღნიშნულ საწარმოებში, მუშა-ხელოსნების გარკვეული რაოდენობის თავმოყრის მიუხედავად, მათ შორის შრომის დანაწილებას ფართე მასშტაბით ჯერ არ ჰქონდა ადგილი; წარმოებასთან დაკავშირებულ ყველა ოპერაციას აქ თანმიმდევრულად ერთი და იგივე პირი ასრულებდა. ეს ითქმის წვრილ საწარმოთა უმრავლესობაზე. მაგრამ წვრილი წარმოების ზოგიერთ დარგში. და განსაკუთრებით, ზოგიერთ შედარებით მსხვილ სახელოსნოში უკვე აშკარად შესამჩნევი ხდება შრომის დანაწილების შემოსვლა, რაც ამ საწარმოებს. მუშათა რაოდენობის შედარებითი სიმცირის მიუხედავად. კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციიდან მანუფაქტურაზე გარდამავალ ხასიათს, ხოლო რიგ შემთხვევაში უკვე მანუფაქტურის ხასიათსაც აძლევდა (წვრილი მექანიკური სახარატო და საზეინკლო სახელოსნოები, ეტლების სახელოსნოები და სხვა).

წვრილ კაპიტალისტურ საწარმოთა ნაწილი ხელოსნური წარმოებიდან მომდინარეობდა, წარმოადგენდა სახელოსნოების გამსხვილების შედეგს, მაგრამ გარკვეული ნაწილი სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლების მიერ იყო დაარსებული. წვრილ კაპიტალისტურ საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისის ვაჭრების კუთვნილებას შეადგენდა. მეპატრონეთა შორის იყვნენ. როგორც თბილისის მოქალაქეთა ძველი გვარების წარმომადგენლები, ასევე ასპარეზზე ახლად გამოსული ვაჭრები.

აღსანიშნავია, რომ სახელოსნოების გამსხვილებასთან ერთად შესამჩნევი ხდება თვით ოსტატი-მეპატრონის უშუალოდ შრომის პრო-

ცესში მონაწილეობისაგან თანდათან განთავისუფლება. მაგრამ, წვრილი წარმოების სხვადასხვა დარგში ზედმეტი ღირებულების მასის მინიმალური ოდენობა, ე. ი. მუშათა გარკვეული რიცხვი, რომელიც საჭირო იყო იმისათვის, რათა თვით მეპატრონე ხელით შრომისაგან განთავისუფლებულიყო, სხვადასხვა იყო. ჩვენ მიერ განხილული მასალა მოწმობს, რომ ზოგიერთი დარგის საწარმოები, სადაც მუშათა მეტი რაოდენობა იყო ჩაბმული, ნაკლებ პროდუქციას იძლეოდა, ვიდრე სხვა დარგების შედარებით მცირე მასშტაბის საწარმოები. ეს გარემოება თვით წარმოების ამა თუ იმ დარგის სპეციფიურ პირობებსა და პირველ რიგში წარმოების ტექნიკურ აღჭურვილობაზე იყო დამოკიდებული. ასე, მაგ წარმოების იმ დარგებში. სადაც ადრევე შემოდის ტექნიკური სიახლენი—სხვადასხვა მოწყობილობა და მანქანა-იარაღები, თუნდაც ისინი ხელით ყოფილიყვნენ მოსაყვანი მოძრაობაში, საკმარისი იყო 3—4 მუშის არსებობა. რომ მეპატრონე განთავისუფლებულიყო ხელით შრომისაგან. ასეთ საწარმოთა რიცხვს განეკუთვნებოდნენ ლუდის. მინერალური წყლების, არყისსახდელი საწარმოები, სახერხი „ქარხნები" და სხვა. მეორე მხრით ისეთი დარგების საწარმოებში, სადაც შრომის პროცესი მამაპაპური წესით სრულდებოდა. მიუხედავად მუშათა შედარებით მნიშვნელოვანი რაოდენობისა (8—12 მუშა). წარმოების პატრონს თვითონაც უხდებოდა შრომის განაწილება. ასეთი საწარმოები იყო პურის საცხობები, სახარაზოები. სამკერვალოები და სხვა. ე .ი. ისეთ დარგების საწარმოებში. სადაც ტექნიკური დონე დაბალი იყო, მუშათა რიცხვი მეტი იყო, ხოლო შემოსავალი ნაკლები.

მე-19 ს. საქართველოს წვრილი კაპიტალისტური წარმოება უმეტესწილად დაბალი, პრიმიტიული ტექნიკური დონით ხასიათდება. ამის მაჩვენებელია თუნდაც ის ფაქტი. რომ ცალკეულ წამომწყებთა განკარგულებაში საჭირო კაპიტალის არსებობის პირობებშიც კი, ეს უკანასკნელნი ხშირად კი არ ზრუნავენ წარმოების გაფართოებაზე ტექნიკურ გაუმჯობესებათა დანერგვის გზით, არამედ კმაყოფილდებიან ერთდროულად რამოდენიმე წვრილ საწარმოს ექსპლოატაციით (ერთი და იგივე პირის კუთვნილი რამოდენიმე ავტრის, სახერხი, პურის საცხობი და სხვა წვრილი საწარმოს არსებობა).

აღსანიშნავია აგრეთვე წარმოების ზოგიერთ დარგში (ტყავის, ხაპნის წარმოება) შრომის ორგანიზაციის ძველ ტრადიციებზე დამყარებული ფორმების სტაბილურობა, ამხანაგობების შექმნის გზით

წვრილი კაპიტალის ბრძოლა მსხვილ წარმოებასთან, რომელიც თანდათან იკიდებს ფეხს.

2. მანუფაქტურა

წვრილი კაპიტალისტური წარმოების განხილვისას ჩვენ დავინახეთ, რომ განვითარების ტენდენციას არამცთუ კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციის ტიპის საწარმოების, არამედ ხშირ შემთხვევაში მანუფაქტურულ საწარმოთა აღმოცენებამდე მივყევართ. მაგრამ ამ უკანასკნელთა გამოყოფა წვრილ კაპიტალისტურ წარმოებიდან მათი შედარებით მცირე მასშტაბების გამო ხშირად ძნელდება. მეორე მხრით, გვაქვს მთელი რიგი საწარმოებისა, სადაც ხელით შრომასთან ერთად თავიდანვე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ძანქანების გამოყენება. ეს უმთავრესად ისეთ საწარმოებს ეხება, რომელნიც არსდება ადგილობრივი თუ უცხოელი ვაჭარ-კაპიტალისტების მიერ საზღვარგარეთისა თუ რუსეთის წარმოების მიხედვით, შემოტანილი ხელსაწყო-იარაღებისა თუ მანქანების გამოყენებით. და ხშირ შემთხვევაში. იქიდანვე ჩამოყვანილი სპეციალისტების მეშვეობით. თავდაპირველად ასეთ საწარმოებშიც ხელით შრომა იყო გაბატონებული, მას იყენებდნენ თვით მანქანების მოძრაობაში მოსაყვანადაც კი (მაგ. აბრეშუმის ამოხვევა და დართვა), თუმცა ამავე მიზნით ზოგ შემთხვევაში გამოყენებული იყო წყლისა თუ პირუტყვის (ცხენი, ხარი) ძალაც. მართალია აღნიშნული გარემოება. კერძოდ მანქანების არსებობა და განსაკუთრებით მათი მოძრაობაში მექანიკური საშუალებით მოყვანა. განასხვავებს ასეთ წარმოებას ხელით შრომაზე დამყარებულ მანუფაქტურისაგან. მაგრამ მეორე მხრით ძნელდება მათი მიკუთვნება მსხვილი მანქანური წარმოებისადმი, რადგან, როგორც კ. მარქსი აღნიშნავს „...ცალკეული მანქანა ჩია მანქანათ რჩება, სანამ მას მხოლოდ ადამიანი ამოძრავებს...“, ხოლო „...მანქანების სისტემა ვერ განვითარდებოდა თავისუფლად,სანამ წინათ ხმარებული მამოძრავებელი ' ძალის—ცხოველის, ქარის და წყლისაც კი—ადგილ ორთქლის მანქანამ არ დაიპყრა...“[1] მანქანების სისტემა კი მსხვილი, ე. ი. ფაბრიკული წარმოების არსებითი ნიშანია.

აღნიშნულის გამო იმ საწარმოებს, სადაც უკვე ვხვდებით მექანიკური წარმოების ელემენტებს, მაგრამ ჯერ კიდევ ხელით შრომა.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, 1, გვ. 484.

იყო გაბატონებული, ტექნიკური თვალსაზრისით განვიხილავთ როგორც შუალედ რგოლს მანუფაქტურასა და მანქანურ წარმოებას შორის, ხოლო სოციალურად კვლავ მანუფაქტურას მივაკუთვნებთ, რადგანაც აქ ჯერ კიდევ ვხვდებით „პატრიარქალური ურთიერთობისა და პირადი დამოკიდებულების სხვადასხვგვარი ფორმების ნაშთებს ..“[2], რაც წვრილი სარეწებისა და მანუფაქტურისათვის არის დამახასიათებელი მსხვილი მანქანური წარმოებისაგან განსხვავებით. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რა შედეგებამდე მიგვიყვანა მანქანური წარმოების საწყისებმა ამა თუ იმ დარგში. შესაძლო მან გზის გაკაფვა, თუ მანქანების სპორადული გამოყენებით შეიზოფარგლა, ჩანასახშივე ჩაკვდა თუ მანქანურ წარმოებაში გადაიზარდა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. მანქანურ წარმოებას განეკუთვნება მხოლოდ ის დარგი, სადაც გვაქვს „სრული ტექნიკური გადატრიალება და მანქანური წარმოების წესების უაღრესად ჩქარი პროგრესი...“; „მხოლოდ მსხვილი მანქანური ინდუსტრია ახდენს რადიკალურ ცვლილებებს. აძევებს ხელით მუშაობის ოსტატობას, გარდაქმნის წარმოებას ახალ რაციონალურ საფუძველზე...“[3].

* * *

მანუფაქტურული წარმოების ჩანასახებს საქართველოში მკვლევარნი უკვე მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ხედავენ. მაგრამ ასეთ საწარმოებზე საუბრისას ჩვეულებრივ მიუთითებენ ერეკლე II-ის დროს დაარსებულ სტამბაზე, ზარაფხანაზე, თოფის წამლის „ქარხანაზე“, და სხვა. ამავე დროს უკანასკნელ ხანებამდე ნაკლები ყურადღება ეთმობოდა დამმუშავებელი წარმოების ისეთ მნიშვნელოვან დარგს, როგორიცაა ფეიქრობა, სადაც წარმოების მასშტაბებისა და სხვა ნიშნების (სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობა ამ წარმოებაში, მათ მიერ უშუალო მწარმოებლების—ხელოსნების თუ სოფლის „შინამრეწველების“ დამორჩილება და სხვა) მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ უკვე მე-18 ს. მეორე ნახევარსა და მე-19 ს. დასაწყისში ადგილი ჰქონდა დაქსაქსული მანუფაქტურის ჩანასახებს[4]. ფეიქრობასთანვე არის დაკავშირებული სამღებრო საქმის განვითარება აღებულ ხანაში. განსაკუთ-

---

[2] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 647.

[3] იქვე, გვ. 644.

[4] მ. ს ა მ ს ო ნ ა ძ ე, მანუფაქტურის ჩასახვის საკითხისათვის თბილისის ბამბეულის წარმოებაში, „მაცნე“, № 6, 1964, გვ. 135—145.

რებით საყურადღებოა ამ საქმის კაპიტალისტურ წესზე მოწყობა, კერძოდ სამღებროების ვაჭარ-მოიჯარადრეების ხელში მოქცევა[5].

შედარებით მსხვილი სამღებრო, რომელიც აშკარად კაპიტალისტური მანუფაქტურის ხასიათს ატარებდა, 40-იან წლებში იყო აღა ყორჩიბაშევის სამღებრო, რომელშიც დაქირავებული 7 ოსტატი, 12 ქარგალი და 14 მუშა მუშაობდა. ამ სამღებროში 1847 წლის ივლისიდან წლის ბოლომდე შეუღებიათ ათასამდე არშინი ხამი და 9 ფუთამდე ნართი[6].

ფეიქრობა საქართველოში წარმოადგენდა ერთ-ერთ ისეთ დარგს, სადაც მსხვილი წარმოება წვრილი წარმოებიდან კი არ ვითარდება ხელოსნობისა თუ ოჯახური წარმოების მანუფაქტურაში გადაზრდის გზით, არამედ აქ ადგილი აქვს ვაჭარ-მეწარმეთა მიერ შედარებით მსხვილი კაპიტალისტური საწარმოების დაარსებას რუსეთიდან თუ უცხოეთიდან შემოტანილი მანქანა-იარაღებისა და იქიდანვე ძოყვანილი სპეციალისტების მეშვეობით. ასეთი საწარმო იყო 30-იანი წლების მიწურულში, კერძოდ 1837 წლიდან თელავში ვაჭარ შაავერდოვის მიერ დაარსებული ბამბის ძაფსახვევი „ფაბრიკა", რომელმაც მხოლოდ 1840 წლამდე იარსება. ეს საწარმო ᲨᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ იყო ორსართულიანი ქვიტკირის შენობაში. აქ უკვე მოსკოვიდან ჩამოტანილი მანქანებიც იყო გამოყენებული (სართავი და სხვა დაზგები), რომელნიც მოძრაობაში ხარების საშუალებით მოჰყავდათ. წარმოებას უძღვებოდა 4 დახელოვნებული ოსტატი. ისინიც რუსეთიდან იყვნენ ჩამოყვანილი. აქვე მუშაობდა 25 მუშა. დღეღამის განმავლობაში „ფაბრიკაში" მზადდებოდა 4 ფუთამდე ნართი. ბამბას წარმოებისათვის ამიერკავკასიის სხვადასხვა პროვინციებში ყიდულობდნენ. ხოლო ნართი მოსკოვში გაჰქონდათ გასაყიდად.

საწარმოში სართავი და სხვა მანქანების არსებობის მიუხედავად, რომელთა რიცხვი სულ 12-ს შეადგენდა და მანქანების ასამოძრავებლად ხარების გამოყენებისა, ჩანს, ფართოდ იყო გამოყენებული ხელით შრომაც, ხოლო ოსტატების დასპეციალება გადამჭრელი მნიშვნელობისაც კი აღმოჩნდა ფაბრიკის მუშაობაში. მათმა წასვლამ წარმოების ჩაშლა განაპირობა.

---

[5] ნ. ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში. მასალები საქ. და კავკ. ისტ., ნაკვ. 6. თბ., 1937, გვ. 438, 441. ე. ᲮᲝᲨᲢᲐᲠᲘᲐ, დასახ. ნაშრ., გვ. 158.

[6] სცსია, ფონდი 16, საქმე 6351, ფურც. 26—27.

ფაბრიკის დახურვის მიზეზი სწორედ ოსტატების რუსეთში დაბრუნება იყო. ადგილობრივ კი საქმის მცოდნე ხელოსნები, რომლებიც გაუძღვებოდნენ წარმოებას. შავერდოვმა ვერ იშოვა[7].

ერთ-ერთი დარგი, სადაც ადრევე ჩნდება შედარებით მსხვილი კაპიტალისტური საწარმოები. იყო აბრეშუმის წარმოება. ასეთი საწარმო იყო მაგ. უცხოელი ვაჭრის კასტელას მიერ ხაზინის დახმარებით დაარსებული აბრეშუმსახვევი და საძახავი „ფაბრიკა" თბილისში, რომელიც 1828 წლიდან ამოქმედდა[8]. 1829 წლიდან, კასტელას სიკვდილის შემდეგ, აღნიშნული საწარმო ხაზინას გადაეცა. „ფაბრიკაში" ორი განყოფილება იყო: აბრეშუმის ამოსახვევი და საძახავი. 1840 წლის აღწერის თანახმად ამოსახვევ განყოფილებაში იყო 24 ამოსახვევი დაზგა და 24 სპილენძის ქვაბი პარკის მოსახარშად. საძახავ განყოფილებაში კი 5 საძახავი დაზგა და სხვა მოწყობილობა. ფაბრიკის მოწყობილობა თავდაპირველად . საფრანგეთიდან იყო გამოწერილი კასტელას მიერ. „ფაბრიკა" ამიერკავკასიის პროვინციებიდან მოტანილ ნედლეულზე მუშაობდა. 1834—1837 წლებში თვეში იგი იძლეოდა 4—6 ფუთამდე აბრეშუმს, რომელიც ნაწილობრივ ადგილზევე იყიდებოდა. ზოგჯერ კი მოსკოვში მიქონდათ გასაყიდად.

ფაბრიკაში თავიდანვე ერთი ფრანგი ოსტატი და 2 ფრანგი მაღალკვალიფიცირებული მუშა ქალი მუშაობდა, რომელნიც კასტელამ საფრანგეთიდან ჩამოიყვანა; რაც შეეხება მუშათა ძირითად კონტინგენტს, მასში წამყვანი ადგილი დაქირავებულ მუშებს ეჭირათ. რომელთა რიცხვი სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო (6-დან 50-მდე მერყეობდა). საშუალოდ კი დაქირავებული მუშათა რაოდენობა აქ 15—20-ს შეადგენდა. იყო პეროიოდები, როდესაც „ფაბრი-

---

აცსია, ფონდი 16, საქმე 6105, ფურც. 12, 41—42. საქმე 6351, ფურც 2. იხ. აგრეთვე: ე. ხოშტარია, დასახ. ნაშრ., გვ. 168—169, დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 171—172; გ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

[8] კასტელის ფაბრიკის დაარსებისა და შემდგომი ბედის შესახებ იხილე: ბ. გუგუშვილი. მანუფაქტურული წარმოების ისტორიისათვის ამიერკავკასიაში. მას. საქ. და კავკ. ისტ., 1938 წ., ნაკ. III, თბ., 1939 წ., გვ. 9—29. მისივე **Развитие промышленности...**, გვ. 248—266. გ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 131—136. ე. ხოშტარია, დასახ. ნაშრ. გვ. 171—175, დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 106—122.

კაში" დიდი რაოდენობით გამოიყენებოდა იძულებითი შრომაც სამხედრო ტყვეებისა (თურქების) თუ პატიმარ ქალების სახით. მაგრამ ეს უკანასკნელნი უმთავრესად დამხმარე სამუშაოებს ასრულებდნენ (მანქანებისა თუ დაზგების მოძრაობაში მოყვანა. აბრეშუმის პარკის დახარისხება და სხვა). აქ იყო ცალკეულ პირთა ყმების შრომის გამოყენების შემთხვევებიც. მაგრამ ამას ფართო ხასიათი არ ჰქონდა. ძირითადი სამუშაოები — აბრეშუმის ამოხვევა და ძახვა, როგორც წესი, დაქირავებული მუშების შეძწეობით ხდებოდა, რომელნიც წლების მანძილზე დაეუფლნენ ამ საქმეს და უძღვებოდნენ მას ფრანგი სპეციალისტების დახმარების გარეშეც.

მაგრამ, როგორც ირკვევა, საბოლოო ჯამში აბრეშუმის „ფაბრიკა" ხაზინისათვის წამგებიანი აღმოჩნდა. მისი შემოსავალი მეტწილად ვერ ფარავდა ხარჯებს. ხაზინამ ვერ გაართვა საქმეს თავი. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც „ფაბრიკა" ნედლეულის უქონლობის გამო თვეების განმავლობაში გაჩერებული იყო. არანაკლებ საზარალო იყო ამიერკავკასიის პროვინციებიდან მოტანილი ნედლეულის დაბალი ხარისხი. საქმის მოგვარება საბოლოოდ ვერ მოხერხდა და 40-იანი წლების დასაწყისში წარმოება დაიხურა კიდეც.

როგორც ირკვევა, „ფაბრიკაში" ფართოდ იყო გამოყენებული ხელით შრომა. მართალია აქ უკვე მანქანების გამოყენებას ჰქონდა ადგილი. მაგრამ თვით ეს მანქანებიც დიდი ხნის განმავლობაში ხელით მოყავდათ მოძრაობაში[9].

50—60-იან წლებში დასავლეთ საქართველოში. კერძოდ მეაბრეშუმეობის რაიონებში (სამეგრელოსა და იმერეთში) არსებობდა არა ერთი აბრეშუმის ამოსახვევი „ფაბრიკა": რაზმორდიუკის — ზუგდიდში (დაარსდა 1847 წ.), ჩიჯავაძის — სოფ. საბეკში (დაარსდა 50-იანი წლების დასაწყისში), რაიკოსი (დაარსდა 50-იანი წლების დასაწყისში), ვირიანცის (დაარსდა 1858 წ). და გოხშტრაზირის (დაარსდა 60-იანი წლების დასაწყისში)—ცხენისწყლის შესართავთან, ორპირსა თუ მარანში; დეფურის—ქუთაისში (დაარსდა 1858 წ.), სიჭინავასი—ლესიჭინეში (დაარსდა 1860 წელს) და სხვები[10].

---

[9] მ. სამსონაძემ მიაქცია ყურადღება წყაროების მონაცემებს, რომელნიც ამ „ფაბრიკაში" ცხენის ძალის გამოყენებისა და ცენტრალურ ამძრავის არსებობაზე მიუთითებენ. ჩანს, ამ საწარმოში თანდათან შემოდის ტექნიკური გაუმჯობესებები მექანიკური ძრავის სახით. (იხ. მ. სამსონაძე, თბილისის სამრეწველო განვითარება მე-19 ს. რეფორმამდელ ხანაში, სადისერტაციო ნაშრომი, 1964 წ.).

[10] იხილე: П. Гугушвили, Развитие промышленности..., გვ. 266—272; გ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 138—142; ე. ხოშტარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 175—176, დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 124—131.

აღნიშნული „ფაბრიკებიდან“ უმნიშვნელოვანესი იყვნენ როზმორდიუკისა და გოხშტრაზერის. ამ საწარმოებში უკვე ორთქლის მანქანის არსებობაა დადასტურებული. ამოსახვევი დაზგები თუ სხვა მოწყობილობა უცხოეთიდან, კერძოდ საფრანგეთიდან და იტალიიდან იყო ჩამოტანილი. წარმოებას აგრეთვე უცხოელი სპეციალისტები—ოსტატი ქალები უძღვებოდნენ, მუშახელად კი ადგილობრივი ახალგაზრდა გოგონები იყვნენ გამოყენებულნი. როზმორდიუკთან 1860 წლისათვის 30 ახალგაზრდა ქალი მუშაობდა. „ფაბრიკის“ პროდუქცია 30 ფუთ აბრეშუმს შეადგენდა. რომლის ღირებულება 6300 მანეთს უდრიდა[11]. ჩვენ არ გვაქვს ცნობა თუ რამდენი მუშა მუშაობდა გოხშტრაზერის „ფაბრიკაში“, ან რას უდრიდა ამ საწარმოს პროდუქცია, მაგრამ აღნიშნული „ფაბრიკა“ თავის დროისათვის მხარეში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამრეწველო წამოწყებად ითვლებოდა. 1860 წელსვე ვირიანცის „ფაბრიკის“ (ცხენისწყლის შესართავთან) პროდუქცია 4210 მან. ღირებულების 20 ფუთ აბრეშუმს შეადგენდა[12].

აბრეშუმის „ფაბრიკების“ ნაწარმი გადიოდა რუსეთსა და უცხოეთში (კონსტანტინოპოლში. საფრანგეთში). სადაც დიდი მოწონებით სარგებლობდა.

მართალია გოხშტრაზერის „ფაბრიკა“ მოწყობილობის თვალსაზრისით სავსებით შეეფარდებოდა თავისი დროის ტექნიკურ დონეს, მაგრამ, როგორც მისი აღწერილობიდან ჩანს[13], აქ ჯერ კიდევ დიდი როლი ენიჭებოდა ხელით წრომას, ახალგაზრდა გოგონების დახელოვნებას აბრეშუმის პარკის ამოხვევის საქმეში. რომელთაც „ნაზი თითები“ აშკარა უპირატესობას აძლევდნენ ქალებსა თუ მამაკაცებთან შედარებით.

დიდი როლი შეასრულეს აღნიშნულმა აბრეშუმის „ფაბრიკებმა“ მხარეში ქალის შრომისადმი პატრიარქალური დამოკიდებულების რღვევის საქმეშიც, თუმცა მუშათა ნამდვილი ჯადრების ჩამოყალიბებამდე ჯერ კიდევ შორს იყო. ნიშანდობლივია ამ მხრივ „გუთნის დედის“ მიმომხილველის მითითება იმაზე, რომ ახალგაზრდა გოგოები მუშაობდნენ გოხშტრაზერის „ფაბრიკაში“ გათხოვებამდე, ხოლო შემდეგ სახლში იყენებდნენ იმ გამოცდილებას, რომელიც „ფაბრიკაში“ მუშაობის დროს შეიძინეს.

60-იანი წლების შუახანებში შეწყვეტილი აბრეშუმის „ფაბრიკული“ წესით ამოხვევა დასავლეთ საქართველოში განახლდა 70-

---

[11] სცსია, ფონდი 10, საქმე 496, ფურც. 85, 86.

[12] იქვე.

[13] გაზეთი „გუთნის დედა“, 1862, № 2.

იანი წლებიდან და მეტ-ნაკლები მასშტაბით განაგრძობდა არსებობას მომდევნო პერიოდშიც.

როგორც დავიხახეთ დასახელებული საწარმოები არ წარმოადგენდნენ „ფაბრიკებს“ ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით და თავისი ხასიათით მანუფაქტურიდან ფაბრიკულ წარმოებაზე გარდამავალ საფეხურს უფრო განეკუთვნებოდნენ.

როგორც ირკვევა, აბრეშუმის ფაბრიკულ წარმოებას ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით არც მე-19 საუკუნის 70—90-იან წლებში ვხვდებით, თუმცა ამ წარმოებაში ზოგიერთ შემთხვევაში ორთქლის ძრავას გამოყენებასაც ჰქონდა ადგილი. ასეთი საწარმო იყო, მაგალითად, ზუგდიდის მაზრის სოფ. ლესიჭინეში ვაჭარ ბორის სიჭინავას მიერ 1872 წელს დაარსებულ აბრეშუმის ამოსახვევი საწარმო, სადაც 1885 წლის უწყისის თანახმად 66 მუშა მუშაობდა (60 ქალი და 6 მამაკაცი). საწარმოს ჰქონდა 8 ორთქლის ქვაბი, ერთი 4 ცხ. ძალის ორთქლის მანქანა, 32 დაზგა და 32 თითისტარი. საწარმოს 1885 წლის მანძილზე გადაუმუშავებია 400 ფუთი აბრეშუმის პარკი. სულ დაამზადეს 3 ათასი მანეთის ღირებულების 100 ფუთი ყაჭი და ამოახვიეს 30 ფუთი აბრეშუმი 7200 მან. ღირებულების. ე. ი. საწარმოს პროდუქციის ღირებულება სულ შეადგენდა 10200 მანეთს. საწარმო მოქმედებდა მხოლოდ 15 მაისიდან 15 ოქტომბრამდე[14]. გ. ბაქრაძე, აღნიშნულ საწარმოს, იმ ნიშნის მიხედვით, რომ აქ გვხვდება 4 ცხენისძალიანი ორთქლის მანქანა, ფაბრიკად თვლის[15], მაგრამ თუ გავითვალისწინებთ საწარმოს მცირე პროდუქციას, წლიურად მისი მუშაობის ხანმოკლე პერიოდს და აგრეთვე იმას, რომ საწარმომ იარსება მხოლოდ რამდენიმე წელი, ამ დარგის ფაბრიკული წარმოებისადმი მიკუთვნება საეჭვოდ მიგვაჩნია.

მართალია წარმოების მასშტაბი გაცილებით უფრო ფართო იყო სანაძის მიერ ხონში 90-იან წლების შუახანებში დაარსებული აბრეშუმსახვევი საწარმოსი, სადაც 1899 წელს 120 მუშა მუშაობდა, გადაამუშავეს 1530 ფუთი აბრეშუმის პარკი, და დამზადდა 70 ათასი მან. ღირებულების 300 ფუთი ნართი[16], მაგრამ ჩვენ არ გვაქვს პირდაპირი მონაცემები იმისათვის, რომ აღნიშნული წარმოება ფაბრიკად მივიჩნიოთ.

აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ თელავთან (სოფ. კურდღელაურში) 1900 წელს ანიევის მიერ დაარსდა აბრეშუმის სახვევი და სართავი საწარმო, სადაც 46 მუშა მუშაობდა, ხოლო პროდუქციის

---

[14] ლენ. ცსია, ფონდი 20, აღწ. 12, საქმე 100.

[15] გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 140.

[16] იქვე, გვ. 141—142.

ღირებულება 23—26 ათას მანეთს შეადგენდა[17]. 1901 წლიდან უწყისით აქ უკვე 65 მუშა მუშაობდა, პროდუქციის ღირებულება 33 ათას მანეთს აღწევდა. საწარმოს ჰქონდა ერთი ორთქლის ქვაბი. მაგრამ ძრავაზე ამ საწარმოშიც მითითება არა გვაქვს[18].

გნედიჩით ქუთაისის გუბერნიაში აბრეშუმის ამოსახვევი 3 საწარმო იყო 159 მუშით და 100 ათასი მან. პროდუქციით[19]. 900-იანი წლების დასაწყისში თელავში იხსნება ძმების სორიეევების საწარმო 51 მუშით და 20 ათასი მან. პროდუქციით[20], ხოლო დასავლეთ საქართველოში—სამტრედიაში ილინის მსხვილი საწარმო. რომელნიც ნამდვილად ფაბრიკულ საწარმოებად იქცა[21].

დამმუშავებელი მრეწველობის ერთ-ერთი დარგი. რომელსაც შედარებით ფართო მასშტაბით მე-19 ს. პირველ ნახევარში ეყრებოდა საფუძვლი, იყო მინის წარმოება. ასეთი წარმოების დაარსების ცდა ქსნის ხეობაში ჯერ კიდევ 20-იან წლებში ეკუთვნოდა თავად ერისთავს, მაგრამ, ჩანს, იგი ვერ განხორციელდა. მინის ჭურჭელზე მოთხოვნილების ზრდასთან დაკავშირებით ადგილობრივ ხელისუფლების ინიციატივით 20-იანი წლების მიწურულს მინის ჭურჭლის წარმოების დასანერგად პეტერბურგიდან მოიწვიეს მინის წარმოების სპეციალისტი ივანე ლევაშოვი, რომელიც საბოლოოდ ამ საქმისათვის გამოიყენა ზავილეისკიმ. უკანასკნელმა 30-იანი წლების დასაწყისში მინის „ქარხანა" მოაწყო ბორჯომის ხეობაში, ხოლო შემდეგ იგი გადაიტანა აწყურის მახლობლად. მინის სადნობი ქურა პეტერბურგიდან იყო ჩამოტანილი. მოიწვიეს აგრეთვე 3 უცხოელი სპეციალისტი. „ქარხანაში" 16 რუსი დაქირავებული მუშა მუშაობდა. „ქარხანამ" ფაქტიურად მუშაობა დაიწყო 1839 წელს და იმუშავა მხოლოდ 4 თვის განმავლობაში. ამ პერიოდში დამზადდა 20 ათასი მანეთის ღირებულების 42 ათასი ცალი მინის სხვადასხვა ჭურჭელი. სათანადო ნედლეულის უქონლობის გამო „ქარხანამ" 1840 წლისათვის შეწყვიტა მუშაობა [22].

---

17 Список фабрик и заводов.., Спб., 1903, გვ. 3.
18 ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 2. საქმე 2926.
19 ლენ. ცსია, ფონდი 23, აღწ. 17, საქმე 738, ფურც. 70—71.
20 უკრაინის ცსია ხარკოვის ფილიალი, ფონდი 834, საქმე 402, ფურც. 13.
21 გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 141.
22 სცსია, ფონდი 16, საქმე 6105, ფურც. 16—17.

ამის შემდეგ, 40-იანი წლების დასაწყისიდან ამოქმედდა ელიზბარ ერისთავის მინის „ქარხანა“ გორის მაზრის სოფ. ღვარებში[23]; „ქარხანა“ მინის ნაწარმით (ფანჯრის მინა, ბოთლები, საათთიაქო ჭურჭელი და სხვა) ამარაგებდა მთელ კავკასიას. 1847 წლის უწყისით „ქარხანაში“ მზადდებოდა 7500 მანეთის ღირებულების 5 ათასი ცალი მინის სხვადასხვა ნაწარმი. აქ ამ დროს 2 ოსტატი (უცხოელები) და 21 მუშა მუშაობდა[24]. დამხმარე სამუშაოებზე გამოყენებული იყო ერისთავის ყმების შრომა. 1865 წლისათვის „ქარხნის“ პროდუქციის ღირებულება 15 ათას მანეთამდე აღწევს, საწარმოში ამ დროისათვის 110 მუშა მუშაობდა[25]. ჩანს აქ დამხმარე სამუშაოებში ჩაბმული მუშებიც იგულისხმებიან. საკუთრივ წარმოებაში 30 მუშა უნდა ყოფილიყო ჩაბმული, რომელთაც უჩვენებს ამავე დროს სხვა წყარო[26]. ერისთავების მინის „ქარხანამ“ 70-იან წლებში შეწყვიტა არსებობა. რის მიზეზიც წარმოების სიძნელეები და რუსეთიდან მინის ნაწარმის შემოტანის ზრდა უნდა იყოს, რომელსაც სათანადო კონკურენციას ვერ უწევდა შედარებით დაბალ ტექნიკურ საფუძველზე მოწყობილი ერისთავების საწარმო. როგორც დადგენილია, ერისთავების მინის „ქარხანა“ წარმოადგენდა მანუფაქტურული ტიპის საწარმოს, სადაც თავდაპირველად ადგილი ჰქონდა ბატონყმური წარმოების კაპიტალისტურ წარმოებასთან შეერთებას (დაქირავებულ შრომასთან ერთად ყმების შრომის გამოყენება), ხოლო ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ იგი უკვე კაპიტალისტური მანუფაქტურის სახეს იღებს.

ერისთავების მინის „ქარხნის“ დახურვის შემდეგ, 80-იანი წლებიდან საქართველოში არსდება ახალ ტექნიკურ საფუძველზე მოწყობილი მინის ქარხნები.

*

* *

გარდა აღნიშნულისა საქართველოში, უპირატესად თბილისში და მის მიდამოებში, მე-19 ს. პირველ ნახევარში არსებობდა მთელი

---

[23] ერისთავების მინის „ქარხნის“ და საერთოდ მინის წარმოების შესახებ საქართველოში მე-19 ს. პირველ ნახევარში იხილე: პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, მანუფაქტურული წარმოების ისტორიისათვის ამიერკავკასიაში. მას. საქ. და კავკ. ისტ., 1938, ნაკვ. III, თბ., 1939 წ., გვ. 30—38. მისივე: **Развитие промышленности...**, გვ. 275—283: ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 167—168, დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 151—165.

[24] სცსია, ფონდი 4, საქმე 125, ფურც. 26—29.

[25] სცსია, ფონდი 414, საქმე 18, ფურც. 11—12.

[26] **Сведения о фабриках и заводах действовавших в 1865 г. СПб., 1867, გვ. 21,** ლენ. ცსია, ფონდი 18, აღწ. 2, საქმე 1770, ფურც. 391.

რიგი კაპიტალისტური საწარმოები, რომელთაც დიდხანს ვერ გაძლეს და ადრევე შეწყვიტეს არსებობა. ასეთი საწარმო იყო მაგ. მე იცნერის მაუდის „ფაბრიკა“ სოფ. დრეში (თბილისის მახლობლად), რომელიც დაარსდა ვორონცოვის ხელის შეწყობით, ძირითადად კავკასიის ჯარის ნაწილების მაუდით მომარაგების მიზნით. მაგრამ იმის გამო, რომ მას რუსეთის მაუდის მრეწველობისათვის ხელი არ შეეშალა, მთავრობამ უარი განაცხადა როგორც ფაბრიკისათვის სათანადო თანხების გამოყოფაზე, ისე სახაზინო დაკვეთის მიცემაზე „ფაბრიკამ“ იარსება მხოლოდ 1853 წლიდან 1860 წლამდე. 1856 წლიდან იგი კონტრაქტით ჰქონდა აღებული ფრანგ რიშონიეს, მაგრამ მანაც ვერ უზრუნველყო „ფაბრიკის“ წარმატებით მუშაობა.

„ფაბრიკაში“ მოსკოვიდან ჩამოტანილი მოწყობილობა იდგა. მუშებიც რუსეთიდან იყვნენ ჩამოყვანილი. მექანიკური დაზგები, რომელნიც აქ ხელის დაზგებთან ერთად იყო, მოძრაობაში წყლის ძალით მოჰყავდათ[27].

მე-19 ს. პირველ ნახევარში საქართველოში არსებული შედარებით მსხვილი სამრეწველო საწარმო იყო ანდრეევსკის ტყავის „ქარხანა“ სოფ. დრეში. ამ „ქარხნის“ პროდუქციის ღირებულება 1847 წელს 16500 მანეთს შეადგენდა. აქ ამ დროს 1 ოსტატი და 16 მუშა მუშაობდა. „ქარხანაში“ იყო მანქანა, რომელიც მოძრაობაში ცხენის საშუალებით მოჰყავდათ[28].

აქვეა აღსანიშნავი აგრეთვე ეგორ ლორის-მელიქოვის საპნის „ქარხანა“ (დაარსდა 1834 წელს) და სტეფანე მეღვინოვის ასეთივე „ქარხანა“ (დაარსდა 1841 წელს). პირველში 1 ოსტატი და 18 მუშა მუშაობდა. საწარმოს პროდუქციის ღირებულება 5400 მან. შეადგენდა, მეორეში კი 1 ოსტატი და 10 მუშა მუშაობდა, პროდუქციის ღირებულება 2925 მან. უდრიდა. აღნიშნული საწარმოები მხოლოდ აპრილიდან ოქტომბრამდე მუშაობდნენ. მათი პროდუქცია მთელ ამიერკავკასიაში ვრცელდებოდა[29]. 1847 წლის ცნობით თბილისის 2 საპნის „ქარხნის“ პროდუქციის ღირებულება 16600 მანეთამდე აღ-

---

[27] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, მანუფაქტურული წარმოების ისტორიისათვის ამიერკავკასიაში, მას. საქ. და კავკ. ისტ., 1838, ნაკ. III, თბ., 1939, გვ. 40—44; მ ი ს ი ვ ე: Развитие промышленности..., გვ. 273—274; დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 175—178.

[28] სცსია, ფონდი 4, საქმე 125, ფურც. 26—29.

[29] სცსია, ფონდი 16, საქმე 6351, ფურც. 27—28.

წევდა. აქ ამ დროს 35 მუშა მუშაობდა[30]. 40-იან წლების მიწურულს თბილისში არსდება ხატისოვების საპნისა და სტეარინის სანთლის „ქარხანა", რომელიც გამოირჩევა მაღალი ხარისხის პროდუქციით[31]. 60-იან წლებში თბილისში საპნის და სანთლის საწარმოთა რაოდენობა იზრდება, მაგრამ მათგან ძნელდება შედარებით მსხვილი საწარმოების გამოყოფა, ხოლო 70-იანი წლებიდან საპნისა და სანთლის ფაბრიკული წარმოება აღმოცენდება, რომელიც გამოდევნის მანუფაქტურული ხასიათის წარმოებას.

* * *

ერთ-ერთი შედარებით მსხვილი კაპიტალისტური საწარმო, რომელიც მე-19 ს. პირველ ნახევარში არსებობდა, იყო ზუბალაშვილის, ტერ-გუკასოვის და თამამშევის შაქრის „ქარხანა" თბილისში.

დასახელებულმა პირებმა 1837 წელს მიიღეს მთავრობისაგან შაქრის ფხვნილის უცხოეთიდან შეღავათიან პირობებში შემოტანის უფლება, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ პირველი 3 წლის განმავლობაში მათ უნდა შემოეტანათ 120 ათასი ფუთი ფხვნილი უბაჟოდ, ხოლო შემდეგი 3 წლის განმავლობაში იგივე რაოდენობის ფხვნილის შემოტანისას უნდა გადაეხადათ არსებული ბაჟის ნახევარი[32]. შაქრის ფხვნილისაგან ქარხანაში რაფინადი უნდა დაემზადებინათ. ამასთანავე, კომპანიის ამოცანას შეადგენდა ამიერკავკასიაში შაქრის ლერწმის პლანტაციების გაშენება. კომპანიისათვის შაქრის ფხვნილის შემოტანაზე შეღავათის მიცემისას მთავრობა იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, რომ ამ ფხვნილის გადამუშავების გზით დაგროვებული სახსრები მოხმარდებოდა შაქრის ლერწმის გაშენების საქმეს[33]. მიწები პლანტაციებისათვის შეარჩიეს იმერეთში. თალიშის სახანოში და ბორჩალოში, მაგრამ აღნიშნულ ადგილებში ვარგისი მიწა ადგილობრივ მოსახლეობას ჰირდებოდა, ხოლო თავისუფალი ადგილები უწყლობისა და სხვა მიზეზების გამო უვარგისი აღმოჩნდა დანიშნული მიზნისათვის[34]. საბოლოო ანგარიშში კომპანიამ ვერ შეს-

---

[30] სცსია, ფონდი 4, საქმე 125, ფურც. 26—29.

[31] დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 167—168.

[32] სცსია, ფ. 4. საქმე 124, ფურც. 1—3.

[33] სცსია, ფ. 2, საქმე 1837, ფურც. 114.

[34] იქვე, ფურც. 114, 120.

ძლო ლერწმის გაშენება. დიდხანს არ გაგრძელებულა შაქრის ფხვნილის გადამუშავებაც. 1843 წლამდე შემოზიდულ იქნა 60 ათას ფუთამდე ფხვნილი[35]. საბოლოო ანგარიშში კომპანიამ ვერ შესძლო ლერწმის გაშენება. ფხვნილის გადამუშავება წარმოებდა კომპანიის მიერ აგებულ ქარხანაში, რომელიც წარმოადგენდა სამსართულიან ქვიტკირის კაპიტალურ ნაგებობას. ქარხნის შენობა ააგეს 1838 წელს. ფხვნილის გადამუშავება დაიწყო 1839 წლიდან. 1841 წლის ცნობით აქ ამ წლის განმავლობაში დამზადდა 13 ათასი ფუთი რაფინადი, 6 ათასი ფუთი „ბელუსი", 100 ფუთი ყინვარ-შაქარი და 2 ათასი ფუთი ბადაგი. ქარხნის პროდუქციის ღირებულება 1841 წელს სულ შეადგენდა 186600 მანეთს. ქარხანაში ამ დროს მუშაობდა 1 ოსტატი და 1 უცხოელი ქარგალი, 10 ზედამხედველი და ნოქარი, მათ შორის 3 რუსი და 7 ადგილობრივი მცხოვრები და 50 დაქირავებული მუშა, აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებთაგან[36].

როგორც ჩანს 40-იანი წლების დასაწყისში „ქარხანა" მაქსიმალური დატვირთვით მუშაობდა, შემდეგ წარმოების მაშტაბი თანდათან კლებულობს. 1844 წლის ცნობით აქ მხოლოდ 80 ათასი მანეთის პროდუქცია დაუმზადებიათ[37]. მალე ქარხანამ შეწყვიტა კიდეც არსებობა, რასაც წინ უსწრებდა დაუსრულებელი დავა 1842 წელს პლანტაციების ადგილების შერჩევისათვის აფხაზეთში წასული და იქ უგზო-უკვლოდ დაკარგული ტერ-გუკასოვის ნათესავებსა და კომპანიის დანარჩენ წევრთა შორის. 1846 წლისათვის კომპანია საბოლოოდ დაიშალა.

ამგვარად, ქარხანამ სულ 7-8 წელიწადი იარსება. ცხადია, ამ საქმის ჩაშლის მიზეზი ერთერთი კომპანიონის სიკვდილისა და ამის შემდეგ მის ნათესავებსა და სხვა წევრებს შორის დაწყებული დავის გარდა, იყო არაერთი ობიექტური ხასიათის დაბრკოლება, რომელიც უთუოდ ხელს უშლიდა აღებულ ხანებში საქართველოში ყოველგვარ ასეთ წამოწყებას. მცირე როლი არ უნდა ეთამაშა ამ მხრივ თუნდაც იმ გარემოებას, რომ სხვა მზა ნაწარმთან ერთად, საქართველოში დიდი რაოდენობით შემოდიოდა შაქარიც, რომელიც უფრო იაფი უნდა ყოფილიყო. ვიდრე ზუბალაშვილისა

---

[35] სცსა, ფ. 4, საქმე 124, ფურც. 4, 8.
[36] სცსა, ფ. 16, საქმე 6351, ფურც. 26—28.
[37] სცსა, ფ. 16, საქმე 8093, ფურც. 10.

და კომპანიის მიერ უცხოეთიდანვე შემოტანილი ფხვნილისაგან დამზადებული რაფინადი[38].

მაგრამ ეს დაბრკოლებანი სრულიადაც არ ხდიდნენ ამგვარ წამოწყებებს უიმედოთ, რაც იქიდან ჩანს, რომ ზუბალაშვილისა და კომპანიის ჩაშლილი საქმის აღსადგენად 1848 წელს თბილისის მოქალაქემ ალექსანდრე ანანოვმა მთავრობისაგან ითხოვა ისეთივე პრივილეგია, რომლითაც სარგებლობდა ზუბალოვი და კომპანია. ანანოვი პირობას იძლეოდა, რომ ხელს მოკიდებდა ამიერკავკასიაში შაქრის ჭარხლის გაშენებას, რომლისაგანაც შემდეგ დაიწყებდა შაქრის წარმოებას[39].

აღნიშნულ თხოვნაზე ვორონცოვმა უარი უთხრა ანანოვს, ვინაიდან არ ქონდა იმედი, რომ იგი ნამდვილად შესძლებდა ჭარხლის გაშენებას. ვორონცოვი ეჭვობდა, რომ ანანოვიც ისარგებლებდა შეღავათით, ზუბალაშვილისა და კომპანიის მსგავსად შემოზიდავდა შაქრის ფხვნილს და საქმეს ამაზე გაათავებდა, რაც ხაზინისათვის საზარალო იყო. ფინანსთა მინისტრმა დაამტკიცა ვორონცოვის გადაწყვეტილება[40]. ამგვარად ზუბალაშვილის და კომპანიის შაქრის „ქარხანა" იყო ერთადერთი ასეთი საწარმო საქართველოში. იგი თავისი ხასიათით მანუფაქტურის ტიპის საწარმო იყო[41].

* * *

დამმუშავებელი მრეწველობის ერთ-ერთი დარგი, რომელსაც ფართო მასშტაბით 50-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი მანუფაქტურული ტიპის საწარმოებით და რომელმაც ამ სახით თითქმის 90-იან წლების მიწურულამდე იარსება, თამბაქოს გადამუშავება იყო. პირველი შედარებით მსხვილი ასეთი საწარმოები („ფაბრიკები") 1852 წელს დააარსეს თბილისში ბენიამინ და ამბარცუმ ენფიანჯიანცებმა. 1858 წელს აქვე დაარსდა ნიკოლოზ ბოზარჯიანცის თამბაქოს „ფაბრიკა", ხოლო 1861 წელს კარაპეტ ენფიანჯიანცის

---

38 იხილე: З. В. Анчабадзе, К вопросу о роли торгово-ростовщического капитала в дореформен. Грузии, მასალები საქ. და კავკ. ისტ., 1954, ნაკვეთი 30.

39 სცსა, ფ. 4, საქმე 124, ფურც. 1—2.

40 იქვე, ფურც 12.

41 აღნიშნული „ქარხნის" დაარსებისა და შემდგომი ბედის შესახებ იხილე: П. Гугушвили, Развитие промышлености... გვ. 283 — 287, ე. ხოშტარია, დასახ. ნაშრ., გვ. 169 — 170; დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 131 — 151.

„ფაბრიკა“[42]. აღნიშნულ „ფაბრიკებში“ ჩვეულებრივ 10—15 მუშა მუშაობდა, უპირატესად ახალგაზრდები. წარმოება აქ მთლიანად ხელით შრომაზე იყო დამყარებული. 1865—1866 წლებში თბილისში 10 თამბაქოს „ფაბრიკაა“ აღნიშნული სულ 27—30 ათასი მან. პროდუქციით და 40 მუშით[43]. ჩანს აქ რამდენიმე შედარებით მსხვილ საწარმოსთან ერთად, წვრილი საწარმოებიც იგულისხმება. 80-იანი წლებისათვის თამბაქოს გადამუშავება საქართველოში საგრძნობ წარმატებას აღწევს. თბილისს გარდა შედარებით მსხვილი თამბაქოს „ფაბრიკები“ იყო ახალციხეში, ბათუმსა და ქუთაისში.

1886 წლისათვის საქართველოში არსებობდა შემდეგი თამბაქოს „ფაბრიკები“:

ცხრილი 10[44]

საწარმოს დასახელება	დაარსების წელი	დაზგების რაოდენობა	მუშათა რაოდენობა	პროდუქცია ათას მანეთებში
თბილისში:				
ნ. ბოზარჯიანცის	1858	19	260	250,0
მ. საფაროვის (სალი-ოღლის)	1873	12	150	150,0
ნ. ენფიანჯიანცის	1852	4	45	40,0
მ. ვარნახოვის	1873	5	49	60,0
პ. საგოიანცის	1873	5	44	70.0
ე. ფირალოვის	1879	4	30	50,0
ა. გალეგოვის	1886	4	24	30,0
ახალციხეში:				
გ. კაჩბეკოვის	1878	4	17	20,0
ბათუმში:				
ლ. ბინიატ-ოღლის	1882		26	30.8
ქუთაისში:				
ს. ფირალოვის	1871	12	53	80,0
ი. მელიქოვის და ი. პალაშოვის	1873	7	18	42,0
			716	822,8

[42] ე. ხოშტარია. დასახ. ნაშრ., გვ. 165—166; დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 173—174.

[43] სცსია, ფონდი 10, საქმე 740, ფურც. 74. სცსია, ფონდი 5, საქმე 307, გვ. 54.

[44] თბილისის გუბერნიის თამბაქოს „ფაბრიკების“ შესახებ მონაცემები აღებულია გულიშამბაროვისაგან (დასახ. ნაშრ., გვ. 25—35). ეს მონაცემები რამდენადმე განსხვავდებიან 1886 წლის უწყისების მონაცემებისაგან (იხ. სცსია, ფონდი 204, საქმე 654), მაგრამ აღნიშნული სხვაობა არსებითად არ ცვლის ჩვე-

აღნიშნულ საწარმოებში თანდათან შემოდის ტექნიკის სიახლენი გაუმჯობესებული საჭრელი დანისა თუ დაზგების სახით. მაგრამ წარმოება ძირითადად კვლავ ხელით შრომას ეძყარება. 1886 წლის უწყისებში თითქმის ყველგან აღნიშნულია, რომ თამბაქოს „ფაბრიკებში" ხელის საჭრელი დაზგები («ручной крошильный станок») იყო გამოყენებული. ს. გულიშამბაროვის ცნობით, მხოლოდ ფირალოვის „ფაბრიკაში" 4 დაზგიდან 2 მოდიოდა მოძრაობაში ცხენის ძალით[45]. თამბაქოს „ფაბრიკებში" შრომის ფართე დანაწილებაზე მეტყველებს მუშების დასპეციალება (сортировщики, крошильщики, укладчики, папиросники, мундштучники, прочие рабочие)[46].

როგორც აღინიშნა, თამბაქოს გადამუშავება ერთ-ერთი დარგია, სადაც შედარებით გვიან იკიდებს ფეხს მანქანური წარმოება. სამრეწველო გადატრიალება ამ დარგში მხოლოდ 90-იან წლებში ხდება. თუმცა ამ დროისათვისაც ხელით შრომა კვლავ თამაშობის გარკვეულ როლს. აქა-იქ შემორჩა მთლიანად ხელის შრომაზე დამყარებული მანუფაქტურის ტიპის საწარმოებიც. 1900 წლისათვის ასეთი იყო მ. ბუტულოვის „ფაბრიკა" თბილისში, 25 მუშითა და 33 ათასი მან. პროდუქციით და ძმების სორიევების „ფაბრიკა" ახალციხეში 28 მუშითა და 13 ათასი მან. პროდუქციით[47].

*
* *

გარდა აღნიშნულისა, რეფორმამდელ ხანაში საქართველოში იყო არა ერთი საწარმო, რომელიც თავისი ხასიათით მანუფაქტურას უნდა მიეკუთვნოს. ასეთები იყო მაგ. მთელი რიგი სადურგლო, ლითონდამმუშავებელი, ფეხსაცმლის და ტანსაცმლის საჭირვალო საწარმოები, რომელთაც ჩვენ უკვე შეეხეთ წვრილი კაპიტალის-

---

ნს წარმოდგენას საწარმოთა ხასიათსა და მასშტაბების შესახებ. დასახელებული უწყისები თბილისის საწარმოთა შესახებ დაწერილებით აქვს განხილული ნ. რადონაიხს (დასახ. ნაშრ., გვ. 13—23).

ქუთაისის გუბერნიის „ფაბრიკების" შესახებ მობაცემები აღებული გვაქვს 1885 წლის უწყისებიდან (ლენინგრადი, ფონდი 20, აღწ. 12, საქმე 100).

45 ს. გ ულ ი შ ა მ ბ ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

46 იქვე.

47 Список фабрик и заводов..., Спб, 1904, გვ. 678-697.

ტური წარმოების განვითარების განხილვისას. ამ საწარმოთა დიდი ნაწილი უცხოელ ხელოსანთა მიერ იყო დაარსებული 40--50-იან წლებში. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ეს საწარმოები ამყარებენ გაფართოების, კაპიტალისტურ საწარმოებად გადაქცევის ტენდენციას. ქარგლებისა და შეგირდების მნიშვნელოვანი რიცხვი ზოგიერთ მათგანში გვაძლევს საფუძველს აქ შრომის ფართე მასშტაბით დანაწილებაც ვივარაუდოთ, რაც ამ საწარმოებს მანუფაქტურის ხასიათს აძლევს.

*

* *

ამრიგად, რეფორმამდელ ხანაში საქართველოში, უმთავრესად კი თბილისში არსებობდა არა ერთი შედარებით მსხვილი მანუფაქტურის ტიპის საწარმო, რომელნიც, მართალია, მრავალრიცხოვანნი არ იყვნენ, მაგრამ, უკვე მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ წვრილ კაპიტალისტურ საწარმოებისაგან განსხვავებით, ისინი უკვე საკმაოდ ფართე ბაზრისათვის მუშაობდნენ. აბრეშუმის „ფაბრიკების" პროდუქცია ზოგ შემთხვევაში საზღვარგარეთ და რუსეთში ვრცელდებოდა. ხოლო სხვა საწარმოთა (მინის, ტყავის, საპნის, თამბაქოს და სხვა) ნაწარმი მთელ საქართველოსა და კავკასიის მასშტაბით საღდებოდა.

მაგრამ, როგორც აღინიშნა, საქართველოს მრეწველობაში ხელით შრომასთან ერთად ადრევე იჩენს თავს მანქანების გამოყენებაც, რაც აქ მანუფაქტურის განვითარების თავისებურებას განსაზღვრავს. ეს თავისებურება გამოიხატებოდა იმაში, რომ მანუფაქტურული წარმოება საქართველოში ვითარდებოდა მანქანურ წარმოებასთან შერევით და მანუფაქტურიდან მანქანურ წარმოებაზე გადასვლის პროცესი მრეწველობის სხვადასხვა დარგში აქ გრძელდება დიდი ხნის განმავლობაში, მე-19 ს. 80—90-იან წლებამდე. ამდენად, მანქანური წარმოების გამარჯვებაზე საქართველოში ლაპარაკი მხოლოდ ამ დროიდან შეიძლება, რაც მანამდე ხელით შრომაზე დამყარებულ, არსებითად მანუფაქტურულ, წარმოებას ბატონობას გულისხმობს.

რეფორმის მომდევნო ხანაშიც არსდება საქართველოში მანუფაქტურის ტიპის საწარმოები. მაგრამ მათი უმრავლესობა თანდათან მანქანურ წარმოებაზე გადადის, ხოლო ნაწილი კარგავს მნიშვნელობას და ქრება. თუმცა ზოგიერთ დარგში ხელით შრომაზე დამყარებულმა მანუფაქტურის ტიპის საწარმომ 900-იან წლებამდეც კი მიაღწია.

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ 900-იან წლებამდე შემორჩა ხელით შრომაზე დამყარებული თამბაქოს 2 „ფაბრიკა“ (ბუტულოვისა—თბილისში და ძმების სორიეევების—ახალციხეში). ორივეში 53 მუშა მუშაობდა, პროდუქციის ღირებულება კი 50 ათას მანეთამდე აღწევდა.

ლითონდამმუშავებელ საწარმოთაგან, სადაც 900-იანი წლებისათვის მექანიკურ ძრავას გამოყენებას ჯერ ვერ ვხვდებით. აღნიშნული გვქონდა გაუფის, ბეპლეს, ვუნდერლახის და ანდერეგის საწარმოები.

გნედიჩის ცნობით თბილისში სულ 6 ასეთი ლითონდამმუშავებელი საწარმო იყო 94 მუშით და 56 ათასი მან. პროდუქციით.

80-იან წლებში ძირითადად ჯერ კიდევ ხელით შრომაზე დამყარებული მსხვილი საწარმოები იყო 1883 წლიდან თბილისში გახსნილი ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები და ნავთის ექსპორტთან დაკავშირებით ბათუმში 80-იან წლებში დაარსებული თუნუქისა და ხის ყუთების ზოგიერთი საწარმო.

ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოებში 80-იანი წლების შუახანებში, კერძოდ 1886 წლისათვის, ათასამდე მუშა მუშაობდა[48]. მიუხედავად იმისა, რომ აქ ამ დროს ჯერ არ ჰქონდა ადგილი ორთქლის ძრავას გამოყენებას, საწარმოში თავმოყრილი იყო 120-მდე სხვადასხვა დანიშნულების (სახარატო, ლითონის სახვრეტი და სხვ.) დაზგა და ჩარხი. როგორც გ. ბაქრაძე ამტკიცებს, რკინიგზის სახელოსნოების ფაბრიკულ წარმოებაზე გადასვლა ხდება 90-იან წლებში[49].

რაც შეეხება ბათუმის თუნუქისა და ხის ყუთების იმ საწარმოებს, სადაც 80-იანი წლების შუახანებში ორთქლის თუ სხვა სახის ძრავას ჯერ კიდევ ვერ ვხვდებით, ესენი იყვნენ: ელერისა. და ბურგჰარტის საწარმო 35 მუშით, კაზარიანცის საწარმო 20 მუშით, ლევენსონის საწარმო 30 მუშით, მელქოიანცის საწარმო 25 მუშით და ანგელიდისის საწარმო 70 მუშით[50]. აღნიშნული საწარმოები სამეცნიერო ლიტერატურაში მანუფაქტურისადმი არიან მიკუთვნებული[51].

ამ საწარმოებში სულ 180 მუშა მუშაობდა.

---

48 ს. გულიშამბაროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 186; ცსია, ფონდი 414, საქმე 34, ფურც. 46—47.

49 გ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 191—192.

50 ლენ. ცსია, ფონდი 20, აღწ. 12. საქმე 100.

51 პ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება..., გვ. 332.

გ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 202.

როგორც ირკვევა, ეს საწარმოები სახელდახელოდ იყვნენ მოწყობილი. მაგ., ანგელიდისის საწარმო ხის ფარდულში. ხოლო კაზარიანცის და მელქოიანცის საწარმოები თუნუქისაგან გაკეთებულ ფარდულში იყვნენ მოთავსებული. რაც შეეხება ლევენსონის საწარმოს, იგი იმყოფებოდა ქვითკირის შენობაში. ანგელიდისის და კაზარიანცის საწარმოებზე უწყისებში პირდაპირ არის აღნიშნული. რომ აქ მექანიზმები (იგულისხმება ორთქლის მანქანები) არ იყო. ლევენსონის საწარმოში დასახელებულია 10 დაზგა, 4 შესადუღებელი (паяльная печь); ელერის და ბურგჰარტის საწარმოში კი 1 სახვრეტი დაზგა (верстак) და 1 ქურა. აქვე იყო 4 ორთქლის საქაჩავი, რომელნიც 2 ორთქლის ქვაბს მოყავდა მოძრაობაში. აღნიშნული საქაჩავები ნავთის გადასხმისათვის იყო განკუთვნილი.

ანგელიდისთან საკუთრივ საწარმოში 40 მუშა მუშაობდა. საწარმოს გარეთ კი („на стороне“) 30 მუშა. ჩანს, ესენი საწარმოს დაკვეთით ასრულებდნენ სამუშაოს თავის სახელოსნოებში.

სულ 1885 წლის უწყისებით აღნიშნულ საწარმოებს დაუმზადებიათ 1. 400 ათასზე მეტი ყუთი, ბიდონი და კასრი ნავთის ექსპორტის საჭიროებისათვის.

ამ საწარმოების გარდა, ბათუმში იყო 2 ქარხანა: როტშილდის 469 მუშით და რიხნერის—45 მუშით. 1885 წ. ორივე ამ საწარმოში ნავთის ტარას 1.560 ათასზე მეტი ერთეული დაუმზადებიათ. ამ ქარხნებს დეტალურად ჩვენ შემდგომ შევეხებით.

აღსანიშნავია, რომ 1885 წლის უწყისები, გარდა ერთი შემთხვევისა, არ გვაწვდიან მონაცემებს აღნიშნულ საწარმოებში დამზადებული პროდუქციის ღირებულების შესახებ. ერთადერთი წყარო, რომელიც მიუთითებს პროდუქციის ღირებულებას, არის ქუთაისის გუბერნატორის 1886 წლის ანგარიშის დანართი. მაგრამ აქ საკუთრივ ნავთის ტარას დამამზადებელი მხოლოდ 3 საწარმოა აღნიშნული: ერთი (ხის ყუთებისა და კასრების) 100 მუშით და 72 ათასი მან. პროდუქციით, ხოლო დანარჩენი ორი (თუნუქის ჭურჭლის) — 750 მუშით და 2. 240 ათასი მან. პროდუქციით. გარდა ამისა, უკვე აღნიშნულია ნავთის 9 რეზერვუარის არსებობა, რომლებშიც ნავთის გადამსხმელი საწარმოები იგულისხმება. ამ უკანასკნელებში 248 მუშაა მითითებული, ხოლო გამომუშავება 6. 120 ათას მანეთს შეადგენდა. აქ ჩანს, გადასხმული ნავთის ღირებულება არის აღნიშნული.

სხვა წყაროების უქონლობის გამო ჩვენ გვიხდება 1885 წლის უწყისების მონაცემების შეჯერება გუბერნატორის ანგარიშის დანართის ცნობებთან. თუ მივიჩნევთ, რომ გუბერნატორის ანგარი-

ში დანართში მოხსენებული ნავთის ტარას 2 საწარმოში (2,3 მილიონამდე მან. პროდუქციით) იგულისხმება უმსხვილესი ქარხნები, სოლო მათ გარდა არსებული უფრო მომცრო საწარმოები სწორედ მანუფაქტურას განეკუთვნებოდნენ. მაშინ ამ უკანასკნელებში, მუშათა რაოდენობისა და გამომუშავებული პროდუქციის ოდენობის (ერთეულებში) პროპორციის მიხედვით, რაც 1885 წლის უწყისებით დგინდება, საერთო გამომუშავების დაახლოებით 30—40%, ანუ 1—1,5 მილიონი მანეთის პროდუქცია მზადდებოდა.

*

* *

წვრილი კაპიტალისტური წარმოების განხილვისას ჩამოთვლილი ეტლების სახელოსნოების გარდა 1860 წლიდან თბილისში არსებობდა საფოსტო უწყების ეტლების სახელოსნოც. ამ უკანასკნელში 1880 წელს 35 მუშა მუშაობდა. პროდუქციის ღირებულება კი 15 ათას მან შეადგენდა[52].

1886 წლისათვის თბილისში იყო ეტლების შემდეგი, შედარებით მსხვილი სახელოსნოები: კოტრინის 30 მუშით და 30 ათასი მან. პროდუქციით, მაიერის 15 მუშით და 15 ათასი მან. პროდუქციით, მადერის 10 მუშით და 12 ათასი მან. პროდუქციით, სლივიცკის და იბრაგიმოვის (ყოფილი საფოსტო უწყების) 65 მუშით და 75 ათასი მან. პროდუქციით[53].

1900 წლისათვის თბილისში არსებული ეტლების საწარმოთაგან ცნობები გვაქვს კოტრინის საწარმოზე, სადაც ამ დროს 37 მუშა მუშაობდა. ხოლო პროდუქციის ღირებულება 31 ათას მან. შეადგენდა[54]. მადერის საწარმოზე. სადაც 12 მუშა მუშაობდა. ხოლო პროდუქციის ღირებულება 15 ათას მანეთს უდრიდა და აგამოვის საწარმოზე. სადაც 20 მუშა მუშაობდა. ხოლო პროდუქციის ღირებულება 20 ათას მანეთს უდრიდა[55].

გნედიჩის ცნობით თბილისში 1900 წელს იყო ეტლების 8 საწარმო 139 მუშით და 95 ათას მან. პროდუქციით[56], ხოლო ქუ-

---

[52] სცსია, ფონდი 17, საქმე 486, ფურც. 24.

[53] ს. გ ულ ი შ ამ ბ ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 226—227. 1886 წლის უწყისებში მონაცემები კოტრინის და მაიერის ეტლების საწარმოთა შესახებ შემცირებული ჩანს. ასე მაგ., კოტრინის საწარმოს პროდუქციის ღირებულება 11500 მან. არის აღნიშნული, მადერისა 5200 მან., პირველში 28 მუშაა ნაჩვენები, მეორეში კი მხოლოდ 5 (სცსია, ფონდი 204, საქმე 654). ეტლების სხვა საწარმოების უწყისები არ შემორჩენილა

[54] Список фабрик и заводов.... Спб. 1903, стр. 323—324.

[55] Сборник статист. свед.. Тифл., 1902. стр. 238.

[56] ლენცსია, ფონდი 23, აღწ. 17, საქმე 783, ფურც. 60—61. „საისტორიო მოამბე", 1945, 1; გვ. 256.

თაისის გუბერნიაში 5 საწარმო 80 მუშით და 40 ათასი მან. პროდუქციით[57].

ეტლების აღნიშნულ საწარმოებიდან მხოლოდ კოტრინის საწარმოშია 1880 და 1886 წლებში ნაჩვენები ორთქლის ძრავა. დანარჩენებში კი ხელით შრომა იყო გაბატონებული. მაგრამ თვით კოტრინის საწარმოშიც 90-იან წლებში და 900-იანი წლების დასაწყისში ველარ ვხვდებით ორთქლის ძრავას. ასე მაგ., არ არის მითითებული ეს საწარმო 1898 წლის თბილისის გუბერნიის ორთქლის ქვაბების მქონე საწარმოთა სიაში; არ მიუთითებენ აქ ძრავას არსებობაზე არც ვარზარის მონაცემები. არც ლენინგრადის არქივის 1901 წლის ვითარების ამსახველი უწყისები და არც ხარკოვის არქივის 1902—1903 წლების ნუსხა. ამდენად გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ეტლების ყველა ეს სახელოსნო არსებითად მანუფაქტურის ტიპის საწარმო იყო, სადაც თავიდანვე ვხვდებით ხელის სხვადასხვა მანქანა-იარაღების გამოყენებას და სადაც ფართოდ იყო შემოღებული შრომის დანაწილება. ასეთ საწრმოს მაგალითს წარმოადგენს 1880 წელს თბილისში არსებული კოტრინების ერთ-ერთი სახელოსნო, სადაც ორთქლის ძრავას არსებობა იმ დროისთვისაც არ არის აღნიშნული. საწარმოში იყო 4 ქურა, 6 დაზგა (სახარატო თუ საბეინკლო), 4 წნეხი, 4 სახვრეტი დაზგა (верстак). აქ მუშაობდა 4 მჭედელი, 4 დურგალი (подеревчик), 4 გადამკვრელი (обойщик), 3 მღებავი, სულ 15 კაცი[58].

ამრიგად, როგორც ირკვევა, 900-იანი წლებისათვის ეტლების შედარებით მსხვილი საწარმოები, ისინიც კი, სადაც 80-იან წლებში უკვე ორთქლის მანქანების გამოყენებას ჰქონდა ადგილი, არამკ თუ არ გადადიან ფაბრიკულ წარმოებაზე, არამედ ამცირებენ წარმოების მასშტაბს. ამის მიზეზი, ჩანს, ის იყო, რომ რკინიგზის მშენებლობის დამთავრებასთან და თბილისში ცხენის რკინიგზის ტრანსპორტის შემოსვლასთან დაკავშირებით ეტლების ფართო მასშტაბით წარმოებას თანდათან ეცლება საფუძველი.

---

[57] ლენ.ცსია, ფონდი 23, აღწ. 17, საქმე 738, ფურც. 70—71: „საისტ. მოამბე", 1945, 1, გვ.267. ვნედიჩთან 5 საწარმო 80 მუშით და 40 ათასი მან. პროდუქციით ნაჩვენებია ქუთაისის მაზრაში და ამდენივე ბათუმის ოლქში. რადგან ეტლების საწარმოთა ასეთი სიმრავლე ქუთაისის გუბერნიაში ეჭვს იწვევს, ვფიქრობთ აქ ერთი და იგივე მონაცემები ორჯერ არის გამეორებული, ე. ი. მთელ გუბერნიაში სულ 5 საწარმო უნდა ყოფილიყო 80 მუშით და 40 ათასი მან. პროდუქციით.

[58] ლენ.ცსია. ფონდი 17, საქმე 486.

1900 წლისათვის თბილისში არსებულ ავეჯის შედარებით მსხვილი საწარმოებიდან, სადაც ჯერ კიდევ ხელით შრომა იყო გაბატონებული, აღსანიშნავია: გალუმოვის საწარმო, სადაც 28 მუშა მუშაობდა, ხოლო პროდუქციის ღირებულება 9 ათასამდეა ნაჩვენები[59]; რენცის საწარმო, სადაც 11 მუშა მუშაობდა, ხოლო პროდუქციის ღირებულება 24 ათას მანეთს შეადგენდა; ზავადსკის საწარმო 15 მუშით და 12 ათასი მან. პროდუქციით, ბერძენოვის საწარმო 9 მუშითა და 12 ათასი მან. პროდუქციით[60]. ამათ გარდა აქვე იყო ანანოვის ფანერის საწარმო 14 მუშით და 28 ათასი მან. პროდუქციით[61]. სულ ამ 5 საწარმოში 80-მდე მუშა მუშაობდა, ხოლო პროდუქციის ღირებულება 85 ათასამდე მან. აღწევდა. ამ საწარმოებში მექანიკურ ძრავას არსებობა არ დასტურდება, რაც გვაძლევს საფუძველს ისინი მანუფაქტურის ტიპის საწარმოებს მივაკუთვნოთ.

80-იანი წლების მიწურულსა და 90-იან წლებში ბათუმში ნავთობის პროდუქციის ექსპორტთან დაკავშირებით ვითარდება ხის კასრების წარმოება, რომელიც ბოლომდე ძირითადად ხელით შრომაზე იყო დამყარებული. 1900 წლისათვის ბათუმში ასეთი 6 საწარმო არსებობდა: ვასტგაფისა და ბლეის, არამიანის და სარუხანიანის. მალარის, ცოვიანოვებისა, შხიანცის და ბოლოს რუსეთ-კავკასიის ნავთის კომპანიის. სულ ამ საწარმოებში 184 მუშა მუშაობდა, პროდუქციის ღირებულება კი 269 ათას მანეთს შეადგენდა[62].

ტანსაცმლის და ფეხსაცმლის წვრილ კაპიტალისტურ წარმოების განხილვისას ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ამ დარგებშიც ადრეევ შეიმჩნევა წვრილი სახელოსნოების გაფართოვების, კაპიტალისტურ მარტივ კოოპერაციისა და მანუფაქტურის ტიპის საწარმოების აღმოცენების ტენდენცია. 80-იანი წლებიდან არსდება ტანსაცმლის და

---

[59] Список фабрик и заводов . , Спб, 1903, გვ. 232—233. 1901, წლის ცნობით აქ 31 მუშა მუშაობდა, პროდუქცია კი 18500 მან. შეადგენდა (ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 2, საქმე 2926).

[60] Сборн. статист. свед . . ,Тифл., 1902, გვ. 239.

[61] იქვე, გვ. 240.

[62] Статистические сведения о фабриках и заводах за 1900,Спб., 1903 стр. 46—47.

[63] Список фабрик и заводов... Спб, 1903, გვ. 199—200, გნედიჩით ბათუმში ხის კასრის 8 საწარმო იყო 245 მუშით და 279 ათ. მან. პროდუქციით. ლენ. ცსია, ფონდი 23, აღწ. 17, საქმე 738, ფურც. 70—71, „საისტ. მოამბე", 1945, 1, გვ. 266—267.

ფეხსაცმლის მსხვილი ფაბრიკული საწარმოებიც, რომელნიც უმთავრესად სახაზინო დაკვეთებს ასრულებდნენ (მაგ. ადელხანოვის სამხედრო ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის „მექანიკური" წარმოება). მაგრამ ადგილობრივ არსებულ ფართო მოთხოვნილებას მნიშვნელოვანწილად აკმაყოფილებდნენ წვრილი სახელოსნოები და ზოგიერთი შედარებით მსხვილი მანუფაქტურული საწარმო. თბილისის შედარებით მსხვილ სამკერვალოებიდან 1900 წლისათვის „სტატისტიკურ კრებულში" მოხსენებულია ვოლკოვისა და ლოტარის ქალის ტანსაცმლის საწარმო, 15 მუშით და 30 ათასი მან. პროდუქციით და შერემეტიევის სამკერვალო სახელოსნო 30 მუშით[63]. 900-იანი წლების დასაწყისში თბილისში არსებობდა კიშელგოფის და პორტუგალოვის სამკერვალოები, თითოეული 4 საკერავი მანქანით და 15 მუშით. პირველის პროდუქციის ღირებულება 26 ათას მანეთს შეადგენდა, მეორისა კი 35 ათას მანეთს. ამავე დროს თბილისში არსებულ გერმანის სამკერვალოში 8 მუშა მუშაობდა. აქ სულ 2 საკერავი მანქანა იყო. ამასთანავე 15 მუშა ასრულებდა სამუშაოს საწარმოს გარეთ („на стороне"). ესენი შესაძლოა შინ მომუშავე მკერავები, ანდა ცალკეული წვრილი ხელოსნებიც ყოფილიყვნენ. გერმანის სამკერვალოს პროდუქციის ღირებულება სულ 26 ათას მანეთს შეადგენდა[64].

აქვე უნდა აღინიშნოს სანოვიჩის და კუპერმანის რკინიგზის პერსონალის ტანსაცმლის სახელოსნო 28 მუშთ და 51 ათასი მან. პროდუქციით[65].

რაც შეეხება ფეხსაცმლის სამკერვალო საწარმოებს, ცალკეული გაფართოებული სახელოსნოების გარდა, შედარებით მსხვილ მანუფაქტურის ტიპის საწარმოდ უნდა მივიჩნიოთ ფარსადანოვის ფეხსაცმლის „ფაბრიკა", სადაც 1900 წლისათვის 68 მუშა მუშაობდა, ხოლო პროდუქციის ღირებულება 67 ათას მანეთამდე აღწევდა[66]. ჩვენ დამაჯერებლად მიგვაჩნია ის აზრი, რომ ეს საწარმო. განსხვავებით ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკისაგან. სადაც ხდებოდა ფეხსაცმლის „მექანიკური წარმოება", ძირითადად ხელით შრომაზე დამყარებული საწარმო იყო[67].

თბილისში 900-იანი წლების დასაწყისში არსებობდა არაერთი საკონდიტრო და კონფეტის საწარმო, რომელიც აკრეთვე მანუფა-

---

[63] Сборн. статист. сведений..., Тифл., 1902, გვ. 239.

[64] ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 2, საქმე 2929.

[65] Список фабрик и заводов. Спб., 1903.

[66] Список фабрик и заводов Спб. 1903. გვ. 455—456.

[67] გ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 245—246.

ქტურას უნდა მივაკუთვნოთ. გნედიჩის ცნობით ასეთი სულ 10 საწარმო იყო, 165 მუშითა და 350 ათასი მან. პროდუქციით[68]. შედარებით მსხვილი საწარმოები, რომლებზედაც გვაქვს ცნობები, იყო: გოზალოვის, ავტომიანის, ზაკშევსკის, ლოტის, მეასიურის (?) და სხვების. თითოეულ მათგანში 12-დან 24--მდე მუშა მუშაობდა, ხოლო პროდუქციის ღირებულება 20—50 ათას მანეთს შეადგენდა[69]. 1901 წლისათვის ფრიდონოვის კონფეტის „ფაბრიკაში" 45 მუშა საკუთრივ საწარმოში, ხოლო 40 მუშა საწარმოს გარეთ მუშაობდა („работают по заказу на стороне—40 чел"). საწარმოს პროდუქციის ღირებულება 64 ათას მანეთს შეადგენდა. ამავე წელს ამირაგოვის კონფეტის საწარმოში, სადაც 22 მუშა მუშაობდა, ხოლო პროდუქციის ღირებულება 15 ათას მანეთს შეადგენდა, უკვე ნავთის ძრავას გამოყენებასაც ვხვდებით[70].

ლუდის საწარმოებიდან 80-იანი წლების შუახანებისათვის შედარებით მსხვილი „ქარხანა", რომელშიაც ჯერ ორთქლის ძრავის გამოყენებას არ ჰქონდა ადგილი, იყო ლორთქიფანიძის საწარმო 16 მუშით და 50 ათასი მან. პროდუქციით[71]. 1900 წლისათვის კი 2 ასეთ საწარმოზე გვაქვს ცნობა. ერთი მათგანი იყო დიტრიხისა. 20 მუშით და 52 ათასი მან. პროდუქციით, ხოლო მეორე—ოტო მადერის, 14 მუშით და 31 ათასი მან. პროდუქციით[72].

900-იანი წლებისათვის სტატისტიკაში მინერალური წყლის 3 შედარებით მსხვილი საწარმო მოიხსენიება. კერძოდ ასეთები იყო: ზემელების 2 საწარმო. ძათგან ერთი 16 მუშით და 43 ათასი მან. პროდუქციით, მეორე კი 14 მუშით და 30 ათასი მან. პროდუქციით, ხოლო მესამე — ხანჯალაძის, 12 მუშით და 12 ათასი მან. პროდუქციით[73]. აღნიშნული საწარმოებიც მანუფაქტურებს უნდა მივაკუთვნოთ.

მანუფაქტურის ტიპის საწარმოების არსებობა სავარაუდებელია პოლიგრაფიულ წარმოებაშიც. მაგ., უკვე 60-იანი წლების დასაწყისში მარტო მეფის ნაცვლის სამმართველოს სტამბაში 45 მუშა

---

68 ლენ. ცსია, ფონდი 23, აღწ. 17, საქმე 738, ფურც. 60—61, „საისტორიო მოამბე", 1945, I, გვ. 256.

69 Список фабрик и заводов..., Спб, 1903, გვ. 678—697.

70 ლენ.ცსია, ფონდი 22, აღწ. 2, საქმე 2928.

71 ს. გ ულ ი შ ა მ ბ ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 35—40.

72 Список фабрик и заводов. Спб., 1903.

73 Сборн. стат. свед., Тифл., 1902, стр. 238.

მუშაობდა[74]. მათ შორის ნახევარზე მეტი ქართველი და სომეხი იყო. მუშები იყოფოდნენ შემდეგ სპეციალისტებად ასოთამწყობნი, მბეჭდავები, ასოთჩამომსხმელები და სხვა.

1900 წლისათვის თბილისში არსებული შედარებით მსხვილი სტამბებიდან 80-იანი წლების შუახანებამდე დაარსებული იყო 5 საწარმო: მთავარმართებლის კანცელარიის, კავკასიის ჯარების საოლქო შტაბის, კოზლოვსკის, მესხის და როტინიანცის. საფიქრებელია, რომ აღნიშნული საწარმოები 80-იანი წლების შუახანებში მანუფაქტურის ტიპის საწარმოებად გვეველინებოდნენ. რომელთა მასშტაბზე მხოლოდ დაახლოებით შეიძლება მსჯელობა. კერძოდ. 1900 წლის მონაცემების გათვალისწინებით აღნიშნულ 5 საწარმოზე 80-იანი წლების შუახანებისათვის სავარაუდებელია დაახლოებით 125 მუშა და 70 ათასამდე მან. პროდუქცია. (აქ ჩვენს მიერ პირობითად არის აღებული 1900 წლის მუშათა რაოდენობის და პროდუქციის ორი მესამედი).

გარდა აღნიშნულისა, თბილისში 1900 წლისათვის არსებობდა ცალკეული საწარმოები, რომელნიც თავისი ხასიათით ავრეთვე მანუფაქტურას უნდა მივაკუთვნოთ, მაგრამ რადგანაც ისინი რამდენადმე მნიშვნელოვან როლს არ თამაშობდნენ, ცალკე მათზე ჩვენ აღარ ვჩერდებით.

ამრიგად, საქართველოში 80—90-იან წლებშიც მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად მანქანური წარმოება იჭერს გაბატონებულ მდგომარეობას, წარმოების ზოგიერთ დარგში მანუფაქტურული საწარმოები კვლავ განაგრძობენ არსებობას და ინარჩუნებენ გარკვეულ მნიშვნელობას.

3. ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება.

მანუფაქტურული წარმოებისადმი მიძღვნილ თავში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მანქანების სპორადულ გამოყენებას საქართველოს მრეწველობაში უკვე მე-19 ს. პირველ ნახევარში ჰქონდა ადგილი. მაგრამ არსებითად მანქანები ამ დროს უნდა განხილულ იქნან „ჯერ მხოლოდ როგორც მარტივი ელემენტი მანქანური წარმოებისა“[1]. ფაბრიკულ-ქარხნულ წარმოებაზე გადასვლა საქართველოში. სიტყვის ნამდვილი გაგებით, როდესაც ადგილი აქვს მანქანების სისტემის გამოყენებას, შრომის დანაწილებას თვით მანქანებს შორის,

---

[74] სცსია. ფონდი 10. საქმე 1548. ფურც. 34

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, 1. ნ. 1, თბ.. 1954. გვ. 476.

რომელნიც მოძრაობაში ორთქლის ძრავით მოდიან და რომელთაც მუშა მხოლოდ მეთვალყურეობას თუ მომსახურეობას უწევს, ხდება რეფორმის მომდევნო ხანაში.

მსხვილ კაპიტალისტურ მრეწველობას საქართველოში საფუძველი ეყრება, ერთი მირით, რეფორმამდე არსებულ საწარმოთა გამსხვილების, ამ საწარმოებში ახალი, კაპიტალისტური ტექნიკის დანერგვის გზით, ხოლო მეორე მხრით, მრეწველობის ამა თუ იმ დარგში შედარებით მსხვილ საწარმოთა დაარსების გზით, რომლებშიაც თავიდანვე ადგილი აქვს მანქანების ფართო მასშტაბით გამოყენებას.

ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ მსხვილი მრეწველობის განვითარებას დარგების მიხედვით, ვაჩვენებთ ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების დინამიკას ძირითადად 80-იანი წლების შუახანებისა და 900-იანი წლების დასაწყისის მონაცემებით.

სათანადო ცხრილებში ჩვენ ვუჩვენებთ საწარმოთა დაარსების დროს, მანქანების სახეობას და სიმძლავრეს, მუშათა რაოდენობასა და პროდუქციის ღირებულებას.

ლითონდამმუშავებელი წარმოება

ლითონდამმუშავებელ შედარებით მსხვილ საწარმოებს, რომელნიც ამ დარგში მანქანური წარმოების წინამორბედნი იყვნენ, თბილისში უკვე 40—50-იანი წლებიდან ვხვდებით. ერთ-ერთი პირველი ასეთი საწარმო იყო შტუსეს „მექანიკური-სასხმელი", რომელიც 1852 წლიდან ამოქმედდა უცხოეთიდან (ავსტრიიდან) ჩამოტანილი მანქანა-იარაღების და იქიდანვე გამოწერილი ოსტატების მეშვეობით[2]. 40-იანი წლების მიწურულიდან თბილისში მოქმედებდა პოლკოვნიკ ყორღანოვის თუჯისასხმელი საწარმოც[3]. იგივე საწარმოები უნდა იყოს 1866 წლისათვის თბილისში მოხსენებული მექანიკური საწარმო 15 ათასი მან. პროდუქციით და თუჯისასხმელი საწარმო 16800 მან. პროდუქციით[4]. 60-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი ჩათახის (ბოლნისთან) თუჯისასხმელ და რკინის გამოსადნობ საწარმოს, რომელიც უცხოელმა ლიბმა დააარსა ადგილობრივ მოპოვებული რკინის მადნის გადასამუშავებლად. ამ საწარმომ მხოლოდ

---

[2] ს. გ უ ლ ი შ ა მ ბ ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 180—181. დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 193—197.

[3] АКАК, т. X, გვ. 887.

[4] სცსია, ფონდი 5, საქმე 308, ფურც. 54.

70-იანი წლების შუახანებამდე იარსება[5], იმის გამო, რომ ვერ მოხერხდა თვით წარმოებისა და პროდუქციის გასაღების ჯეროვანი ორგანიზაცია.

70—80-იან წლებში საქართველოში ლითონის დამმუშავებელი მრეწველობა აღმავლობას განიცდის. ერთი მხრით, საამშენებლო საქმიანობის თუ სოფლის მეურნეობის საჭიროებისთვის ლითონის საგნებზე მოთხოვნილების ზრდასთან დაკავშირებით, ხოლო მეორე მხრით. სარკინიგზო მშენებლობისა თუ საერთოდ საფაბრიკო-საქარხნო წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით.

1886 წლისათვის თბილისში არსებობდა შემდეგი კერძო ლითონდამმუშავებელი საწარმოები, სადაც უკვე ორთქლის ძრავას გამოყენებას ჰქონდა ადგილი:

ცხრილი 11[6]

საწარმოს დასახელება	დაარსების დრო	ძრავა		მუშათა რაოდენობა	პროდუქციის ღირებულება ათას მანეთებში
		სახეობა	ძალა (ცხ. ძ.)		
რუქის მექანიკური საწარმო	1860	ორთქლ.	4	16	37,0
რენკვისტის თუჯსასხმელი საწარმო	1881	„	8	120	70,0
				136	107,0

[5] ს. გულიშამბაროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 180—181. ე. ხოშტარია, დასახ. ნაშრ., გვ. 177. დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 188—190.

[6] მონაცემები ცხრილში დასახელებულ საწარმოებზე აღებულია ს. გულიშამბაროვის შრომიდან (დასახ. ნაშრ., გვ. 183—184). ამავე საწარმოებზე გვაქვს ცალკეული უწყისების მონაცემებიც. კერძოდ 1886 წ. უწყისის თანახმად რენკვისტის საწარმოში მუშაობდა 80 სრულწლოვანი და 38 მცირეწლოვანი მუშა (გულიშამბაროვის მიხედვითაც 120 მუშიდან 1/3 მცირეწლოვანი იყო). ამასთანავე უწყისში აღნიშნულია, რომ აქ აპრილიდან ოქტომბრამდე 80 მუშა მუშაობდა, ოქტობრიდან აპრილამდე კი 50-მდე მუშა. პროდუქციის ღირებულება უწყისით 64 ათას მანეთს შეადგენდა. რუქსის მექანიკურ სახელოსნოში 1886 წლის უწყისით 23 მუშა მუშაობდა (აქედან 13 მცირეწლოვანი). პროდუქციის ღირებულება კი აქ მხოლოდ 5 ათასი მანეთია ნაჩვენები (სცსია, ფონდი 204, საქმე 654). აღნიშნული საწარმოების გარდა ორთქლის ძალის გამოყენებას ჰქონდა ადგილი თამამშევის საზეინკლო სახელოსნოში, რომელიც მისიეე წისქვილთან არსებობდა. 1887 წ. უწყისით სახელოსნოსა და წისქვილში 15 მუშა მუშაობდა. პროდუქციის ღირებულება კი სახელოსნოსი შეადგენდა 5 ათას მანეთს, წისქვილისა 12 ათას მანეთს (იქვე). ასე, რომ თამამშევის მექანიკური სახელოსნო არსებითად წვრილი საწარმო იყო.

900-იანი წლების დასაწყისში თბილისში შემდეგი ლითონდამმუშავებელი მსხვილი კერძო საწარმოები იყო:

ცხრილი 12[7]

საწარმოს დასახელება	დაარსების დრო	ძრავა: სახეობა	ძრავა: სიმძლ. (ცხ. ძ.)	მუშათა რაოდენობა	პროდუქციის ღირებულება (ათას მან.)
იარალოვის მექანიკური და თუჯსასხმელი ქარხანა	1882	ორთქლ. 2 ბენზ. 1	44 12	144	144,0
ქარაპეტოვის, ბერეჟანოვის და ანანოვის თუჯსასხმელი ქარხანა	1895	ორთქლ. 1	26	61	77,6
პოპოვიჩის მექანიკური ქარხანა	1888	ორთქლ. 1	6	42	39,0
რუქსის მექანიკური და თუჯსასხმელი ქარხანა	1860	ნავთ. 1	10	57	55,7
				304	316,3

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ბათუმში ნავთის ექსპორტის საჭიროებისათვის თუნუქის ბიდონების წარმოების გარდა. ცალკეული ლითონდამმუშავებელი საწარმოებიც იყო. ასე, მაგ. გნედიჩის ცნობით აქ 1900 წლისათვის იყო ლურსმნისა და მავთულის ქარხანა 25 მუშით და 23 ათასი მან. პროდუქციით და 2 თუჯსასხმელი და მექანიკური საწარმო 125 მუშით და 140 ათასი მან. პროდუქციით[8]. აღსანიშნავია, რომ ამავე დროის სხვა რაიმე მონაცემები აღნიშნულ საწარმოთა შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება. 1897 წლის ოფიციალური წყაროს თანახმად ბათუმის მავთულის და ლურსმნის საწარმოში 37 ცს. ძ. სიმძლავრის ორთლის მანქანა იყო გამოყენებული. მუშათა რაოდენობა და პროდუქციის ღირებულება იგივეა ნაჩვენები, რაც გნედიჩთან. ამავე წელს ბათუმში ნაჩვენებია აგრეთვე შმიტის მექანიკური ქარხანა 70 მუშით და 192 ათასი მან. პრო-

---

[7] მონაცემები აღებულია საწარმოთა 1900 წლის უწყისებიდან (ლენ. ცსია, ფონდი 1290, აღწ. 5, საქმე 147 II) და სტატისტიკური კრებულიდან: **Список фабрик и заводов.... Спб, 1903 г.**

პოპოვიჩის ქარხნის პროდუქციის ღირებულება 28 ათასი მან. ნაჩვენები „Список" -ში, გადასწორებულია 39 ათას მანეთზე 1901 წლის უწყისის მიხედვით. ხოლო რუქსის საწარმოს შესახებ, რომელიც გამოტოვებულია 1900 წ. მასალებში, მონაცემები მოლიანად აღებულია 1901 წლის უწყისიდან (ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 2, საქმე 2927).

[8] ლენ. ცსია, ფონდი 23, აღწ. 17, საქმე 738, ფურც. 70—71. „საისტორო მოამბე", 1945, I, გვ. 267.

დუქციით. აქ მოქმედებდა 78 ცხ. ძ. სიმძლავრის ორთქლის მანქანა[9]. 1902 წელს იმ საწარმოების სიაში, რომელნიც აყვანილი იყვნენ აღრიცხვაზე საფაბრიკო ინსპექციის მიერ ბათუმში, გვხვდება ნ. პასეკის და ვ. კაპლანის მექანიკური საწარმოები[10]. უნდა ვიფიქროთ, რომ დასახელებულ მექანიკურ საწარმოებს კავშირი აქვთ გნედიჩის მიერ ნაჩვენებ თუჯსასხმელ და მექანიკურ ქარხნებთან.

აღნიშნულის გარდა, მექანიკური საწარმოები ბათუმში არსებობდა ზოგიერთ თუნუქის ბიდონებისა და ხის ყუთების დამამზადებელ ქარხნებთან და ნავთის გადამსხმელ სადგურებთანაც. მაგ. როტშილდის ნავთის ტარას ქარხანაში 1900 წელს შესრულდა 50 ათასამდე მანეთის ღირებულების სხვადახვა სარემონტო სამუშაოები. აქვე სწარმოებდა თუჯის ჩამოსხმაც[11].

სარემონტო სახელოსნო არსებობდა ნობელების ნავთის გადამსხმელ სადგურთან. აქ 1895 წლის უწყისის თანახმად 43 მუდმივი მუშა მუშაობდა, ხოლო დროებით მომუშავეთა რიცხვი 13-დან 198-მდე მერყეობდა. უნდა ვიფიქროთ, რომ მუშათა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით კი მუდმივი მუშები, ძირითადად სარემონტო სახელოსნოში იყვნენ დაკავებულნი, რადგან სხვა ნავთის გადამსხმელ სადგურებზე (რუსეთ-კავკასიის ნავთის საზოგადოების, „ბაქოს სტანდარტის", შიბაევის და კომპანიის და სხვ.) თითოეულზე მხოლოდ 6-მდე მუშა მუშაობდა[12].

ლითონდამმუშავებელი მრეწველობა არის ერთ-ერთი ისეთი დარგი ,რომლის მაგალითზე თვალნათლივ ჩანს წარმოების განვითარება დაბალი ფორმებიდან მანქანურ წარმოებამდე. ამ მხრივ ყველაზე უფრო დამახასიათებელია რუქსის საწარმო. იგი დაარსდა 60-იანი წლების დასაწყისში როგორც წვრილი საზეინკლო სახელოსნო. 1866 წელს რუქსის სახელოსნოში მხოლოდ 4 შეგირდი მუშაობდა[13]. 1880 წლისათვის რუქსის სახელოსნო მნიშვნელოვნად გა-

---

[9] Перечень фабрик и заводов Российск. Имп., Спб., 1897, გვ. 390. 1895 წ. ცნობით შმიტის საწარმოში, რომელიც ამზადებდა მოწყობილობას ნავთის ჭურჭლის და ნავთის გადამსხმელი ქარხნებისათვის სულ 13 მუშა მუშაობდა, პროდუქც. ღირებ. კი 25 ათას მან. შეადგენდა. აქ ამ დროს 10 ცხ. ძ. სიმძლავრის ორთქლის მანქანაა აღნიშნული (Указатель фабрик и заводов...,Спб, 1895, გვ 135—181).

[10] სცსია, ფონდი 275, საქმე 14, ფურც. 3.

[11] Список фабрик и заводов..., Спб., 1903, გვ. 323—324.

[12] ლენ. ცსია, ფონდი 20, აღწ. 12, საქმე 101.

[13] სცსია, ფონდი 7, აღწ. 1, საქმე 2229, ფურც. 81—92.

ფართოებული ჩანს. აქ ამ დროს უკვე 12 ოსტატი და 15 შავი მუშაა ნაჩვენები. საწარმოს პროდუქციის ღირებულება 20 ათას მანეთს აღწევს. მასში უკვე 4 ცხ. ძ. სიმძლავრის ორთქლის ძრავაც არის გამოყენებული[14]. მომდევნო ხანაში რუქსის საწარმო თბილისის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ლითონდამმუშავებელ ქარხანად იქცევა.

ანალოგიური გზა გაიარა ფრანკენის მექანიკურმა სახელოსნომაც, რომელიც თბილისში არსებობდა უკვე 60-იანი წლების შუახანებში. ფრანკენი ცდილობდა გაეფართოვებინა წარმოება ხაზინის დახმარებით[15]. 1880 წლისათვის მის საწარმოში 3 ქარგალი, 1 შავი მუშა და 11 შეგირდი მუშაობდა. მაგრამ წარმოებაში ჯერ კიდევ გამოყენებული იყო მხოლოდ ხვლის დაზგები და ხელსაწყო-იარაღები. 80-იანი წლების შუახანებში აღნიშნული საწარმო ფრანკენის ქვრივის ხელში იმყოფება. ამ დროს მასში წარმოება რამდენადმე შეკვეცილი ჩანს, მაგრამ მომდევნო ხანაში, კერძოდ 1888—1889 წლებიდან მის ბაზაზე არსდება პოპოვიჩის მსხვილი ლითონდამმუშავებელი საწარმო[16].

1881 წელს თბილისში აგაპოვის მიერ დაარსებულმა მექანიკურმა საწარმომ 80-იანი წლების შუახანებში რენკვისტის ხელში მნიშვნელოვან მასშტაბებს მიაღწია[17], ხოლო შემდეგ იგი იარალოვის კუთვნილება გახდა და თბილისის ერთ-ერთ უმსხვილეს ლითონდამმუშავებელ ქარხანად იქცა[18].

90-იან წლებში თბილისის ლითონდამმუშავებელ საწარმოთა მასშტაბების ზრდასთან ერთად ხდება თვისობრივი ხასიათის ცვლი-

---

[14] სცსია, ფონდი 17, საქმე 486.

[15] „საისტორიო მოამბე", 1956, წიგნი, 9, გვ. 31—35.

[16] ნ. რ ო დ ო ნ ა ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

[17] გ უ ლ ი შ ა მ ბ ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 183.

[18] გ. ბ ა ქ რ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 185. აღსანიშნავია, რომ 1900 წლის უწყისის თანახმად იარალოვის ქარხანა 1882 წელს არის დაარსებული, ამავე დროს იარალოვის კუთვნილ საწარმოს არც გულიშამბაროვთან და არც 1885-86 წლების უწყისებში არ ვხვდებით. 1895 წლის ოფიციალურ ცნობებში (Указатель фабрик и заводов окраин России . . . ,Спб, 1895) კვლავ არ ჩანს იარალოვის ქარხანა. სამაგიეროთ ამ დროს ჯერ კიდევ არსებობს რენკვისტის საწარმო. რაც შეეხება მომდევნო წლებს, აქ უკვე ქარხნის მეპატრონედ ბ. ევლინება იარალოვი, ხოლო რენკვისტი აღარ ჩანს (იხ. Перечень фабрик и заводов..., Спб. 1897 და 1898 წლის თბილისის გუბერნიის ორთქლის ქვაბის მქონე საწარმოთა სია: ლენცსია, ფონდი 20, აღწ. 15, საქმე 104, ფურც. 186—188). ამდენად არ არის სწორი გ. ბაქრაძე, როდესაც თავისივე მსჯელობის საწინააღმდეგოდ იარალოვს აცხადებს ქარხნის დამაარსებლად 1882 წლიდან (დასახ. ნაშრ., გვ. 181).

ლებაც ამ წარმოებაში. გარდა იმისა, რომ გაბატონებულ მდგომარეობას მოიპოვებს მანქანური წარმოება, აქ თანდათან ინერგება თვით მანქანების წარმოებაც. მაგ. თუ კი 80-იანი წლების შუახანებში ს. გულიშამბაროვს ჰქონდა საფუძველი ეთქვა, რომ ამ დროს თბილისში არსებითად არ ყოფილა მექანიკური ქარხნები, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, რადგან აქ არ მზადდებოდა არც ორთქლის ქვაბები და არც რთული კონსტრუქციის მანქანები[18], 900-იანი წლებისათვის ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯი იქნა გადადგმული. ამ დროისათვის თბილისის ლითონდამმუშავებელი ქარხნები ფართო ასორტიმენტის პროდუქციას იძლეოდნენ. აქ უკვე წარმოებდა სხვადასხვა მანქანების, ლითონისა და ხის დამმუშავებელი დაზგების დამზადება, ორთქლის ქვაბების, ტურბინების და წყლის ძრავების დამზადება, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის—ზეთსახდელი თუ სხვა მანქანების დამზადება. მაგ. 1901 წლის განმავლობაში იარალოვის ქარხანამ დაამზადა ლითონდამმუშავებელი 2 დაზგა, ხის დამმუშავებელი 1 დაზგა, 1 ზეთსახდელი მანქანა. პოპოვიჩის ქარხანაში ამავე წელს დამზადებულ იქნა 2 ორთქლის ქვაბი, 3 ტურბინა და წყლის ძრავა, 9 საქაჩავი (насос), 2 ამწევი მანქანა (подъемн. машины), 63 რონოდა, 1 ზეთსახდელი მანქანა. საფაბრიკო-საქარხნო მოწყობილობის შეკეთება და მანქანების ნაწილების დამზადება წარმოებდა თითქმის ყველა მსხვილ ლითონდამმუშავებელ საწარმოში. ამასთანავე აქვე მზადდებოდა დიდი რაოდენობით ლითონის ნაკეთობანი მშენებლობისათვის (რკინის კიბეები, კოჭები, მოაჯირები, კარები), საოჯახო მოხმარების (საწოლები, ღუმელები) და რკინაკავეულის (კლიტეები, კარ-ფანჯრის სხვა მოწყობილობა) საგნები[20].

მაგრამ ,ცხადია, მანქანათმშენებლობის დარგი საქართველოში ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩენილი იყო და საფაბრიკო-საქარხნო მოწყობილობის დიდი ნაწილი გარედან (უცხოეთიდან, რუსეთიდან და ნაწილობრივ ბაქოდან) შემოდიოდა[21].

მიუხედავად ამისა, როგორც დავინახეთ, ლითონდამმუშავებელი მრეწველობა, კერძოდ თუჯის ჩამომსხმელი და მექანიკური წარმოება, მე-19 ს. მეორე ნახევარში საგრძნობ წარმატებებს აღ-

---

[19] ს. გულიშამბაროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 184.
[20] ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 2, საქმე 2927.
[21] გ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 188.

წევს, როგორც მასშტაბების, ასევე წარმოების ფორმების განვითარების თვალსაზრისით. ჩვენ ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით სამრეწველო გადატრიალება ამ დარგში საქართველოში 90-იანი წლების შუახანებისათვის უკვე დამთავრებულად უნდა მივიჩნიოთ[22].

ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები

ამიერკავკასიის რკინიგზის ქსელის ძირითადი მაგისტრალების მშენებლობის პარალელურად არსდება სპეციალური სახელოსნოები, რომელთა დანიშნულებას რკინიგზის მომსახურება, კერძოდ კი მოძრავი შემადგენლობის შეკეთება შეადგენდა.

ამ ფუნქციებს თავდაპირველად რკინიგზის საკვანძო პუნქტებში (ხაშური, სამტრედია) არსებული სახელოსნოები ასრულებდნენ. თბილისში რკინიგზის საჭიროებისათვის სათანადო ხელსაწყო-იარაღებს ცალკეული მექანიკური საწარმოები ამზადებდნენ. ასე. მაგ. 1886 წელსაც კი, როდესაც თბილისში უკვე არსებობდა რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, საგზაო ინსტრუმენტები რკინიგზისათვის მზადდებოდა იასნიცკის სამშედლო-საზეინკლო სახელოსნოში[23].

1883 წელს თბილისში დაარსებული ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები დეპოსთან ერთად გადაიქცნენ საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს სამრეწველო დაწესებულებად. როგორც აღინიშნა, გ. ბაქრაძე სათანადო მასალების შესწავლის საფუძველ-

---

[22] აღსანიშნავია, რომ თბილისის ლოთონდამმუშავებელ წარმოებაში, კერძოდ იმ საწარმოებში, რომელთაც წერილი სახელოსნოების სახით ჩაეყარათ საფუძველი, დიდხანს შემორჩა ხელოსნური წარმოების ტრადიციები. ასე, მაგ., 1893 წელს თბილისის ისეთი საწარმოები, როგორიც იყო რუქსის და პოპოვიჩის ქარხნები, მოხვედრილნი არიან თბილისის გუბერნიის ხელოსნური წარმოების აღწერის მასალებში, ჩანს იმ ნიშნის მიხედვით, რომ აქ დიდი რაოდენობით იყენენ შეგირდები („ученики"), ხოლო მუშები ჯერ კიდევ განიხილებოდნენ, როგორც ქარგლები („подмастерья"). სულ 1893 წლის უწყისებით რუქსის საწარმოში 1 ოსტატი, 8 ქარგალი და 17 შეგირდი მუშაობდა, ხოლო პოპოვიჩის საწარმოში 1 ოსტატი, 28 ქარგალი და 28 შეგირდი.

(ლენ.ცსია, ფონდი 1290, აღწ. 5, საქმე 120, 121).

ცხადია, აღნიშნულ საწარმოებში, ისევე როგორც სხვაგან, ქარგლები და შეგირდები დიდი ხანია ფაქტიურად დაქირავებულ მუშებს წარმოადგენდნენ. ასე, მაგ., თუკი პოპოვიჩთან არ არის აღნიშნული, რომ შეგირდები იღებდნენ გასამრჯელოს, რუქსის საწარმოში მათ წლიურად 50—100 მანეთი ეძლეოდათ. შეგირდების მუშაობის მძიმე პირობები და დაბალი ხელფასი იყო იარალოვის ქარხანაში 1900—1901 წწ. გაფიცვების მიზეზი, სადაც ამ დროს 180 მუშიდან 120 ითვლებოდა შეგირდად (ცსია, ფონდი 17, საქმე 4399, 4411).

[23] ცსია, ფონდი 204, საქმე 654.

ზე ასკვნის, რომ რკინიგზის სახელოსნოებში ორთქლის მანქანების გამოყენება და, ამდენად, ამ საწარმოს ფაბრიკად გადაქცევა 90-იან წლებში ხდება[24]. თუკი 80-იანი წლების შუახანებში რკინიგზის სახელოსნოებში ათასამდე მუშა მუშაობდა. 1900 წლისათვის აქ უკვე 2265 მუშა ითვლებოდა: მათ შორის ამწყობ საამქროში—266, საქვაბე საამქროში—232, სახარატო საამქროში—384, ჩამომახმელ საამქროში—134, სამჭედლო საამქროში—406, სამღებრო (малярный) საამქროში—136, რონოდების (вагонный) საამქროში—569, სადურგლოში—138[25]. დეპოში ამავე დროს 150-ზე მეტი მუშა მუშაობდა[26]. ამდენად ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები მუშათა კონცენტრაციის მხრივ საქართველოში უდიდეს საწარმოს წარმოადგენდნენ.

თუნუქის ბიდონებისა და ხის ყუთების წარმოება ნავთის ექსპორტისათვის

ბაქოსა და ბათუმის რკინიგზის მაგისტრალით შეერთებამ ხელი შეუწყო ნავთის და ნავთობის პროდუქტების ბათუმის საშუალებით საზღვარგარეთ ფართო მასშტაბით გატანას[27], რამაც თავის მხრივ განაპირობა ბათუმის საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრად გადაქცევა. კერძოდ, აქ ნავთისა და ნავთობს პროდუქტების ექსპორტის საჭიროებისათვის 80-იანი წლებიდან არსდება როგორც მანუფაქტურის ტიპის მსხვილი საწარმოები, რომლებიც ზემოთ გვქონდა განხილული, ასევე ისეთი საწარმოები, სადაც თავიდანვე მანქანურ წარმოებასთან გვაქვს საქმე. ერთ-ერთი ასეთი საწარმო იყო 1883 წელს ბუნგესა და პალაშკოვის მიერ დაარსებული ქარხანა, რომელიც 1885 წელს უკვე კასპია—შავი ზღვის საზოგადოების (როტშილდის) ფირმის კუთვნილებას წარმოადგენდა. 1885 წლის უწყისით ამ ქარხანაში დამზადდა 889 ათასამდე ხის ყუთი და თითო ყუთზე ორ-ორი, ე. ი. 1.800 ათასამდე თუნუქის ბიდონი[28]. გარდა ამისა, იგივე უწყისით აქ დაუმზადებიათ 173 ათასამდე

---

[24] გ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 192.

[25] სცსია. ფონდი 17, საქმე 4403, ფურც. 67.

[26] 1900 წ. 5 აგვისტოს გაფიცვის გამო დეპოდან დაითხოვეს 150 მუშა. იქვე ფურც. 32.

[27] ს. გეგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება..., გვ. 319—343. გ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 198—199.

[28] ლენ.ცსია. ფონდი 20, აღწ. 12. საქმე 100. აღნიშნული მონაცემები ემთხვევა სხვა წყაროს მონაცემებსაც. კერძოდ ნ. წერეთელი ბათუმის მრეწველობის მიმოხილვისას უჩვენებს, რომ 1885 წ. როტშილდის ქარხანაში დაუმზადებიათ 897 ათასამდე ყუთი და 1808 ათასი თუნუქის ბიდონი. Н. В. Цере-

კასრი ნავთისა და ნავთობის პროდუქტებისათვის, ე. ი. სულ მილიონზე მეტი ცალი ჭურჭელი, თუ ერთად ვიანგარიშებთ ხის ყუთებს და მათში ჩაწყობილ ორ-ორ ბიდონს. როგორც ეს 1885 წლის უწყისშია ნაჩვენები, ხოლო ცალ-ცალკე სულ აქ დაუმზადებიათ 2. 800 ათასი ცალი. ნავთის ტარა.

1885 წლის უწყისით როტშილდის წარმოებაში 469 მუშა მუშაობდა, მათ შორის 15 მცირეწლოვანი. აქ ამზადებდნენ ხის ყუთებს, თუნუქის ბიდონებს და აგრეთვე ლითონის კასრებს. იგივე საწარმო ახდენდა ნავთის გადასხმასაც გემებში. ამ მიზნისათვის საწარმოს ჰქონდა 4 ორთქლის საქაჩავი.

მეორე საწარმო, სადაც თავიდანვე ვხვდებით ორთქლის მანქანის გამოყენებას, იყო რიხნერის ქარხანა. დაარსებული 1885 წ. აქ 1885 წლის უწყისით დაუმზადებიათ 500 ათასი ხის ყუთი და თუნუქის ბიდონი. საკუთრივ საწარმოში 30 მუშა მუშაობდა. საწარმოს გარეთ კი („ на стороне") 15 მუშა. შესაძლოა ესენი იყვნენ ფაბრიკის მიერ დაქვემდებარებული ის ხელოსნები, რომელნიც თავდაპირველად, მსხვილ საწარმოთა გაჩენამდე, დამოუკიდებლად ამზადებდნენ ბიდონებს თავიანთ სახელოსნოებში[29].

90-იანი წლების მანძილზე ნავთის ტარას წარმოება თითქმის მთლიანად მანქანურ წესზე გადადის.

1900 წლისათვის ბათუმში თუნუქის ბიდონებისა და ხის ყუთების წარმოების სურათს გვიქმნის ცხრილი 13 (იხ. გვ. 183).

ცხრილში დასახელებულ საწარმოთაგან ზოგიერთზე (კერძოდ: ცოვიანოვებისა და სიდერიდისის) 1900 წლის უწყისები ცალ-ცალკეა შედგენილი თუნუქის ბიდონების წარმოებაზე და ხის ყუთების წარმოებაზე[30]. სხვა საწარმოების უწყისებში ორივე სახის წარმოება ერთად არის მოცემული. იგივე სურათი გვაქვს ვარზარის მასალებშიც. გნედიჩის მონაცემებით ბათუმში ბიდონებისა და ხის ყუთის 8 საწარმო იყო 2195 მუშით და 8936 ათასი მანეთის პროდუქციით. ჩანს, გნედიჩს ცალ-ცალკე აქვს აღრიცხული ერთი და ივივე ფირმის ბი-

---

т е л и. Очерк торгово-промышленного развития гор. Батума. წიგნში Батум и его окрестности, Батум, 1906, გვ. 435.

[29] ბ. გ უ გ ე შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 331.

[30] ორთქლის მანქანების არსებობა ცოვიანოვებთან აღნიშნულია ხის ყუთების წარმოებაში, ბიდონების საწარმოს უწყისში კი მანქანაზე მითითება არ არის, მაგრამ წერია „машинное производство жест. коробок". იგულისხმება, რომ ერთ-ერთი ორთქლის მანქანა ბიდონების წარმოებას ემსახურებოდა. სიდერიდისის საწარმოებიდან უწყისი გვაქვს მხოლოდ ბიდონების ქარხნისა, სადაც 21 ცხ. ძ. ერთი ორთქლის მანქანაა ნაჩვენები.

ლონების და ხის ყუთების საწარმოები, თუმცა სახელდობრ რომელი იგულისხმება მერვე საწარმოში, ჩვენთვის უცნობია. გნედიჩის და უწყისების მონაცემებში განსხვავება მუშათა რაოდენობაში მხოლოდ 155-ია, მაგრამ პროდუქციის ღირებულება გნედიჩს თითქმის 1.5 მილიონ მახეთით მეტი აქვს ნაჩვენები. აღნიშნული სხვაობა პროდუქციის ღირებულებაში უნდა აიხსნას, იმით, რომ უწყისებში ფაქტიურად ნაჩვენებია არა პროდუქციის ღირებულება, არამედ წარმოების ღირებულება, რომელიც ჩანს აღნიშნულ საწარმოებში მნიშვნელოვნად ნაკლები იყო პირველზე.

ცხრილი 13[31]

საწარმოს დასახელება	დაარსების წელი	ძრავა: სახეობა და რაოდ.	ძრავა: ძალა	მუშათა რიცხვი	პროდუქტ. ღირებ.: ხის ყუთები	პროდუქტ. ღირებ.: ბიდონები	სულ პროდუქტ. ღირებულება
კასპია-შავი ზღვის საზ-ბის (როტშილდის)	1883	ორთქ. 3	340	947	861,0	1475,0	2336,0
მანთაშევის	1887	ორთქ. 5	100	410	755,0	1618,0	2373,0
ხაჩატურიანცის	1888	ორთქ. 2 ბენზ. 1	29 12	295	390,0	304,0	694,0
ცოვიანოვების							
ა) ხის ყუთების	1888	2	58	56	438,6		438,6
ბ) ბიდონების	1888			172		959,1	959,1
სიდერიდისის							
ა) ხის ყუთების	1883	ორთქ.		30	155,4		155,4
ბ) ბიდონების	1883	1	21	130		432,4	432,4
				2040	2600,0	4788,5	7388,5

ამგვარად, როგორც ვხედავთ, 1900 წლისათვის ბათუმის ნავთის ტარის წარმოებაში ხდება როგორც წარმოების მაშტაბების ზრდა, ასევე წარმოების კონცენტრაცია რამოდენიმე მსხვილი ფირმის ხელში. აღნიშნული ფირმები, გარდა ნავთის ტარას წარმოებისა, სხვა უფრო წვრილ ფირმებთან ერთად ნავთის გადასხმასაც ეწეოდნენ.

[31] ცხრილს საფუძვლად უდევს ცალკეული უწყისების და ვარზარის მონაცემები: ლენ. ცსია, ფონდი 1290, აღწ. 5, საქმე 176, ფურც. 507, 510 — 513. Список фабрик и заводов . ,Спб, 1903, გვ. 232—233.

ხაჩატურიანცის წარმოების გამოკლებით, რომელიც ტარას ამზადებდა ნობელის ფირმისათვის[32].

სახერხი და სადურგლო წარმოება

ხე-ტყის მანქანურ დამუშავებას ფართო მასშტაბით საქართველოში საფუძველი ეყრება 80-იანი წლებიდან ერთი მხრით საქალაქო ცხოვრების განვითარებისა და მშენებლობის გაცხოველების, ხოლო მეორე მხრით რკინიგზის გაყვანასა თუ ბათუმში ნავთის ექსპორტის საჭიროებისათვის ხის ყუთების წარმოების დაწყებასთან დაკავშირებით. მართალია რკინიგზაც და ბათუმის ნავთის ტარას დამამზადებელი საწარმოებიც ხე-ტყის მნიშვნელოვან ნაწილს იღებდნენ საზღვარგარეთიდან და რუსეთიდან, მაგრამ ნაწილობრივ ადგილობრივ ხე-ტყესაც იყენებდნენ.

1886 წლისათვის თბილისში შემდეგი სახერხი ქარხნები იყო, რომლებიც ორთქლის მანქანას იყენებდნენ:

ცხრილი 14[33]

საწარმოს დასახელება	დაარსების დრო	ძრავა		მუშათა რაოდენობა	პროდუქციის ღირებულება (ათას მან.)
		სახეობა	ძალა		
ა. ტერ-ასატუროვის და ა. ასრიევის	1878	ორთქლ.	25	20	50,0
ი. როტინოვის	1875	„	50	10	35,0
ტ. ცოკიანოვის	1878	„	15	14	10,0
გ. ეჯუბოვის	1872	„	12	9	23,0
ა. ტერ-ასატუროვის	1878	„	25	18	46,6
ა. ასრიევის	1885	„	12	10	20,0
ს. ეგიაზაროვის და ა. ასატუროვის	1884		25	15	25,0
				96	209,6

სახერხი ქარხნები, რომლებშიც უკვე ორთქლის მანქანის გამოყენებას ვხვდებით, არსდება როგორც თბილისში, ასევე აღმოსავ-

[32] პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 338.

[33] ცხრილს საფუძვლად უდევს ს. გულიშამბაროვის მონაცემები (დასახ. ნაშრ., გვ. 158—159) და აგრეთვე 1885—1886 წლების უწყისები (სცსია, ფონ-

ლეთ და დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებში. ხე-ტყის მასივების ახლოს და აგრეთვე ზღვისპირა პუნქტებში ,სადაც მდინარეებით ჩაქონდათ ხე-ტყე.

თბილისის გუბერნიაში 1886 წლისათვის ძემდეგი სახერხი ქარხნები არსებობდა:

ცხრილი 15[34]

საწარმოს დასახელება	დაარსების დრო	ძრავა		მუშათა რაოდენობა	პროდუქციის ღირებულება (ათას მან)
		სახეობა	ძალა		
დიდი მთავრის ბორჯომის მამულისა სოფ. გომში	1885	ორთქლ.	8	25	40,0
ზეზემანის და ქართველიშვილის სოფ. ხანდისში	1886	„ წყლის	40	30	—
მათივე ატენში	1886	ტუობინა	50	20	30,0
				75	70,0

ბორჯომის მამულის სახერხი საწარმო სოფ. გომში ამზადებდა ფიცრებს ბათუმის როტშილდის ნავთის ტარას ქარხნისათვის, ხოლო ზეზემანი და ქართველიშვილი იყვნენ ამიერკავკასიის რკინიგზის კონტრაგენტები და ამარაგებდნენ რკინიგზას განძელებით.

და 204. საქმე 592, 654). აღნიშნული მონაცემები ყოველთვის არ ემთხვევიან მაგრამ ავსებენ ერთმანეთს, როგორც თვით საწარმოთა რაოდენობის, ასევე პროდუქციისა. მუშახელისა თუ აღჭურვილობის თვალსაზრისით. მართალია შეჯერებული მონაცემებიც ზედმიწევნით ზუსტად ვერ ჩაითვლებიან, მაგრამ საწარმოთა მასშტაბის და ბუნების გარკვევის საშუალებას იძლევიან. ორ უკანასკნელ საწარმოს პროდუქციის ღირებულება სავარაუდოა ანალოგიურ საწარმოთა მიხედვით.

80-იან წლებში თბილისში არსებული სახერხი საწარმოები განხილული აქვთ გ. ბაქრაძეს (დასახ. ნაშრ., გვ. 217—218) და ნ. როდონაიას (დასახ. ნაშ., გვ. 29—31). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ორივე ავტორი სახერხ წარმოებას მიათვლის შეარცის საწარმოს, რომელიც ფაქტიურად სადღრეკლო საწარმო იყო (ამზადებდა კარ-ფანჯარას და სხვ). ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ გ. ბაქრაძე 80-იან წლებში თბილისში არსებულ სახერხ საწარმოთაგან ფაბრიკულ საწარმოებად მიიჩნევს მხოლოდ ისეთებს, სადაც მუშათა რიცხვი 16-ს აღემატებოდა.

ს. გულიშამბაროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 158—159.

განძელებზე დიდი მოთხოვნილების გამო, ზოგ შემთხვევაში სწარმოებდა მათი ხელით დამზადებაც. ამ დროს აქ 1000-მდე მუშა მუშაობდა, ჩვეულებრივ კი საკუთრივ სახერხი ქარხნების მუშების გარდა, წარმოებაში 500 მუშა იყო დაკავებული. წარმოებას ვიწროლიანდაგიანი რკინიგზაც ჰქონდა ხე-ტყის გამოსატანად. ზეზემანს და ქართველიშვილს ქ. გორთან ჰქონდათ აგრეთვე განძელების გასაყღენთი წარმოება, სადაც 60-მდე მუშა მუშაობდა. საწარმოს პროდუქციის ღირებულება კი 375 ათას მანეთს შეადგენდა[35].

ქუთაისის გუბერნიაში მსხვილი სახერხი წარმოება ჰქონდა ბარონ კასტექსს სოფ. კალდახვარაში, გუდაუთის მახლობლად. საწარმო 1885 წელს იყო დაარსებული. აქ 8 ცხ. ძალიანი ორთქლის მანქანა მოქმედებდა, მუშათა საშუალო რაოდენობა 70-ს შეადგენდა, ხოლო პროდუქციის ღირებულება 40 ათას მანეთს. საკუთრივ სახერხ საწარმოში 18 მუშა მუშაობდა, საწარმოს გარეთ კი („на стороне") ხე-ტყის დამზადებაზე 52 მუშა. მუშათა საერთო რაოდენობა (უცხოელი და რუსი ოსტატები—მექანიკოსების ჩათვლით) ღღეში 100-მდე აღწევდა. საწარმო მოქმედებდა 1 სექტემბრიდან 1 ივლისამდე. პროდუქცია გაჰქონდათ საფრანგეთსა და რუსეთში[36].

90-იან წლებში როგორც თბილისში, ასევე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებსა და ზღვისპირა პუნქტებში, არსდება არა ერთი სახერხი საწარმო, რომელნიც ორთქლის მანქანებსაც იყენებენ, მაგრამ მათი უმრავლესობა წარმოების მასშტაბისა და მუშათა რაოდენობის თვალსაზრისით წვრილი საწარმოები იყო. რომელნიც მხოლოდ პერიოდულად მოქმედებედნენ. იყო აგრეთვე ისეთი შედარებით მსხვილი საწარმოები, რომელთაც ადრევე შეწყვიტეა არსებობა და 900-იან წლებამდე ვეღარ მიაღწიეს, თბილისის ზოგიერთი საწარმო კი, რომელიც 70—80- იან წლებში იყო დაარსებული, 1900 წელსაც გვხვდება.

ხე-ტყის მასალაზე დიდი მოთხოვნილების არსებობა იყო პირობა იმისი, რომ საქართველოში შედარებით მსხვილი სახერხი ქარხნების გვერდით მნიშვნელოვანი რაოდენობით გვხვდება წვრილი

---

[35] ს. გულიშამბაროვი. დასახ. ნაშრ., გვ. 158—159.
[36] ლენ. ცსია, ფონდი 20, აღწ. 12, საქმე 100.

სახერხი საწარმოებიც, რომელთა დიდი ნაწილი მართალია სულს ღაფავდა, მაგრამ მაინც ახერხებდა თავისი პროდუქციის მომხმარებლის შოვნას.

1900 წლისათვის თბილისში არსებობდა შემდეგი შედარებით მსხვილი სახერხი ქარხნები:

ცხრილი 16[37]

საწარმოს დასახელება	დაარსების დრო	ძრავა		მუშათა რიცხოვნობა	პროდუქციის ღირებულება (ათას მან.)
		სახეობა	ძალა		
ტერ-ასატუროვის	1878	ორთქლ.	25	30	132,1
როტინოვის, მირიმანოვის და თამამშევის	1875		25	17	20.7
ავშაროვის (ყოფ. ასრიევის)	1885		20	18	77,2
ბაბლუმოვის	1887		11	15	50,6
ჯაგეტიანცის	1900		25	24	62.6
კვერნაძის და გურგენიძის	1898		12	10	20,8
აფიევის	1896			20	70 0
				134	434.0

1898 წელს თბილისში ორთქლის მანქანების მქონე 8 სახერხი და ფანერის საწარმოა მითითებული[38]. სახერხი ქარხნების იგივე რიცხვს უჩვენებს გნედიჩიც. ამ საწარმოებში უნდა იგულისხმებოდეს 7 ზემოდასახელებული საწარმო და აგრეთვე ეგიაზაროვის ფანერის ქარხანა. მაგრამ გნედიჩს მუშათა რაოდენობა და პროდუქციის ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირებულად აქვს მოცემული (სულ 8 საწარმოში—83 მუშა და 120 ათასი მან. პროდუქცია)[39].

თბილისის გუბერნიაში 1900 წლისათვის შემდეგი შედარებით მსხვილი სახერხი ქარხნები მოქმედებდა:

---

[37] Список и фабрики заводов..., Спб, 1903, გვ. 232—233. ცხრილის შედგენისას გათვალისწინებულია აგრეთვე 1901წლის უწყისების მონაცემები (ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 2, საქმე 2926) და 1902 წლის მასალა (უკრაინის სახ. ც. ს. არქივის ხარკოვის ფილიალი, ფონდი 834, საქმე 408, ფურც. 13—18.

[38] ლენ. ცია, ფ. 20, აღწ. 15, საქმე 104, ფურც. 186—188).

[39] ლენცსია, ფონდი 23, აღწ. 17, საქმე 738. „საისტორიო მოამბე". 1. 1945, გვ. 256—257.

ცხრილი 17[40]

საწარმოს დასახელება	დაარსების წელი	ძრავა		მუშათა რაოდენობა	პროდუქციის ღირებულება (ათას მან.)
		სახეობა	ძალა		
ბორჯომის მამულის (ბორჯომის ახლოს)	1895	ორთქლ. 2 ტურბინა	20	29	85,0
ზეზემანის ატენში	1886	1		40	125.0
				69	210,0

ქუთაისის გუბერნიაშიც 1900 წლისათვის არსებულ სახერხ საწარმოდან მსხვილი ქარხნები იყო:

ცხრილი 18[41]

საწარმოს დასახელება	დაარსების წელი	ძრავა		მუშათა რაოდენობა	პროდუქციის ღირებულება (ათას მან.)
		სახეობა	ძალა		
სერებრიაკოვის სოფ. მარანში (სენაკის მაზრა)	1890	ორთქლ. 3	100	50	290,0
მაქსიმოვის მემკვიდრეების სოფ. ადზიუბჟაში (სოხუმის ოკრუგი)	1898	ორთქლ. 3	90	110	315,7
				160	605,7

[40] ბორჯომის მამულის საწარმოს შესახებ 1900 წლის და მომდევნო წლების მონაცემები ემთხვევა ერთმანეთს: Список фабрик и заводов..., გვ. 232 — 233, ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 2, საქმე 2926, უკრაინის ცსია ხარკოვის ფილიალი, ფონდი 834, საქმე 408, გვ. 13—18, ხოლო რაც შეეხება ზეზემანის საწარმოს, მასზე ცნობები გვაქვს მხოლოდ ხარკოვის ფილიალის აღნიშნულ საქმეში, რომელიც 1902 წლის ვითარებას ასახავს. გნედიჩი გორის მაზრაში 4 სახერხ საწარმოს აღნიშნავს 66 მუშით და 130 ათასი მან. პროდუქციით (ლენ.ცსია, ფონდი 23, აღწ. 17, საქმე 738, ფურც. 60—61). როგორც ცხრილიდან ჩანს მხოლოდ ბორჯომის მამულის და ზეზემანის საწარმოთა მუშათა რიცხვი და პროდუქცია აღემატებოდა გნედიჩის 4 საწარმოს მაჩვენებლებს, რაც შეიძლება იმით აიხსნას. რომ გნედიჩთანაც, ისევე როგორც 1900 წლის სხვა მასალებში ზეზემანის საწარმო გამოტოვებული ჩანს, თუმცა 1898 წლის ორთქლის მანქანების მქონე საწარმოთა სიაში იგი მოიხსენიება.

[41] ლენ.ცსია, ფონდი 1290, აღწ. 5, საქმე 176, ფურც. 506 და 509. Список фабрик и заводов . . ,Спб., 1903, გვ. 199—200.

როგორც აღინიშნა, ჩამოთვლილი მსხვილი სახერხი ქარხნების გარდა საქართველოში, განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში იყო მრავალი წვრილი სახერხი საწარმო ორთქლის ძრავით, რომელნიც მსხვილ ქარხნულ წარმოებას არ მივათვალეთ.

*
* *

სადურგლო წარმოებაში წვრილი და მანუფაქტურის ტიპის საწარმოები დიდ ხანს ინარჩუნებენ გაბატონებულ მდგომარეობას. 80-იანი წლების შუახანებში თბილისში იმ საწარმოთაგან, სადაც ორთქლის მანქანის გამოყენებას ჰქონდა ადგილი, ცნობები გვაქვს ზეიცერის ავეჯის და პარკეტის ქარხანაზე, რომელიც 1846 წლიდან არსებობდა, თავდაპირველად როგორც წვრილი ხელოსნური საწარმო და ეგიაზაროვის ფანერის ქარხანაზე, რომელიც 1885 წელს დაარსდა. პირველ საწარმოში 40 მუშა მუშაობდა, ხოლო პროდუქციის ღირებულება 40 ათას მანეთს შეადგენდა, მეორეზე კი 10 მუშა იყო დაკავებული, პროდუქციის ღირებულება 50 ათას მანეთს აღწევდა[42].

ზეიცერის ქარხანა 90-იან წლებში განაგრძობდა არსებობას[43]; მაგრამ 1900 წლისათვის, ჩანს არ მოუღწევია. იგი აღარ მოიხსენიება 900-იანი წლების დასაწყისის არცერთ წყაროში. რაც შეეხება ეგიაზაროვის ფანერის ქარხანას, იგი იგივე მასშტაბით 1900 წელსაც არსებობდა[44].

როგორც ჩანს, მრეწველობის ამ დარგში მანქანური წარმოება საქართველოში ვერ იკიდებს ფეხს და ასპარეზი მრეწველობის უფრო დაბალ ფორმებს რჩებათ.

საშენ მასალათა (აგურის) წარმოება

საშენ მასალათა წარმოების დარგებიდან საქართველოში ყველაზე უფრო გავრცელებული იყო აგურის წარმოება. რაც შეეხება კრამიტის წარმოებას, იგი ან აგურის წარმოებასთან იყო შერწყმული შედარებით მსხვილ საწარმოებში, ან წვრილი ხელოსნური წარმოების სახით არსებობდა. 90-იანი წლების მიწურულში დასავლეთ საქართველოში იყო ცდები კრამიტის მსხვილი ფაბრიკული წარმოე-

---

[42] ს. გულიშამბაროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 160—168.

[43] Указатель фабрик и заводов окраин России, Спб., 1895, გვ. 135—193.

[44] Список фабрик и заводов... Спб., 1903, გვ. 232—233.

ბის დაარსებისა. მაგრამ ეს წამოწყება აღარ განხორციელებულა[45]. არც კირის, ცემენტის თუ სხვა სახის სამშენებლო მასალის ფართო მასშტაბის წარმოებას იცნობს მე-19 ს. მეორე ნახევრის სტატისტიკა. ასე რომ, სამშენებლო მასალათა წარმოების დარგიდან ჩვენ მხოლოდ აგურის წარმოებაზე შევჩერდებით.

აგურის ფაბრიკული წარმოების ცდებს ჯერ კიდევ 60-იან წლებში ჰქონდა ადგილი. ასეთი საწარმოები იყო ტანერის და რაისის — თბილისში და ქუთაისის საწარმო, სადაც უკვე მანქანების გამოყენებას ვხედებით[46]. მაგრამ აღნიშნულმა საწარმოებმა, ჩანს, დიდხანს ვერ იარსებეს.

80-იან წლებში, კერძოდ 1882 წლიდან, თბილისში აგურის ფაბრიკული წარმოების მოწყობა სცადა პოლკოვნიკმა ხიმშიაშვილმა. მის ქარხანაში გოფმანის სისტემის უწყვეტად მომქმედი ქურა იყო გამოყენებული. აქვე იყო ორთქლის ძრავა 8 ცხენის ძალისა და თუჯის 2 ზაზგა: ერთი სანაყი და ერთი აგურის გამოსაყვანი. საწარმო ამზადებდა ახალი, სტანდარტული ფორმის („რუსულ") აგურს, რომელიც ადგილობრივი აგურისაგან განსხვავებით იწნეხებოდა („пресуетя"). საწარმოში 20 მუშა მუშაობდა. მისი წლიური პროდუქცია 8.400 მანეთის ღირებულების 600 ათას ცალ აგურს შეადგენდა[47].

მაგრამ, გულიშამბაროვის ცნობით ხიმშიაშვილის წარმოებას არ ჰქონდა წარმატება, რადგან მშენებლები ჯერ კიდევ არჩევდნენ ტრადიციული. ძველი ფორმის აგურის გამოყენებას და სახაზინო უწყებანიც კი ხშირ შემთხვევაში იყენებდნენ უფრო იაფ, ადგილობრივი წარმოების აგურს. მოთხოვნილების უქონლობა კი იწვევდა შეფერხებას ხიმშიაშვილის საწარმოს უწყვეტადმომქმედ ქურის მუშაობაში, რაც სცემდა მის რენტაბელობას. საწარმოს ვერც თხიერ საწვავზე გადაყვანის ცდამ უშველა და პატრონმა იგი იჯარით გასცა, რასაც მალე საწარმოს დახურვა მოჰყვა. საფიქრებელია, იგივე მიზეზით დაიხურა აგურის სხვა ფაბრიკული წამოწყებებიც.

---

[45] ლენ.ცენ., ფონდი 22, აღწ. 2, საქმე 2664.

[46] ე. ხოშტარია, დასახ. ნაშრ., გვ. 160—161; დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 200.

[47] ს. გულიშამბაროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 214—215. გულიშამბაროვის მონაცემები ემთხვევა ხიმშიაშვილის აგურის საწარმოს 1885 წ. უწყისის პირ. ნაცემებს (სცსია, ფ. 204, საქმე 592, ფურც. 107). 1886 წ. უწყისით კი საწარმოს პროდუქციის ღირებულება 7100 მან. უდრიდა (სცსია, ფონდი 204, საქმე 654, ფურც. 71).

XIX-იანი წლების დასაწყისში თბილისში და მის მახლობლად იყო შემდეგი შედარებით მსხვილი აგურის ქარხნები:

ცხრილი 19[48]

საწარმოს დასახელება	დაარსების დრო	ძრავა		მუშათა რიცხოვნობა	პროდუქციის ღირებულება (ათას მან.)
		სახეობა	ძალა		
		ბენზ.			
კუჩენბახის	1899	2	30	21	28,0
ზინიკერის	1894	—		30	24,0
მარტიროსოვის (წყნეთში)	1900	—		23	17.0
სურენიანცის	1900			30	27,0
				104	96,0

აგურის საწარმოთა უმრავლესობა, როგორც აღინიშნა, უფრო წვრილი მასშტაბისა იყო და ორთქლის ქვაბების არსებობის მიუხედავად. ისინი ვერც მასშტაბებით და ვერც ორთქლის ქვაბის დანიშნულების და ქურების პრიმიტიული მოწყობილობის მიხედვით, მსხვილ, ფაბრიკულ წარმოებას ვერ მიეკუთვნებიან. მართალია ზინიკერის და მარტიროსოვის ქარხნებშიც მექანიკური ძრავა არ არის დადასტურებული, მაგრამ ორივე საწარმოში გოფმანის სისტემის ღუმელი იყო გამოყენებული[49], რაც საფუძველს გვაძლევს წარმოების მასშტაბების გათვალისწინებით, ისინი ფაბრიკულ წარმოებას მივაკუთვნოთ. საფიქრებელია, რომ ამავე საწარმოთა რიგს ეკუთვნოდა სურენიანცის ქარხანაც. ამის საფუძველს გვაძლევს ვარზარის რედაქციით გამოცემული „სტატისტიკურ კრებულში", აგურის ქარხნების აღჭურვილობის ნუსხაში 4 უწყვეტმოქმედი ქურის მითითება[50]. წარმოების მასშტაბის გათვალისწინებით ერთ-ერთი ასეთი ქურა სწორედ ამ უკანასკნელ საწარმოში უნდა ვივარაუდოთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგივე ნუსხით აგურის მკეთებელი მანქანა მხოლოდ ერთი იყო. იგი უთუოდ განეკუთვნებოდა ბარონ კუჩენბახის ქარხანას, სადაც ბენზინის ძრავა არის დადასტურებული.

მინის წარმოება

მინის წარმოება ერთ-ერთი ისეთი დარგია, რომელსაც ადრევე ჩაეყარა საფუძველი შედარებით ფართო მასშტაბით ჯერ ზავილეისკის, ხოლო შემდეგ ერისთავების საწარმოთა სახით, მაგრამ ერისთა-

[48] ლენ. ცსია, ფონდი 22. აღწ. 2, საქმე 2925.

[49] Список фабрик и заводов Европ. России, Спб., 1903, გვ. 399—400.

[50] Статистические сведения . . , Спб., 1903, გვ. 191—197.

ვების საწარმომ იარსება მხოლოდ 70-იანი წლების შუახანებამდე-ამ დროისათვის მინის ნაწარმზე არსებული დიდი მოთხოვნილების მიუხედავად მან უმთავრესად დაბალი ტექნიკური დონის წყალობით ვერ გაართვა თავი წარმოების სიძნელეებს და შეწყვიტა არსებობა[51].

ამის შემდეგ ადგილობრივი ბაზარი მთლიანად დამოკიდებული იყო საზღვარგარეთიდან, ფინეთიდან და უკანასკნელ ხანებში ოდესასა და ასტრახანიდან შემოტანილ მინის ნაწარმზე. 80-იანი წლების დასაწყისში მინის ქარხანა დააარსა თავის მამულში, ბორჩალოს მაზრაში, სოფ. საფარლოში, ბარონმა კუჩენბახმა. ქარხანა „ევროპულ ყაიდაზე" იყო მოწყობილი[52]. ქარხანაში იყო მინის სადნობი ღუმელი 10 ტიგელით. ღუმელი ხურდებოდა გაზით სპეციალური გენერატორის შემწეობით[53].

1900 წლის უწყისის თანახმად აქ მოქმედებდა 40 ცხენ. ძალ. სიმძლავრის 1 წყლის ტურბინა. როგორც 80-იანი წლების შუახანებში, ასევე 1900 წლისათვის ქარხანაში 70-მდე მუშა მუშაობდა, საკუთრივ წარმოებაში 50-მდე, დამხმარე სამუშაოებზე კი 20. ქარხნის პროდუქციასაც არ განუცდია ცვლილება. იგი როგორც 80-იან წლებში, ასევე 1900 წ. დაახლოებით 60 ათას მან. აღწევდა. ქარხანაში მზადდებოდა ღვინის ბოთლები, წყლის ჭურჭელი (графин), ლამფის შუშები და საფოთიაქო ჭურჭელი[54].

90-იანი წლების შუახანებში მინის ნაწარმზე არსებული მზარდი მოთხოვნილების და განსაკუთრებით ბორჯომის მინერალური წყლების ექსპლოატაციის საჭიროებასთან დაკავშირებით დიდი მთავარის მიხეილის ბორჯომის მამულში არსდება მინის ქარხანა. თავდაპირველად კონტრაქტი ქარხნის გახსნის შესახებ დაიდო აბაშიძესთან, რომელმაც კონტრაქტი გადასცა ინჟინერ ლიხაჩოვს. ქარხანამ მოქმედება დაიწყო 1897 წლიდან. 1898 წელს იგი ჯერ კიდევ ლიხაჩოვის ხელში იმყოფებოდა, ხოლო მომდევნო წლებში მოსკოველი საქმოსნების ძმები ბერგამენების ხელში გადაიდა. ბერგმანებმა 1899 წელს სცადეს წარმოების გაფართოვება და აქციონერული საზოგდოების შექმნა, რაც 90-იანი წლების მიწურულს დაწყებული კრიზისის მიზეზით ვერ მოხერხდა[55].

---

51 ს. გულიშამბაროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 215—217.

52 ლენ.ცსია, ფონდი 22, აღწ. 4, საქმე 214, ფურც. 19—20.

53 ს. გულიშამბაროვი, დასახ. ნაშრ. გვ. 219—221.

54 80-იანი წლების შუახანების მონაცემები აღებულია ს. გულიშამბაროვის ნაშრომიდან (გვ. 219—221), 1900 წლის მონაცემები—ლენ. ცსია. ფონდი 1290, აღწ. 5, საქმე 177, ნაწ. II, ფურც. 413.

55 ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 4, საქმე 214, ფურც. 19—20 ,35—36. ლენ.-ცსია, ფონდი 20, აღწ. 15, საქმე 104, ფურც. 186—188.

1900 წლის უწყისის თანახმად ქარხანაში მოქმედებდა 20 ცხ. ძ. სიმძლავრის ორთქლის მანქანა. მუშათა რიცხვი 75-ს შეადგენდა. აქედან 60 მუშა საკუთრივ წარმოებაში მუშაობდა, ხოლო 15 დამხმარე სამუშაოებს ასრულებდა. საწარმოს პროდუქციის ღირებულება 112 ათას მანეთს შეადგენდა[56].

საფეიქრო წარმოება

საფეიქრო წარმოება, კერძოდ ბამბის ქსოვილების დამზადება საქართველოში, ამ დარგის ხელოსნური და „შინამრეწველური" წარმოების თანდათან დაცემის შემდეგ, რაც ძირითადად გამოწვეული იყო რუსეთიდან შემოტანილი საფეიქრო ნაწარმის კონკურენციით (მხედველობაში თუ არ მივიღებთ 30-იან წლებში სიღნაღში შავერდოვების მიერ გახსნილ ბამბის ძაფსახვევ „ფაბრიკას", რომელმაც ძალზე მცირე ხანს იარსება) აღდგა 1869-70 წლებში გ. მირზოევის საფეიქრო ფაბრიკის გახსნით[57]. ეს ფაბრიკა 1880—1886 წლებში იჯარით ჰქონდა ფრანგ მეწარმეს რიშარს, ხოლო 1888 წლიდან გადავიდა კაპიტალისტ ჩითახოვის ხელში. აღნიშნული საწარმო საკმაოდ კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში. უკანასკნელად მას დეტალურად შეეხნენ გ. ბაქრაძე[58] და ნ. როდონაია[59]. მათ განხილული აქვთ ფაბრიკის დაარსების ისტორია, მისი შემდგომი ბედი, საწარმოს ტექნიკური აღჭურვილობა, პროდუქცია და მუშათა რაოდენობა წლების მიხედვით. წარმოდგენილი სურათი საერთოდ სწორია, მაგრამ დეტალებში დაზუსტებას მოითხოვს. მაგ., გ. ბაქრაძე ფაბრიკის პროდუქციის მაჩვენებლად გუბერნატორის ანგარიშზე დაყრდნობით 1880 წლისათვის 3 მილიონ მანეთს იღებს და აკეთებს შესაბამის დასკვნებს წინა წლებთან შედარებით საწარმოს პროდუქციის 4—6 ჯერ გადიდების შესახებ. ამავე დროს გ. ბაქრაძეს ხელთ აქვს ფაბრიკის 1880 წლის უწყისი, რომლის თანახმად პროპროდუქციის მოცულობა ამ წელს 590 მანეთს უდრიდა, ხოლო მუშათა რაოდენობა იყო არა 500, არამედ 442[60].

---

[58] ლენ. ცსია, ფონდი 1290, აღწ. 5, საქმე 177, 11, ფურც. 414,

[57] ფაბრიკის დაარსების თარიღად ზოგი წყარო 1868 წელს მიუთითებს, ზოგი კი 1870 წელს. ჩანს, საწარმოს 1869 წლიდან ჩაეყარა საფუძველი, მომდევნო წელს კი იგი ამუშავდა კიდეც.

[58] გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 165—178.

[59] ნ. რ ო დ ო ნ ა ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 59—66, 74, 92.

[60] ცსია, ფ. 17, საქმე 486, ფურც. 73—77.

ცხადია უკანასკნელი მაჩვენებლები, კერძოდ პროდუქციის მოცულობის გამომხატველი რიცხვი უფრო რეალურია და არ შეიძლება მივიჩნიოთ მეწარმის მიერ პროდუქციის მასშტაბის შეგნებულად შემცირების შედეგად, როგორც ამას გ. ბაქრაძე თვლის. ამაზე მეტყველებს 1880 წლის პროდუქციის ღირებულების შედარება წინა და მომდევნო წლების პროდუქციასთან, იმის გათვალისწინებით, რომ არც ფაბრიკის ტექნიკურ ბაზისში, და არც მუშათა კონტინგენტში მნიშვნელოვან ცვლილებას აღებულ პერიოდში არ ქონია ადგილი. ნ. როდონაიას ფაბრიკის 1880 წლის პროდუქციის ორივე ზემოაღნიშნული მაჩვენებელი აქვს მოტანილი, იმის მიუთითებლად თუ რომელი მათგანია სწორე.

დაზუსტებას მოითხოვს აგრეთვე 80-იანი წლების შუახანების და 1900 წლის მონაცემებიც. მაგ., ბაქრაძის წიგნში მოცემული ცხრილის თანახმად ფაბრიკის პროდუქცია 1886 წ. 510 ათას მანეთს შეადგენდა, ხოლო მუშათა რაოდენობა 458-ს. ამავე წლის უწყისის თანახმად კი საწარმოს პროდუქციის ოდენობა შეადგენდა 500 ათას მანეთს, ხოლო მუშათა რაოდენობა 350-ს[61]. გულიშამბაროვის მონაცემები პროდუქციის მოცულობის მხრივ ემთხვევა, ხოლო მუშათა რაოდენობის თვალსაზრისით უახლოვდება უწყისის მონაცემებს (მას საწარმოში 380 მუშა ყავს აღნიშნული[62]). ამ შემთხვევაშიც ჩვენ გულიშამბაროვის და უწყისის მონაცემებს ვაძლევთ უპირატესობას გუბერნატორის ანგარიშის მონაცემებთან. რაც შეეხება 1900 წლის ვითარებას, გ. ბაქრაძის ცხრილის მიხედვით ფაბრიკის პროდუქცია ამ დროს შეადგენდა 343 ათას მანეთს, ხოლო მუშათა რაოდენობა 486-ს. ფაბრიკის 1900 წლის უწყისით[63] და აგრეთვე ვარზარის მონაცემებით[64], რომელნიც ჩანს, ამავე უწყისს ემყარებიან, საწარმოს პროდუქცია კვლავ 500 ათას მანეთს შეადგენდა, ხოლო მუშათა რაოდენობის 400-ს.

გნედიჩით ფაბრიკაში 460 მუშა მუშაობდა, პროდუქციის ღირებულება კი 530 ათას მანეთს შეადგენდა[65]. არსებული განსხვავება,

---

61 სცსია, ფ. 204 ,საქმე 654.

62 ს. გ უ ლ ი შ ა მ ბ ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 88.

63 ლენ. ცსია, ფონდი 1290, აღწ. 5, საქმე 177, 11 ნაწ. ფ. 433.

64 Статистические сведения, Спб, 1903, გვ. 4—5. Список фабрик и заводов..., Спб, 1903, გვ. 3.

65 ლენ. ცსია, ფონდი 23, აღწ. 17, საქმე 738, ფურც. 60—61.
„საისტორიო მოამბე", I, 1945 წ., გვ. 256—257.

ვფიქრობთ, იმით უნდა აიხსნას, რომ ვარზარი, როგორც წესი ფაქტიურად იღებს არა პროდუქციის ღირებულებას, არამედ წარმოების ღირებულებას, რაც რამდენადმე ნაკლებია პროდუქციის ღირებულებაზე. მეორე მხრით, რაც შეეხება მუშათა რაოდენობას, უწყისში აღებულია საშუალო ციფრი. ასე, რომ შესაძლოა აქ დროის გარკვეულ მონაკვეთში 60 მუშით მეტი ან ნაკლებიც ყოფილიყო[66].

თბილისის სართავი და საქსოვი ფაბრიკის სართავ განყოფილებაში 1900 წლისათვის 7 სართავი სელფაქტორი მოქმედებდა 5600 თითისტარით და 22 სართავი ვატერი—6160 თითისტარით. სართავ განყოფილებას 265 მუშა ემსახურებოდა. საქსოვ განყოფილებაში 273 თვითმქსოვი დაზგა მოქმედებდა. მუშათა რაოდენობა აქ 135 შეადგენდა. ფაბრიკაში 5 ორთქლის ქვაბი და 3 ორთქლის მანქანა იყო[67]. ფაბრიკის ტექნიკურ აღჭურვილობას 80-იანი წლებიდან დიდი ცვლილებები არ განუცდია. ფაბრიკის პროდუქცია—27 ათასი ფუთი ხამი იყიდებოდა ამიერკავკასიაში და გადოდა სპარსეთში. ფაბრიკას სულ უფრო და უფრო უჭირდა კონკურენციის გაწევა რუსეთის ფაბრიკების ტექსტილურ პროდუქციასთან. ფინანსიური სიძნელეების გადალახვის მიზნით 1896 წ. ჩითახოვის სიკვდილის შემდეგ მის მემკვიდრეებს განუზრახავთ აქციონერული საზოგადოების ჩამოყალიბება, რაც უშედეგოდ დამთავრდა. ვერ მიიღეს ფაბრიკის მფლობელებმა მატერიალური დახმარება მთავრობისაგანაც[68]. 1901 წელს ფაბრიკამ ამ დროისათვის დაწყებული სამრეწველო კრიზისისა და მუშათა მოძრაობის აზვირთების პირობებში შეწყვიტა არსებობა[69].

აღსანიშნავია, რომ მე-19 ს. მიწურულს, კერძოდ 1898 წელს, როდესაც ჩითახოვის ზემოთ ხსენებული ფაბრიკა ჯერ კიდევ მოქმე-

---

[66] როგორც ჩანს, გ. ბაქრაძეს მონაცემები ჩითახოვის ფაბრიკის პროდუქციისა და მუშების შესახებ აღებული აქვს 1902 წლის სტატისტიკური კრებულიდან. იხ. Сборник статистических сведений по Закавк. Краю. ч. I. Тифл; 1902, გვ. 238. მაგრამ მას გაუთვალისწინებელი დარჩა, რომ ცხრილში, რომლითაც იგი სარგებლობდა ფაქტიურად შებრუნებულადაა მოცემული პროდუქციის ღირებულებისა და მუშათა რაოდენობის მაჩვენებლები.

ამდენად არასწორია გ. ბაქრაძის მსჯელობა 1900 წლისათვის ფაბრიკის პროდუქციის დაცემის შესახებ, მით უმეტეს რომ გამოდის, თითქოს ამავე დროს მნიშვნელოვნად იზრდება მუშათა რაოდენობა.

[67] Статистические сведения о фабриках и заводах за 1900 г., Спб., 1903, გვ. 4—5, 24—25.

[68] გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 173.

[69] სცსია, ფ. 17, საქმე 4411, ფურც. 22, 55—56.

დებდა, იყო თბილისში აქციონერულ საზოგადოების შექმნის ცდა, სახელწოდებით: Акционерное общество Закавказской мануфактуры, რომლის მიზანსაც ბამბის ქსოვილების ფაბრიკული წარმოება და ამიერკავკასიის მასშტაბით მათი გასაღება წარმოადგენდა. საზოგადოების დამაარსებელნი იყვნენ თბილისის 1 გილდიის ვაჭარი ალექსანდრე მანთაშევი და სხვები. საზოგადოების ძირითადი კაპიტალი 1.5 მილიონ მანეთს შეადგენდა. საზოგადოების წესდება მთავრობის მიერ დამტკიცდა 1898 წლის ბოლოს, მაგრამ აღნიშნული წამოწყება ვერ განხორციელდა ამ დროისათვის დაწყებულ სამრეწველო კრიზისთან დაკავშირებით[70]. აღნიშნული საზოგადოების დაარსების ცდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი, მაინც ნიშანდობლივია იმ მხრივ, რომ რუსეთის ფაბრიკების ნაწარმის კონკურენციის მიუხედავად, ჩანს, ადგილობრივ საფეიქრო წარმოების განვითარება ფართო მასშტაბით უპერსპექტივო არ უნდა ყოფილიყო, ხოლო მას შემდეგ, რაც რუსეთის მრეწველობა წელში გასწორდა, მთავრობაც აღარ სცნობდა საჭიროდ ხელოვნურად ხელი შეეშალა ადგილობრივი წარმოების განვითარებისათვის. თუ კი უკანასკნელი თვით შესძლებდა გაეძლო თავისუფალი კონკურენციისათვის. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ჩითახოვის ფაბრიკის წარუმატებლობის მიზეზი იმდენად კოლონიურ პოლიტიკაში კი არ არის საძიებელი, რამდენადაც წარმოების ორგანიზაციის სისუსტეში.

ტყავის დამმუშავებელი წარმოება

ტყავის დამმუშავებელ წარმოებაში მანქანის გამოყენების პირველი დადასტურებული ფაქტი გვაქვს 40-იან წლებში თბილისის მახლობლად სოფ. დრეში არსებულ ანდრეევსკის ტყავის „ქარხანაში". ამ საწარმოში არსებული ერთი მანქანა ცხენის საწუალებით მოძრაობდა. „ქარხანაში" 1847 წელს სულ 1 ოსტატი და 17 მუშა მუშაობდა. საწარმოს წლიური პროდუქცია 16500 მანეთს შეადგენდა[71]. თავისი ხასიათით ეს საწარმო, ისევე როგორც სხვა ანალოგიური საწარმოები, მანუფაქტურიდან ფაბრიკაზე გარდამავალი საწარმო იყო. ვინაიდან ცხენის ძალით მოძრაობაში მოყვანილი მანქანა ვერ უზრუნველყოფდა ხელით შრომის გამოდევნას წარმოება—

---

[70] ლენ. ცსია, ფ 22, აღწ. 4, საქმე 193.

[71] სცსია, ფონდი 4, საქმე 125, ფურც. 26—29.

ში. მით უმეტეს, რომ მანქანა აქ ნაწილობრივ მოიცავდა წარმოების პროცესს.

ტყავის ფაბრიკული დამუშავება ფართე მასშტაბით იწყება 1875 წელს თბილისში გრ. ადელსანოვის მიერ დაარსებულ ქარხანაში. სადაც ძირითადი საწარმოო პროცესები მექანიზებული იყო. საწარმოში უკვე ორთქლის ძრავა იყო გამოყენებული. 1886 წლის უწყისით ქარხნის პროდუქცია 652 ათას მანეთს, ხოლო მუშათა რაოდენობა 170-ს შეადგენდა. აქ ამ დროს 55 ცხენის ძალის სიმძლავრის 3 ორთქლის ქვაბი და 3 ძრავა მოქმედებდა[72].

ომამდეგნო წლებში ადელხანოვის ტყავის წარმოება სულ უფრო და უფრო იზრდება. 90-იანი წლების შუახანებში გ. ადელხანოვი აარსებს აქციონერულ საზოგადოებას, რომელიც დამტკიცდა 1896 წლიდან, ხოლო რეალურად ამოქმედდა 1897—1898 წლებში. საზოგადოება აერთიანებდა როგორც ტყავის დამმუშავებელ წარმოებას. ასევე ადელხანოვის მიერ დაარსებულ ქეჩის წარმოებას და ფეხსაცმლების ფაბრიკას[73].

საკუთრივ ტყავის დამმუშავებელ ქარხანაში 1900 წლისათვის 215 მუშა მუშაობდა. ქარხნის პროდუქციის ღირებულება 750 ათას მანეთს აღემატებოდა[74]. ქარხანა 1879 წელს დადებულ კონტრაქტით ამარაგებდა ტყავის ნაწარმით კავკასიის ჯარებს. სულ კონტრაქტი ითვალისწინებდა წლიურად 500 ათასი მანეთის პროდუქციის დამზადებას საინტენდანტო სამმართველოსათვის[75]. პროდუქციის ნაწილი მოიხმარებოდა საკუთრივ ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკაში ან საღდებოდა მთელ კავკასიაში და კასპიის იმიერ მხარეში. მოთხოვნილება ადელხანოვის ტყავის ქარხნის ნაწარმზე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ქარხანა ძირითადად ადგილობრივ ნედლეულზე მუშაობდა. ტყავის ქარხანასთან არსებობდა ჩემოდნების და უნაგირების საწარმო, რომელშიც სულ 10 მუშა იყო ჩაბმული.

---

72 სცსია, ფონდი 204, საქმე 654. ს. გულიშამბაროვი 1886 წლის უწყისის მონაცემებისგან განსხვავებით საწარმოს პროდუქციას 700 ათასამდე მანეთს, ხოლო მუშათა რაოდენობას 300-მდე უჩვენებს (დასახ. ნაშრ. გვ. 99, 101). უნდა ვიფიქროთ, რომ აქ მუშათა ძირითად კონტინგენტთან ერთად დღიური მუშებიც არიან ნაგულისხმევი, რომელნიც, ჩანს, ქარხანაში იყვნენ. ასე, მაგ., 1880 წლის უწყისით აქ ძირითადად 100-მდე მუშა ირიცხებოდა, ხოლო ამათ გარდა დღიურად, საჭიროების შემთხვევაში, ქირაობდნენ 50-მდე მუშას (სცსია, ფონდი 17, საქმე 486, ფურც. 72).

73 ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 4, საქმე 89.

74 ლენ. ცსია, ფონდი 1290, აღწ. 5, საქმე 177, ნაწ. II, ფურც. 428. Список фабрик и заводов..., Спб, 1903, გვ. 455—456.

75 ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 4, საქმე 89, ფურც. 14—21.

1900 წელს ქარხანაში 33 ცხენის ძალის სიმძლავრის 2 ორთქლის მანქანა მოქმედებდა. ამავე დროს აქ ელექტრო-ენერგია იყო გამოყენებული ტყავის დასათრიმლავად[76].

ტყავის მეორე მსხვილი საწარმო თბილისში იყო 1892 წელს ა. ზარგარიანცის და ფ. ვარტაზარიანცის მიერ დაარსებული ქარხანა, რომელშიც 1900 წელს 84 მუშა მუშაობდა. ქარხნის პროდუქცია ამავე წელს 130 ათას მანეთს აღემატებოდა. აქ 25 ცხ. ძ. სიმძლავრის 1 ორთქლის ძრავა მოქმედებდა[77].

ამრიგად, 70-იანი წლების შუახანებიდან ტყავის წარმოებაში მანქანური წარმოება იპერს გაბატონებულ მდგომარეობას, რომელიც თანდათან ზღუდავს წარმოების უფრო დაბალ ფორმებს ამ დარგში.

მატყლის დამმუშავებელი წარმოება

მატყლის დამმუშავებელ რამდენადმე მნიშვნელოვანი მასშტაბის წარმოებას, 50-იან წლებში სოფ. დრეში მეიცნერის მიერ დაარსებული მაუდის ფაბრიკის დახურვის შემდეგ, საქართველოში ადგილი აღარ ჰქონია 90-იან წლებამდე.

1889 წელს ადელხანოვმა ჯერ ტყავის ქარხანასთან გახსნა ტყავის დამუშავების შედეგად მონარჩენი ბეწვის დამმუშავებელი საამქრო, ხოლო 1892 წლიდან ქეჩის დამამზადებელ დამოუკიდებელ საწარმოდ აქცია იგი. 1900 წლის უწყისით ქეჩის ფაბრიკაში 170 მუშა მუშაობდა. ფაბრიკის პროდუქციის ღირებულება 325 ათას მანეთს აღემატებოდა. აქ ამ დროისათვის მოქმედებდა 211 ცხენის ძალის სიმძლავრის 4 ორთქლის მანქანა, 16 ცხ. ძალის სიმძლავრისა ბენზინის ძრავა და 500 ამპერის სიმძლავრის 2 დინამო—მანქანა[78]. ადელხანოვის ქეჩის ფაბრიკა ფართო ასორტიმენტის ნაწარმს ამზადებდა. აქ შედიოდა ყველა ხარისხის ქეჩის ნაწარმი, დაწყებული უხეში, სამშენებლო საჭიროებისათვის გამოსადეგი ქეჩით და დამთავრებული თხელი ნაბდის ქსოვილით, რომელიც ქალებისა და ოფიცრების პალტოებისათვის და თბილი ფეხსაცმლისათვის გამოიყენებოდა.

---

[76] ადელხანოვის ტყავის ქარხნის შესახებ იხილე: პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი. კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება... გვ. 383—385, გ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 242—244, ნ. რ ო დ ნ ა ი ა, დასახ. ნაშრ. გვ. 8—9.

[77] ლენ. ცსია, ფონდი 1290, აღწ. 5, საქმე 177 II ნაწ., ფურც. 412.

Список фабрик и заводов..., Спб. 1903. გვ. 455—456.

[78] ლენ. ცსია, ფონდი 1290, აღწ. 5, საქმე 177 II ნაწ., ფურც. 432.

Список фабрик и заводов .., Спб. 1903, გვ. 3.

ფაბრიკის ნაწარმზე დიდი მოთხოვნილება არსებობდა მთელ რუსეთში. მას იყენებდნენ სახაზინო უწყებები სამხედრო ნაწილების საჭიროებისა და რკინიგზის პერსონალის ზედა ტანისამოსის დასამზადებლად. წარმოებას განსაკუთრებით ხელსაყრელად ხდიდა ის გარემოება, რომ იგი მთლიანად ადგილობრივ (კავკასიის) იაფ ნედლეულზე მუშაობდა[79].

მეორე საწარმო თბილისში, სადაც სწარმოებდა მატყლის დამუშავება, იყო 1893 წლიდან მანდენოვის და თუშურიანცის მიერ გახსნილი მატყლის სარეცხი და საპენტი ფაბრიკა. ფაბრიკაში 1900 წელს 50 მუშა მუშაობდა. საწარმოს პროდუქცია 31 ათას მანეთს აღემატებოდა. საწარმოში 18 ცხენის ძალის სიმძლავრის 2 ორთქლის ძრავა მოქმედებდა, რომელთაც მოძრაობაში მოჰყავდათ მატყლის სარეცხი და საპენტი მანქანები. მატყლის სარეცხ განყოფილებაში 29 მუშა მუშაობდა, საპენტ განყოფილებაში კი 10 მუშა. 1 მუშა უძღვებოდა მატყლის ღებვის საქმეს. დამხმარე სამუშაოებში 10 მუშა იყო ჩაბმული[80].

აღსანინავია, რომ გნედიჩს თბილისში მოხსენებული აქვს „მატყლსახვევი“ („шерстомоталльное“) საკმაოდ ფართო მასშტაბის საწარმო (100 მუშით და 500 ათასი მან პროდუქციით[81]. ამავე დროს არსად ,არც 1900 წლის და არც წინა და მომდევნო წლების სხვა მასალებში, ასეთ საწარმოზე მითითება არ არსებობს, რაც საფუძველს გვაძლევს გნედიჩის ცნობა გაუგებრობას მივაწეროთ. შესაძლოა აქ უნდა იგულისხმებოდეს იგივე მანდენოვის და თუშურიანცის საწარმო, მხოლოდ მცდარი მონაცემებით, მით უმეტეს რომ გნედიჩს ეს საწარმო ცალკე არა აქვს მითითებული.

თამბაქოს გადამმუშავებელი წარმოება

თამბაქოს გადამუშავებაში, როგორც უკვე აღინიშნა, წედარებით გვიან, კერძოდ მხოლოდ 90-იან წლებში ხდება მექანიკური ძრავის გამოყენება ფართო მასშტაბით. თავდაპირველად აქ შემოდის მექანიკური საჭრელი დაზგები, ხოლო უფრო გვიან პაპიროსის მკეთებელი მანქანები. ისეთ მსხვილ საწარმოშიც კი, როგორიც ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკა იყო, 900-იანი წლების დასაწყისში მექა-

---

[79] ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 4, საქმე 39, ფურც. 11—21.

[80] ლენ. ცსია, ფონდი 1290, აღწ. 5, საქმე 177, ll. ფურც. 418.

Список фабрик и заводов..., Спб., 1903, გვ. 3.

[81] ლენ. ცსია, ფონდი 23, აღწ. 17, საქმე 738, გვ .60—61, „სისტ. მოეგბე“, 1945, 1, გვ. 256.

ნიკური ძრავის საშუალებით მოქმედი პაპიროსის მკეთებელი მანქანების შემოღება სიახლეს წარმოადგენდა და უმუშევრად დარჩენის საფრთხის წინაშე აღმოჩენილი მუშების პროტესტს იწვევდა[82]. მართალია 1900 წლისათვის თამბაქოს ფაბრიკების უმრავლესობა ძირითადად მექანიზებული იყო, მაგრამ აღნიშნულ წარმოებაში ხელით შრომა კვლავ თამაშობდა გარკვეულ როლს. მაგ., ერთ-ერთ უმსხვილეს თამბაქოს საწარმოში, რომელიც აქციონერულ საზოგადოების კუთვნილებას წარმოადგენდა ("Мир")1901 წ. უწყისით პაპიროსის მანქანურ წარმოებაზე მუშაობდა 33 მუშა, მაშინ როდესაც იგივე სამუშაოს ხელით ასრულებდა 30 მუშა. ხელით შრომა უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ ფართოდ გამოყენებული სხვა სამუშაოებშიც (დახარისხება, დაკრა, შეფუთვა და სხვა)[83]. მიუხედავად ამისა თამბაქოს პროდუქციის მანქანური წარმოებასულ უფრო და უფრო მეტ ადგილს იკერს, რაც თავისთავად სამრეწველო გადატრიალების მაჩვენებელი იყო აღნიშნულ დარგში[84].

1900 წლისათვის საქართველოში თამბაქოს შედარებით მსხვილი შემდეგი ფაბრიკები არსებობდა:

ცხრილი 20[85]

საწარმოს დასახელება	დაარსების დრო	ძრავა		მუშათა რაოდენობა	პროდუქციის ღირებულება (ათას მან.)
		სახეობა	ძალა		
თბილისი:					
ა. ენფიანჯიანცის	1852	ბენზ.	20	315	515,8
ნ ბოზარჯიანცის	1858	გაზ.	12	401	499,0
აქციონერ. სახ-ბის ("Мир")	1894	„	10	222	518,5
მ. საფაროვის მემკვიდრეების	1885	ნავთ.	4	106	310,0
ქუთაისი:					
ძმების ფირალოვების	1871	ნავთ. ბენზ.	6 2	83	137,0
ბათუმი:					
ლ. ბინიატ-ოღლის	1882	ნავთ.	3,5	55	73,8
ა. ლევებერგის- „Гамара"	1899			36	65,7
				1218	2,119,800

82 სცსია, ფონდი 17, საქმე 4405, 4415.

83 ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 2, საქმე 2925 (იხ. მინაწერი შესაბამის უწყისზე).

84 ვ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება... გვ. 373—374.

85 ლენ. ცსია, ფონდი 1290, აღწ. 5, საქმე 176, ფურც. 504—505 და 177 II

თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების თამბაქოს ფაბრიკების პროდუქცია, რომელიც უცხოურ (თურქულ) და ადგილობრივ (ამიერკავკასიის) ნედლეულისგან მზადდებოდა, ფართოდ ვრცელდებოდა არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ გადიოდა რუსეთშიც.

სპირტისა და სპირტიანი სასმელების წარმოება, ლუდის დამზადება

სპირტისა და სპირტიანი სასმელების (არაყი, რომი) წარმოებაში მანქანების გამოყენებას უკვე მე-19 ს. პირველ ნახევარში ეყრება საფუძველი[86]. მაგრამ ამ დროს არსებული საწარმოების უმრავლესობა წვრილი საწარმოები იყო, ხოლო მათ შორის რამოდენიმე შედარებით მსხვილი საწარმო უკეთეს შემთხვევაში მანუფაქტურიდან მანქანურ წარმოებაზე გარდამავალ ხასიათს ატარებდა.

60—70-იან წლებში. როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში არსდება რამდენიმე არყისსახდელი ქარხანა, სადაც ორთქლის მანქანების გამოყენებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამ საწარმოებმა დიდხანს ვერ იარსებეს. ასეთი იყო, მაგ., 60-იან წლებში კუზმინსკის საწარმო ქუთაისის გუბერნიის სოფ. ქოსთანში, რომელშიც 34 მუშა მუშაობდა[87]. 1877 წელს ბორჯომთან ბახის მიერ დაარსებული საწარმო, რომელშიც 29 მუშა მუშაობდა, ხოლო პროდუქციის ღირებულება 161 ათას მანეთს აღემატებოდა[88] და სხვა.

ნაწ. ფურც. 424—427. Список фабрик и заводов... Спб, 1903. стр. 563 678—697. სხვა წყაროების (Сборник статист. свед.... Тифл., 1902, გნედიჩი) მონაცემები თამბაქოს ფაბრიკების მუშათა რაოდენობისა და განსაკუთრებით პროდუქციის ღირებულების შესახებ განსხვავებულია, თუმცა ისინი არ ცელიან ჩვენ წარმოდგენას ფაბრიკების მასშტაბისა და ხასიათის შესახებ. განსხვავება მუშათა რაოდენობაში შეიძლება აიხსნას მუშათა კონტინგენტის ცვალებადობით ფაბრიკებში, ხოლო პროდუქციის ღირებულებაში იმით, რომ ზოგჯერ ნაჩვენებია აქციზით დაბეგრილი და დაუბეგრავი პროდუქციის ღირებულება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი პროდუქციის მხოლოდ ესა თუ ის სახეობა. ლევბერგის ფაბრიკის შესახებ მართალია არა გვაქვს პირდაპირი მითითება აქ მექანიკური ძრავის არსებობაზე, მაგრამ ამას გვაფიქრებინებს ის, რომ ეს ფაბრიკა თავიდან იქნა აყვანილი აღრიცხვაზე საფაბრიკო ინსპექციის მიერ (სცსია, ფონდი 275, საქმე 14, ფურც. 3) და აგრეთვე წარმოების მასშტაბი.

[86] ე. ხოშტარია, დასახ. ნაშრ., გვ. 163—164. ვ. სამსონიძე, მე-19 საუკ. რეფორმამდელი ხანის თბილისის სამრეწვ. განვით. ისტორიიდან. „მაცნე", 1964, № 1, გვ. 148—152.

[87] დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 202, სცსია, ფონდი 5, საქმე 308, ფურც. 54.

[88] სცსია, ფონდი 17, საქმე 495.

სპირტისა და სპირტიანი სასმელების ფაბრიკული წარმოება ფართო მასშტაბით მყარ საფუძველზე დგება 1884—85 წლებიდან თბილისში დ. სარაჯიშვილის არყისსახდელი ქარხნის დაარსებით. 1886 წელს ქარხნის პროდუქციის ღირებულება 200 ათას მანეთს შეადგენდა. ქარხანაში 4 ცხენის ძალიანი ორთქლის მანქანა მოქმედებდა, მუშათა რაოდენობა 1886 წლის უწყისით 6-ს უდრიდა[89], ხოლო გულიშამბაროვის ცნობით 15-ს[90].

მომდევნო წლებში დ. სარაჯიშვილი სპირტის, ლიქიორებისა და კონიაკის წარმოებას მნიშვნელოვნად აფართოებს. მისი წარმოება მთელი კავკასიის მასშტაბით ვრცელდება, ხოლო პროდუქცია გადის რუსეთსა და ევროპაში[91].

90-იან წლებში თბილისში ჩნდება სპირტის და სპირტიან სასმელების სხვა ქარხნებიც. ასეთები იყო მაგ., სოგომონოვის და ხუბლაროვის საწარმოები.

1900 წლისათვის თბილისში სპირტისა და სპირტიან სასმელების წარმოების შემდეგი სურათი გვაქვს:

ცხრილი 21[92]

საწარმოს დასახელება	დაარსების წელი	ძრავა		მუშათა რაოდ.	პროდუქციის ღირებულება (ათას მან.)
		სახეობა	ძალა		
დ. სარაჯიშვილის	1885	ორთქლ.	13	56	594.5
ა. სოგომონოვის	1853	„		24	198.5
მ. ხუბლაროვის	1896	„		22	381,0
				102	1174.0

[89] Сцѣнія, ფონდი 204, საქმე 654.

[90] ს. გ ე ლ ი შ ა მ ბ ა რ ო ვ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 54.

[91] ნ. რ ო ყ ო ნ ა ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 41—42.

[92] ლენ. ცსია, ფონდი 1290, საქმე 177 II ნაწ., ფურც. 408. Список фабрик и заводов.,., Спб, 1903. გვ. 678 — 697. 1902 წელს გამოც. სტატისტიკურ კრებულში სარაჯიშვილის და ხუბლაროვის სპირტის საწარმოები ცალკეა ნაჩვენები, არყისსახდელი კი ცალკე: ამასთან პროდუქციაც მნიშვნელოვნად ნაკლებია ნაჩვენები. (Сбор. статист. свед . . Тифл. 1902. стр. 238—239). თბილისის საწარმოთა 1901 წ. სიაში კი სამივე ამ საწარმოში ორთქლის ძრავის არსებობაა დადასტურებული (უკრაინის ცსია, ხარკ. ფ-ლი, ფ. 834, ს. 59, ფურც. 11).

1902 წლისათვის ხუბლაროვის ქარხანა სარაჯიშვილის ხელში გადადის და ხდება „სარაჯიშვილის ქარხანა № 2“, ხოლო სოგომონოვის საწარმო კვლავ დამოუკიდებლად განაგრძობს არსებობას[93].

ლუდის წარმოებაში მანქანების გამოყენება დადასტურებულია 80-იანი წლებიდან—ვეტცელის და მადერის საწარმოებში. პირველში მანქანას ვხვდებით უკვე 1880 წლის უწყისში, მეორეში კი 1885 წლის უწყისში. ორივე მათგანს საფუძველი ჩაეყარა 50—60-იან წლებში წვრილი საწარმოების სახით. 1886 წლისათვის კი ვეტცელის ქარხანაში 8 ცხენის ძალის მანქანა მოქმედებდა. აქ უკვე 16—17 მუშა მუშაობდა. საწარმოს პროდუქციის ღირებულება 1886 წლ. უწყისით 84 ათას მანეთს შეადგენდა, გულიშამბაროვის ცნობით კი 100 ათას მანეთს[94]. 1900 წლისათვის ვეტცელის საწარმოში, რომელიც ლუდის გარდა ხელოვნურ მინერალურ წყლებსაც ამზადებდა, უკვე 5 ორთქლის მანქანა მოქმედებდა. საწარმოში 51 მუშა მუშაობდა. მათგან 19 საკუთრივ საწარმოში, 32 კი დამხმარე სამუშაოებზე. ქარხნის პროდუქციის ღირებულება 150 ათას მანეთს აღემატებოდა[95].

მადერის საწარმოს არ განუცდია ზრდა. 1886 წლის უწყისით აქ 5 ცხენის ძალიანი მანქანა მოქმედებდა, საწარმოში 16 მუშა მუშაობდა. საწარმოს პროდუქციის ღირებულება 67—70 ათას მანეთს უდრიდა[96]. 900-იანი წლების დასაწყისში მადერის საწარმოში მხოლოდ 4 ცხენის ძალიანი მანქანაა აღნიშნული. მუშათა საერთო რაოდენობა მართალია უკვე 33-ს აღწევს, მაგრამ პროდუქციის ღირებულება მხოლოდ 50—60 ათას მანეთს შეადგენდა[97].

---

[93] უკრაინის ცსია, ხარკოვის ფილიალი, ფონდი 834, საქმე 408. ფურც. 13—13.

[94] სცსია, ფონდი 204, საქმე 654. ს. გ ულ ი შ ამ ბ ა რ ო ვ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 35—40.

[95] ლენ. ცსია, ფონდი 1290, აღწ. 5, საქმე 177 11 ნაწ., ფურც. 407.

Список фабрик и заводов..., Спб. 1903, გვ. 678—697.

[96] სცსია, ფონდი 204, საქმე 654. ს. გ ულ ი შ ამ ბ ა რ ო ვ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 35—40.

[97] Список фабрик и заводов... Спб. 1903, გვ. 678—697.

ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 2, საქმე 2925.

საპნისა და სანთლის წარმოებაში ორთქლის ძრავას გამოყენება პირველად დადასტურებულია ტოლეს ქარხანაში, რომელიც 1872 წელს დაარსდა თბილისში. 1886 წ. ქარხანაში 30 მუშა მუშაობდა (20 სანთლის წარმოებაში, 10 საპნის წარმოებაში), ქარხნის პროდუქციის ღირებულება 113 ათას მანეთს შეადგენდა (50 ათასი მანეთის სანთელი და 63 ათასი მანეთის საპონი). ამ დროისათვის აქ 2 ორთქლის მანქანა მოქმედებდა 80 ცხენის ძალის სიმძლავრისა[98]. 1887 წელს ტოლე ხსნის ზეთსახდელ წარმოებასაც[99].

1900 წლისათვის ტოლეს საპნისა და სანთლის ქარხანაში 15 მუშა მუშაობდა; საწარმოს პროდუქციის ღირებულება 114 ათას მანეთს აღემატებოდა. ზეთსახდელ წარმოებაში აგრეთვე 15 მუშა იყო ჩაბმული. საწარმოს პროდუქციის ღირებულება 38 ათას მანეთს უდრიდა[100].

1900 წლიდან ტოლეს საპნის, სანთლისა და ზეთსახდელი წარმოება ერთიანდება ამ დროს თბილისში არსებულ ტაიროვისა და ალიხანოვის ასეთსავე წარმოებასთან. ეს უკანასკნელი თავდაპირველად მხოლოდ ზეთსახდელი წარმოების სახით არსებობდა. იგი შეიქმნა მღებროვის ზეთსახდელ საწარმოს ბაზაზე, რომელიც 1880 წლიდან იქნა დაარსებული თბილისში. 80-იანი წლების შუახანებში მღებროვის საწარმოში მოქმედებდა 25 ცხენის ძალიანი მანქანა. საწარმოს პროდუქციის ღირებულება 1886 წლის უწყისის თანახმად 39 ათას მანეთს შეადგენდა. მასში ამ დროს სულ 10 მუშა მუშაობდა[101]. კაპიტალის სიმცირისა და ადგილობრივი მოსახლეობის მხრივ ჯერ კიდევ კუსტარული წესით დამზადებული ზეთისათვის უპირატესობის მიცემის გამო საწარმოს საქმე ცუდად მიდიოდა. 1889 წლიდან მღებროვის საწარმო შეისყიდეს ტაიროვმა და ალიხანოვმა, რომელთაც წარმოებაში მნიშვნელოვანი კაპიტალი დააბანდეს. ამან მისცა მათ შესაძლებლობა გაეფართოებინათ წარმოება[102].

---

98 სცსია. ფონდი 204, საქმე 654. ს. გულიშამბაროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 109, 113.

99 Указатель фабрик и заводов.... Спб., 1895, გვ. 135—181.

100 Список фабрик и заводов... Спб. 1903, გვ. 455—456, 678—697.

101 სცსია, ფონდი 204, საქმე 654.

102 ს. გულიშამბაროვი, დასახ. ნაშრ.. გვ. 120—121.

С. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Закавказского Края. Тифл. 1894, გვ. 220—222.

1900 წლისათვის ტაიროვ-ალიხანოვის საწარმო გვეელინება უკვე როგორც საპნის, სანთლისა და ზეთსახდელი წარმოება — 57 მუშით და 229 ათასი მანეთის პროდუქციით. აქ ამ დროს კვლავ 25 ცხენის ძალიანი მანქანაა აღნიშნული[103].

1901 წელს, ტოლესა და ტაიროვ-ალიხანოვის საწარმოთა ერთ აქციონერულ საზოგადოებაში გაერთიანების შემდეგ სულ აღნიშნულ წარმოებაში ჩაბმული იყო 125 მუშა, საწარმოთა პროდუქციის ღირებულება კი 633 ათას მანეთს შეადგენდა[104]. როგორც ჩანს, აქციონერულმა საზოგადოებამ მკვეთრად გაზარდა წარმოების მასშტაბი.

ამრიგად, 900-იანი წლების დასაწყისისათვის ხდება საპნის, სტეარინის სანთლის და ზეთსახდელი წარმოების კონცენტრაცია ერთ მსხვილ აქციონერულ საზოგადოებაში.

გარდა აღნიშნულისა თბილისში 1866-67 წლებიდან არსებობდა თაფლის სანთლის ეპარქიალური საწარმო. 1895 წლის ცნობით აქ 2 ორთქლის ძრავი მოქმედებდა 16 ცხენის ძალის სიმძლავრისა. საწარმოში 8 მუშა მუშაობდა, პროდუქციის ღირებულება კი 120 ათას მანეთს შეადგენდა[105]. 1900 წლისათვის საწარმოში უკვე 23 მუშა ითვლებოდა. პროდუქციის ღირებულება კი 103 ათას მანეთს უდრიდა[106].

---

[103] ლენ. ცსია, ფონდი 1290, აღწ. 5, საქმე 177, II ნაწ., ფურც. 410.

[104] Список фабрик и заводов... Спб. 1903, стр. 455 — 456. აღსანიშნავია, რომ ამ სტატისტიკურ კრებულში, რომელიც 1900 წლის ვითარებას ასახავს, მონაცემები ტოლეს და ტაიროვ-ალიხანოვის საწარმოთა შესახებ ცალ-ცალკეა მოცემული. ამავე დროს აქვე შეტანილია გაერთიანებული წარმოების მონაცემებიც, რომელნიც კრებულის რედაქციამ უფრო მოგვიანებით, თვით ძეფაბრიკეებისაგან მოწოდებულ ცნობაზე დაყრდნობით შეიტანა. ეს მონაცემები ტოლეს და ტაიროვ-ალიხანოვის საწარმოთა გაერთიანების შემდეგ დროინდელი უნდა იყვნენ და ჩვენც ამ შემთხვევაში მათ ვემყარებით, მითუმეტეს, რომ ისინი რამდენადმე უახლოვდება სხვა წყაროთა მონაცემებს. 1901 წლის უწყისებით ტოლესა და ტაიროვ-ალიხანოვის საპნისა და სანთლის წარმოებაში 55 მუშა იყო ჩაბმული, პროდუქციის ღირებულება 343.700 მანეთს შეადგენდა, ზეთსახდელ წარმოებაში კი 56 მუშა იყო ჩაბმული, პროდუქციის ღირებულება კი 207.600 მანეთს შეადგენდა. ე. ი. სულ აქციონერულ საზოგადოების წარმოებაში 111 მუშა ითვლებოდა, პროდუქციის ღირებულება კი 551.300 მანეთს უდრიდა (ლენ. ცსია, ფონდი 22. აღწ. 2, საქმე 2925).

[105] Указатель фабрик и заводов..., Спб, 1895, გვ. 135—181.

[106] Список фабрик и заводов Спб..., 1903, გვ. 455—456.

ფეხსაცმლის დამზადებას ფართო მასშტაბით საფუძველი ეყრება 1885 წლიდან ადელხანოვის ტყავის ქარხანასთან მოწყობილ ფეხსაცმლის სახელოსნოთი, სადაც ჯერ უმთავრესად სახაზინო შეკვეთები სრულდებოდა. წარმოებაში 60-მდე მუშა იყო ჩაბმული[107]. 1891-92 წლიდან ფეხსაცმლის ფაბრიკა დამოუკიდებელ საწარმოს სახეს იღებს. ფაბრიკის ნაწარმი, განსაკუთრებით ნაბდის თბილი ფეხსაცმელი. ვრცელდებოდა „ფინეთიდან დაწყებული, ციმბირში და რუსეთის შიდა გუბერნიებში, ტაშკენტსა და ბუხარამდე„ რომ არაფერი ითქვას კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარის შესახებ". აქ კვლავ დიდი რაოდენობით მზადდებოდა ჩექმები კავკასიის ჯარის ნაწილებისათვის[108]. 1900 წლისათვის ფაბრიკაში 424 მუშა მუშაობდა. პროდუქციის ღირებულება 553 ათას მანეთს აღემატებოდა[109]. 1901 წლისათვის კი ფაბრიკაში 507 მუშა ითვლებოდა, პროდუქციის ღირებულება 937 ათას მანეთს აღწევდა[110]. ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკის წარმოების მასშტაბებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1900 წლისათვის, ვარზარის მონაცემებით, ვარშავის 4 ფეხსაცმლის ფაბრიკაში, რომელნიც განთქმულნი იყვნენ თავიანთი ნაწარმით, მზადდებოდა მხოლოდ 494 ათასი მანეთის პროდუქცია[111].

აღსანიშნავია, რომ 900-იანი წლების დასაწყისის წყაროებში ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკაში არსად არ არის აღნიშნული მექანიკური ძრავის არსებობა, თუმცა იგი ყველა წყაროს მითითებით ფეხსაცმლის „მექანიკურ წარმოებად" ითვლებოდა. წარმოების მასშტაბი, თავისი დროის ტექნიკური დონის შესაბამისი დაზგებისა და მანქანა-იარაღების და, რაც მთავარია, წარმოებაში ელექტროენერგიის გამოყენება, რომელსაც ფაბრიკა იღებდა ადელხანოვისავე ქეჩის ფაბრიკიდან[112] იძლევა საფუძველს, რომ აღნიშნული საწარმო ფაბრიკად მივიჩნიოთ.

---

[107] ს. გულიშამბაროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 101—102.

[108] ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 4, საქმე 89, ფურც. 14—21.

[109] ლენ. ცსია, ფონდი 1290, აღწ. 5, საქმე 177 II ნაწ., ფურც. 429.

Список фабрик и заводов..., Спб., 1903, გვ. 455—456.

[110] ლენცსია, ფონდი 22, აღწ. 2, საქმე 2925.

[111] Статистические сведения о фабриках и заводах. . Спб. 1903 გვ. 40.

[112] ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 2, საქმე 2925.

სამკერვალო საწარმო, სადაც მექანიკური ძრავა იყო გამოყენებული. იყო სამხედრო ტანსაცმლის სახაზინო წარმოება, რომელიც გ. ადელხანოვს ჰქონდა გრძელვადიანი იჯარით აღებული[113]. 1901 წლ. უწყისის თანახმად ამ საწარმოში მოქმედებდა 12 ცხენის ძალის ლოკომობილი. აქვე იყო 51 მექანიკური საკერავი მანქანა. მუშათა რაოდენობა 140-ს უდრიდა, ხოლო პროდუქციის ღირებულება 63 ათას მანეთამდე აღწევდა[114].

პოლიგრაფიული წარმოება

პოლიგრაფიულ წარმოებაში საქართველოში 90-იანი წლების მიწურულისათვის უმეტესწილად მანქანების გამოყენებას ვხვდებით. მაგრამ მექანიკურ ძრავას არსებობა დადასტურებულია არა მარტო შედარებით მსხვილ საწარმოებში, არამედ ზოგიერთ წვრილ საწარმოებშიც.

თბილისში არსებულ სტამბებიდან ისეთები, რომელთა პროდუქციის ღირებულება და მუშათა რაოდენობა იძლევა საფუძველს მათი შედარებით მსხვილი საწარმოებისადმი მიკუთვნებისა, იყო შემდეგი:

ცხრილი 22[115]

საწარმოს დასახელება	დაარსების დრო	ძრავა	საბეჭდ მანქან. რაოდ.	მუშათა რაოდენობა	პროდუქციის ღირებულება (ათას მან.)
როტინიანცის	1862	ბენზ.	4	30	15,0
კოხლოვსკის	1874	„	4	34	16,0
მარტიროსიანცის	1893	„	4	18	14,0
ჯაბადარის და სხვ.	1888	ბენზ. და ელექტრ.	15	186	203,0
ლიბერმანის		ბენზ.	15	60	69,0
მესხის	1883	„	2	19	20,0
მთავარმართებლის კანც.	1844	„	4	60	27,0
საოლქო შტაბის				35	18,0
				442	382,0

[113] ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 4, საქმე 89, ფურც. 14—21.

[114] ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 2, საქმე 2929.

[115] Списокъ фабрик и заводов, Спб, 1903. ლენ. ცსია, ფონდი 22. აღწ. 2, საქმე 2929. აღნიშნულ წყაროების მონაცემები პროდუქციის ღირებულებისა და

1900 წლისათვის საქართველოში არსებულ ცალკეულ მსხვილ საწარმოთაგან, სადაც ორთქლის ძრავა იყო გამოყენებული, აღსანიშნავია ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელი საწარმო 42 მუშითა და 20 ათასი მან. პროდუქციით, გოლდმანის ასანთის ქარხანა თბილისის მახლობლად 150 მუშით და 83 ათასი მან. პროდუქციით, თამამშევის წისქვილი და პურსაცხობი 25 მუშით და 36 ათასი მან. პროდუქციით, ბათუმის ქიმიური საღებავების საწარმო 12 მუშით და 90 ათასი მან. პროდუქციით, ანდრეოლეტის მარმარილოს დამმუშავებელი საწარმო თბილისში 35 მუშით და 36 ათასი მან. პროდუქციით, კუჩენბახის ყველის საწარმო ბორჩალოს მაზრაში 24 მუშით და 38 ათასი მან. პროდუქციით (ამ უკანასკნელში წყლის ტურბინა იყო გამოყენებული). შედარებით მსხვილი საწარმოები, სადაც ორთქლის ძრავას გამოყენებას ვერ ვხედებით იყო თბილისში დიურშმიტის და მაილოვის ნაწლავების გადამმუშავებელი საწარმოები, ორივე 31 მუშით და 40 ათასი მან. პროდუქციით და სხვა[116].

დასკვნები

მრეწველობის სხვადასხვა ფორმის (წვრილი წარმოება, მანუფაქტურა, ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება) თანაფარდობა. მრეწველობის განვითარების პირობები და ტენდენციები საქართველოში

ზემოთ განვიხილეთ დამმუშავებელი მრეწველობის ყველა ფორმა, დაწყებული ოჯახური მრეწველობიდან ფაბრიკულ-ქარხნულ წარმოებამდე. მოტანილი მასალა ნათელყოფს მრეწველობის სხვადასხვა ფორმის თანაარსებობას საქართველოში მე-19 ს. მანძილზე. უკვე მე-19 ს. პირველ ნახევარში ოჯახური წარმოებისა და ამქრული

მუშათა რაოდენობის შესახებ უახლოვდება ერთმანეთს. ჩვენ საფუძვლად ვიღებთ დასახელებულ სტატისტ. კრებულის ცნობებს, თუმცა ლიბერმანის საწარმო ამ კრებულში არ არის შეტანილი და ჩვენ ამ შემთხვევაში ვემყარებით 1901 წლის უწყისს.

[116] Список фабрик и заводов Спб, 1903, გნედიჩის მონაცემები: ლენ. ცსიდ, ფონდი 23, აღწ. 17, საქმე 738. „საისტ. მოამბე", 1945, გვ. 256—257, 266—267.

ხელოსნობის გვერდით, წვრილი სასაქონლო წარმოებასთან ერთად ვითარდება მანუფაქტურა და ზოგ შემთხვევაში წარმოებაში მანქანების გამოყენებასაც ვხვდებით. დროთა ვითარებაში მრეწველობის უფრო მაღალი ფორმების — კერძოდ მანუფაქტურის და ფაბრიკის ხვედრითი წონა იზრდება. მაგრამ წვრილი საქონლური წარმოება რამდენადმე მაინც ინარჩუნებს მნიშვნელობას ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში.

ქვემოთ ჩვენს ამოცანას შეადგენს განვსაზღვროთ მრეწველობის ამა თუ იმ ფორმის ხვედრითი წონა, მათი შეფარდება დროის სხვადასხვა მონაკვეთში. კერძოდ, შესადარებლად ვიღებთ 60-იანი წლების შუახანებს, 80-იანი წლების შუახანებსა და 900-იანი წლების დასაწყისს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ დადგენილი სურათი მრეწველობის სხვადასხვა ფორმის თანაფარდობისა ამა თუ იმ პერიოდში რამდენადმე პირობითია, რადგან ყოველთვის ვერ ხერხდება არამცთუ ცალკე საწარმოთა მასშტაბების ზუსტად განსაზღვრა, არამედ მათი ხასიათის გარკვევაც.

ცალკეულ შემთხვევებში სიძნელეს წარმოადგენს მკვეთრი ზღვარის გავლება როგორც ხელოსნურ წარმოებასა და წვრილ კაპიტალისტურ წარმოებას შორის, ისე წვრილ კაპიტალისტურ წარმოებასა და მანუფაქტურას შორის. მანუფაქტურულსა და ფაბრიკულ-ქარხნულ წარმოებას შორის.

ჩვენ შეგვხვდა არა ერთი საწარმო, რომელიც მრეწველობის ერთი ფორმიდან მეორეში გარდამავალ რგოლს შეადგენდა, ან სრულიად თავისებურ ხასიათს ატარებდა. ასე მაგ., არსებობდა მეტად უმნიშვნელო მასშტაბის საწარმოები. სადაც უკვე ორთქლის თუ სხვა სახის მექანიკური ძრავის გამოყენებას ქონდა ადგილი, ხოლო მეორეს მხრით ისეთი მსხვილი საწარმოები, სადაც სხვადასხვა სახის მანქანა-იარაღების გამოყენებას ქონდა ადგილი, მაგრამ ორთქლის ძრავას არსებობა არ არის დადასტურებული.

ასეთ შემთხვევებში, ამა თუ იმ საწარმოს ხასიათის განსაზღვრისას გამოვდიოდით არა მარტო საწარმოს ტექნიკური მონაცემებიდან, არამედ მის სოციალური ბუნებიდან, რასაც განსაზღვრავდა ყველა მონაცემების ერთობლიობა — როგორც ტექნიკური აღჭურვილობა, ასევე წარმოების მასშტაბი, მუშათა რაოდენობა, შრომის ორგანიზაციის ფორმა და ბოლოს საწარმოს არსებობის ხანგრძლივობა, მისი პერსპექტიულობა, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად ერთგვარად განაპირობებდა მუშათა კონტინგენტის ბუნებას, ურთიერთობის ხასიათს შრომასა და კაპიტალს შორის. ე. ი. რამდენადაც მანქანების სის-

ტემისა და ორთქლის ძრავას არსებობა აუცილებელია საწარმოს ფაბრიკულ ხასიათის დასადგენად, იმდენადვე მანქანის გამოყენება, სხვა მონაცემების უქონლობის პირობებში (წარმოების მცირე მასშტაბი, მუშათა მცირე რაოდენობა, მუშებსა და კაპიტალისტს შორის პატრიარქალური ურთიერთობის გადმონაშთების არსებობა და სხვა) ყოველთვის არ გვაძლევს საფუძველს ასეთ საწარმოთა ფაბრიკულ-ქარხნული წარმოებისადმი მისაკუთვნებლად.

ჩვენს მიერ მოცემული გაანგარიშებანი ბევრად არის დამოკიდებული სტატისტიკის მდგომარეობაზედაც, წყაროების მონაცემების სისრულესა და ხარისხზე. ეს განაპირობებდა როგორც საწარმოთა რაოდენობის, ასევე მუშათა რიცხვისა და წარმოების მოცულობის განმსაზღვრელ ციფრობრივ მონაცემების სიზუსტეს. ასე მაგ., ჩვენ ზოგ შემთხვევაში იძულებული ვართ შევურიგდეთ ისეთ მდგომარეობას, როდესაც ანალოგიურ საწარმოთა შესახებ მონაცემებში დარღვეულია ყოველგვარი პროპორცია მუშათა რიცხვსა და პროდუქციის ღირებულებას შორის. მრეწველობის სხვადასხვა ფორმის ხვედრითი წონის შეფარდებისათვის ჩვენ, როგორც წესი, ვიღებთ საწარმოთა პროდუქციის ღირებულების მაჩვენებლებს, რადგან ამ მონაცემებს ვხვდებით წყაროთა უმრავლესობაში, მაგრამ აქვეა შეტანილი ზოგ შემთხვევაში წყაროებში ნაჩვენები წარმოების ღირებულება, თუ საწარმოს მიერ შესრულებული დაკვეთების ღირებულება.

წვრილ წარმოებაში ჩვენ ვგულისხმობთ წვრილ კაპიტალისტურ, უმეტესწილად კაპიტალისტურ მარტივ კოოპერაციის ტიპის წარმოებას, თუმცა ამავე ჯგუფშია შესული მთელი რიგი შედარებითი მსხვილი ხელოსნური საწარმოებიც, რომლებსაც წვრილ ხელოსნურ წარმოებისაგან განსხვავებით, ახასიათებდათ საბაზრო წარმოება და დაქირავებული მუშახელის მეტ-ნაკლები მასშტაბით გამოყენება.

60-იანი წლების შუახანებში მრეწველობის მდგომარეობისა და სხვადასხვა ფორმის (წვრილი წარმოება, მანუფაქტურა, ფაბრიკა) თანაფარდობის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის ქვემოთ მოტანილი ცხრილი[1]. (იხ. გვ. 211).

---

[1] ცხრილი შედგენილია შემდეგი წყაროების მიხედვით: საფუძვლად აღებულია სტატისტიკური კომიტეტის მიერ შედგენილი უწყისი 1865 წლისა, „ფაბრიკულ-ქარხნული" წარმოების შესახებ (სცია, ფონდი 414, საქმე 18, ფურც. 11—12). მონაცემები მსხვილ სახელოსნოებზე აღებულია 1866 წლის ხელოსნური წარმოების აღწერილობიდან (სცსია, ფონდი 7, საქმე 2229, ფურც. 81—92). მონაცემების შესავსებად და დასაზუსტებლად გამოყენებულია სტატისტიკური კრებული: **Сведения о фабриках и заводах действовавших в 1865 г., Спб., 1867 და**

წარმოების დარგები	წკრილი წარმოება			მანუფაქტურა			ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება		
	საწარმ. რაოდ.	მუშათა რაოდ.	პროდუქციის ღირებულ. ათას მან.	საწარმ. რაოდ.	მუშათა რაოდ.	პროდუქციის ღირებულ. ათას მან.	საწარმ. რაოდ.	მუშათა რაოდ.	პროდუქციის ღირებულ. ათას მან.
ლითონდამმუშავებული	14	55	[35,0]	2	32	[20.0]	3	122	65.0
სახერხი	33	125	55,0	1	[10]	5,0	—	—	—
სადურგლო	10	27	[20,0]	3	100	[50,0]	1	[10]	15,0
ეტლების	5	30	[10,0]	6	85	25,0			
აგურის	160	900	400,0	—	—	—			
მინის	—	—	—	1	30	15,0			
ბამბის საპენტი	1	5	3,5	—	—	—			
ტყავის	18	150	71.0	—	—	—			
ფეხსაცმლის	14	60	[7,0]	3	40	[30,0]			
ტანსაცმლის	20	85	[10,0]	6	56	[36,0]			
თამბაქოს	6	10	2,0	4	30	28.0			
არყის	42	80	7,0						
ლუდის	5	26	4,2						
საპნის	11	30	27,8						
სანთლის	2	12	3,5						
ზეთსახდელი	18	30	6,5						
პოლიგრაფიული	—	—	—	2	60	[20,0]			
კრამიტის და თიხის ჭურჭლის	49	160	30,0						
კირის	9	18	3,4						
საწახნაგო	—	—	—	1	40	15,0			
ჭურჭის	10	28	11.2						
მაკარონის	2	10	5,0						
სამღებრო	33	80	10,0						
	462	1921	722,2	29	483	244,0	4	132	80,0

სულ: საწარმო—495, მუშათა რაოდენობა 2536, პროდუქციის ღირებულება—1.046,2 ათას. მან.

1866 წლის უწყისები „ფაბრიკულ-ქარხნული" წარმოების შესახებ (სცსია, ფონდი 5, საქმე 307, ფურც. 54—57 და საქმე 308, ფურც. 54).

აღნიშნულ წყაროებში წარმოების ერთი და იგივე დარგის თუ საწარმოს შესახებ მონაცემების სხვადასხვაობისას ჩვენ ვიღებთ უფრო რეალურ ციფრებს. მაგ., ზოგიერთ დარგში (აგურის წარმოება, ჩათახის თუჯის სასხმელი და ღვარების მინის წარმოება) ცხრილში გათვალისწინებულია მუშათა მხოლოდ ძირითადი კონტინგენტი, დამხმარე, თუ დროებითი მუშების გამოკლებით. იქ სადაც არა გვაქვს პირდაპირი ცნობები მუშათა რიცხვსა თუ პროდუქციის მოცულობაზე, ვიღებთ სავარაუდო ციფრებს ცნობილ ანალოგიურ საწარმოთა მასშტაბის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში ციფრები კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული.

ცხრილში, როგორც წესი, გამორიცხულია ელიზავეტოპოლის მაზრის საწარმოები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს საწარმოები ერთეულებს შეადგენენ, რაც აძნელებს მათ ცალკე გამოყოფას (მაგ., ტყავის და ზეთსახდელი წარმოება).

ცხრილიდან ჩანს, რომ 60-იანი წლების შუახანებში საქართველოში წვრილი წარმოება ჯერ კიდევ გაბატონებულია არა მარტო საწარმოთა რაოდენობის, არამედ მუშათა რიცხვისა თუ პროდუქციის მოცულობის თვალსაზრისითაც. კერძოდ, წვრილი წარმოება აღემატებოდა შედარებით მსხვილ წარმოებას მუშათა რაოდენობით თითქმის 3-ჯერ, ხოლო პროდუქციის მოცულობით 2-ჯერ.

უნდა აღინიშნოს, რომ 60-იანი წლებისათვის, განსხვავებით 40—50-იანი წლებისაგან, საქართველოში შეიმჩნევა მრეწველობის განვითარების ტემპის შენელება. ამ დროს უკვე ველარ ეხვდებით წინა პერიოდისათვის დამახასიათებელ შედარებით მსხვილ წამოწყებებს, რის მიზეზიც საძიებელია როგორც ეკონომიურ, ასევე პოლიტიკურ სფეროში. გარდა იმისა, რომ სამრეწველო წამოწყებები ამ დროისათვის აწყდებოდნენ ფინანსიურ დაბრკოლებებს, კოლონიურ პოლიტიკასა და რუსული და უცხოური ფაბრიკების ნაწარმის კონკურენციას, მცირე როლი არ უნდა ეთამაშა რუსეთ-თურქეთის ომით შექმნილ ვითარებას, მით უმეტეს, რომ საომარი ოპერაციები საქართველოს ტერიტორიაზეც ვრცელდებოდა. განსაკუთრებით დიდი გავლენა ამ მხრივ განიცადა დასავლეთ საქართველომ, სადაც ჩაკვდა თითქმის ყოველგვარი სამრეწველო წამოწყება. თავისი გავლენა მრეწველობის განვითარებაზე უნდა მოეხდინა დიდი მასშტაბის საგლეხო აჯანყებებსაც (1857 და 1863 წწ. სამეგრელოში, 1862 წ. გურიაში, 1866 წ. აფხაზეთში და სხვ.)

ყოველივე ეს საერთოდ აფერხებდა ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას, ართმევდა სტიმულს ვაჭარ-მესარეწეებს დაებანდებინათ თანხები მსხვილ სავაჭრო ოპერაციებსა თუ სამრეწველო წამოწყებებში. ამით უნდა აიხსნას, რომ 1866 წლის უწყისში დას. საქართველოში მხოლოდ ერთი შედარებით მსხვილი საწარმოა აღნიშნული (არყისსახდელი), ისიც ჯარის ნაწილების მომარაგების საჭიროებისათვის დაარსებული. მრეწველობის განვითარებაზე ხშირად სხვა ფაქტორებიც ახდენდნენ უარყოფით გავლენას. ასე მაგ., 60-იანი წლების შუახანებისათვის აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობამ მნიშვნელოვნად დასცა აბრეშუმის წარმოება დას. საქართველოში.

საქართველოს სამრეწველო განვითარება მომდევნო პერიოდში გაპირობებული იყო საგლეხო რეფორმის გატარებითა და ფართე სარკინიგზო მშენებლობის გაშლით. 70-იანი და 80-იანი წლების დასაწყისის სამრეწველო აღმავლობის შედეგები თვალნათლივ ჩანს

ქვემოთ მოტანილ ცხრილში. რომელიც 80-იანი წლების შუახანების ვითარებას ასახავს[2].

ცხრილი 24

წარმოების დარგები	წვრილი წარმოება			მანუფაქტურა			ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება.		
	საწარმ. რაოდ.	მუშათა რაოდ.	პროდუქ. ღირებ. (ათას მან.)	საწარმ. რაოდ.	მუშათა რაოდ.	პროდუქ. ღირებ. (ათას მან.)	საწარმ. რაოდ.	მუშათა რაოდ.	პროდუქ. ღირებ. (ათას მან.)
ლითონდამმუშავებელი	27	97	55.0	—	—	—	2	136	107,0
ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები	—	—	—	1	1000	?	—	—	—
თუნუქის ბიდონების და ხის ყუთების	—	—	—	5	180	1.300,0	2	514	2.300,0
სახერხი	47	238	122 0	—	—	—	11	241	319.6
სადურგლო, ფანერის	12	51	54,0	—	—	—	2	50	90.0
ეტლების	—	—	—	4	120	132,0	—	—	—
აგურის და კრამიტის	60	220	180.0	—	—	—	1	20	8,4
მინის	—	—	—	—	—	—	1	70	60,0
საფეიქრო და ბამბის საპენტი	3	10	16,0	—	—	—	1	350	500,0
აბრეშუმის	3	10	13,0	—	—	—	1	66	10,2
ტყავის	40	325	200,0	—	—	—	1	170	652.0
ფეხსაცმელის	?								
ტანსაცმელის	?								
თამბაქოს	—	—	—	11	716	822,8	—	—	—
სპირტის, არყის, კონიაკის	86	261	220,0	—	—	—	1	15	200,0
ლუდის	2	10	19,0	1	16	50.0	2	33	154.0
საპნის. სანთლის, ზეთსახდელი	8	30	24.0	1	14	94.0	2	40	152.0
პოლიგრაფიული	10	70	70.0	5	125	70.0	—	—	—
მინერ. წყლების	14	50	40,6	—	—	—	—	—	—
ქვის დამუშავება	9	83	42,0	1	16	7,0	—	—	—
საკონდიტრო	34	75	154.0						
ნაწლავების დამუშ.	3	21	7,6						
წისქვილი	1	3	20,0	—	—	—	1	7	14.0
	359	1554	1.237,2	29	2187	2.475.8	28	1712	4.567,2

სულ. საწარმო—416, მუშათა რაოდენობა—5453, პროდუქციის ღირებულება=8.280,2 ათასი მან.

[2] ცხრილი შედგენილია შემდეგი წყაროების მიხედვით: საფუძვლად აღებულია საწარმოთა უწყისები (სცსია, ფონდი 204. საქმე 654 და ლენ. ცსია. ფონდი 20, აღწ. 12, საქმე 100). ფართოდ არის აგრეთვე გამოყენებული ს. გულიშამბაროვის მიერ შედგენილი თბილისის გუბერნიის მრეწველობის მიმოხილვა. მონაცემები წვრილ საწარმოთა შესახებ შევსებულია გუბერნატორების ანგარიშების დანართებიდან.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 80-იანი წლების შუახანებისათვის არსებითად შეიცვალა წვრილი და შედარებით მსხვილი წარმოების თანაფარდობის სურათი. წვრილი წარმოების ხვედრითი წონა. საწარმოთა სიჭარბის მიუხედავად, მნიშვნელოვნად შემცირდა. აღსანიშნავია, რომ მუშათა რაოდენობის მხრივ უპირატესობა მანუფაქტურულ წარმოებას აქვს, თუმცა პროდუქციის მოცულობის თვალსაზრისით უკვე მანქანური წარმოებაა წასული წინ. ორივე ერთად (ე. ი. მანუფაქტურული და მანქანური წარმოება) მუშათა რაოდენობის მხრით 2-ჯერ, ხოლო პროდუქციის მოცულობით 6-ჯერ აღემატებოდა წვრილ წარმოებას. მარტო მანქანური წარმოება კი მართალია მუშათა რიცხვით ბევრად ვერ ჭარბობდა, მაგრამ პროდუქციის მოცულობით თითქმის 4-ჯერ აღემატებოდა წვრილ წარმოებას. როგორც ვხედავთ, 80-იანი წლების შუახანები წარმოადგენდნენ ტეხილს ფაბრიკულ-ქარხმულ წარმოებაზე გადასვლის, ანუ სამრეწველო გადატრიალების თვალსაზრისით.

მომდევნო პერიოდი (ე. ი. 80-იანი წლების მეორე ნახევარი და 90-იანი წლები) ხასიათდება ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების სწრაფი განვითარებით და ხვედრითი წონის შემდგომი ზრდით, რაც თვალნათლივ ჩანს 1900 წლის ვითარების ამსახველ ქვემოთ მოტანილ ცხრილიდან[3] (იხ. გვ. 215).

ცხრილიდან ჩანს, რომ მიუხედავად წვირილი საწარმოების დიდი რაოდენობისა, მსხვილმა წარმოებამ მნიშვნელოვნად გაუსწრო წინ წვრილ წარმოებას. წვრილი კაპიტალისტური საწარმოების მნიშვნელოვანი ზრდა წინა წლებთან შედარებით, ჩვენი აზრით. აიხსნება არა იმდენად სტატისტიკის გაუმჯობესებით, რაც თავისთვად გამორიცხული არ არის, არამედ საქალაქო ცხოვრების და საერთოდ ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების შედეგად ხელოსნურ წარმოების წვრილ კაპიტალისტურ წარმოებად გადაქცევის გაძლიერებული ტენდენციით. დამახასიათებელია აგრეთვე, რომ მანუფაქტურული წარმოების ხვედრითი წონაც მცირდება შედარებით 80-იანი წლების შუახანებთან, თუმცა მანუფაქტურის ტიპის საწარმოთა რიცხვი

---

[3] ცხრილი შედგენილია შემდეგი წყაროების გათვალისწინებით: საგუძელად აღებულია საწარმოთა 1900 წ. უწყისები (ლენ. ცსია, ფონდი 1290, აღწ. 5. საქმე 177, ნაწ. II და საქმე 176); გნედიჩის მონაცემები და სტატისტიკური კრებულები: Список фабрик и заводов Европейской России. Спб., 1903, Статистические сведения о фабриках и заводах по производствам необложенным акцизом за 1900 г. Спб, 1903 г. Сборник статистических сведений по Закавказскому краю. Тифл., 1902. შესადარებლად გამოყენებულია 1901—1902 წლების მასალებიც (ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 2. საქმე 2925, 2926, 2927, 2929; უკრაინის ცსია, ხარკოვის ფილიალი, ფონდი 834, საქმე 408, ფურც.13—18) და სხვა.

წარმოების დარგები	წვრილი წარმოება			მანუფაქტურა			ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება		
	საწარმო რაოდ.	მუშათა რაოდ.	პროდუქტ. ღირებ. (ათას მან.)	საწარმ. რაოდ.	მუშათა რაოდ.	პროდუქტ. ღირებ. (ათას მან.)	საწარმ. რაოდ.	მუშათა რაოდ.	პროდუქტ. ღირებ. (ათას მან.)
ლითონდამმუშავებული	29	151	125.0	6	94	56,0	4	304	316,0
ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები	—	—	—	—	—	—	1	2265	?
თუნუქის ბიდონების და ხის ყუთების	—	—	—	—	—	—	5	2040	7.388.5
სახერხი	85	500	291,0	—	—	—	11	363	1.249.7
სადურგლო, ფანერის	33	270	185,0	5	80	85,0	1	10	50,0
ხის კასრების	—	—	—	5	184	269,0	—	—	—
ეტლების	12	84	105,0	3	69	66,0	—	—	—
აგურის და კრამიტის	300	1900	600.0	—	—	—	4	104	96,0
მინის	—	—	—	—	—	—	2	145	172,0
საფეიქრო და ბამბის საპენტი	2	12	25,0	—	—	—	1	460	530 0
აბრეშუმის	—	—	—	2	166	96,0	—	—	—
ტყავის	40	160	100,0	—	—	—	2	300	880,0
ფეხსაცმელის	20	78	81 0	1	68	67.0	1	424	553,0
ტანსაცმელის	6	21	17.0	5	88	157,0	1	140	63 0
თამბაქოს	—	—	—	2	53	46,0	7	1218	2.119.8
სპირტის, არყის, კონიაკის	750	3000	630,0	—	—	—	3	102	1.174.0
ლუდის	—	—	—	2	34	83'0	2	84	200,0
საპნის, სანთლის ზეთსახდ.	12	45	200.0	—	—	—	3	95	500 0
პოლიგრაფიული	40	280	190,0	—	—	—	8	442	382 0
ქეჩის	—	—	—	—	—	—	1	170	325.0
მატყლის სარეცხი	—	—	—	—	—	—	1	50	31.0
მინერალური წყლების	—	—	—	3	42	85,0	—	—	—
პურის საცხობი	149	519	764,0	—	—	—	—	—	—
საკონდიტრო, კომფეტის	4	26	74,0	5	75	150.0	—	—	—
მექანიკ. წისქვილი	—	—	—	—	—	—	1	25	36 0
ასანთის	—	—	—	—	—	—	1	150	83.0
მინერალ. წყლების ექსპ.	—	—	—	—	—	—	1	42	200,0
ყველის	—	—	—	—	—	—	1	24	38,0
მარმარილოს ქანდაქ.	—	—	—	—	—	—	1	35	36,0
ნაწლავების გადამმუშ.	—	—	—	2	31	40, 0	—	—	—
ქიმიური (საღებავების)	—	—	—	—	—	—	1	12	90,0
	1482	7046	3.386,0	41	984	1.200,0	64	9004	16513.0

სულ: საწარმო 1587, მუშათა რაოდენობა—17.034, პროდუქტ. ღირებულება—21.099,0 ათას მან.

მატულობს. ეს აიხსნება ზოგიერთი ახალი დარგის საწარმოთა (მაგ.. ხის კასრების წარმოება ბათუმში) დაარსებით და აგრეთვე წვრილ საწარმოთა გამსხვილებით (ლითონის დამმუშავებელ საწარმოების.

ტანისამოსის, ფეხსაცმლის, მინერალურ წყლების. საკონდიტრო საწარმოების და სხვ), თუმცა თავისთავად მასშტაბი ამ საწარმოებისა დიდი არ იყო. .

1900 წლისათვის ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების პროდუქციის მოცულობა უკვე 5-ჯერ აღემატება წვრილ წარმოებას.

ჩვენი გამოანგარიშებით, 80-იანი წლების შუახანებში საქართველოში 29 მანუფაქტურული და 28 ფაბრიკული საწარმო იყო, ხოლო 1900 წლისათვის 41 მანუფაქტურული და 64 ფაბრიკული საწარმო. მანუფაქტურულ და ფაბრიკულ საწარმოთა შეფარდება დროის გარკვეულ მონაკვეთებში მოცემული აქვს გ. ბაქრაძესაც. მართალია გ. ბაქრაძის ნაშრომიდან არ ჩანს თუ რა შეფარდებას გულისხმობს იგი სახელდობრ 1885 წელს, მაგრამ 1900 წლისათვის, მისი გამოანგარიშებით, საქართველოში იყო მანუფაქტურული 37 საწარმო 1240 მუშით და 1. 239 ათასი მან. პროდუქციით და ფაბრიკული 51 საწარმო 6731 მუშით და 17. 034 ათასი მან. პროდუქციით (რკინიგზის მთავარ სახელოსნოთა გამოკლებით)[4].

როგორც ვხედავთ, მანუფაქტურულ და ფაბრიკულ-ქარხნულ საწარმოთა რაოდენობისა და მასშტაბების ჩვენსა და გ. ბაქრაძის გაანგარიშებაში არის სხვაობა. საწარმოთა რაოდენობის ჩვენ მიერ მიღებული ციფრები რამდენადმე მეტია გ. ბაქრაძის რაოდენობრივ მაჩვენებლებზე, რაც იმით აიხსნება, რომ გ. ბაქრაძე მანუფაქტურული და ფაბრიკული წარმოებიდან გამორიცხავს ისეთ საწარმოებს, რომლებშიც 16-ზე ნაკლები მუშა მუშაობდა.

რაც შეეხება მუშათა რაოდენობასა და წარმოების პროდუქციის მოცულობას, ამ მხრივ ჩვენი და გ. ბაქრაძის გაანგარიშება რამდენადმე უახლოვდება ერთმანეთს. აღნიშნული გარემოება მოწმობს, რომ წყაროთა (განსაკუთრებით საწარმოთა უწყისების მონაცემების) კომპლექსური გამოყენება შესაძლებელს ხდის მრეწველობის სხვადასხვა ფორმის ხვედრითი წონისა და თანაფარდობის მეტ-ნაკლები სისრულით გაანგარიშებას.

---

[4] გ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 66, 67.

აღსანიშნავია, რომ მანუფაქტურულ და ფაბრიკულ საწარმოთა ზემო-აღნიშნული რაოდენობრივი მაჩვენებლების ჯამი არ ეფარდება გ. ბაქრაძის ნაშრომის მეორე ადგილას ნაჩვენებ შეჯამებულ რაოდენობრივ მონაცემებს. ნაშრომის სხვა ადგილას (გვ. 63) გ. ბაქრაძე წერს, რომ 1900 წლისათვის მანუფაქტურულ და ფაბრიკულ-ქარხნული საწარმოების ჯამი 152-ს შეადგენდა. ჩვენ ამას ორეტეტურულ შეცდომად მივიჩნევდით, რომ იქვე არ იყოს მოცემული შესაბამისი პროცენტული გაანგარიშებაც მანუფაქტურულ და ფაბრიკულ საწარმოთა რაოდენობის 1900 წლის მაჩვენებლების შეფარდებისა 70-იანი წლების მაჩვენებლებთან (თუმცა პროცენტის გაანგარიშებაშიც უზუსტობაა დაშვებული).

ამგვარად, სულ სხვა ვითარება გვაქვს გუბერნატორთა ანგარიშების დანართებზე დაყრდნობით სამრეწველო საწარმოთა დინამიკის დადგენის მეცნიერული ღირებულების თვალსაზრისით. ის გარემოება, რომ აღნიშნული წყაროს ამ თვალსაზრისით გამოყენება ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას, ჩანს თუნდაც გ. ბაქრაძის წიგნში მოცემული ცხრილიდან[5]. ცხრილში მოცემულ საწარმოთა რაოდენობრივი მაჩვენებლების თანახმად, თუკი 80-იანი წლების დასაწყისში საწარმოთა საერთო რაოდენობა 1200-მდე აღწევდა, 1887 წლისათვის მათი რიცხვი 2153-ს უდრიდა, ხოლო მომდევნო 1888 წელს 1146-მდე ჩამოდის, 1893—94 წლებში საწარმოთა რიცხვი კვლავ 2200-მდე ადის. ხოლო შემდეგ კვლავ მნიშვნელოვნად კლებულობს. 1900 წლის მონაცემები გ. ბაქრაძეს გნედიჩის მიხედვით აქვს მოტანილი, რაც სინამდვილეს უფრო უახლოვდება.

* * *

საქართველოში დამმუშავებელი მრეწველობის განვითარების თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის ზრდის მაჩვენებლების გარკვევა.

1865 წლისათვის თბილისის გუბერნიაში დაახლოებით 560 ათასი მცხოვრები იყო, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 545 ათასი მცხოვრები[6]. ამავე დროს თბილისის გუბერნიის სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის ღირებულება, ჩვენი გამოანგარიშებით, შეადგენდა დაახლოებით ერთ მილიონ მანეთს. ე. ი. თითო სულზე თბილისის გუბერნიაში დაახლოებით მოდიოდა 2 მანეთამდე ღირებულების პროდუქცია[7], მთელი საქართველოს მასშტაბით კი 1 მან. პროდუქცია.

80-იანი წლების შუახანებისათვის, კერძოდ 1886 წლისათვის, თბილისის გუბერნიაში 808 ათასი მცხოვრები იყო, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 881 ათასამდე მცხოვრები. ე. ი. სულ საქართველოში

---

[5] გ. ბ ა ქ რ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 60.

[6] Сборник статистических сведений о Кавказе, т. I, Тифл., 1869, Отдел II, გვ. 10—11.

თბილისის გუბერნიის მოსახლეობის მონაცემებიდან ჩვენ გამოვრიცხავთ ელიზავეტოპოლის მაზრას, ხოლო შეგვაქვს ახალციხის მაზრა, რომელიც ამ დროს ქუთაისის გუბერნიაში ითვლებოდა. შესაბამისად, ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობის რიცხვს ვაკლებთ ახალციხის მაზრის მოსახლეობას.

[7] აღსანიშნავია, რომ დაახლოებით ამავე დროის, კერძოდ 1863 წლის მონაცემებით, ევროპულ რუსეთში ერთ სულ მოსახლეზე მიდიოდა დაახლოებით 4 მან. პროდუქცია. Статист. временник Росс. империи, 1, Спб. 1866, გვ 55. აღნიშნულ კრებულში გათვალისწინებულია მხოლოდ აქციზით დაუბეგრავი წარმოება.

1700 ათასამდე მცხოვრები[8]. ამავე დროს სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის ღირებულება ჩვენი გაანგარიშებით, შეადგენდა 8.280 ათას მანეთს. ე. ი. თითო სულზე მოდიოდა 5 მანეთი.

1886 წლისათვის მარტო ფაბრიკული წარმოების პროდუქციის ღირებულება საქართველოში შეადგენდა 4,5 მილიონამდე მანეთს. ე. ი. თითო სულზე მოდიოდა 2,6 მანეთის ფაბრიკული ნაწარმი.

როგორც ვხედავთ, 60-იანი წლების შუახანებთან შედარებით ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის რაოდენობა 1895 წლისათვის 5-ჯერ გაიზარდა. ამავე დროისათვის მოხდა დასავლეთ საქართველოს სამრეწველო დაწინაურებაც.

90-იანი წლების მიწურულისათვის (კერძოდ 1897 წლის მონაცემებით) თბილისის გუბერნიის მოსახლეობა შეადგენდა 970 ათასამდე მცხოვრებს, ხოლო ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობა დაახლოებით 1 მილიონს. საქართველოს მოსახლეობა ამ დროს შეადგენდა სულ 1.970 ათას მცხოვრებს[9].

1900 წლისათვის საქართველოს სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის ღირებულება, ჩვენი გაანგარიშებით, დაახლოებით უდრიდა 21 მილიონ მანეთს. ე. ი. ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით მოდიოდა 10 მანეთის პროდუქცია. ანუ 2-ჯერ მეტი, ვიდრე 1886 წელს.

1900 წლისათვის მარტო ფაბრიკული წარმოების პროდუქცია შეადგენდა 16,5 მილიონ მანეთს. ე. ი. ერთ სულ მოსახლეზე ამ დროისათვის მოდიოდა უკვე 8 მანეთის ფაბრიკული პროდუქცია, ანუ 3-ჯერ მეტი, ვიდრე 1886 წელს.

მოტანილი მაჩვენებლები კარგად გვიხატავენ საქართველოს საერთო სამრეწველო განვითარებისა და კერძოდ ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების სწრაფი ზრდის სურათს.

* * *

მრეწველობის განვითარება საქართველოში ხდებოდა მეტად რთულ ვითარებაში. ქვეყნის ეკონომიურ წინსვლაზე მოქმედებდა მთელი რიგი როგორც ხელშემწყობი, ასევე ხელისშემშლელი ფაქტორი. სამრეწველო განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პირობა, როგორც ცნობილია, იყო ფულადი კაპიტალის დაგროვება. რასაც ად-

---

[8] Сборник статистических сведений по Закавказскому Краю. ч. I, Тифл., 1902. გვ. 1, 3—5. აღნიშნული წყაროს მონაცემებით სარგებლობისას ჩვენ ქუთაისის გუბერნიიდან გამოვრიცხავთ ართვინის ოკრუგს.

[9] Сборник статистических сведений по Закавказскому Краю, ч. 1 Тифл., 1902 გვ. 1, 3 — 5. აღნიშნული წყაროს მონაცემებით სარგებლობისას ჩვენ ქუთაისის გუბერნიიდან გამოვრიცხავთ ართვინის ოკრუგს.

გილი ჰქონდა საქართველოში მე-19 ს-ნის პირველი ნახევრიდან დაწყებული ფართო საშინაო და განსაკუთრებით საგარეო სავაჭრო ოპერაციების შედეგად. ნაწილობრივ, კაპიტალი იმთავითვე რუსეთიდან და უცხოეთიდანაც შემოდის. რუსი და უცხოელი ვაჭრები გვევლინებიან მთელ რიგ სამრეწველო წამოწყებათა მესვეურებად.

მრეწველობის განვითარებას თავის მხრით განაპირობებდა ადგილობრივი ბაზრის ზრდა ნატურალურ-კარჩაკეტილ მეურნეობის რღვევისა და ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარების შედეგად. ცხოვრების ახალი პირობები ზრდიდნენ მოსახლეობის მოთხოვნილებას ფართო მოხმარების საგნებზე. სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საჭიროებანი განაპირობებდნენ მრეწველობის ზოგიერთი დარგის (განსაკუთრებით ლითონდამმუშავებელი წარმოების) დაწინაურებას.

მაგრამ, მრეწველობის განვითარებას თავიდანვე მოელი რიგი დამაბრკოლებელი გარემოებანი ეღობებოდა წინ, პირველ რიგში კი ბატონყმური ურთიერთობა. მწვავედ იგრძნობოდა კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა. საჭირო რაოდენობის კაპიტალის უქონლობის გამო მრეწველ-წამომწყებთა ნაწილი იძულებული იყო მიემართა ხელისუფლებისათვის ფულადი დახმარების მისაღებად. თავიდანვე მცირე როლს არ თამაშობდა უცხოური და რუსული ფაბრიკების ნაწარმის კონკურენცია, რომელიც ხარისხით და სიიაფით ხშირ შემთხვევაში სჯობდა ადგილობრივ სამრეწველო ნაწარმს.

გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის გემოვნებას, ტრადიციას, რომლის წინააღმდეგობის გადალახვა უხდებოდა მრეწველობის ამა თუ იმ დარგში დანერგილ სიახლეს (ხიმშიაშვილის აგურის წარმოების და მღებროვის ზეთსახდელი წარმოების მაგალითი).

ბოლოს, საგანგებოდ უნდა შევეხოთ რუსეთის ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას, რომელიც დიდ გავლენას ახდენდა ადგილობრივი მრეწველობის განვითარებაზე. ცხადია, რუსეთის ცარიზმი, განიხილავდა რა საქართველოს, როგორც თავის ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმის გასაღების ბაზარს და ნედლეულის წყაროს, თავიდანვე ზღუდავდა ადგილობრივი წარმოების განვითარებას. ამის საუკეთესო მაგალითია მეიცნერის მაუდის წარმოების ბედი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ რუსული ხელისუფლება ყოველთვის ეღობებოდა წინ ყოველგვარ სამრეწველო წამოწყებებს. ადგილობრივი ხელისუფალნი, ისევე რუსეთის მრწეველობის ინტერესებიდან გამომდინარე, ხელს უწყობდნენ საქართველოში წარმოების ისეთი დარგების გან-

ვითარებას. რომელნიც აუცილებელი იყვნენ ადგილობრივ ბუნებრივ სიმდიდრეთა. ნედლეულის პირველადი დამუშავებისათვის (აბრეშუმის წარმოება, ლითონდამმუშავებელი წარმოება, საღვინე კასრების თუ მინის ჭურჭლის წარმოება და სხვა). მართალია, ასეთმა დამოკიდებულებამ თავიდანვე ცალმხრივი ხასიათი მისცა საქართველოს მრეწველობის განვითარებას, მაგრამ ამაზე შემდგომ სხვა ფაქტორები უფრო მეტად ახდენდნენ გავლენას.

აღსანიშნავია, რომ უკვე 40-იან წლებში, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხედულებისაგან განსხვავებით, რუსეთის ოფიციალურ წრეებში იქმნება აზრი ამიერკავკასიაში მოქმედ „აკრძალვითი სისტემის" გაუქმების საჭიროების შესახებ, რომელიც ვერ ამართლებდა თავის დანიშნულებას. ამ აზრს ადგენენ როგორც კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვი, ასევე კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე — ჩერნიშევი, კომიტეტის წევრები კისილიოვი, ბლუდოვი და შერემეტიევი.

ამიერკავკასიაში „აკრძალვითი სისტემის" გაუქმების საქმესთან დაკავშირებით ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრების შეხედულებაზე ზემოაღნიშნულ პირობების განმარტებაში ვკითხულობთ:

„После 1830 года, когда князь Варшавский говорил, что учреждение фабрик и заводов Закавказом вредно для России и что потому необходимо ввести в этом крае запретительную систему, отдав рынки его исключительно русским фабрикатам, прошло уже 15 лет, в продолжении коих обстоятельства края изменились в многом, препятствуя развитию промышленных сил края, не принесли больших выгод для московских фабрикантов и не сделали пользы краю".[10]

როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებიც კი გრძნობდნენ რა ცარიზმის შეზღუდვითი პოლიტიკის უარყოფით მხარეებს, თვით რუსეთის ეკონომიკის განვითარების ინტერესებიდანვე გამომდინარე, სვამდნენ საკითხს ადგილობრივი რესურსების უფრო რაციონალური ექსპლოატაციის მოსაწყობად.

მომდევნო პერიოდში, მას შემდეგ რაც რუსეთის მრეწველობა მყარ ნიადაგზე დგება და იმდენად აღარ საჭიროებს მფარველობას, ყოველ შემთხვევაში ამიერკავკასიის ფარგლებში, აქ თანდათან ნაკლებად იგრძნობა შეზღუდვითი ზომები და მხოლოდ თავისუფალი კონკურენციის კანონი მოქმედებს. ამის მაგალითია თუნდაც მირზოების საფეიქრო ფაბრიკის დაარსება და შემდგომი ბედი, აგრეთვე მე-19 ს. მიწურულს მთელი რიგი აქციონერული საზოგადოებების შექმნა ხელისუფლების მხრივ რაიმე დაბრკოლების გარეშე.

[10] ლენ. ცსია. ფონდი 1268, აღწ. 1, საქმე 134, ნაწ. IV, ფურც. 573.

ასე. რომ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკაში გასარჩევია დროისა და დროით ნაკარნახევი ამოცანების შესაბამისი ტენდენციები, რომელნიც ყოველთვის ერთნაირი არ იყვნენ და სხვადასხვა სიძლიერებით მოქმედებდნენ საქართველოს ეკონომიურ განვითარებაზე.

საქართველოში არსებული ზემოაღნიშნული პირობები და განსაკუთრებით კი მე-19 ს. 60-იანი წლების შუახანებში გატარებული საგლეხო რეფორმა და 70-იანი წლებიდან გაშლილი სარკინიგზო მშენებლობა განსაზღვრავდნენ მრეწველობის განვითარების ტენდენციებს. მრეწველობის განვითარების ძირითადი ხაზი წვრილი სასაქონლო წარმოების შემდგომ განვითარებასა და მრეწველობის შედარებით მაღალი ფორმების (მანუფაქტურისა და ფაბრიკის) ხვედრითი წონის განუხრელ ზრდაში გამოიხატებოდა. მრეწველობის სხვადასხვა ფორმის თანაარსებობა მე-19 ს. მთელ მანძილზე საქართველოს სამრეწველო განვითარების დამახასიათებელი მოვლენა იყო. თუმცა ეს სრულიადაც არ გამორიცხავს კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაციას მრეწველობის წამყვან დარგებში. რის მაჩვენებელიც პირველ რიგში 90-იან წლებში აქციონერული საზოგადოებების ჩამოყალიბება იყო.

ერთ-ერთი პირველი აქციონერული საზოგადოება შეიქმნა 1895—1897 წლებში ადელხანოვის ტყავის წარმოების ბაზაზე („Акционерное общество кожевенного и войлочного производства на Кавказе Г. Г. Адельханова"). საზოგადოების ძირითადი კაპიტალი 1,5 მილიონ მანეთს შეადგენდა[11]. 1900—1901 წლებში გაფორმდა შემდეგი აქციონერული საზოგადოებები: 1. ტაიროვ-ალიხანოვისა და ტოლეს საპნის, სანთლისა და ზეთსახდელი წარმოებისა („Акционерное общество маслобойных, мыловаренных и свечных заводов в Тифлисе бывших Таирова, Алиханова и Толле"). საზოგადოების ძირითადი კაპიტალი 0,5 მილიონ მანეთს შეადგენდა[12]; 2. თამბაქოს წარმოებისა („Акционерное общество табачной фабрики „Мир"). საზოგადოების ძირითადი კაპიტალი აგრეთვე 0,5 მილიონ მანეთს შეადგენდა[13]; 3. იარალოვის ლითონდამმუშავებელი წარმოებისა („Общество Тифлисского металли-

---

[11] ლენ ცსია, ფონდი 22. აღწ. 4, საქმე 89.
[12] ლენ. ცსია, ფონდი 23, აღწ. 28. საქმე 2157.
[13] ი ქ ვ ე, საქმე 1359.

ческого завода и фабрики земледельческих машин и орудий инженера Г. З. Яралова и К°"). საზოგადოების ძირითადი კაპიტალი 350 ათას მანეთს შეადგენდა[14].

გარდა აღნიშნულისა, იყო მთელი რიგი აქციონერული საზოგადოებების შექმნის ცდა, რომელნიც ბოლომდე ვერ იქნენ მოყვანილნი 900-იანი წლებისათვის დაწყებულ სამრეწველო კრიზისისა თუ სხვა მიზეზების გამო. ასეთი საზოგადოებები იყო: ძმები ბერგმანების მინის წარმოებისა ბორჯომში („Кавказское стеклопромышленное акционерное общество")[15], ალექსანდრე მანთაშევისა და სხვების მანუფაქტურული წარმოებისა თბილისში („Акционерное общество Закавказской мануфактуры")[16], ქაღალდის წარმოებისა თბილისში („Первая кавказская писчебумажная фабрика"[17]), კრამიტისა და კერამიკული ნაწარმისა ქუთაისის მახლობლად („Кавказское общество черепичных и керамических заводов"[18]), შავიზღვისპირეთის ხე-ტყის წარმოებისა („Кавказско-черноморское лесопромышленное общество")[19] და სხვა.

აღნიშნული აქციონერული საზოგადოებების ამოცანა იყო წარმოების შემდგომი გაფართოების მიზნით მრეწველობის უკვე არსებულ დარგებში კაპიტალის კონცენტრაცია, ან ახალი დარგების განვითარება. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ თანდათან ირღვევა ზღვარი სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალს შორის, წარმოების მასშტაბები ვეღარ ეტევა ვიწრო ჩარჩოებში და მთელ ამიერკავკასიის ფარგლებს მოიცავს.

დამახასიათებელია, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ადელხანოვის მიერ დაარსებული საზოგადოების აქციონერები იყვნენ სხვა დარგების წამოწყებათა მესვეურები: კ. ალიხანოვი, ი. ტაიროვი, გ. იარალოვი. აქვე შედიოდნენ მსხვილი საქმოსნები და ბანკირები: ს. ანანოვი, მ. თავადოვი (თბილისის კომერციული ბანკის დირექტორი), ი. ცოვიანოვი (ბანკირი), თბილისელი ვაჭარი მ. ყანდაროვი, ბაქოელი I გილდის ვაჭარი ა. ცატუროვი და სხვები.

მეწარმეთა ფართო სამოქმედო ასპარეზზე მიუთითებს „კავკასია—შავიზღვისპირეთის ხე-ტყის დამმუშავებელი საზოგადოების" დამაარსებელთა საქმიანობა. ერთ-ერთი მათგანი ბაქოელი ვაჭრის ქვრი-

---

[14] ლენ. ცსია, ფონდი 23, აღწ. 28. საქმე 2624.
[15] ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 4, საქმე 214.
[16] ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 4, საქმე 193.
[17] ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 4, საქმე 197.
[18] ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 2, საქმე 2664.
[19] ლენ. ცსია, ფონდი 22, აღწ. 2, საქმე 2722.

ვი ნ. ბატკანოვა ბაქოში ფლობდა სახლებსა და ნავთობიანი მიწის ნაკვეთებს. მასვე ეკუთვნოდა ხილის ბაღები კახეთში. მეორე აქციონერი ი. ვერმიშევი დროებით ცხოვრობდა ბაქოში. მისი მუდმივი საცხოვრებელი იყო ქ. ფოთი. აქ და ანაკლიაში მას ჰქონდა ხე-ტყის სარეწები და საწყობები. მესამე აქციონერი ა. იუზბაშევი ერთდროულად იყო ნავთის მრეწველიც ბაქოში და სახერხი სარეწებისა და საწყობების მფლობელი ფოთში, ანაკლიასა და ჯვარში.

სავაჭრო კაპიტალის მრეწველობაში დაბანდების ტენდენციის თვალსაზრისით საყურადღებოა „ამიერკავკასიის მანუფაქტურის საზოგადოების" დამაარსებელთა საქმიანობა. ეს უკანასკნელნი იყვნენ თბილისის I გილდის ვაჭარი ი. მანთაშევი, თბილისელი ვაჭრები ძმები ავეტისოვები, რომელთაც სავაჭრო ამხანაგობა ჰქონდათ დაარსებული 1894 წლიდან, თბილისელი ვაჭრები ძმები კეკორქოვები, რომელთაც აგრეთვე სავაჭრო ამხანაგობა ჰქონდათ შექმნილი 1892 წლიდან და ბაქოელი ვაჭრები ძმები თუმანოვები, რომელნიც აგრეთვე სავაჭრო ამხანაგობის სახით მონაწილეობდნენ აღნიშნულ აქციონერულ საზოგადოებაში.

ამრიგად, კაპიტალის წყარო, რომელიც მრეწველობაში მოედინებოდა, ერთი მხრივ იყო სავაჭრო ოპერაციები, ხოლო მეორე მხრივ თვით წარმოების სფერო, სადაც ხდებოდა კაპიტალის ერთი დარგიდან მეორეში გადანაცვლება. თუკი კაპიტალის აღნიშნული წყაროები თვით საქართველოსა და ამიერკავკასიის ფარგლებში იქმნებოდა, მეორე მხრივ კაპიტალი მოედინებოდა რუსეთიდან (მაგ., ძმების ბერგმანების მინის წარმოება) და საზღვარგარეთიდან (მაგ., „კრამიტისა და კერამიკული ნაწარმის კავკასიის საზოგადოების" დამაარსებელნი იყვნენ ფრანგები, მარსელის კერამიკული ქარხნების დირექტორი ალფონს გოდო, ვაჭარი ემილ მალარი და ფაბრიკანტი დიოგენ მორისი). მრეწველობაში უცხოური და აგრეთვე ადგილობრივი (ამიერკავკასიის) კაპიტალის დაბანდების მაგალითს წარმოადგენდა აგრეთვე ბათუმის წარმოება.

აქციონერული საზოგადოებების შექმნის გარდა, წარმოებაში კაპიტალის კონცენტრაციის მაჩვენებელი იყო ისეთი მსხვილი ფირმების შექმნა, როგორიც იყო მირზოევის საფეიქრო წარმოება, სარაჯიშვილის სპირტიანი სასმელებისა და კონიაკის წარმოება, მთელი რიგი თამბაქოს ფაბრიკები (ბოზარჯიანცის, ენფიანჯიანცის და სხვ.), ლითონდამუშავებელი ქარხნები (კარაპეტოვის და ბერჟანოვის), სახერხი ქარხნები (ტერ-ასატუროვის, ზეზემანის, სერებრიაკოვის და მაქსიმოვის), ჯაბადარის სტამბა და სხვა.

*
*

საქართველოს მრეწველობის განვითარება რამდენადმე გაპირობებული იყო ადგილობრივი (ამიერკავკასიის) ნედლეულის სიუხვით. შემთხვევითი არ არის, რომ აქ უპირატესად ისეთი დარგები ვითარდება, რომელთათვისაც ნედლეული ადგილობრივ მოიპოვებოდა (აბრეშუმის, თამბაქოს, ტყავის, საპნის, ზეთის, არყისა და კონიაკის წარმოება, ქეჩისა და ბამბის ქსოვილების წარმოება). ნედლეული უცხოეთიდან მხოლოდ ნაწილობრივ თუ შემოდიოდა.

რაც შეეხება საქართველოს მრეწველობის ნაწარმის გასაღების ბაზარს, იგი თანდათან, მსხვილი მრეწველობის ხვედრითი წონის ზრდის კვალად, სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა. წარმოების ზოგიერთი დარგის ნაწარმი, არაფერი რომ არ ითქვას ბათუმის ნავთის ექსპორტის საჭიროებასთან დაკავშირებულ წარმოებაზე. სცილდება საქართველოს ფარგლებს და რუსეთსა და საზღვარგარეთაც გადის (აბრეშუმი, კონიაკი, თამბაქო, ტყავის ნაწარმი, ქეჩის ნაწარმი და სხვ).

მსხვილი მრეწველობის განვითარების დონეს წარმოების საშუალებათა წარმოება განსაზღვრავდა. როგორც იყო აღნიშნული 90-იან წლებში საქართველოშიც ინერგება ორთქლის ქვაბების, სხვადასხვა დაზგისა და ხელსაწყო-იარაღების წარმოება. მაგრამ ასეთი წარმოების მასშტაბი ჯერ მეტად მცირე იყო, რაც განაპირობებდა მსხვილი მრეწველობის შეზღუდულ ხასიათს.

ოფიციალური მონაცემებით, რომელნიც ვარზარს ჰქონდა ხელში. საქართველოში ძირითადად რუსეთიდან და უცხოეთიდან შემოტანილი მანქანა-იარაღები იყო ხმარებაში. ასე მაგ., საქართველოს აქციზით დაუბეგრავ წარმოებაში 1900 წელს 1.200 ათასი მანეთის ღირებულების „რუსული" წარმოების და 1.600 ათასი მანეთის ღირებულების „უცხოური" წარმოების მანქანა-იარაღები იყო გამოყენებული. „რუსული" წარმოების მანქანა-იარაღებში შესაძლოა ადგილობრივი დამზადების მანქანებიც ყოფილიყო ნაგულისხმევი, მაგრამ ძირითადად აქ მაინც შემოტანილ ტექნიკაზეა ლაპარაკი[20].

---

[20] Статистические сведения о фабриках и заводах..., Спб. 1903.

* * *

დაბოლოს, საჭიროდ მიგვაჩნია შევაჯამოთ ბონაცემები მე-19 საუკუნის საქართველოს სამრეწველო განვითარების ძირითადი ეტაპების შესახებ. როგორც სათანადო თავებში მოტანილი მასალა ცხადყოფს უკვე მე-19 ს. პირველ ნახევრისათვის საქართველოს ეკონომიკისათვის დამახასიათებელია საქონლური წარმოების ფართე განვითარება, რომელიც ამჟღავნებს კაპიტალისტურ წარმოებად (კაპიტალისტურ მარტივ კოოპერაციად თუ მანუფაქტურად) გადაქცევის ტენდენციას. წვრილ წარმოების გაფართოებასთან ერთად ხდება ცალკეულ შედარებით მსხვილ, მანუფაქტურულ საწარმოთა დაარსებაც.

მართალია, ეს საწარმოები, უმეტეს შემთხვევაში, ადრევე წყვეტენ არსებობას და მხოლოდ ერთეულებმა მოაღწიეს 60-იან წლებამდე, მაგრამ მიუხედავად ამისა, თუ გავითვალისწინებთ ცალკეულ მანუფაქტურულ საწარმოთა მასშტაბს, პროდუქციის მოცულობასა და წარმოების ზოგიერთ დარგში (ლითონის დამუშავება. სადურგლო წარმოება, სატრანსპორტო საშუალებათა—ეტლების წარმოება, თამბაქოს გადამუშავება, ფეხსაცმელისა და ტანსაცმლის დამზადება) მანუფაქტურულ წარმოების ხვედრითი წონის უპირატესობას წვრილ წარმოებასთან შედარებით, გვაქვს საფუძველი მივიჩნიოთ, რომ უკვე რეფორმამდელ ხანაში მანუფაქტურული წარმოება მთელ რიგ დარგებში, მიუხედავად წვრილი საწარმოების სიჭარბისა, წამყვან როლს თამაშობდა.

არსებითი ნიშანი საქართველოს სამრეწველოს განვითარებისა იყო უკვე მე-19 ს. პირველ ნახევარშივე დაქირავებული შრომის სისტემატური გამოყენება, როგორც წვრილ, ასევე შედარებით მსხვილ საწარმოებში. ფეოდალური მანუფაქტურა იძულებითი ყმური შრომით საქართველოსათვის დამახასიათებელი არ ყოფილა. ასეთი საწარმოები ერთეულებს შეადგენენ და აქაც წამყვან როლს წარმოებაში იმთავითვე დაქირავებული მუშები თამაშობდნენ.

რაც შეეხება მანქანურ წარმოების საწყისებს საქართველოს მრეწველობაში, მათ მართალია უკვე რეფორმამდელ ხანაში ვხვდებით ცალკეულ საწარმოებში გამოყენებულ სხვადასხვა დანადგარებისა თუ ორთქლის ძრავას სახით, მაგრამ ეს იმ დროისათვის სპორადულ ხასიათს ატარებდა. ორთქლის მანქანების გამოყენებისათვის იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა სათანადო პირობები, არ იყო მომზადებული ენერგეტიკული ბაზა და არც მუშახელი, რომელსაც, როგორც წესი, მანქანურ წარმოებისათვის მანუფაქტურა ამზადებს.

მაგრამ, ცხადია ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ დროისათვის გაბატონებული წარმოებითი ურთიერთობანი არ ბოჭავდნენ საწარმოო ძალათა განვითარებას, ქვეყანაში არსებული ზემოაღნიშნული კაპიტალისტური ელემენტები არ შლიდნენ ფეოდალურ წყობას.

კაპიტალისტურ ურთიერთობის განვითარება მრეწველობაში, რაც 40-იანი წლებიდან სულ უფრო და უფრო მეტად იჩენდა თავს, თავის მხრივ აპირობებდა ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის დაშლასა და შესაბამისად კაპიტალისტური წყობის ჩამოყალიბებას საქართველოში. ქვეყნის შემდგომ სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას მივყევართ ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის კრიზისთან, საგლეხო რეფორმისათვის ქვეყნის შიგნით ნიადაგის შემზადებასთან.

რეფორმის მომდევნო პერიოდი, კერძოდ 70-იანი წლები და 80-იანი წლების პირველი ნახევარი ხასიათდება მანუფაქტურული წარმოების შემდგომი განვითარებით. ამ დროს არსდება არაერთი მსხვილი საწარმო, სადაც ჯერ კიდევ ხელით შრომა ბატონობდა. წარმოების მთელ რიგ დარგებში კვლავ შეიმჩნევა წვრილ საწარმოთა გაფართოვება, მათში შრომის დანაწილების შემოღება. მართალია ამავე პერიოდში ხდება ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების სწრაფი განვითარება, მაგრამ 80-იან წლების შუახანებამდე ფაბრიკა მუშათა რაოდენობის მხრივ ჯერ ჩამორჩება. ხოლო პროდუქციის მოცულობით მხოლოდ უმნიშვნელო მასშტაბით უსწრებს მანუფაქტურულ წარმოებას. ამდენად, პერიოდს 80-იანი წლების შუახანებამდე ჩვენ კვლავ მანუფაქტურულ წარმოების ბატონობის ხანად მივიჩნევთ. ამ დროიდან კი ხდება გარდატეხა მანუფაქტურიდან მანქანურ წარმოებაზე გადასვლის თვალსაზრისით. ფაბრიკულმა წარმოებამ 80-იან წლების მეორე ნახევარსა და 90-იან წლებში საბოლოოდ დაიმკვიდრა უპირატესობა წარმოების დანარჩენ ფორმებთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში ხდება კაპიტალისტური მრეწველობის ამა თუ იმ საფეხურების გავლა. ასე მაგ., მანუფაქტურული წარმოება აქ არსებითად 40-იანი წლებიდან გვაქვს ხელშესახები მოცულობით წარმოდგენილი, ხოლო მანქანური წარმოება ფართე მასშტაბით იწყება რეფორმის მომდევნო ხანაში (70-იანი წლები) და გაბატონებულ მდგომარეობას აღწევს სამი ათეული წლის მანძილზე (90-იან წლებში). ამაში ელინდება სწორედ ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ „რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში. ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს...[21]“.

[21] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 3, გვ. 704. (ხაზი ჩვენია, ე. ხ.)

ს ა რ ჩ ე ვ ი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა 3

დამმუშავებელი მრეწველობის განვითარების ისტორიის შესწავლა ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში 5

წყაროების მიმოხილვა 49

თ ა ვ ი I

მრეწველობის მარტივი ფორმები — ოჯახური მრეწველობა და ხელოსნობა. წვრილი სასაქონლო წარმოების განვითარება 64

1. ოჯახური მრეწველობა . 65

2. ხელოსნობა, წვრილი სასაქონლო წარმოების განვითარება 79

თ ა ვ ი II

კაპიტალიზმის განვითარება მრეწველობაში . . . 105

1. წვრილი კაპიტალისტური საწარმოების აღმოცენება, კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია 106

2. მანუფაქტურა . . 150

3. ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება 173

დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი — მრეწველობის სხვადასხვა ფორმის (წვრილი წარმოება, მანუფაქტურა, ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება) თანაფარდობა. მრეწველობის განვითარების პირობები და ტენდენციები საქართველოში 208

Хоштария Эдишер Викторович

Развитие промышленности и формирование рабочего класса в Грузии XIX века

(Развитие обрабатывающей промышленности)

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ი. ანთელავა
გამომცემლობის რედაქტორი ე. კოდუა
ტექრედაქტორი ნ. ებრალიძე
კორექტორი რ. ფარესიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.12.1965; ნაბეჭდი თაბახი 14,24;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14,83;
უე 02280; ტირაჟი 1000; შეკვეთა 1369;
ფასი 1 მან. 22 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8
Издательство «Мецниереба», Тбилиси, ул. Дзержинского № 8

გამომცემლობა „მეცნიერების" სტამბა, თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, ул. Г. Табидзе 3/5